



საზღვრის გარეშე
1977

საბჭოთა სელოვნება

1977 2

2/1977

საბჭოთა სელოვნიცა

შინაარსი

თბილისის სახელმწიფო ახალგაზრდული ფრაგმენტული თე- ატრი-სტუდია (მრგვალი მაგიდა)	3
ანზორ კახიძე — ნოსო ხურციბა	26
ირინე შელია — კლასიკის დღევანდელი მობა	29
ლალო ანთაძე — საბჭოთა მასალა სათანადო მოვლა-კატარონობას მო- იხსნის	40
პაულ მინდემიტი — კომპოზიტორის სამართი	40
ოქტეზ მახარაშვილი — არაბიზატორული კრიტიკის ზომიერით საკითხი	47
ლამარა კვიციანი — კვლავ ზომიერით სინტეზის ჩანაწერის შესახებ	50
ნოდარ გურაბანიძე — ბავშვთმეცხე საუკრამელ მომღვაწელთან	58
„რას იტყვის ხალხი“	60
გივი ბოჭუა — მომხატვრის სინტეზის დამატებითი კონსტრუქციები	62
მელა აბაშიძე, ელენორა აბაშიძე — ბინები უილიამის ფრაგმენტები	67
ოთარ ფილიპოვილი — „სარტის“ სილიაზო და ფორმები	77
გივი ქაოვილი — იოსებ გიორგენილის ფრაგმენტული მოღვაწეობა	84
კარლო გოგუაძე — მომღვაწელი შემხვედრები	88
უშანგი რიგინაშვილი — კულტურის ზომიერით სტრუქტურულ-კომპონენტული მოღვაწეობა	91
ლალო გუდიაშვილი — მომღვაწეობის წიგნი	100
თან კოტე — მასალი და არლიკინი	106
ბრონიკა	111

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ქვემოთხსენებული ქართული

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
მორეპორაჟი**


მთავარი რედაქტორი
თეატრული მუსიკა
სარედაქციო კომიტეტი:
პაპი ბაქრაძე,
მარტინო ბერიძე,
ჯუმაბეგ თომეზიანი,
(ბასუნიკის მდივანი),
ნოდარ გუგუშვილი,
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობელი,
ზურაბ ნიძარაძე,
გივი ორბელიანი,
ნათელა ურუშაძე,
რეზა ჩხიკიძე,
ანტონ რულაძე,
ნოსო მახარაშვილი,
ნოდარ ჯანაშიანი.



გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს 56-ე წლისთავს!

უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდობის პრობლემები და საკვიროებანი, დავებმართო მას თავისი ნიჭის გამოვლინებაში, წარვმართოთ ტალანტების განვითარება პერსპექტიული შემოქმედებითი გზით. დღეინადაც განვამტკიცოთ და გავმრავალფეროვნოთ ახალგაზრდა ხელოვანი ინტელიგენციის კავშირი ცხოვრებასთან, განვავითაროთ მისი საზოგადოებრივი აქტიურობა, დავავალოთ ახალგაზრდებს საინტერესო საქმეები, აღვზარდოთ ისინი კომუნისტური იდეალებისათვის მტკიცე მებრძოლებად.

საკა ცენტრალური კომიტეტის
დაღბენილება „სიმოქმედიანის
ახალგაზრდობასთან მუშაობის
შისახება“





მრგვალი მაგიდა

რედაქცია — თბილისი

თბილისის სახელმწიფო ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სცენა

თამაშ ბილაძე (ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი): მეტეხის ახალგაზრდული თეატრი-სტუდია თანდათან სერიოზულ პრობლემად იქცა, იმდენად მტკივნეულმა და საინტერესო საკითხებმა მოიყარა აქ თავი. ამ კედლებში თქვენ ყოველდღიურად გიხდებათ თავდადებული შრომა. სხვაგვარად ვერ ვუწოდებ თქვენს საქმიანობას, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობისათვის საქმის სიყვარულს, გატაცების, თავდადების საყურადღებო მაგალითი უნდა იყოს. თუმცა, უამისოდ წარმოუდგენელია თეატრის არსებობა, რადგან, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, თეატრი მართო ის არ არის, რასაც ვუხედავთ. სცენის მიღმა ხომ არანაკლებ დრამატული ცხოვრება მიმდინარეობს? თქვენი წყალობით, დღეს

უკვე თეატრს ვეძახით მეტეხს, საუკუნეების მანძილზე ტაძარი რომ იყო. თუმცა ეს ორი მცნება ერთი-მეორეს სულაც არ გამოირიცხავს. ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა, ისაუბროს თქვენთან ერთად ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც დგას თქვენი კოლექტივის წინაშე, რათა თქვენი გულისთვის, თქვენი სურვილები, თქვენი ტკივილი თუ სიხარული გავაცნოთ მკითხველთა ფართო აუდიტორიას. იმედი გვაქვს, რომ ამ საუბარს დიდი ყურადღებით გაეცნობა არა მარტო თეატრალური სამყარო, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოება. დღეს, თქვენს შესახვედრად მოვიწვიეთ ის ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობენ ამ თეატრის მიერ განვლილ გზას, ვინც თქვენი სწავლის, თქვენი ზრდის, თქვენი პირველი ნაბიჯების

მოწმენი არიან. ესენი არიან თქვენი მასწავლებლები — სახელოვანი რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დიმიტრი ალექსიძე, ცნობილი თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი ვასილ კიკნაძე. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციიდან კი ჩვენს საუბარს ესწრებიან პასუხისმგებელი მდივანი ჯუმბერ თითომერია, განყოფილების გამგეები მახანა ახმეტელი და გივი მაღულარია.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს საუბარში მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდა მწერალი ავთანდილ ჩხიკვიშვილი, რომლის პიესა „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“ დაიდგა მეტეხის თეატრში. თქვენ მას ნამდვილი ამხანაგობა, ნამდვილი მეგობრობა გაუწიეთ. ამ სცენაზე მოხდა მისი ნათლობა, რასაც ყოველი ახალგაზრდა დრამატურგი დიდ პატივად ჩათვლიდა!

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ თხოვა თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძეს — ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს — წარმართოს დღევანდელი საუბარი, მით უმეტეს, რომ, ჩვენი ტრადიციის მიხედვით, ასეთ საუბარს სწორედ სარედაქციო კოლეგიის წევრები ატარებენ.

მასილ კიკნაძემ: დღევანდელი ჩვენი შეკრება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე ახალი სპექტაკლის დახატვა იქნებოდა. მნიშვნელოვანია თვით ფაქტი — რედაქცია მოდის თეატრში მისი ჭირ-ვარამის, მისი შინაგანი ცხოვრების შესასწავლად მით უფრო, რომ ჩვენს თეატრალურ პრაქტიკაში ასეთი რამ, ვგონებ, პირველად ხდება...

დიმიტრი ალექსიძემ: მსგავსი შემთხვევა არც მე მახსოვს. არადა, ასეთი გულანძლილი საუბრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი ძალზე სასარგებლო და აუცილებელია ორივესთვის — თეატრისათვისაც და რედაქციისთვისაც.

მ. კიკნაძემ: ეს ვიზიტი იმიტომ არის განპირობებული, რომ დღეს უაღრესად მწვეველ დგას ახალგაზრდა შემოქმედთა ზრდისა და წინსვლის საკითხი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

ქართულ თეატრში დიდი ხანია დაიწყო თაობათა ცვლის პროცესი. ასპარეზიდან წავიდა უფროსი თაობის დიდი ნაწილი. მათ ადგილზე თანდათან გადმოინაცვლეს იმ მსახიობებმა, რომლებსაც სულ ახლახან საშუალო თაობას ვეძახდით. აქედან განომდინარე, ქართულ თეატრში ბუნებ-

რივად წამოიჭრა ახალგაზრდა ძალების მოზიდვის, მობილიზებისა და გააქტიურების საკითხი.

მეტად დროული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „შემომქმედების ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. გულახდილად ვიტყვი — მე არ მგვალბა ამ უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე სხვა უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი ახალგაზრდა შემოქმედებით მუშაკთა ბედ-იბნების, მათი საქმიანობის შესახებ. ამ უაღრესად მრავალმხრივსა და მასშტაბურ დადგენილებაში თავმოყრილია ყველა ის საკითხი, რომლებიც დგას შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების წინაშე. მასში აირეკლა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პედაგო-

ლიესკის დროს



გების ტკივილები, ფიქრები, სურვილები. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დადგენილება დიდ ნაყოფს გამოიღებს.

დ. ალმასიმე: მართალი ბრძანდებით. ჩვენს წინაშეა უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი — შესანიშნავი გამოვლინება იმ დიდი მზრუნველობისა და ყურადღებისა, რომელსაც ჩვენი პარტია იჩენს ხელოვნების მუშაკებისადმი საზოგადოდ და ახალგაზრდობისადმი — კერძოდ. ნიშანდობლივია, რომ დღეს ამ დადგენილებაზე ვლაპარაკობთ ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა თეატრალურ კოლექტივში — მეტეხის თეატრში, რომლის დაარსება ახალგაზრდობის მიმართ მზრუნველობისა და ყურადღების თვალსაჩინო გამოხატულებაა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ინტერესს იწვევს მეტეხის ტაძარში მოთავსებული თეატრისტუდია ჩვენს მრავალფეროვან საბჭოთა თეატრალურ სამყაროში. „რა ბედნიერები ხართ!“ „რა საინტერესოა ყოველივე ეს!“ „როგორ მიაღწიეთ ამას“ — აი, ასე ლაპარაკობენ მეტეხის თეატრზე მომეხ რესპუბლიკების თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლები. ახლახან კი საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში უკრაინიდან მოვიდა წერილი, რომელშიც გვოსოვენ გავაცნოთ მათ მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის სტრუქტურა, მისი შემოქმედებითი პრინციპები. ერთი სიტყვით, გვთხოვენ კონსულტაციას, რათა ასეთი ტიპის თეატრი დააარსონ უკრაინაშიც. ასეა — ახლის დაბადება ისეთი მოვლენაა, რომელიც სცილდება შენი ერის საზღვრებს.



დ. ალმასიმე



თეატრკოლენ ბ. კიკნაძე

სანდრო მრავლიშვილი (მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის მთავარი რეჟისორი): საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას დიდი ინტერესითა და სიხარულით გავეცანით. ჩვენი კოლექტივის ყოველ წევრს მიაჩნია, რომ იგი პირადად ჩვენზე — მეტეხის თეატრზეა დაწერილი, რომ იგი ჩვენს კოლექტივზე ფიქრით, მასზე ზრუნვითაა შექმნილი, იმდენად ზუსტად გამოხატავს ყოველი ჩვენგანის სულისკვეთებას. ჩვენ გჯერა, რომ ეს შესანიშნავი დოკუმენტი დიდ დახმარებას გაგიწევს, ხელს შეგიწყობს წინსვლასა და დაოსტატებაში.

რეჟისორი ს. შრეილიშვილი



მ. პინასკე: მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის ჩამოყალიბების იდეა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კედლებში დაიბადა. ამიტომაც ჩვენთვის — თეატრალური ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის — განსაკუთრებით ძვი-



მსახიობი
ი. კვიციანიძე

რფასია ამ თეატრის არსებობის ფაქტი. მისი და-
ბადება, როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზ-
მისა, მტკიცედ ედგა მიმდინარეობდა. მას ბევრი
მხარდამჭერი არ ჰყოლია, ცოტას ჰქონდა იმის
იმედი, რომ ეს ახალგაზრდები — თეატრალური
ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებულნი —
იტყონდნენ თავიანთ სიტყვას, იტყონდნენ რაღაც
ახალს, განსაკუთრებულს — სხვა თეატრებისაგან
გამორჩეულს.

ბატონო დოღო! თქვენ, ალბათ, კარგად გახ-
სოვთ ამ თეატრის პირველი სპექტაკლის — შექ-
სპირის „ჰამლეტის“ რეპეტიცია, რომელიც ხე-
ლოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა. მაშინ ამ
ახალგაზრდებს არ ჰქონდათ თავისი შენობა —
ისინი სახლებში მუშაობდნენ და მაინც არ შეუ-
შინდნენ სირთულეებს. ამავე მოწივობს მათი არ-
ჩევანი — შექსპირის „ჰამლეტი“, რომელსაც ისი-
ნი ასე თამაზად შეეჭიდნენ. „ჰამლეტის“ — ამ
ურთულესი ნაწარმოების დადგმის თვით ფაქტშია
რაღაც სიმბოლური. იგი გამოსატყვს ახალგაზრ-
დულ ენთუზიაზმს, სითამამეს, გაბედულებას, ე. ი.
იმ თვისებებს, რომელთა წყალობითაც მეტების
თეატრმა გაუძლია წინააღმდეგობებს. მას შემდეგ
ამაჰა წელსა ვაჩუღო, მეტების თეატრი თვი არ-
სებობს, ცოცხლობს, იბრძვის, დაქინებით ეძებს
თვითგამოხატვის საკუთარ ხერხებსა და საწუ-
ალებებს.



მსახიობი
წ. ცინცილაძე

ერთი სიტყვით, მეტების თეატრმა თავისი
ცხოვრება ძალიან მაღალი რეგისტრებით დაიწყო
(ვევლისხმობ შექსპირის „ჰამლეტს“). მართა-
ლია, ამ სპექტაკლმა ვერ გაიმარჯვა, ამას ჩვენ მა-
ინც არც ველოდით, სამაგიეროდ, ახალგაზრდები
პირისპირ შეხვდნენ შექსპირს, ეზიარნენ ჭეშმა-
რიტ ლიტერატურას, რასაც უდღეღისი მწიფეწილე-
ბა აქვს ახალგაზრდა მსახიობებისთვის.

დ. კლემსიმე: რაღაც სიმბოლური მართლაც
არის იმაში, რომ ამ ახალგაზრდული თეატრის
მფარველებად იქნენ შექსპირი და მისი „ჰამ-
ლეტი“.

მეტების თეატრი მაღალ ცხენზე შედგა. მერე
რა მოხდა, რომ გადმოვარდა? მაღალი ცხენიდან
ჩამოვარდნაც საქეა. მთავარია, რომ კისერი არ
წამტკიცეს. პირიქით, შექსპირის წყალობით
დადგა მეტების თეატრი მიწაზე. მისასალმებელია,
რომ ამ ახალგაზრდებმა მიაკითხეს სწორედ ჰამ-
ლეტს — „მსოფლიოს პირველ მოქალაქეს“, რომ-
ლის სულიერი სამყაროს, აზროვნების, მსოფლ-
მხედველობის შესწავლა უნარმაზარი სკოლაა ყო-
ველი მსახიობისათვის, მით უფრო, დამწყვეთათ-
ვის.

დიხ, დიდი ლიტერატურა უნდა იყოს სათა-

ვე და საზრდო ყოველი თეატრისა. როგორც ჩანს,
ამასვე ფიქრობდა მეტების თეატრიც, როცა ხელი
შექსპირს მოჰკიდა.

მ. მინანძე: მიუვასლოვდით ჩვენი საუბრის
მთავარ თემას — ეს გახლავთ რეპერტუარი, უფ-
რო ზუსტად, კი დრამატურგია, რომლის შერჩევა-
ზე დიდადაა დამოკიდებული თეატრის სახე, მისი
პროფილი. თუ სპექტაკლის რეიტინგურული
პირველწყარო, ანუ პიესა არა დგას მაღალ მხატ-
ვრულ დონეზე, მაშინ მას ვერ უშველია ვერც რე-
ჟისორული და ვერც მსახიობური ტექნიკა. როგორ
კომბინაციებსა და „ტრიუკებს“ არ უნდა წა-
ვიდეს თეატრი, საიდანაც არ უნდა ამოვიდეს მსა-
ხიობი — პარტერიდან თუ კულისებიდან, გაიხ-
სნება თუ არ გაიხსნება ფარდა, რა სისწრაფითა
და ტემპერამენტით განვითარდება სპექტაკლი,
ამას არავითარი ფასი არა აქვს, თუკი სცენის კი-
დეგანი, მისი სიერცე არ დაიმუხტება ცხოვრები-
სული პრობლემებით, სასიათებით, სიტუაციე-
ბით... ლიტერატურულ საფუძველზე აღმოცენდა
ყველა თეატრი — სოფოკლესი, შექსპირის, მო-
ლიერის, ჩეხოვის, ბრექსისა თუ ე. გრისისათვისა.
მეტების თეატრმა მიაგნო თავისი დრამატურგი-
ას — მხედველობაში მაქვს დ. კლდიაშვილის
„უბედურების“ თანადროული წაკითხვა, რაც რე-
ჟისორ სანდრო მრგელიშვილისა და მთელი კო-
ლექტივის წარმატებად მიმაჩნია.

უპირველესად აღვნიშნავ, რომ ამ სპექტაკლში
დ. კლდიაშვილის ნაწარმოებს, მის ტექსტს, ავტო-
რისივე სიტყვას არავითარი რეჟისორული ძალ-
დატანება არ განუცდია. ამას განსაკუთრებით
ვუსვამ ხაზს, რადგან უკანასკნელ ხანებში განხირ-
და კლასიკისადმი თავისუფალი დამოკიდებულე-
ბის მაგალითები, რასაც ზიანი მოაქვს ლიტერა-
ტურული მასალისათვის. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ
ჩვენი ახალგაზრდები მიმართავენ იმ დიდი რეჟი-
სორების მაგალიტს, მინაგანად თვითონვე რომ
ბატრებდნენ მწერლურ თვისებებს. მაგრამ ის, რაც
სასუბიით შეუნებოვად მოჩანს გენიალური შემოქ-
მედის ხელოვნებაში, უფსაძლია, საუდელსწერო
აღმორღეს საშუალო ნიჭის ადამიანისათვის.

მეტების თეატრის სპექტაკლ „უბედურებაში“
ზუსტადაა დაცული ავტორის ყოველი სიტყვა,
მაგრამ სპექტაკლი თვისობრივად ახალია, რად-
გან აშკარად ჩანს რეჟისორის კონცეფცია, და-
მოკიდებულება მწერლისადმი. დ. კლდიაშვილის
ნაწარმოების საფუძველზე რეჟისორმა, თეატრმა
მაყურებელს უთხრა თავისი სათქმელი.

მანანა ახმეტაძე: თავს უფლებას მაქვს ჩავე-
რიო თქვენს საუბარში. შეგწერდები კლასიკისად-

რეჟისორის თანამშრომელი
ი. აბიჯორია





სცენები სპექტაკლიდან „რამდენიმე ეპი-
ზოდი პ. კორნავენიის ცხოვრებიდან“





რეჟისორი
რ. ბაგრატიანი

მი თავისუფალი დამოკიდებულების საკითხზე, რომელიც დღეს ცხარე კამათის საგანად იქცა თეატრმოდერნისთვის. საკითხს შორიდან მოვევლი და ჩემი მოსაზრების წარმოსაჩენად მოვამზადებ ჩვენს თეატრალურ პრაქტიკაში მეტისმეტად გაერცმელებულ, ურთ უბრალო მაგალითს, რომელსაც წარამაჩა, ყოველ ფეხზე ნაბიჯზე ვაყვებდით. ეს გახლავთ საგალო ტრადიციული კითხვა: ვის გვეუბნის თეატრი — რეჟისორს თუ მსახიობს? უცნაურია, მაგრამ ალბათ, საცნაურიც, რომ ამ კითხვაში სრულიად არ ფეიქურირებს დრამატურგი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს სამეული (დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი), ქმნის ნებისმიერი თეატრის საყრდენს, მის საფუძველს.



მსახიობი
მ. ვახუშტაძე

ეს კითხვა ასე ალბათ, იმიტომ დაისვა, რომ საქმე გვაქვს დრამატურგიისადმი რეჟისორული დამოკიდებულების გართულებასა და გაღრმავებასთან, რისი განაღოზუბაც შესაბამისი მეთოდოლოგიის ფლობას მოითხოვს, და არა თვითონუნად ქვეულ, განუკითხავ დამოკიდებულებასთან, მიმდებარეობდა რომ წაყვებებოდა ხოლმე ამა თუ იმ სპექტაკლის დამდგმელებს.

ნაწარმოების ახლებური წაკითხვა ბადებს ერთპიროვნული რეჟისორული მონოპოლიის შთაბეჭდილებას. მაგრამ ეს მარტო შთაბეჭდილება როდია, პიესის ახლებური, უჩვეულო წაკითხვა თავისთავად იწვევს რეჟისორული ძალაუფლებისა და მსახიობური ფუნქციების ზრდას, რაც კვლავ ამ სამეულის ურღვევ ურთიერთკავშირზე, მის ამოუწურავ, განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე მეტყველებს. ცხადია, ასეთ ურთიერთკავშირში, რომელიც თავისი ბუნებით სინთეტურია, შეუძლებელია მდგრადი, უცვლელი კანონზომიერების დადგენა. შესაძლოა, სწორედ ეს ცვალებადობა იწვევდა ერთგვარ დეზორიენტაციას ამა თუ იმ სპექტაკლის შეფასების დროს.



მსახიობი
მ. ვახუშტაძე

თანამედროვე თეატრში დღიობილდე ფართოდება რეჟისორული ძალაუფლების გაგრცელების არე. მისი შემოქმედება სცილდება სცენური სივრცის საზღვრებს. რეჟისორი იმდენად თამამად და აქტიურად იჭრება დრამატურგიის სფეროში, რომ ზოგჯერ პიესაში ხედავს მხოლოდ საშენ მასალას, რომლისგანაც ძერწავს თვისობრივად ახალ ნაწარმოებს. როგორც საუბრიდან ჩანს, პატივიცემული ვ. კიკნაძე სრულიად არ უარყოფს ასეთ მიდგომას იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ავტორიტეტებს, რეჟისორ-რეფორმატორებს, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგორჩეს ისიც, რომ, რეჟისორ-ნოვატორების პრინციპები და აღმოჩენები — ამ შემთხვევაში კვლავსამბო თუნდაც გაბედულ დამოკიდებულებას ლიტერატურ

რული მასალისადმი, — დროთა განმავლობაში ტრადიციად იქცევა ხოლმე. ამ პროცესს ვერაფერი ძალა ვერ შეაჩერებს, რაც ყველაზე მევეთრად სწორად კლასიკური დრამატურგიის საფუძველზე ჩანს. აქედან გამომდინარე, სამბოთა თეატრში კარგა ხანია არსებობს კლასიკური დრამატურგიისადმი ახლებური, უჩვეულო დამოკიდებულების პრინციპად ქვევის ტენდენცია, რაც შეეხება საშუალო ნიჭის ადამიანს, იგი, როგორც გზითაც არ უნდა იაროს, მაინც ხელმოცარული დარჩება. საშუალო ნიჭი საზომად არ გამოგვადგება. ამდენად, გვინდა, რომ ჩვენს საუბარში მოხდა აღრევა თუ გაივიწყება ისეთი განსხვავებული კატეგორიებისა, როგორცაა შემოქმედებითი პრინციპი და ნიჭიერება.

კლასიკურ დრამატურგიასთან ახლებური დამოკიდებულების გამოწვევებზე მიზეზთა შორისაა თანამედროვე ქართული დრამატურგია, რომელიც ფუნდამენტურ ვერ მიკვება ცხოვრებას, ვერ ასწრებს სინამდვილის მიერ წამოჭრილი პრობლემის განსვადებასა და გამაფრებას, რეჟისორი ვერ პოულობს პასუხს იმ საჭიროებოტო კითხვებზე, რომლებსაც ბადებს საზოგადოებრივი ცხოვრება, დრო. ასეთ შემთხვევაში იგი იძულებულია მიმართოს კლასიკურ დრამატურგიას და მის საფუძველზე შექმნას ეპიკის, სინამდვილის, დროის თანახმიური სპექტაკლი. ეს ამოცანა, თვითგამონახტვის მწვავე მოთხოვნილებასთან ერთად, იწვევს პიესის იდეურ საყრდენთა მახვილების გადანაცვლებას, ლიტერატურული პირველწყაროს გადანატყვებას, კოლაჟების ჩართვას, კუმპურების გაკეთებას და სხვა მანიპულაციებსაც. ეს ბერებები თანდათან მკვიდრდება თეატრალურ პრაქტიკაში, რაც კვლავ კლასიკური დრამატურგიისადმი ახლებური, უჩვეულო დამოკიდებულების პრინციპად ქვევის ტენდენციაზე მიგვანიშნებს. აქედან გამომდინარე, რეჟისურა იქნის მწერალთან თანავტორობის უფლებებს.

დ. კლემსიძე: მეიერჰოლდის თეატრის აფიშაზე ეწვია ხოლმე: სპექტაკლის ავტორია ვ. ე. მეიერჰოლდი.

მ. კსმბაძე: იმიტომ, რომ საბჭოთა თეატრში უკლასიკური დრამატურგიის გადაზრებისა და გადასინჯვის ტენდენციას საფუძველი ჩაუყარა მეიერჰოლდმა, რომელმაც საბჭოთა სინამდვილისათვის შესატყვისი დრამატურგიის უქონლობის გამო და სოციალური მოტივების გამაფრების მიზნით არა ერთი კლასიკური პიესა დააყენა „თავდაყირა“. დღეს კი მეიერჰოლდის შემოქმედებით პრინციპებს სხვადასხვაგვარად და აქტიუ-

რად იყენებენ მრავალეროვანი საბჭოთა თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები, რაც კვლავ დიდი რეჟისორის მიგნებების ტრადიციად გადაქცევის პროცესზე მეტყველებს.

ს. მირველიშვილი: დრამატურგიასთან დამოკიდებულება მივიღო პროცესია, რომელსაც თავისი ისტორია აქვს. ვიდრე ჩამოყალიბდებოდა რეჟისორის პროფესია, როგორც ფილოსოფიისა და ხელოვანისა, ამ როლს თეატრში ასრულებდა დრამატურგი ან თეატრის პირველი მსახიობი. უმეტესად მაინც, დრამატურგი. ამას მოწმობს ანტიკური თეატრი, ამას მოწმობს შექსპირის, გოეთეს, მოლიერის, ლესინგის და სხვათა თეატრები. მაგრამ, როდესაც რეჟისურა პროფესიად იქცა, დიოპტო კიდევ თეატრის დამოკიდებულების შეცვლა დრამატურგიისადმი. დღეს უკვე თეატრი ინტერპრეტატორის როლს აღარ სუფრდება. იგი ავტორია სცენური ნაწარმოებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ლიტერატურული ნაწარმოები. ასეთია ჩემი აზრი, თუმცა საერთაშორისო თეატრალურ ასპარეზზე ამ საკითხების ირგვლივ კამათია გაჩაღებული: დღის წესრიგში დგას ასეთი კითხვა: თეატრი—ინტერპრეტატორი თუ თეატრი—ავტორი? ასეთ ვითარებაში ჯერ, ალბათ, ძნელია გარკვევა და მართი პროფესიული კრიტერიუმების დადგენა... ისე კი, ჩემი სურვილია, რომ მეტეხის თეატრმა მიადვილოს თეატრ-ავტორობას და ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე შექმნას დამოუკიდებელი ნაწარმოები. ასეთი მიმართვა ახალგაზრდა მწერლის ავთანდილ ჩხიკვიშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“, რომელსაც კოლექტივთან ერთად მუშაობდა თვით ავტორიც. მუშაობის პროცესში ა. ჩხიკვიშვილი ითვალისწინებდა ჩვენს სურვილებსა და მითითებებს. იგი ჩვენს თანაავტორობას სულაც არ თაკილობდა, რასაც ვერ ვიტყვოდ სხვა დრამატურგებზე.



მსახიობი
ა. ლულაშვილი

3. კინამა: უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მეტეხის თეატრში მოვიდა ახალგაზრდა ქართველი დრამატურგი. ამაშიც ვლინდება მეტეხის თეატრ-სტუდიის სარეპერტურო პოლიტიკა. იგი შექსპირის შემდეგ ლოვე დე ვუკას, მოლიერის, შილერის ან სხვა დიდ დრამატურგებს კი არ მიეძინა, — ასეთ შემთხვევაში ხომ მეტისმეტად ადვილი იქნებოდა რეპერტუარის შედგენა — ერთ დღეში 40 პიესა დაიკვირებოდა. მეტეხის თეატრმა კი უფრო რთული გზა აირჩია და თავისი არჩევანი ჯერ კიდევ გამოუცდელი დრამატურგის არაპრობირებულ ნაწარმოებზე შეაჩერა. მთავა-

რია ის, რომ წვეთის ს. მრველიშვილი და თეატრის მთელი კოლექტივი ამ პიესას ისევე სერიოზულად მოეხიდა, როგორც შექსპირის ან დ. კლდიაშვილის ნაწარმოებს. ეს საყურადღებო ფაქტია, რადგან ამ 10-15 წლის წინ თანამედროვე თეატრზე შექმნილი ნაწარმოებების მიმართ თეატრები, ხშირად, გულგრილობას იჩენდნენ. ცხადია, ა. ჩხიკვიშვილის პიესის წარმატებას ამანაც შეუწყო ხელი.

სპექტაკლის ნახვის დროს ჩემს თავს ვეკითხებოდი — ნუთუ ჩვენში მართლაც არიან ასეთი ფუქსავეტი ახალგაზრდები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ყავას როცა მიირთმევენ და კონიასაც მიაყოლებენ, მხოლოდ მაშინ იქნები თანამედროვე ინტელიგენტი? სპექტაკლის დამთავრებისას კი მაყურებელი გულისტკივილით ფიქრობს, რომ ასე არ უნდა ცხოვრობდნენ ახალგაზრდები. რაკი ასეთი განცდა გაჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ დრამატურგმა, რეჟისორმა, კოლექტივმა მიზანს მიაღწია. მეჭრა, რომ ა. ჩხიკვიშვილი კიდევ დაწერს პიესას...

ს. მირველიშვილი: ა. ჩხიკვიშვილი ამთავრებს ახალ პიესას!

3. კინამა: ეს სასიამოვნო ფაქტია. მეჭრა, რომ ა. ჩხიკვიშვილს სხვა ახალგაზრდა მწერლებიც აყვეტიან და რომ მეტეხის თეატრი დამყარებს შემოქმედებით კავშირს დამწვებ დრამატურგებთან. ამით მეტეხის თეატრი დიდ საქმეს გააკეთებს — ხელს შეუწყობს ეროვნული დრამატურგიის განვითარებას. ეს ევალება ჩვენი რესპუბლიკის ყოველ თეატრს, მეტეხის თეატრს კი მით უფრო, რადგან იგი მოწოდებულია მხარში ამოუდგეს თავის თანატოლ მწერლებს, მსახიურებს, კომპოზიტორებს... მაგრამ მარტო თეატრი ვერაფერს გახდება, თუკი მწერლები არ დაინტერესდებიან თეატრით. დრამატურგიაში საერთოდ მეტისმეტად ნელა შემოდიან ახალი ავტორები. თუ ჟურნალ-გაზეთებს გადავაგვებთ თვალს, იქ თითქმის ყოველდღიურად აღმოაჩენთ ახალი პოეტების თუ ახალი მწერლის სახელებს, დრამატურგთა ახალი სახელები კი მეტისმეტად იშვიათად ჩნდება. ჩვენი ახალგაზრდა დრამატურგები ნაკლებად იცნობენ სცენას, მსახიობთა შემოქმედებას, თეატრის სამხარეულოს, მის ტექნიკას. არადა, თეატრი ამოუწერია შემსწავრო, რომელშიც ჯერ კიდევ ბევრი რამაა სასაწყალო და გამოსარკვევი. ამიტომაც, რომ დღეს სათავრო ხელოვნებას იკვებენ და სწავლობენ ფსიქოლოგები, სოციოლოგები... ახალგაზრდა დრამატურგები კი ნაკლებად ერკვევიან თეატრალური



მსახიობი
ა. პინიგავა

ხელოვნების საიდუმლოებებში. არაკრთულ თქმულა და ახლაც გავიმოხრებ — პიესა უნდა იბადებოდეს თეატრში!

ს. მერმლინიშვილი: თეატრში უნდა იბადებოდეს სპექტაკლი და არა პიესა. ხშირად ამ ფრონსან ფრაზას ბოროტად იყენებენ ჩვენი დრამატურგები, მათ მოაქვთ 150 გვერდიანი პიესა იმ გარეშად, რომ იგი განახევრდება თეატრში!

ლუდმილა პლიმბარაშვილი (მსახიობი): ახალგაზრდა დრამატურგთა პიესები უმეტეს შემთხვევაში უკმარისობის გრძნობას იწვევს თუნდაც შეუწინარებელი ენობრივ-სტილისტური ხარვეზების გამო. გასაკვირია, რომ ახალგაზრდა მწერლები ვერ ფლობენ შრობიურ ენას, თავიანთ აზრს გამართულად ვერ გამოთქვამენ. ამის გამო, რომ ხშირად, რეჟისორს სტილისტის მოვალეობის შესრულებაც კი უხდება ხოლმე. ამის გარდა, ახალგაზრდა დრამატურგთა პიესებში უმეტესად არც სახეობა გახსნილი, არც ხასიათები მოცემული. ახვ სიტუაციებია გამოვლენილი... როგორც ჩანს, საჭიროა მეტი ცოდნა და მომთხოვნელობა. განაღდება და პროფესიონალიზმი აშკარად აკლიათ ჩვენს ახალგაზრდა დრამატურგებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი თეატრი მაინც დიდი გულისხმიერებით ეპყრობა დამწვებ მწერლებს, ცდილობს ხელ შეუწყოს მათ ზრდასა და ძიებებს, ცდილობს გაუღვიძოს ინტერესი თეატრისადმი...



მსახიობი
თ. კოშაკი

მართალია, ჩვენს სცენაზე წარმატებით დაიდგა ახალგაზრდა დრამატურგის ა. ჩხვიციანიშვილის პიესა „მოსაწყვინი დღეების ქორიკა“, მაგრამ ჩვენითვის ეს მაინც ცოტაა. თვით ჩვენი თეატრის სპეციფიკა მოითხოვს ახალგაზრდა ქართველ დრამატურგთა შემოქმედების პროპაგანდას. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა. არადა, სამი წლის მანძილზე ამაღ ველოდები შეხვედრას ჩემს თანატოლ გმირთან, რომელიც დამეხმარება გამოვხატო თანამედროვე ახალგაზრდების ფიქრები, იმედები, ტრეილები... სწორედ ეს მაღელვებს და მაინტერესებს ყველაზე მეტად.

დ. პაშქაძე: დრამატურგს უნდა უყვარდეს თეატრი, მსახიობი, მთელი ატმოსფერო, სხვაგვარად სრულფასოვანი პიესის შექმნაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. იყო დრო, როცა დრამატურგი პიესას წერდა გარკვეული თეატრისთვის, ამა თუ იმ მხარობისთვის. იგი საფუძვლიანად იცნობდა მისთვის სასურველი თეატრის სტრუქტურას, სტილისტიკას, მსახიობთა შემოქმედებით პოტენციალს... მისი პიესები იწერებოდა ყოველივე ამის გათვალისწინებით. დღეს კი ასეთი რამ იშვიათად ხდება. ჩვენი მოვალეობაა ყოველი თეატრი გადავაციოთ თანამედროვე დრამატურგის ლაბორატორიად, თანამედროვე პიესამ უნდა წარმოშვას თანამედროვე თეატრი. ეს აქსიომაა. მეტიც, ყო-



მსახიობი
დ. მსხვილაძე

ველ თეატრს უნდა ჰყავდეს თავისი დრამატურგი, ამიტომაც მივესალმები ა. ჩხვიციანიშვილს მისი სტრუქტურის თეატრში. ასეთი ვიზიტი უნდა გატარდებოდეს, სხვაგვარად საქმე არ გათვდება. ახლა კი საინტერესოა — რატომ მოვიდა ა. ჩხვიციანიშვილი მაინცდამაინც მეტეხის თეატრში? რამ დააინტერესა იგი?

პაშქაძე: ჩხვიციანიშვილი: როცა პიესას ვწერდი, მეტეხის თეატრი არ არსებობდა. შემოაბოხისა, საორიენტაციოდ, მხედველობაში მყავდა არეისონი თ. ჩხვიციანიშვილი. რუსთაველის თეატრში მივიტანე. მას გაეცნო ა. ბაქრაძე, რომელმაც გარკვეული შენიშვნები და მითითებები მომიცა. შემდეგ კი მოხდა სრულად მიულოდნელი რამ, ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან მოვიდა მეტეხის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე და პიესა მითხოვა. გავოცდი, რადგან ჩვენს პრაქტიკაში ეს მეტეხის მეტად იშვიათად ხდება. ინიციატივას თვით ავტორები იჩენენ ხოლმე. თეატრს სთავაზობენ საკუთარ პიესებს. ასეა, დრამატურგი იძულებულია კარდაკარ ატაროს, მაჭანკლობა გაუწიოს თავის ნაწარმოებს. მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც ეს ეთაკილება? უგულისსებრო დამოკიდებულება, უთუოდ, აფერხებს ქართული დრამატურგიის განვითარებას. ვინ იცის, რამდენ ახალგაზრდა მწერალსა თუ პოეტსა ჩამალული დრამატურგის ნიჭი, რომელიც თეატრში უნდა აღმოაჩინოს, გამოავლინოს, ხელი შეუწყოს მის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. მე ვუწერდი მეტეხის თეატრს მიწვივის ახალგაზრდა მწერლები — გიორგი ბაქრაძე, ბადრი ჭოხონელიძე, მკაა ჯიბაძე და სხვები. იქნება მათ დაწერონ რამე, დაეხმარონ თეატრს, რაკი მას ასე ძალიან უჭირს. ერთი სიტყვით, პირველი ნაბიჯი თეატრმა უნდა გადადგას...

პ. კიკნაძე: მეც მჯერა, რომ ჩვენს პოეტებსა და პროზაიკოსებს შორის მოიძებნებიან თეატრისათვის გამოსადგომი ახალგაზრდები. მათ რომ თეატრის მხარდაჭერის იმედი და რწმენა ჰქონიდათ, მაშინ, ალბათ, დრამატურგიას მეტი ხალხით მოჰკიდებდნენ ხელს.

მის მწერლობა (მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტილისტის სალიტერატურო ნაწილის გამგე): შესაძლოა, სხვა თეატრებს მართლაც ეძლევიან დრამატურგები, მეტეხის თეატრს კი კარს არაკინ უმეტრებს. ჩვენ საწინაო ვეგებთ ახალგაზრდა დრამატურგებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ახალგაზრდა მწერლები არ მეტეხის მეტად პასუხისმარებანი, ან საერთოდ არ აინტერესებთ ქართული თეატრის ბედი. ადამიანმა თავისი თავი, უპირველესად, თვითონ უნდა აღმოაჩინოს. მას ლეგსა თუ მოთხოვრებას ძალით ვერაზინ დააწერინებს, თუკი ამის ნიჭი და მოთხოვ-



ნილება არ გაანია. ახალგაზრდა დრამატურგები კი, როგორც ჩანს, დაკვეთის მოლოდინში არიან, მოპატივების ელიან. მათ ავიწყდებათ, რომ დაკვეთას დამსახურება უნდა.

მეტეხის თეატრში ხშირად კომიკური სიტუაცია იქმნება, როცა ახალგაზრდულ კოლექტივში მოდის საპენსიო ასაკს გადაცილებული კაცი იმ პრობლემებით (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), საუკუნის წინ რომ აღელვებდა ადამიანს.

ჩვენ მოუთმენლად ველით ახალგაზრდა დრამატურგებს, ველით თანამედროვე თემაზე და თანამედროვე დონეზე დაწერილ აქტუალურსა და პრობლემატურ პიესებს. გვინდა მათთან თანამშრომლობა ჩვენი თეატრის, ჩვენი საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

დ. ალექსიძე: ღიას, პიესა, ისევე როგორც ლექსი ან მოთხრობა, უნდა იწერებოდეს დაუოკებელი შინაგანი მოთხოვნილების კარნახით და არა შუთავაზებული წინადადების მიხედვით. თუმცა, გოგოლმა თავისი გენიალური „რევინიონი“ პუშკინის რჩევით დაწერა. მას ხომ პუშკინმა შესთავაზა სიუჟეტი, მიუხედავად იმისა, რომ „მცირე ტრაგედიების“ ავტორი თვითონვე იყო დიდი დრამატურგი. ეს გახლავთ კეთილშობილების, დიდსულოვნების შესანიშნავი მაგალითი. ჩვენს თეატრებსა და დრამატურგებს შორის სწორედ ასეთი დამოკიდებულება უნდა დამკვიდრდეს.

პ. ჩხიკვიშვილი: როგორც საუბრიდან ირკვევა, დრამატურგებსა და თეატრებს შორის სრულ გაუგებრობას აქვს ადგილი. ამის მთავარი მიზეზი კი, ალბათ, ისაა, რომ ახალგაზრდა ავტორების პიესები არსად არ იბეჭდება. ამის გამოა, რომ მათ არავენ იცნობს.

მ. პინაძე: ესაა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და საჭირობო პრობლემა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი რესპუბლიკის გამოემგებლობა და ლიტერატურულმა შურნალებმა ბოიკოტი გამოიკვადეს მწერლობის ამ უმნიშვნელოვანეს ყანას. სამამულო ომის დღეებში გაზეთმა „პრადამ“ შესწლო მთლიანად დაებეჭდა კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“. მშვიდობიანობის ვაჟს კი ჩვენი ჟურნალები და გამოცემლობები დრამატურგიას გვერდს უვლიან. თუკი ვებეჭდათ პიესების პირველ კრებულებს, პროზაიკოსების პირველ წიგნებს, რატომ არ შეიძლება გამოქვეყნდეს დრამატურგების პირველი პიესები? მაგრამ მართა ახალგაზრდა დრამატურგები როდი არიან ამ დღეში. დ. კლდიაშვილის პიესები ოცდაათი წელია არ დაბეჭდილა. ხომ დგას მხატ-

სცენები სპექტაკლიდან „ბალნიკო“





მსახიობი
ვ. ხაჩიკი

ვრული ღირსებით ეს პიესები მისი მოთხრობების დონეზე? მაშ რაშია საკმე? რატომ ვეძიებთ კლასიკოსებს ასე?

ა. ცაგარლის პიესები 1936 წლის შემდეგ არ დაბეჭდილა: „ხანუმა“ ახალ საბჭოთა კავშირის 75 თეატრში იდგმება, მაგრამ, ღმერთმა იცის, რას დგამენ. გულით რომ მოინდომო, ვეღარ გაარკვევ, რა დარჩა მათში ა. ცაგარლისა. დაუსრულებელი ემატება ახალ-ახალი ტექსტები. კიდევ უფრო უარეს დღეშია მისივე „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ . გ. ბუხნიკაშვილისა და გ. ჟურულის რედაქციით დაიდა იგი მარჯანიშვილის თეატრში და მერე განმკითხავი აღარავინაა, რომ პირველწყარო მოიძიოს, ხოლო ზ. ანტონოვის პიესები აგერ უკვე ასი წელია არ დაბეჭდილა (მხოლოდ „მზის დაბნელება საქართველოში“ დაიბეჭდა ამ ოცი წლის წინ). ჩვენს ისედაც ღარიბ დრამატურგიას მეტი მოვლა და ყურადღება სჭირდება. ზოგმა იქნებ ისიც ბრძანოს, ბევრი მათგანი მოვევლო, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ პიესა მაინც უნდა დაიბეჭდოს, რომ ხელმისაწვდომი გახდეს თეატრისათვის. ჩვენ არაერთი მაგალითი ვიცით, „ძველი“ რომ განახლებულა და თანადროულად აქვლერებულა. არ შეიძლება ყველაფრის ხელაღებით უარყოფა. სხვათა შორის, ა. ცაგარელი 21 წლის ჭაბუკი იყო, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ რომ დაწერა. ვასო გომიაშვილმა კლასიკური სახე შექმნა ამ პიესაში. პიესას დგამდნენ და თამაშობდნენ ბრწყინვალე მსახიობები. პიესამ საუკუნეს გაუძლო. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. იგი დრამატურგის ხალას ნიჭიერებაზე მეტყველებს.



მსახიობი
თ. დავითაშვილი

დ. ალექსიძე: თეატრალური საზოგადოება ბეჭდავს ქართველ დრამატურგთა პიესებს, მაგრამ ეს ცოტაა. რა თქმა უნდა, აუცილებელია არა მარტო თანამედროვე დრამატურგთა ნაწარმოებების გამოქვეყნება, არამედ XIX საუკუნის მწერალთა პიესების გამოცემაც.

მ. კიპნაძე: აბა, დამისახველეთ პიესების თუნდაც ერთი კრებული, რომელზეც დაწერილიყოს რეცენზია. დადგმული პიესებიც შეუფასებელი გვჩნება. მიუტკვებელია ასეთი გულგრილობა. თეატრს უნდა მიეცეს საშუალება ანგარიში გაუწიოს კრიტიკულ აზრს.

დ. ალექსიძე: საფრანგეთში ანტუანმა შექმნა თეატრი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა დრამატურგების ნაწარმოებთა დემონსტრირებას. ეს იყო დაუდგმელი, პირველი და ახალი პიესების თეატრი.

ოლტ. ნაწილის გამგე
გ. ბერულავა



სცენები სპექტაკლიდან „სამაღვთი“

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან ჩამოყალიბით ახალგაზრდა დრამატურგთა სექცია, რომელშიც ავანგარდული როლი უნდა შეასრულოს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. გვსურს შევქმნათ აგრეთვე ექსპერიმენტული თეატრი-ლაბორატორია, რომელშიც გაივლიან აპრობაციას ახალგაზრდა დრამატურგთა პიესები.

ს. მრმლიშვილი: პირობას გაძლევთ, რომ ჩვენს თეატრთან ჩამოყალიბებთ ახალგაზრდა დრამატურგთა სექციას, რომლის თავმჯდომარედ დაენიშნავთ მწერალ ა. ჩხიკვიშვილს. სწორედ მას დაავალებთ ახალგაზრდა ავტორთა მოზიდვას და მათ დაახლოებას მეტეხის თეატრის შემოქმედებით კოლექტივთან. ჩვენ სიამოვნებით გაეუზიარებთ მათ ჩვენს პრობლემებს, გეგმებს, ჩაებახედებთ ჩვენს სამზარეულოში.

დ. პლქსიძე: შესანიშნავი წინადადება!

პ. პიქსაძე: კარგი იქნება თუ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო გამოაცხადებს ახალგაზრდა დრამატურგთა პიესების კონკურსს, შემდეგ კი კონკურსში გამარჯვებულებს ხელშეკრულებას დაუდებს.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ კი, სასურველია, რომ თავის საგამომცემლო გეგმაში შეიტანოს ახალგაზრდა ქართველ დრამატურგთა პიესების კრებულები. გარდა ამისა, საჭიროა ზემდგომი ორგანოების წინაშე დისკუსიის საკითხი. პიესების სისტემატური ბეჭდვის თაობაზე, — რომელიმე ჟურნალთან უნდა დაარსდეს სპეციალური აღმანახი დრამატურგთა ნაწარმოებებისათვის.

ახლა კი დაკუბურნდით მეტეხის თეატრს, რომელშიც ასე გაბეულდა გაულო კარი ახალგაზრდა დრამატურგს — ა. ჩხიკვიშვილს. იმედი მაქვს, რომ ეს წამოწყება სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

საინტერესოა ახალგაზრდა მსახიობთა აზრი ა. ჩხიკვიშვილის პიესის შესახებ. რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის ის პრობლემა, რომელიც ავტორმა დასვა თავის ნაწარმოებში? როგორია მათი დამოკიდებულება იმ პერსონაჟების მიმართ, რომლებსაც ისინი ანახიებენ სცენაზე?

ზურაბ ბინძიშვილი (მსახიობი): როცა ა. ჩხიკვიშვილის პიესას გავეცანით, წამოიჭრა ასეთი აზრი: რა საჭიროა ყოველივე ამის გამოშვება?





დრამატურგი
ნ. ჩხიკვიშვილი

ურება? რად უნდა ვაფიქრებინოთ საზოგადოებას, რომ ასეთები ვართ? მაგრამ ჯევისორმა ს. მრეველიშვილმა დაგვარწმუნა, რომ სწორედ ამის ჩვენება და გამომზეურება უპირველესი ამოცანაა. დაე, ეგეთებიც გენახონო — ამბობდა იგი. დიდი კამათის შემდეგ შევედევით მუშაობას და დაღწეულნი რეჟისორის სიმართლეში. ჩავერთეთ მუშაობაში, მივაგენით იმას, რაც გვაღელვებდა, ჭეჭტეჭტების საშუალებით გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია, ჩვენი სათქმელი.

3. კიმნამ: ე. ი., მსახიობებმა განასახიერეს რა მათთვის მიუღებელი ტიპი, ამხილეს იგი და ამით გამოხატეს თავიანთი მოჭალაქეობრივი პოზიცია.

წ. მინსკილამ: დიახ, სწორედ ამ რთულ ამოცანას ვისახავდით. ჩემი აზრით, მიზანს მივალწვიეთ, რადგან მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ესწრება სწორედ ამ სპექტაკლს, მსახიობებიც აქ უფრო მეტი სიამოვნებით თამაშობენ, ვიდრე სხვა რომელიმე წარმოდგენაში. მთავარი კი ისაა, რომ დამყარდა მჭიდრო კავშირი მაყურებელსა და მსახიობებს შორის. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ადამიანებს (მსახიობებსა და მაყურებლებს) ერთნაირად აღელვებთ და აინტერესებთ თანამედროვე თემატიკა, თანამედროვე ადამიანის ბედი, თანამედროვე მწერლის მიერ ნათქვამი სიტყვა.


3. კიმნამ: ბატონო ავთანდილ! დასაწყისში თუ იგრძნით დასის კრიტიკული დამოკიდებულება?

ა. ჩხიკვიშვილი: მე ამის შესახებ არაფერი გამოვიტყვი. უბრალოდ მივიღე და გავიფალისწინე რეჟისორ ს. მრეველიშვილის მითითებები.

3. კიმნამ: მეტეხის ახალგაზრდული თეატრისტულია უკვე მესამე წელი რაც არსებობს. საინტერესოა, ამ ხნის მანძილზე რას მიაღწია მან და რა პრობლემები დარჩა გადაუჭრელი. არის ლოკალური საკითხები, რომლებიც თეატრმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს. მაგრამ არის ისეთი პრობლემები, რომლებსაც თეატრი საკუთარი ძალებით ვერ გადაჭრის. ამ საკითხებზე გულახდით, ობიექტური მსჯელობა საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად გავეცნოთ მეტეხის თეატრის ცხოვრებას.

ს. მრეველიშვილი: დიდი ხანია ამოღე ველით ჩვენი თეატრის შესახებ სერიოზულ საუბარს ჩვენდამი ინტერესი ჯერჯერობით არ გამოუჩენია არც პრესასა და არც თეატრმცოდნეობას. მეტეხის თეატრზე ლაპარაკი კულუარებს ვერაფრით ვერ გასცდა. კულუარებში მოლაპარაკე ადამიანებისაგან კი, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ნაკლებად შეხვდები თანაგრძნობას. მართალია, ჩვენ გვყავს თანამოაზრენიცა და მომხრეებიც, თანატოლებისა თუ უფროსების სახით, მაგრამ გაცილებით მეტნი არიან სეკეტკოსები, რომლებიც ჩვენს თეატრს ეჭვის თვალით უყურებენ. ხშირად

სცენა სპექტაკლიდან „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“





სცენა სპექტაკლიდან „მოსაწყვენი დღეების ქრონიკა“

ვაწყდებით უნდობლობას, თავშეკავებულ დამოკიდებულებას, წინააღმდეგობებსაც.

დ. ალექსიძე: ამან არ უნდა შეგაშინოთ. ყოველ ახალ წამოწყებას, ყოველ ახალ საქმეს წინააღმდეგობა ყოველთვის თან ახლავს. გავიხსენოთ თუნდაც სანდრო ახმეტელის ცხოვრება. მხოლოდ უნიჭო და უსახური ადამიანი ცხოვრობს მშვიდად.

ს. მრგვალი: ასეა თუ ისე, მხოლოდ დღეს მოგვეცა შესაძლებლობა გავაცნოთ ფართო საზოგადოებას საქმის ვითარება, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხნებ ამ შეკრების ინიციატორებსა და მონაწილეებს.

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ჩვენ საბოლოო მიზნებისათვის ვერ არ მიგვიღწევია. გაკეთებულია მინიმუმი იმ პროგრამისა, რომელიც ჩვენ დაეხმება. გასაკეთებელი ვერ კიდევ ძალიან ბევრია.

ზოგს რატომღაც პკონია, რომ ჩვენს თეატრს არა აქვს არავითარი კურსი, არავითარი გეზი და რომ იგი თვითდინებას მიჰყვება. ასეთი თვალსაზრისი მცდარია და უსაფუძვლო. უპირველეს ყოვლისა, თეატრის შექმნა არის სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა. თეატრი ჩამოყალიბდა და არსებობს, იგი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ყურადღებას იმსახურებს. რაც თვალსაჩინოდ არის გამოხატული მეტეხის თეატრის ფინანსურ მონაცემებსა და მაყურებლის დასწრებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ შედგა სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის ლაქტი თეატრის შექმნისა და განა ეს ფაქტი მოხდებოდა, ჩვენს თეატრს რომ არ ჰქონოდა გარკვეული იდეური პროგრამა და ფუნქციური დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ პრობლემებზე?

სცენა სპექტაკლიდან „მოსაწყვენი დღეების ქრონიკა“





მსახიობი
ო. ასლამაზაშვილი

მე მგონია, რომ ჩვენი მიზნები, ჩვენი მხატვრული კრედი — რეალიზებული თუ არარეალიზებული, გადაიკვეთა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებთან, რაც ყველაზე მკაფიოდ გამოვიხატე სწორედ ა. ჩხიკვიძის პიესის მიხედვით შექმნილ სპექტაკლში „მისაწყენი დღეების ქრონიკა“.

მინც რას გულისხმობს ჩვენი იდეური პროგრამა? მოქალაქეობრივ სულისკეთებასა და თანამედროვე პრობლემატკას. მოგეხსენებათ, რომ თეატრი უნდა ცხოვრობდეს დღევანდელი დღით. საპირისპირო შემთხვევაში იგი კვდება. თეატრი არსებობს დროში, გუშინდელი სპექტაკლი დღეს უკვე აღარ განმეორდება, თუკაც იგი ფირზე იყოს აღბეჭდილი. დღეს შედგება იგივე წარმოდგენა, მაგრამ ეს იქნება თვისობრივად ახალი სპექტაკლი. ესაა თეატრალური ხელოვნების ბედნიერებაცა და უბედურებაც კონტრაქტი დროსთან, სინამდვილესთან, მყურებულთან — აი, რას უნდა ისახავდეს მიზნად ყოველი თეატრი.



მსახიობი
გ. გვცელაშვილი

დ. აღმაშენებლის თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება თეატრალური ხელოვნების უპირველესი თვისებაა. ფსიკური არსებობა, ცხოვრება დღემდე, სუნთქვა ჰაერით ჯერ კიდევ არ ნიშნავს თანამედროვე ხელოვნებას. თანამედროვეა ის, ვინც აქტუალად მონაწილეობს, რაღაც წველი შეაქვს და თავის კვალს სტოვებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ეს ევალდება ყოველ თეატრს, მათ შორის მეტეხის ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიასაც.

ს. მრგვლიშვილი: იყო თუ არა გამოვლენილი ჩვენი თეატრის სპექტაკლები აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია? რა თქმა უნდა, იყო. სხვა საკითხია როგორ — დამაჯერებლად თუ უედაპირულად, ნიჭიერად თუ უნიჭოდ. მთავარია ის, რომ ჩვენ ყოველ სპექტაკლში ვცდილობდით საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვას. ასე იყო იმ ეროთაქტიან სპექტაკლშიც „მოდი, ვნახოთ ვენაში“, რომელიც 1970 წელს დადგით თეატრალური ინსტიტუტის კედლებში. სხვათა შორის, ამ წარმოდგენაში თავი იჩინა მანვანე ზნე-ჩვეულებების მხილების ტენდენციამ. აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას ხაზი გაუსვით სხვა სპექტაკლებშიც. რა ფორმით, რა საშუალებებით, რა ხერხებით, ეს უკვე სხვა საკითხია. ამის შეფასება სხვების მოვალეობაა.



მსახიობი
ს. მრგვლიშვილი

დ. აღმაშენებლის თქვენ ლაპარაკობთ მეტეხის თეატრის შინაარსზე და არაფერს ამბობთ მის ფორმაზე. მოგეხსენებათ, შინაარსი და ფორმა

ერთმანეთისაგან განუყოფელია. უფრომთ თეატრი არ არსებობს. ამიტომ ლაპარაკით თქვენი თეატრის ფორმაზე. მეტეხის ტაძარმაც განაპირობა თქვენი თეატრის ფორმა. ამიტომაც, რომ გასტროლების დროს თქვენი სპექტაკლები სხვაგვარ სახეს იღებენ, მოეხ. იგივე დავამართა ოლტველას „პანევევისის“ ცნობილ თეატრს. ამ თეატრმა წაავთ, როგორც კი დაიწყო მოგზაურობა. როცა ლიტველებმა გასტროლები გამართეს მოსკოვსა და თბილისში, მაყურებლები გაკვირვებით კითხულობდნენ: „კი მაგრამ, ნუთუ ესაა სასწაული?“ ამ სასწაულს ისინი ასდენენ მხოლოდ მშობლიური თეატრის ატმოსფეროში.

მ. მინაძე: ამას მოწოდებს რუსთაველას თეატრის სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე“. როგორც კი იგი მეტეხის თეატრიდან რუსთაველის თეატრში გადაიტანეს, გაუგებარი გახდა მისი მხატვრული პოზიცია.

ს. მრგვლიშვილი: ეს საკითხი უკავშირდება ჩვენი თეატრის მხატვრულ კრედლს. მეტეხის ტაძარში შემთხვევით რომ აღმოჩნდით. თქმაც ამ შენობაში თეატრის დაარსება პირადად ჩვენი იდეა არ არის. იგი გვიკარნახავს თბილისის მთავარმა არქიტექტორმა თათარ ლითანიშვილმა.

პატონო დოლო, როდესაც თქვენ თეატრალური ინსტიტუტში გავსწავლდი, არაერთხელ გითქვამთ ჩვენთვის, რომ დღეს თეატრს დიდ საფრთხეს უქადის ის მამუნიერია და სხვადასხვაგვარი ეფექტები, რომლებიც ტექნიკურმა პროგრესმა მოიტანა სათეატრო ხელოვნებაში.

მართლაც, როგორც კი სპექტაკლების გათამაშება დაიწყო სტალინებზე, პროექტორებისა და სხვადასხვაგვარი ილუზორი ეფექტების გამოყენებით, თეატრმა კვდომა დაიწყო. სწორად იმავთუფრო მეტს ფიქრობდნენ, თუ როგორ დაემკვანებიათ ილუზორი წვიმა ნამდვილი წვიმისაგან. ვიდრე იმ თვითშეგნებაზე, რომელსაც უნდა გამოხატავდეს მსახიობი წვიმის დროს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვიძლიდა შევეგვიშინა ისეთი თეატრი, რომელშიც, ლოპე დე ვეკას თქმით, იქნებოდა „ერთი სიუჟეტი, ორი მსახიობი და სამი ფიკარი“. აი, ამ გადაწყვეტილებით მივმართეთ პატრეცემულ ო. ლითანიშვილს და ვთხოვეთ მოეძებნა ჩვენთვის რაიმე სარდაფი, სადაც მოგაწყობდით პატრა სენასა და მაყურებელთა ასევე პატრა დარბაზს. ამ გზით ვფიქრობდით მკვიდრო კონტაქტის დამყარებას მაყურებელთან. დაე, ეს ყოფილიყო ექსპერიმენტი, ძიება..., მაგრამ უამისოდ ხომ წარმოუდგენელია თეატრალური ცხოვრება. ო. ლითანიშვილმა მეტე-

ხის ტაძრის შენობა შემოგვთავაზა. იმხანად, ტაძარში ფორისმანის ძეგლზე მუშაობდა მოქანდაკე ელვჯუა ამაშუკელი. ჩვენი თხოვნისთანავე მან დატოვა მეტეხის ტაძარი და ჩვენც ამ დიდებული შენობის კედლებში შევუდგეთ ჩვენი ჩანაფიქრის ხორცშესხმას. ისე რომ, ეს არჩევანი არ ყოფილა შემთხვევითი. ჩვენ აქ არ მოვსულვართ ექსტრავაგანტური სიტუაციის, ეფექტური ანტურაჟის გამო. მაგრამ ნუ დაგვაფიწყდება ისიც, რომ სწორედ ამ შესანიშნავმა შენობამ დაგვაყენა ურთულესი პრობლემის წინაშე. საქმე ისაა, რომ ჩვენ გვინდოდა მოღვაწეობა დაგვეწყო უფრო მოკრძალებულად. ამ შენობამ, მისმა არქიტექტურამ კი ისეთი დიდი მასშტაბი მისცა ჩვენს წამოწყებას, ისეთი რთული შემოქმედებით ამოცანები დაგვისახა, რომელთა რეალიზაციისათვის ჯერ არ ვიყავით მზად. ჩვენ ამ კონსერვენციას ვერ გავუძეღვით და ჩავვარდით უხერხულ მდგომარეობაში. ეს ბევრმა ვერ გაიგო. ჩვენგან ითხოვდნენ იმას, რისი საშუალებაც იმ დროს არ გვქონდა. აბა, ვის მოუვა თავში აზრად ჩილ ბავშვის მისთვის რეკორდის დაწყებამდე 100 მეტრზე სირბილი? ეს ხომ შეუძლებელი ამბავია. მაგრამ ჩვენ გადავადრინა ერთობამ, მწრფამმა, სიყვარულმა თეატრისა და ერთმანეთისადმი. ენერჯით დიდი დაბავის, ზემდგომი ორგანიზების — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს — დახმარებით ჩვენ შეგვეძლია გამოსავლის პოვნა. ახლა უკვე თანდათან იკვეთება ის გზა, ის პლატფორმა, საიდანაც უნდა დაიწყო სვლა ჩვენმა „მატარებელმა“. ჩათვალეთ, რომ აქამდე ჩვენი თეატრი იმყოფებოდა ამ პლატფორმის შენების პროცესში. მე მიხნდა, რომ ეს გარემოება ყველამ გაითვალისწინოს და ამ პოზიციებიდან მიუდგეს მეტეხის თეატრის საქმიანობას.



მსახიობი
მ. ნახაძე

3. კინსამძე: მართლაც, ერთი შეხედვით, თითქოს ნელი ტემპით მიმდინარეობს მეტეხის თეატრის შემოქმედებითი ზრდა. ასეთია პირველი შთაბეჭდილება. მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ თანდათან მეტ დამაჯერებლობას იძენს ზრდის პროცესი. იგი სულ უფრო და უფრო გამოკვეთილი და შესამჩნევი ხდება. თეატრი მეტის ხალისით, რწმუნით მიიკვლევს გზას. ეს გზა კი უაღრესად რთულია.

ვევლისხმობ სიძნელეთა მთელ კომპლექსს. ახალგაზრდებს ჯერ კიდევ არა აქვთ საკმარისი ოსტატობა. ოსტატობას დრო უნდა, წლები უნდა. მაყურებელს კი მოცდა არ უყვარს. იგი დაუნ-

დობელია. რაკი ბილეთი იყიდა და თეატრში მივიდა — თავისას მოითხოვს. მთავარია ის, რომ მეტეხის თეატრი ძიების პროცესშია. ძიება მიმდინარეობს პრობლემების სფეროში, ფორმის, აქტიორული მანერის, ვესტის, რიტმის, პლასტიკის სფეროში. ეს უკვე დიდი ამბავია.

ტრადიციის მიხედვით ქართველი მაყურებელი დაეჩევა, რომ ახალი თეატრის შექმნასთან ერთად დიდი თეატრალური ზემოეც ნახოს. ასე იყო, მაგალითად, როცა კ. მარჯანიშვილი სათავეში ჩაუდგა ქუთაისის თეატრს. იგივე მოხდა ახმეტელის თეატრშიც. პირველსავე სესონებში მათ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს, ნამდვილი თეატრალური დღესასწაული იყო მათი საშექცავლები. არსებობდა იგივე გამოდრეკა რუსთაველი, როცა თეატრი შეიქმნა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა შემთხვევაში თეატრალურ დღესასწაულს ქმნიდნენ უკვე გამოცდილი მსახიობები, აღიარებული რეჟისორები. მეტეხის თეატრს კი ახალბედები ჩაუდგნენ სათავეში. მაგრამ სამი წელი უკვე გავიდა. მეტეხის თეატრი აშკარად მოღონიერდა. ამას მოქმედონ ისეთი საშექცავლები, როგორცაა „მოდერნიზა“, „ქალისნები“, „მოსაწყენი დღეების ქორიკა“. ამ წარმოდგენებში მსახიობები კეთილსინდისიერად თამაშობენ, ჩანს მხატვრული წესრიგი და სიმართლე, მაგრამ არ არის აფეთქება, ამაღლება. მარჯანიშვილი ამბობდა ხოლმე: ერთი აფეთქებული საშექცავლი მირჩევია ათ შობიერსაო.

ხომ არ დავბა დრო ვიფიქროთ ჭეშმარიტ გარდასახვაზე, ფორმის მასშტაბებზე?

ს. მამულაშვილი: ჩემი აზრით, საკრისის დაზუსტებაა საჭირო. გარდასახვა აბსოლუტური მცნება არაა. ყოველ სტილს, ყოველ თეატრალურ მიმდინარეობას, თითოეულ ინდივიდუალობას განაინა საკუთარი თვისება გარდასახვისა. აქედან გამომდინარე, მეტეხის თეატრსაც თავისი დამოკიდებულება აქვს ამ მცნების მიმართ.

3. კინსამძე: მე გარდასახვის გარეგან მაჩვენებლებს არ ვევლისხმობ — გრიმს, კოსტუმს და ა. შ. მსახიობი უნდა ჩასწვდეს თავისი პერსონაჟის ფსიქიკას და განასახიეროს იგი.

ს. მამულაშვილი: ჩვენ სწორედ ამ ამოცანას ვისახავთ მიზნად. ჩვენი ოცნებაა ყოველი მსახიობი იყოს ბერიკა და მოაზროვნე. მეტეხის თეატრში მსახიობმა უნდა შექმნას აქტივფეროც და სახეებიც. ჩვენ ტექნიკური საშუალებების შეცვლა გვესრის ცოცხალი შემოქმედებით პროცესებით.



მსახიობი
რ. ტვლივიძე

მინიმი კონსტანტი (მსახიობი): ჩემი აზრით, იმისათვის, რომ შედეგს გარდასახვის აქტი, საჭიროა რამდენიმე ფაქტორის ერთ წარტილებში გადაკეთება. მსახიობი უნდა შეხედოს მისთვის ახლო-ბელ პერსონაჟს, უნდა მუშაობდეს მისთვის ასევე ახლობელ რეჟისორთან და უნდა ფლობდეს მაღალ აქტიურულ ტექნიკასა და ოსტატობას.

დ. ალექსანდრე: მსახიობის აღზრდა უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ყოველი თეატრისათვის, მით უფრო მეტების თეატრისათვის, სადაც გამოუცდელმა ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი. ეს რთული მისია, რა თქმა უნდა, ევალება რეჟისორს, რომელიც შემოქმედებით მუშაობსთან ერთად უნდა ეწეოდეს პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.



თეატრის დირექტორი
გ. კანდელიაძე

ს. მრგვლიშვილი: რა თქმა უნდა, ეს გათვალისწინებულია ჩვენს შემოქმედებით პროგრამაში. მსახიობებთან ერთად თეატრში უნდა იზრდებოდნენ რეჟისორებიც. მეტების თეატრი ამასვე ფიქრობს.

მ. ხმელთაშვილი: მართალია, ს. მრგვლიშვილიმა გაგაცანო მეტების თეატრის შემოქმედებითი პროგრამა, ილაპარაკა მის მოქალაქეობრივ პოზიციასა და თანამედროვეობასთან კავშირზეც, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მაინც ზოგადი განმარტებაა. ასეთია საზოგადოდ, მთელი სამთეთა თეატრის კერძო. საინტერესოა მეტების თეატრს როგორ აქვს წარმოდგენილი თავისი სტილური და ჟანრობრივი თავისებურებანი. პირადად ჩემში, მეტების თეატრი თავისი მცირე გაბარიტების, ინტიმური ატმოსფეროს გამო ტოვებს კამერული თეატრის შთაბეჭდილებას. კამერულ თეატრს კი, მოგეხსენებათ, თვითგამომხატვის საკუთარი ხერხები, აზროვნების თავისი სიტყვა, გამომსახველობით საშუალებათა საკუთარი არსენალი გააჩნია... მას აქვს თავისი რეპერტუარიც.

მაინც როგორია ის თეატრალური ფორმები, რომელთა საშუალებით მეტებში კამერული თეატრის სპეციფიკა იწერება?

ს. მრგვლიშვილი: ამ საკითხზე თეორიული პასუხის გაცემა მეტისმეტად ძნელია. მაგრამ მაინც შევეცდები განვმარტო: სპექტაკლის მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი იდეური მრწამსი გამოხატული უნდა იყოს გავსიადებული თეატრალური მეტაფორის საშუალებით. თვალსაჩინოებისათვის მოიყვანს მაგალითს სპექტაკლიდან „კამლეტი“, რომელშიც ჩვენი თეატრისათვის დამახასიათებელი თვისებები მეტანაკლებად უკვე იყო ჩასახული. სპექტაკლის ფორმა შედეგობად კუბოს დამ-

მსახიობი
გ. ხორგუაშვილი



ლოლი ფიქრებისაგან, რომელშიც უნდა წოლილიყო კამლეტის მამა — დიდი კამლეტი. კუბო დამიშალა და გადაიქცა სახელმწიფოს გამომსახველ აქტისუარებად.


მოვიყვან მთელი მაგალითს დ. კლავიშვილის „უბედურებისა“. სცენაზე დგას გობი, რომელსაც ჩვენ „იმედის ხომალდს“ ვუწოდებთ. ამ „ხომალდში“ ისხდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ქაინდათ რაღაცის იმედი, მაგრამ მათმავე პირმა ეს ხომალდი ცალკეულ ნაწილებად დაამსხვრია და აქცია უბედურების იარაღად. ესეც გავსიადებული მეტაფორა გახლავთ. გავსიადებული თეატრალური მეტაფორის საშუალებით ჩვენ გვსურს ყოფით პრობლემას მივცეთ ფილოსოფიური გააზრება.

დ. ალექსანდრე: მე კი მგონია, მანანა ამბეტლმა, საზოგადოება რა კამერულობას, დაინტერესდა მეტების თეატრის ტექნოლოგიით...

მ. კინასაძე: გავსიადებული თეატრალური ფორმები კამერული თეატრის საწინააღმდეგოა. გარდა ამისა, მეტაფორას შეხედვით ნებისმიერი თეატრის სპექტაკლში. მეტაფორა „ურთელ აკოსტაში“, „ყვანალებში“ და სხვ. „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“ კი კამერული სტილის სპექტაკლია. მანანა ამბეტლი ფიქსიონებთა კამერულობას რა საშუალებებით მიაღწევით?

მ. ხმელთაშვილი: მკაფიოებისათვის უფრო თვალსაჩინო მაგალითს მოვიყვან. მეტების თეატრმა დადგა შექსპირის „კამლეტი“, რომელიც სრულიად არ პასუხობს კამერული თეატრის მოთხოვნის რაღაცნაირი ტრანსფორმირება, მოხდა მასშტაბის შეცვლა. საინტერესოა, როგორ გქონდათ წარმოდგენილი ის თეატრალური ფორმა, ის მასშტაბი, რომელშიც გასურდათ ამ მონუმენტური, ეპიკური ტრაგედიის ჩატება და გათამაშება? რაც შეეხება მეტაფორას — იგი ხერხია და არა ფორმა, თანაც საყოველთაო, უნივერსალური თეატრალური ხერხი, რომელსაც იყენებენ განურჩევლად მასშტაბებისა — დიდსა თუ მცირე სცენებზე...

ს. მრგვლიშვილი: ჩვენი მიზანია დეტალის აყვანა ფილოსოფიურ სიმბოლოდ. ამასვე უფრო ზუსტ პასუხს ვერ გავცემთ. ისე კი, ჩვენს სპექტაკლ „კამლეტში“ კლავიშვილი მეფე კი არ იყო, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის ქვეყნში შესაბამებოდა კამერულ სიტუაციას. მას შეეძლო იატაკზე დამჯდარიყო, ასულიყო სკამზე, შემდე-



სცენები „სპექტაკლიდან
„უბედურები“



რალიყო საწოლის ქვეშ და ა. შ. ამას რეჟისორმა რუნიმა ტრაგიკული კლოუნადა დაარქვა.

ჩემი ოცნებაა, რომ ერთ-ერთ სპექტაკლში იყოს ასეთი მომენტი: მსახიობი შემოდის სცენაზე, ხელში უჭირავს ცხელი წყლით სასვე დაირთ-ქლილი ფინჯანი, მსახიობი კოვჩით შეუხეხა ფინჯანი, და ეს ხმა უნდა გახდეს სიმბოლო, მეტაფორა მისი სულიერი მდგომარეობისა...

დ. ალექსიძე: ვახსოვდეთ, რომ ჩურჩული არ გამორიცხავს მგზნებარებას, მოწოდება ხმადაბლა შეიძლება, მეტიც — ყველაზე დიდი მღელვარება, ყველაზე მძაფრი სულიერი ტკივილი უნდა გამოიხატებოდეს სიჩუმით, იმ შინაგანი მონოლოგის ფლობით, ურომლისოდაც კამელეტის „ყოფნა-არ ყოფნას“ ვერ წაიციოთხავთ. დუმილის ხელოვნებას უნდა ფლობდეს ყოველი აქტიორი, მით უფრო კამერული თეატრისა...

ს. მრმულიანი: ერთხელ ნაპოლეონს უთქვამს ტალმასთვის — ხშირი სტუმარი ბრძანდებით ჩემი სასახლისა, სადაც თქვენ ხედვებით მეფეებს, რომლებმაც დაჰკარგეს გვირგვინი, გენერლებს, რომლებმაც ძალაუფლება დაჰკარგეს, საქმროებს, რომლებმაც დასთმეს საცოლენები... ჩემს გარშემო სუფევს მხოლოდ და მხოლოდ ტრაგედია... მე თვით გახლავართ ჩვენი დროის ყველაზე ტრაგიკული პიროვნება. რეჟე? ჩვენ განა ვყვირით, განა ზევისკენ სასიწრაფვეთით აპყრობილი გვაქვს ხელები? პირიქით — ჩვენ ვლაპარაკობთ ჩურჩულით, როგორც დიდი ვნებით შეპყრობილი ყოველი ადამიანი... სწორედ აქეთვე მისიწრაფვის მეტეხის თეატრი.

დ. ალექსიძე: კამერულ თეატრში ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს. ყველაფერი გამსჭვალული უნდა იყოს სულიერი სიწმინდით, ეჭვიუტანელი სიმართლით...

ს. მრმულიანი: დუმილის თეატრში, სადაც თითის უბრალო მოძრაობაც კი რაღაცას ნიშნავს და გამოხატავს, უაღრესად მეტყველი და დახვეწილი უნდა იყოს პლასტიკაც.

ბ. მურდული: თანდათან ყალბდება მეტეხის თეატრის სახე, მისი სტილი. ჩვენ ვცდილობთ საკუთარი თვალით შევხედოთ მოვლენებს და განვსახიეროთ ისინი საკუთარი ხელწერით! ჩვენი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების წარმოჩენა ზოგადობის პრიზმიდან (ალკეული, კერძო მაგალითები, რომლებიც განზოგადების საშუალებას არ იძლევიან, არ გვანი-



დასის მმართველი
ბ. მჭედლოშვილი

ტერესებს. ჩვენ არ მივმართავთ იმ პრობლემებს, რომლებიც ადგილისა და დროის ლოკალურ საზღვრებს ვერ სცილდებიან. მეტეხის თეატრის რეპერტუარიც ამ პრინციპის მიხედვით ყალიბდება. ამ ნიშნით ვარჩევთ კლასიკოსთა თუ თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებს...

ლ. ალმესიმ: მინდა, რომ მეტეხის თეატრის მსახიობებმა გაგვიზიარონ თავიანთი ტკივილები, ინტერესები. როგორია მათი ყოველდღიური ცხოვრება, რაზე ფიქრობენ, რაზე ოცნებობენ ისინი?

პაპუე ნწუხამ (მსახიობი): ძალიან გამახარა და ამბავი შეხვედრამ ჩემს პედაგოგებთან, რედაქციის წარმომადგენლებთან, რომლებიც სერიოზულად დაინტერესდნენ ჩვენი ზედით, ჩვენი საქმიანობით. ასეთი საუბრები დიდ სარგებლობას მოუტანს მეტეხის თეატრის ახალგაზრდობას ყველაზე მეტად, რაც ჩვენ გვაძლევს და გვანტერესებს, ესაა მაცურებელთა შოშიდვის, მათთან კონტაქტის დამყარების საკითხი. როგორია მათი დამოკიდებულება ჩვენდამი, მოვწონვართ თუ არა, აქვთ თუ არა ჩვენთან ურთიერთობის მოთხოვნილება?

ამ კითხვებზე პასუხს გვაძლევს თვით მაცურებელი, რომელიც თანდათან სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენს ჩვენდამი. მაცურებელთან სახელივით განსაკუთრებით ვიგრძენით სპექტაკლში „შოსანიშნავი დღეების ქრონიკა“. ეს შესანიშნავი განცდაა, ბედნიერებაა. იმედი მაქვს, რომ ეს სახელივით თანდათან გაღრმავდება, გაძლიერდება.

სამი წელი მცირე დროა თეატრის ჩამოყალიბებისათვის, საკუთარი ხელწერისა და სახის გამოვლინებისათვის. ნაადრევია ლაპარაკი მეტეხის თეატრის სპეციფიკაზე, მსახიობთა პროფესიულ დონეზე, გამომსახველობით ხარისხზე... მთავარია ის, რომ ჩვენ თავდაუსოგავად ვმრობით, ვიმყოფებით ზრდის და მიების პროცესში, მკაცრ მოთხოვნილებებს ვუყუანებთ საკუთარ თავს, იმედის თვალით შევყურებთ მეტეხის თეატრის მომავალს, გვჯერა, რომ იგი თავის სიტყვას იტყვის ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში.

თმნბიუ კოშხამ (მსახიობი): ჩვენ მტკინეულად განვიცდით პრესის, კრიტიკის უპურადებობას. ჩვენი არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთი რევენია დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ სპექტაკლ „ძალისხეზე“. ეს გახლავთ ჯაბა იოსელიანის წერილი, რომელშიც წარმოდგენა პროფესიულად იყო განხილული, დანარჩენი თეატრმცოდნეები კი სდუმან.




სცენა სპექტაკლიდან „ძალისხეზე“. ეგნატისი — ბ. ნოზაძე



მხატვარი
მ. ჭავჭავაძე



მსახიობი
ნ. კოპაძე



სცენა სპექტაკლიდან „ძალოსნები“.
ანტონოვ — ლ. აღიშპარაშვილი

ს. მრმველიძე: ჯ. იოსელიანის რეჟენზია მართლაც კარგადაა დაწერილი, მაგრამ ერთი რამ მინდა დავაზუსტო. ჯ. იოსელიანმა აღნიშნა, რომ „ძალოსნები“ გადმოგარდნის მიზანსცენა სპექტაკლ „ოდიპოს შეფიდან“ არის ნასესხებიო. ეს არაა სწორი, რადგან „ძალოსნები“ „ოდიპოსზე“ ადრე დაიდგა.

მ. კოშკაძე: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თეატრმცოდნეებს არ ადვლეგედთ არა მარტო მეტების, არამედ საერთოდ ქართული თეატრის ბედი. უკმაყოფილება, აღშფოთება მაინც გამოთქვან, თუკი არ მოსწონთ ჩვენი თეატრი.

მეტების თეატრმა წარმატებით ჩაატარა გასტროლები პ-ლონეთში. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. პრესაში კი ამის შესახებ ინფორმაციული ცნობაც კი არ გამოქვეყნებულა, მაშინ, როდესაც გაზეთები აჭრელებულია საესტრადო კოლექტივების წასვლა-მოსვლის აღნუსხვით.

ს. მრმველიძე: დიას, სრულ იგნორირებას აქვს ადგილი.

მ. კოშკაძე: ჩვენ ვიცნობთ ყველა თეატრმცოდნეს. ისინი კი არც ერთ ჩვენს მსახიობს არ იცნობენ. არ იციან ვინა ვართ, რას ვაკეთებთ, რას წარმოვადგენთ.

ამას წინათ გაზეთ „თბილისში“ დიპლემად რეცენზია სპექტაკლზე „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“, რომელშიც დადებითად იყო შეფასებული ა. ჩხიკვიშვილის პიესა. ბოლოს კი ასეთი რამ ეწერა — მსახიობებზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ისინი ჯერ ახალგაზრდები არიანო. გაიზრდე-

ბიან და მერე ვნახოთო. აბა, რა აზრი აქვს ასეთ რეცენზიას? როგორც ჩანს, რეცენზენტი ან სრულიად ვერ ერკვევა თეატრალურ ხელოვნებაში, ან არ მოგეწონეთ და გაჩუმება არჩია.

მ. კოშკაძე: მეტების თეატრის მიმართ უყურადღებობას იჩენს ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. სპექტაკლებს არ ესწრებიან არც ჩვენი მწერლები, არც მუსიკოსები, არც მხატვრები, არც მეცნიერების წარმომადგენლები. ამას წინათ დავესწარი „მოსაწყენი დღეების ქრონიკას“. შეეწუხდი, როცა ამ პატარა დარბაზში თავისუფალი ადგილები დავინახე. მილიონიან ქალაქში რატომ არ უნდა ივსებოდეს 100-ადგილიანი თეატრი? ეს მეტისმეტად სერიოზული საკითხია. ამაში ჩვენს პრესასა და რეკლამას მიუძღვის დანაშაული. ის, ვინც ერთხელ შემოადგამს ფეხს მეტების თეატრში, მერეც მოვა. პირველი მოსვლის პრაბლემა ყველაზე რთული.

მ. კოშკაძე: მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ჩვენდამი. მაგრამ, როგორც კი მივიდნენ, დამეტრალურად შეიცვალეს აზრი.

ლ. აღიშპარაშვილი: საკვირველი ისაა, რომ მეტების ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიას ნაკლებად ესწრება ახალგაზრდობა, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა აინტერესებდეს ჩვენი თეატრის ბედი, მისი ცხოვრება. ამას წინათ თბილისის უნივერსიტეტში წარმოვადგინეთ „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“. დარბაზი სასვე იყო. წარმოდგენა ძალიან კარგად მიიღეს. მერე კი გამო-



სცენები სპექტაკლიდან „ძაღვსნები“





სცენა სპექტაკლიდან „ჰალონებო“
ეგნატისი — პ. ნოზაძე, ეკანოვასი —
თ. კოშკაძე

სცენა სპექტაკლიდან „ჰალონებო“



ირკვა, რომ ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას არ უნახავს არც ერთი ჩვენი სპექტაკლი.

ისე კი, მეტების თეატრს უკვე ჰყავს თავისი მაცურებელი, რომელიც დიდი გულსისმჩერებით, დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ჩვენს შემოქმედებს. მაგრამ დაინტერესებულთა რიცხვი დიდი არაა. ჩვენ უფრო მეტი გულშემატკივარი გვჭირდება.

დ. პლემსიმე: თითოეულმა თქვენგანმა დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი. საინტერესოა, ინსტიტუტში მიღებული ცოდნა თუ გამოვადგათ? როგორია ის ხარვეზები, რომლებიც თქვენ ინსტიტუტიდან გამოყვავი? რა ცვლილებების შეტანას მოისურვებდით მსახიობთა აღზრდის მეთოდოლოგიაში?

თ. კოშკაძე: პირადად მე სასვებით კმაყოფილი ვარ თეატრალურ ინსტიტუტში მიღებული ცოდნით. განსაკუთრებით ვემადლიერები ჩემს ორ პედაგოგს — რეჟისორებს ლილი იოსელიანსა და რევაზ მირცხულავას. საჭმე ისაა, რომ ისინი პრაქტიკოსები არიან, აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში, სისტემატურად დგამენ სპექტაკლებს. მათ კარგად იციან ყოველივე ის, რაც სჭირდება სცენას. ჩემი აზრით, სრულიად დაუმეგობლა თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგობა იმ რეჟისორებსა, ვინც არ მუშაობს თეატრში, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს ცოცხალ შემოქმედებით პროცესებში. არაპრაქტიკოსები არ არიან საჭმის კურსში, არ იცნობენ თეატრალური ხელოვნების დღევანდელ მოთხოვნილებებს.

გარდა ამისა, მე მგონია, რომ თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობთა აღზრდა უნდა ხდებოდეს კონკრეტულად რომელიმე თეატრისათვის. მაგალითად, დღეს ქართულ თეატრში მწვავედ დგას გმირის პრობლემა. არ მეგულება ისეთი მსახიობი, რომელიც ითამაშებდა დავუშვით სიღის ან სხვა რომელიმე გმირს. ამაზე, უპირველესად, თეატრალური ინსტიტუტი უნდა ზრუნავდეს.

პ. პინასამ: სწორია. მეტი დაკვირვება გვმართებს აბითურენტების შერჩევის დროს. სწორედ მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი თეატრების მოთხოვნილება. რაც შეეხება პედაგოგებს, გულახდილად გეტყვით, მათი შერჩევა უფრო ძნელია, ვიდრე აბითურენტებისა.

ს. მერმლინიშვილი: ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კადრების ცვლის საკითხი. 4-5 წელიწადში უნდა მოვიდეს ახალი თაობა, რო-

მელმაც უნდა განაგრძოს მეტების თეატრის ცხოვრება.

მ. კომპაძე: სამწუხაროდ, ახალგაზრდობა დიდხანს არ გრძელდება. მხოლოდ მოვა ის დრო, როდესაც ჩვენს ადგილს სხვები დაიკავენ. ამიტომ, ახლავ უნდა ვიფიქროთ მომავალზე. რამდენადაც ვიცი, თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დასახა გარკვეული გეგმები. გადაწყვეტილია სტუდენტთა საკვიალური ჯგუფის დაარსება ჩვენი თეატრისათვის. ეს დიდი საჩუქარი იქნება ჩვენთვის.

მ. კომპაძე: როგორია მეტების თეატრის მომავალი გეგმები, ამჟამად რაზე მუშაობს დასი?

ს. მრეწლიშვილი: თქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამეც წლისთავისათვის მეტების თეატრი დავსა სპექტაკლს „ლადო კეცხოველი“. ეს გახლავთ დოკუმენტური დრამა; მას ვედავთ პოლიტიკური ფარსის ჟანრში. კოლექტივი დიდი გატაცებით მუშაობს ამ სპექტაკლზე.

შემდეგ პრემიერად წარმოვადგენთ გ. დონანაშვილის მოთხრობის „კაცი, რომელსაც უყვარდა ლიტერატურა“ და ნ. დუმბაძის „დიდროს“ ინსცენირებებს. ეს იქნება ჰართული ნოველების საღამო. ამ სპექტაკლს დავსა რეჟისორი ზ. კანდლავი, რომელსაც მეტად საინტერესო ჩანაფიქრი აქვს. რეჟისორი გ. გურგენიძე მუშაობს ძველი თბილისის ვოდევილზე: ეს იქნება მუსიკალური სპექტაკლი.

გვინდა ჩვენი მსახიობები გამოვცადოთ ამ რთულ ჟანრშიც. შემდეგ გამიზნული გვაქვს დავედათ ლიტველი დრამატურგის გრუსასის პიესა „ჯაზი, ვეშაქი და სიყვარული“. ესაა ძალიან საინტერესო ნაწარმოები, რომელიც ახალგაზრდობის პრობლემას ეხება.

მომავალ წელს ჩვენს თეატრში კრაკოვის ახალგაზრდული თეატრის რეჟისორი კრისტოფ იასინსკი დადგამს რუჟიცკის საქაოდე გახმარებულ პიესას „კარტოკეა“, მე კი 1977 წლის აპრილ-მაისში კრაკოვის ახალგაზრდულ თეატრში დავდგამ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“. შემდეგ ეს სპექტაკლები გაიცვლება: კრაკოველები თბილისში ჩამოვლენ, მეტების თეატრი კი პოლონეთს ეწვევა. განზრახული გვაქვს ერთობლივი სპექტაკლის დადგმაც. ამ გზით ჩვენი თეატრების თანამშრომლობა გარკვეულ სახეს მიიღებს. მეგობრული ურთიერთობა გვაქვს დამყარებული ესტონეთის ახალგაზრდულ თეატრთანაც.

დ. ალმსიმი: ყოველი თეატრის ცხოვრებაში უაღრესად დიდ როლს თამაშობს ორგანიზაციული მხარე. მეტების ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიას. ალბათ, გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური სინჯელები, რომელთა შესახებ აქ ჯერჯერობით არაფერი თქმულია.

ბამიშუ ბანდუშაძე (მეტების ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის დირექტორი): რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია თეატრის არსებობა, თუკი არაა მოგვარებული ორგანიზაციული საქმეები. ჩვენს თეატრს საკმარისი თანხები გააჩნია. ეს თანხები მშვენიერად გვეყოფის. ჩვენ უფრო ტექნიკური საკითხები გვაწუხება. მეტების თეატრს არა აქვს გარდერობი, საგრძნობოთები. ვითოვეთ ასეთი გამოსავალი: უნდა გამოსუფთავდეს მეტების ციხის სარდაფები, სხვა მოწყობა თეატრის სათავსოები. მაგრამ საწარმოო ბაზის შესაქმნელად ეს მაინც არაა საკმარისი. თეატრს სჭირდება სახელოსნოები, სარეპეტიციო დარბაზი და სხვ. უამისოდ შეუძლებელია ნორმალური მუშაობა. წელიწადში ჩვენ ვუშვებთ ოთხ სპექტაკლს, თითოეული სპექტაკლს კი სჭირდება უამრავი დეტალი.

არსებობს საკვიალური პროექტი, რომელშიც ყველაფერია გათვალისწინებული. ეს პროექტი მიღებულია. ამის შესახებ არსებობს ქალაქის საბჭოს 1975 წლის დადგენილება (445 გ), რომელიც 26 კომისიის რაიონსაკომს ავალებს, რომ მეტების აღმართის № 1 სახლი ჩვენ გადმოვცვეს. მაგრამ ორი წლის მანძილზე ამაოდ ველით ამ დადგენილების განხორციელებას. სამისოდ არავითარი ზომები არაა მიღებული. ესაა სრული განუკითხაობის სამწუხარო მაგალითი.

თეატრს არა ჰყავს დირექტორის მოადგილე. ეს შტატი, რომელიც კანონიერად გვეკუთვნის, რატომღაც ვაუქმებულია. მსახიობთა ხელფასების მისამატებლად არ გვეყოფის ფონდი. გვინდა აღვძრათ შუამდგომლობა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინაშე, რათა მან ჩაატაროს ტარაფიკაცია. ჩვენი მსახიობები პირველი კატეგორიის მიხედვით იღებენ ხელფასს. მაგრამ პირველი კატეგორიაში არის სამი ქვეჯგუფი. საჭიროა მეტების თეატრის მსახიობთა გადაყვანა სხვა ჯგუფში.

ყოველ ორშაბათს მეტების თეატრში იმართება კონცერტები, პოეზიის საღამოები, მეგობრული შესხვედრები, არტიტექტორთა პროექტების განხილვები და ა. შ.

მაგრამ ყველაფერი ეს ჩაიშლება, თუკი მუშაობისათვის არ გვექნება შექმნილი სათანადო პირობები. ჩვენ ველით მხარდაჭერას.

მ. კინკაძე: დღეს ჩვენ ბევრ საყურადღებო საკითხს შევხვებით. საკითხთა სიმრავლე კი წამოჭრა და მოამწიფა დრომ, ცხოვრებამ, საქმის ვითარებამ. ცხადია, კიდევ ბევრი დაგვრჩა სალაპარაკო. თეატრი რთული, მრავალსიმომავლი ორგანიზმია. შეუძლებელია ყველა საკითხის ამოწურვა ერთი შეხვედრით. მაგრამ ჩვენი საუბრიდან პრაქტიკული დასკვნების გამოტანა მაინც შეიძლება, რაც, იმედია, მეტეხის ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიას დახმარებას გაუწევს.

მ. ბილაძე: ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის სახელით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი შეხვედრის მონაწილეებს. იშვიათად რომ ვიკრიბებით, ამიტომაც დაგვიგროვდა საფიქრალიცა და სალაპარაკოც. თუკი გვინდა საერთო საქმის გაკეთება, უნდა მივუხმართ კიდევ ერთმანეთს. სწორედ ამ სურვილით, ამ რწმენით მოვედით მეტეხის თეატრში, სადაც ამდენ პრობლემას მოუყრია თავი.

მეტეხის თეატრი ჩვენს თვალწინ დაიბადა. ახალი თეატრის შექმნა კი, როგორც აქ აღინიშნა, არა მარტო კულტურული, არამედ სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. ამდენად, მეტეხის თეატრის მიმართ უფრო მეტ ყურადღება და დაინტერესება უნდა გამოიჩინონ ჩვენმა თეატრმცოდნეებმა, რომელთა დიდი ნაწილი, გაუგებარი მიზეზების გამო, გულგრილად კვიდება ქართულ თეატრს, თავის საქმეს. შეუვალებელია მრავალი სპექტაკლი, უკულისყუროდაა მიტრეპებული მრავალი მსახიობისა თუ რეჟისორის შემოქმედება... თეატრმცოდნეთა მთელი არმია გვეცხვს, თეატრზე კი ძალიან ცოტა იწერება.

რას ვერჩით მაყურებელს, როდესაც პასიურნი არიან თეატრმცოდნეები, არადა, სწორედ მათ უნდა გაუღვიძონ ინტერესი მაყურებელს, დროულად მიაწოდონ მას რეცენზიები, სადაც ყოველ სპექტაკლი განხილული და შეფასებული იქნება პრინციპულად, ობიექტურად, პროფესიულ დონეზე.

იმედს მაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი საუბარი სტიმულს მისცემს თეატრმცოდნეებს, რომ უფრო სერიოზულად, უფრო კრიტიკულად შეხედონ თავიანთ საქმიანობას, გადასინჯონ ქართული თეატრისადმი დამოკიდებულება, თვითნათი პოზიცია.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ მომავალშიც გააგრძელებს საუბარს მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის ირგვლივ. ჩვენ ყოველწლიურად ვეღებთ მხარში ამოუვადგეთ ამ მზარდას და პრესპექტიულ კოლექტივს.



გულდა კალაძე

მარტის მემორიალური ქუელის ფრამენტო

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო- საზღვაო ფლეთის დღეა!



ნოკო ხურციია

ანზორ კაცსაძე

პარტული მუსიკალური ფოლკლორის მოამაგეთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ხალხური სიმღერის დიდ მცოდნესა და უბადლო შემსრულებელს ნოკო ხურციას.

ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც კარგად ახსოვთ ეს სპეტაკი და კეთილშობილი პიროვნება, დიდ თავიანთს სცემენ ნოკო ხურციას განუმეორებელ ნიჭს, მის ვაკაცურსა და მგზნებარე სიმღერას.

ნოკო ხურცია დაიბადა 1905 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ მენჯში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

ცხაკაიას სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოგეგმერინარულ ფაკულტეტზე, რომელიც 1932 წელს დაამთავრა. მან ამ სპეციალობით სულ 3-4 წელი იმუშავა, მთელი თავისი ცხოვრება ქართული ხალხური სიმღერის შესწავლასა და პროპაგანდას შეაღია.

ნოკოს მშობლებს ჰყვარებიათ ხალხური სიმღერები და კარგადაც მღეროდნენ. პატარა ნოკო

მათგან შთაენერგა მშობლიური ჰანკების სიყვარული. სასწავლებელში სიმღერა-გალობას დამსახურებული პედაგოგი ვალერიან გეგეჭკორი ასწავლიდა. თბილისში ჩამოსვლამდე მღეროდა რაიონულ გუნდში, რომელსაც რემა შელეგია ხელმძღვანელობდა.

1925 წელს ნოკო ხურცია ცნობილი ლოტარების კიწი გეგეჭკორისა და კირილე პაჭკორიას მიერ შექმნილ გუნდშია. ორი წლის შემდეგ კი კ. პაჭკორია აყალიბებს ძუკუ ლოლუს სახელობის დასავლეთ საქართველოს მთმღერალთა გუნდს, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა კონცერტები მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ნოკო ხურცია ამ გუნდის მშვენება იყო.

1936 წლიდან ნოკო ხურცია მღერის თბილისის დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელსაც კლავო კ. პაჭკორია ხელმძღვანელობდა. მოსკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადაზე, ქართულმა ხალხურმა მუსიკამ მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაშიც, ხელოვნების სხვა ოსტატებთან ერ-

თად, დიდი ღვაწლი მიუძღვის ნოკო ჭკრციას, რის გამოც იგი დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.

1940 წელს დაარსდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სადაც ნოკო ხურცია სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (1949 წლამდე) მოღვაწეობდა. ამავე დროს იგი, როგორც კონსულტანტი და ლობჯანიძის მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. დაუღალავად ასწავლიდა და ავრცელებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს ახალგაზრდებსა და მშრომელთა ფართო მასებში.

ნოკო ხურციას სპეციალური ტელევიზიური განათობა არ მიუღია. მისი მუსიკატა ხალხში გამოიწრო. სიმღერებს სწავლობდა გამოჩენილ ოსტატებთან, რომელთა შორის იყვნენ: ვალერიან გეგეჭკორი, რემა შელგეია, კირილე პაჭკორია, კიწვი გეგეჭკორი, პორფირე გაბელია, ივანე ჩომაშია, ლომინ გუგუშვილი და სხვები. ნოკო ხურცია მხარს უმშვენივლად ისეთ მომღერლებს, როგორებიც იყვნენ ძმები ერქვაძისძეები, ვარლამ სიმონიშვილი, ავქანტაძე მევრელიძე, კორნელი მღრბაძე, მიხა ჯიღაური, ძმები გურნიანიძეები, კავსაძეები, მჭედლიშვილები, ანა ვარიანიშვილი, თარხნიშვილები და სხვანი. აი, ასეთ პიროვნებებთან შორის ბრწყინავდა ნოკო ხურციას სახელი.

საქართველო ხალხური პოლიფონიური აკაპელა სიმღერების კლასიკური ქვეყანაა. მის ყოველ კუთხეს თავისებური სიმღერები აქვს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, მაგრამ ყოველთვის თვითმყოფადი, ბრწყინვალე, ღრმავარდნიანი... ჩვენი მუსიკალური ფოლკლორა უანრობრივადაც მეტად მრავალფეროვანია — პატრიოტული, შრომის, სატრფიალო, საღაღობო, საფერხლო, სანადიმო, საქორწილო, სარიტუალო, ძილისპირული, საცეკბო და სხვა. ნოკო ხურცია შესანიშნავად იცნობდა ამ უზარმაზარსა და ნაირსახოვან მემკვიდრეობას. იგი ქართული ხალხური სიმღერის ნამდვილი ტრფიალი იყო.

ნოკო ხურციას ქონდა უღამაზესა ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ტენორი, რომელსაც ფლობდა როგორც ჭეშმარიტი პრავესტიონალი-მომღერალი. შესანიშნავად უძურდა დაბალი და მაღალი რეგისტრებიც, სიმღერის დროს ოსტატურად იყენებდა ყველა სასიმღერო რესურსს, ამის წყალობით მოქნილი იყო მისი სასიმღერო ტექნიკა, მკაფიო იყო დიტკია. ნოკო ხურცია უტყუარი შემოქმედებითი ინტინქტი, მსატრეული ინტუიციით იყო დაჯილდოებული. იგი ამა თუ იმ სიმღერას უბრალოდ კი არ მღეროდა, არამედ ას-

რულეზად კიდევ. კარგად ესმოდა ნაწარმოების შინაარსი, მისი კავშირი ცხოვრებასთან. ნოკო ხურციას სიმღერა მისი საოცრად პარამონიული და მთლიანი შემოქმედებითი ბუნების გამოძახილი იყო. იგი ღრმად სწვდებოდა ნაწარმოების სულს, მხურვალე ემოციურობითა და ნატივი გემოვნებით გადმოსცემდა მათ ხასიათს.

დაიხ, უნაკლო იყო ნოკო ხურციას სიმღერა. ამას მოწმობენ ჩანაწერები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ნოკო ხურციას უბადლო ოსტატობაზე, მის მაღალ საშემსრულებლო ტექნიკასა და კულტურაზე. იგი, როგორც ნამდვილი არტისტი, ყოველთვის აღწევდა თავისი ხმის ემოციურ გარდასახვას. სტილისა და კოლორიტის ფაქტორი შეგრძნებით ასრულებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, სხვადასხვა ენარის — პატრიოტულ, ლირიკულსა თუ ეპიკურ-კომედიურ ხასიათის ნაწარმოებებს. და მიანც ნოკო ხურციას სტიქია მვერული ხალხურა სიმღერა იყო, სწორედ აქ ვლინდებოდა მთელი სისავსით მისი ნატივი მუსიკალური ბუნება, ვირტუოზული ოსტატობა, არტისტულობა.

რადიოჩანაწერთა შორის შემორჩენილია ნოკო ხურციას მიერ აღდგენილი და მის მიერვე ჩინებულიად შესრულებული საკუნძო სიმღერა „უტუს ლაშქრული“, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა. ამ ნაწარმოების შინაარსი მეტად საყურადღებოა. უტუ მიქვაა მვერული მშრომელი გლეხის ოჯახის წევრად გამოხედი ისტორიული პიროვნებაა. მჭედელი სათავეში ჩაუდგა გლეხთა დიდ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო პატონწყობის წინააღმდეგ. ამ აჯანყებამ მძლავრი ბიძგი მისცა გლეხთა მოძრაობას მოელს საქართველოში. საკუნდო სიმღერა მედიდური, ვაჟკაცური, პოლიტიკური ხასიათისაა. დარაზმული გლეხები გადაწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებენ ყველა ჩაგრულს:

„აბა წავიდეთ, აბა წავიდეთ, ან გამარჯვება ან სიკვდილი!“ — ამ მოწოდების მთელი გუნდი იმეორებს და სიმღერა თავისუფლებისათვის ბრძოლის მიზნად იქცევა. ამ სიმღერაში ნოკო ხურციას ხმა თითქმის აჯანყების მეთაურის უტუს ხმას მოგვაგონებს, მისი ომხიანი შეძახილები, სიმღერის მიმწოდებელი პათოსი ათიქოს მთელი ეპოქის მუსიკალურ სურათს წარმოსახავს.

ნაწარმოების ქორალური პირველი ნაწილი ნოკო ხურციას ტრავაგიალი ხასიათისაა, მეორე ნაწილი ცოცხალი, მგზნებარე, სწრაფვითი ხასიათის. შუა რეიტატიული სილო აღდგომები, რომელსაც ნოკო ხურცია ასრულებდა დიდი დრამატიკუზითა და

გმირული შემართებით, საოცრად ხატოვან ხდის ამ სიმღერას.

სულ სხვა ემოციურ განწყობილებებს გადმოსცემდა ნიკო ხურციია სიმღერა „ჩელას“ (ჩელა ხარის სახელია) შესრულების დროს. ეს სიმღერა სოციალური ხასიათისაა, მას ხშირად „ურმულს“ უწოდებენ. აქ ნიკო ხურციია მეურნის როლში გვევლინება და გვიხატავს გლეხის მძიმე ცხოვრებას.

მეორე გაცემების უბადრუც ცხოვრების გზას და თავის ბედს პირუტყვის ბედს აღარებს. ნაწარმოების ფინალში მეორედ მხოლოდ ერთ გზას ხედავს, — თავისუფლებისათვის ბრძოლის გზას. ნიკო ხურციია ამ სიმღერას დიდი არტისტული შემართებით ასრულებდა და ჰქმნიდა ლირიკულ, დრამატულ, ფსიქოლოგიურ სურათს.

ნიკო ხურციია „პარიზას“ — ამ დიდი სახალხო საზეიმო ხასიათის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნაწარმოების — შესანიშნავი შემსრულებელი იყო. ეს საწინაწინაო საგუნდო სიმღერა აწყობა ნელი ჩაცეკვაო ხასიათის მუსიკით, რომელიც თანდათან ჩაქრებდა. I ნაწილი კუმლტერის ფორმისაა, სადაც უცვლელია ბანი და მეორე ხმა, ზოლო პირველი ხმა სხვადასხვა განმეორების შემდეგ სხვადასხვა ვარიაციული განვითარებით იცვლება. ფინალში გამუდმებულ ბანზედ ნიკო ხურციია არაჩვეულებრივ ვარიაციულ მელიდიებს „ახვევდა“. დიდი გუნდის ფონზე საყვირივით ისმოდა მისი წკრიალა, ზარისებური ხმა.

მსმენელს აღაფრთოვანებდა ნიკო ხურციას ტემპერამენტი, სიხარულითა და სიხალისით ფრთაშესმული სიმღერა. „პარიზას“ ნიკო ხურციიას საშემსრულებლო ტექნიკის, ხმის ვერტუოზული ფლობის შესანიშნავი ნიმუშია. ეს ჩანაწერი საქართველოს რადიოს ოქროს ფონდშია შესული.

ნიკო ხურციას საშემსრულებლო სტილი მრავალფეროვანი იყო და ორიგინალური. შეუძლებელი იყო მისი ხმის და სასიმღერო მაწერის აღრევა რომელიმე სხვა მომღერალთან. იგი ჭეშმარიტ მხატვარი იყო. მუსიკალურად და სიუჟეტურად დაძაბულ საგუნდო ნაწარმოებებთან ერთად, იგი თავისებური სინაზითა და სინატრადით, უფაქიშესი ფერებით აესებდა ლირიკულ მეგრულ სიმღერებს. მართლაც რომ შეუდარებელია ნიკო ხურციას მიერ შესრულებული სატრფილალი სიმღერა „თემილალია“ ჩონგურების თანხლებით, სადაც ნიკო ხურციას მოძახილი წმინდა და ანაღლებული სიყვარულის განცდილია გამოაჩინა. იგივე თიქმის ლირიკულ სიმღერაზე „მასი ვარდი“. ბრწყინვალე იყო ნიკო ხურციას კინია სიმღერაში „ლიდინი“. განსაკუთრებით აღმაფრენით მღეროდა იგი სუფრულ, სანადიმო სიმღერებსაც.

სხვადასხვა დროს ნიკო ხურციასთან ერთად მღეროდნენ ქართული ხალხური სიმღერის ვირტუოზები — კირილე პაჭკორია, რენა შელეგია, ლუდი ბაბილუა, ნიკოლოზ ხვიტია, პუზე სვანიძე, შოთა გვალაია, აკაკი გოჩალეიშვილი, ვლადი-

მერ ფოცხვერაშვილი, მარო თედიაშვილი და სხვები. დიდია თითოეული მათგანის დამსახურება და დეწული ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში. მათი მაღალმხატვრული ანაზამლები აღაფრთოვანებდნენ არა მარტო ქართველ მსმენელს, არამედ მრავალეროვან საზოგადოებასაც.

ნიკო ხურციია პოეტური შთაფრების კაცი იყო. იგი ლექსებსაც წერდა და სიმღერებსაც დიდი პოპულარობა მოხვებდა მისმა სიმღერებმა მფრინავ წურწურშიაზე, სტალინგრადზე და სხვა.

დიდი სამამულო ომის წლებში ნიკო ხურციია აქტიურად მონაწილეობდა სამეფო კონცერტებში, რომლებიც იმარტებოდა მოქმედ არმიებში, სამხედრო ჰოსპიტლებში, წარმოებებსა და კოლმეურნეობებში. მისი მგზნებარე სიმღერა სტიმულს აძლევდა და მტრის წინააღმდეგ რაშყვად ჩვენს ხალხს. ასეთი თვდადებული შემოქმედებითი შრომისათვის ნიკო ხურციამ დაიმსახურა მრავალი ჯილდო და სიკეთე.

ნიკო ხურციია გულმოდგინედ ეძებდა და ამუშავებდა მივიწყებულ ხალხურ სიმღერებს, საქართველოს სხვადასხვა რაიონში აყალიბებდა საგუნდო კოლექტივებს, რომლებიც ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიოდნენ საქალაქო თუ სარაიონო ოლმშიაღებზე.

მეგობრების გამოცემით ნიკო ხურციია ფართოდ განათლებული ადამიანი ყოფილა. ჩინებულად იცნობდა ქართულ ლიტერატურას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, რაც დიდ სამსახურს უწევდა მას მუსიკალური ფოლკლორის ცალკეული ნიმუშების აღდგენა-დამუშავებაში. შესანიშნავი მოსაუბრე იყო, იუმორის გრწნობით იყო დაჯილდოებული. სამაგალითო მეგობრობა იცოდა, თავმდაბალი იყო და სამარტლიანი, შეუპოვარიცა და პრინციპულიც. იგი მლიქმურებდა არავის დაუთმობდა სიმარტლებს.

ნიკო ხურციია 1949 წელს გარდაიცვალა. ქართველმა ხალხმა გამოჩენილი მომღერალი და ლტობარი დიდი გულსტიკივითი მიპაპარა საზოგადო მოღვაწეთა ვაკის პანთეონს. მას შემდეგ თითქმის სამმა ათეულმა წელმა განელი. ნიკო ხურციას სახელი კი ცოცხლობს, როგორც ხალხში შობილი თვითმყოფელი, განუყოფელი ნიჭიერების სიმბოლო.

კლასიკის დღეკანდელობა

ირინე შელია

დღწ და მხატვარი, ხელოვანი და მისი შემოქმედების აღქმა. ეს პრობლემები, ერთი შეხედვით, ყველა ასპექტით შესწავლილია, მაგრამ, ამავე დროს, ამოუწურავიცაა.

თანამედროვეობის სულიერ კულტურაში კლასიკური ლიტერატურის იდეები და სახეები თავიანთი ყველაგუსვლელი ფილოსოფიური და ზნეობრივი ცხოველმყოფელობით ცოცხლობენ. დრომ გამოიკვეთა და უუჭველი გახადა მათი მნიშვნელობა.

მხატვრის არსებობის აზრი ორმხრივია წარმართული — იგი ემორჩილება თვით თავის არსებობაში ჩასახულ შემოქმედებით საწყისს, ემორჩილება და ისე ქმნის. ხოლო თავისი შემოქმედებით ნაყოფით იგი იპყრობს სხვათა გულსწყურს — ადამიანებს თავის ესთეტიკურ და ეთიკურ ძიებებთან აზიარებს. ეს თანაზიარობა მრავალსახიერია — ხან დრნად წინააღმდეგობრივი ბუნებისაა, რასაც ტენდენციების, იდეების, ემოციების დაპირისპირებამდე მივყავართ, ზოგჯერ, ეს დაპირისპირება ააქტიურებს შემოქმედის აზროვნებასაც და აღმქმელის განცდებსაც.

ძნელი მისია ეცისრება ადამიანს, ვინც მიზნად დაისახავს კლასიკური ნაწარმოებები თანამედროვე თეატრის ენაზე რომ ამეტყველოს. მხატვრული ნაწარმოების სუბიექტური, მგრძნობელობითი წაკითხვა არა მარტო თავის ბეჭედს ასვამს, არამედ, ხშირად, განაპირობებს კიდევ ინსცენირების ავტორისა და დამდგმელისეულ გააზრებას. სწორედ ამიტომ გახდა კლასიკის თანადროული წაკითხვა ფართოდ გამოვლილი დისკუსიის საგანი.

ამ უკანასკნელ წლებში მოსკოვის თეატრების რეპერტუარი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კლასიკას — როგორც რუსულს, ისე მსოფლიოს — ძალზე ხშირად დგამენ. თუკი ამ აქრთუ დიდი ხნის წინათ კლასიკის დადგმა ისეთად დიდი ტრადიციების თეატრების პრივილეგია იყო, როგორიცაა სამხატვრო, მცირე, ვახტანგის თეატრები, დაღეს კლასიკამ უკვე დაიჭირა მკვიდრი, მტკიცე, — წამყვანი რომ არა ეთქვათ — ადგილი იმ თეატრების რეპერტუარშიც, რომლებიც უკვე გამოიკვეთნენ აშკარა ექსპერიმენტატორებად, მწვავე ოანადრო-

ული პრობლემების ანალიტიკოსებად, ამ პრობლემების გაშუქების ახალი ფორმების მაძიებლებად.

რა ცხარე კამათი გამოიწვია, რა დამამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები აღძრა მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრში მარკ ზახაროვის მიერ დადგმულმა ჩეხოვის „ივანოვმა“, იური ლიუბიმოვის მიერ ხორცშესხმულმა შექპირის „ჰამლეტმა“, ან ტაგანკის თეატრში მალაია ბრონნიადან სტუმრად მოსული ანატოლ ეფროსის მიერ დადგმულმა ჩეხოვის „ალუბლის ბაღმა“! ამ დისკუსიებში გამოიკვეთა ფრიად ნიშანდობლივი და ცხადი ტენდენცია — მხატვრები გააფთვებით იცავდნენ თავიანთ უფლებას, რომ განსხვავებულად, დრმად ინდივიდუალურად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემოციურად წავციოხათ კლასიკური ლიტერატურის სქნილობები, რომლებიც არა მარტო მეტნაკლება განათლებული ადამიანების ცნობიერებაში დამკვიდრდნენ, არამედ რაღაცნაირად ძალზე გამოკვეთილი, შეურყვევლი სახეც მიიღეს. მთორე მხრივ, პროფესიული ლიტერატურისმცოდნეები და კრიტიკოსები ერთსულოვნად აღსდგნენ „კლასიკის დასაცავად“.

დისკუსიის — „კლასიკა: საზღვრები და უსაზღვროება“ — ერთმა მონაწილემ, ნინა ველცხოვამ კრიტიკის ეს უკიდურესად მკაცრი დამოკიდებულება კლასიკასთან „თაქისუფალი“ მიმართებისადმი ასე დააფორმულა: „სახეები, რომლებმაც აღიბეჭდა ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილება, რეალურ სინამდვილეში დამკვიდრდნენ, როგორც საერთო სულიერი კულტურის ერთი უძირითადესი კატეგორია. ამიტომ, ჰამლეტი და თავადი მიშკინი უკვე კარგა ხანია „სასიათები“ კი არა, ჩვენს სულიერი ცხოვრების წახნაგები, მისი ზნეობრივ-ეთიკური შინაარსის ნაწილებია. და როცა ახალ თარგზე ჭრი პამლეტს ან სხვა ვინმეს, უნდა გახსოვდეს, რომ რეალიზმისთან, კაცობრიული კულტურის შემადგენელ ნაწილთან გაქვს საქმე. და არ შეიძლება იფიქრო, რომ მკითხველი ან მავურებელი, მისი წარმოსახვის უნარი სადღაც უკან დარჩა, საუკუნეს კუდში მოსჩანჩალავს და შტამპებითაა დადაღული, შენ კი მანიცდამანიც სადღაც წინა ხარ“.



რეჟისორი ა. ეფროსი

ასეთი დიდი ციტატა იმიტომ მოვიტანე, რომ იგი გამოხატავს იმ მძაფრ ექსტრემისტულ თვალსაზრისს, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ისევ სულდგმულობს, საკმაოდ მკვიდრადაც არის ფუნქციონირებული იმ კრიტიკოსებს შორის, რომლებიც, კლასიკის სწიმინდის შენარჩუნების სურვილით ანთებულნი, ხშირად თვითვე მიდიან „შტამპებით დადაღულ წარმოსახვამდე“. დღეს არავინ უარყოფს შემოქმედების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების ფუნდამენტურად შესწავლის აუცილებლობას. მაგრამ მეცნიერული ანალიზის მიზონება, იქნებ, ზოგჯერ არ ესადაგება თანამედროვე მხატვრის მიერ წარსულის ოსტატთა უკუდავი ქმნილებების წარმოსახვისა და ხორცშესხმის თავისებურებათა გამოკვლევას ამოვანს? როცა რეჟისორს ან მხაიზოსს აშკარად აწყალობს მავანი კრიტიკოსი, ჰამლეტი და რასკოლნიკოვი ასე და ასე უნდა „წაიციხოსოთ“, ხშირ შემთხვევაში ის მავანი კრიტიკოსი რამდენადმე უხერხულ მომომარებლობაში აღმოჩნდება, რაკილა იფიქრებს იმ უსაზღვრო სამყაროს, რომელიც მხატვრის თვალწინ იშლება მისი ინტუიტურ-გრძნობადი აღქმის, სამყაროს, მოვლენათა, ადამიანების, მისი მხატვრული წვდომის უნარსა მთხებით. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელოვნების ნაწარმოების შემოქმედებით, ემოციური წვდომა დაკუპირისპირო საგნის ღრმა ცოდნას. პირიქით, საუბარია ამ ორი კომპონენტის პარა-მონიული შერწყმის აუცილებლობაზე, თუ უფრო რბილად ვიტყვი, ამ ელემენტების შერწყმის სასურველობაზე.

თეატრალური მოსკოვი — მივლი სამყაროა, მრავალსახეობანი, მშფოთვანი, მაცხებელი სამყარო. ესაა სამყარო, რომელიც ერთმანეთს გვერდით დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობენ სხვადასხვა მხატვრული მასწარაფებების, სხვადასხვა ბუნების, ტექნერამენტის მხატვრებმა. ცხადია, შეუძლებელია, რომ აქ ნაწილობრივ მაინც გავანალიზოთ და ერთმანეთს შევუპირისპიროთ მრავალი კოლექტივისა და ცალკეული ოსტატების შემოქმედებითი ხელწერა. ამჟამად გადავწყვიტე ამჯერად ყურადღება გამამხებებელინა ერთ-ერთი უნიკიტრესი საბჭოთა რეჟისორის — ანატოლ ეფროსის შემოქმედებაზე, რომელიც უკანასკნელ წლებში ასე ბევრს და ასე საინტერესოდ მუშაობს კლასიკური რეპერტუარის ხორცშესხმაზე. მისი სპექტაკლები, ერთი მხრივ, განსხვავებულ აზრთა

და შეხედულებათა მთელ ნიაღვრას წარმოშობს, მეორე მხრივ კი — უკუველად იძლევა მდიდარ შესაძლებლობებს, აჩაბაისა-ლებურად წარმოვისახოთ ის მხატვრული სახეები, რომლებიც მკიხივლისა და მაცუებლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბდა, გაფორმდა ამავერ თუ იმეგარ ტიპებად.

როგორც სამართალიანდ შენიშნა დრამატურგმა ვიქტორ როზოვმა, „რეჟისორის პროფესია ინტერპრეტატორის ხელობა უკვე აღარაა. რეჟისორის პროფესია გაიზარდა, რეჟისორი თანაშემოქმედი გახდა. საქმე მავინ ფუქტება, როცა პიკის თავისებურად წაიციხვას ხელს ჰკიდებს ულიმადმო რეჟისორი, არამეოქმედი, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, ხელსონი პიროვნება“.

დავემატებ: კიდევ უფრო ფუქტდება საქმე, როცა რეჟისორ-შემოქმედს, რეჟისორ-მონაზროვნის მით მარაქაში ზრევთ, ვინც, რაკილა მაინცდამაინც ექსპერიმენტატობრბა უნდა. არავინც დაგიდევთ, არც მთლიანი მხატვრული ნაწარმოების სულს ითვისწინებს და მწერლის სიტყვასაც კი არ უკადებს ყურს. თუცა, ამ ყაიდის „ნოვატორბობა“ სადღისოდ უკვე არც შეიძლება სერიოზული ფიქრის საგანი იყოს.

ამთავივე შეგნიშნავ, რომ კლასიკური ლიტერატურისა და დრამატურგის თანადროული გააზრების სპეციფიკის პრობლემებათა დაკავშირებით ეფროსის სპექტაკლებსუ საუბარის განპირობებულია არა მარტო იმ ფაქტით, რომ ამ სპექტაკლებმა შექმნეს ერთგვარი თვითმოყვადი კომპლექსი მხატვრული მოთვლენებით, არამედ სხვა მრავალი ფაქტობითაც, უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ ანატოლ ეფროსი აღნიშნული პოლემიკის ერთ-ერთი ყველაზე ექტიური მინაწილვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორმხრივი როლი, რომელიც ამ შესანიშნავ შემოქმედს და, მე ვიტყვი, თეატრის თეორიტიკოსს, დაეკისრა — ეს იყო როლები დისკუსიის მინაწილისად და ამ დისკუსიის ობიექტისაც. ეფროსის ახლანდა გამოსული წიგნი, მისი სტატიები და გამოსვლები, პირველ ყარვასა კი, მისი სპექტაკლები, უმდიდრეს მასალას გვაძლევს იმაზე დასაფიქრებლად, თუ თანამედროვე მხატვარი როგორ ანალიზებს, როგორ აძლევს ინტერპრეტაციებს წარსულის ძვირფას შემკვიდრებას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ეფროსის თეატრის რეპერტუარი, ძირითადად, თანამედროვე დრამატურგთა ნაწარმოებებისგან შედგებოდა, ეფროსის თეატრის მუდმივი, განუწყუებელი ავტორი იყო და არის ვიქტორ როზოვი. მის სახელთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, თეატრის ერთი წარმოდგენაც კლასიკის საფუძველზე — „შმა აღიოშმა“ (დოსტოვეკის „მშები კარნაშოვების“ მიხედვით). სწორედ ამ სპექტაკლით და შექპიარის „რომეო და ჯულიეტაით“ მოხდა გარდატეხა ა. ეფროსის მხატვრულ ძიებებსა და ინტერესებში. სულ რამდენიმე წელიწადში შეიქმნა რუსულ და მსოფლიო კლასიკაზე დამყარებული მისი ნაშუვერების მთელი გალიერვა. ესაა, პირველ რიგში, გოგოლის „ქორწინება“, მოლიერის „დინ-უვანი“, თითქმის იმადროულად იხილა მაცურებელმა ა. ეფროსის ტილველით „გაზაფხულის ნიაღვრები“ (ტურგენევის რომანის მიხედვით) და ჩხუვის „აღუბლის ბაღი“, რომელიც მან „არა თავის თეატრში“ — ტეგანაქზე დადგა. და, ბოლოს, — უკანასკნელი რეპეირვა მალაია ბრონნიაზე — შექპიარის „ოტელიო“.

ახლა, როცა „ოტელიოზე“ დაძაბულ დაძაბული მუშაობის შემდეგ ხეირიანად არც შეუხვნილა, — ეს სპექტაკლი კი ნამდვილად რომ საპროგრამო იყო და მას რეჟისორის მრავა-

ლი წლის ფიქრი შეეწირა, — ანატოლ ეფროსი კიდევ ორ სპექტაკლზე მუშაობს კლასიკური რეპერტუარიდან — ესაა ტურგენევის „ერთი თვე სოფელში“, რომელსაც რეჟისორი „შინ“, მალაია ბრონიაზე დაგამა და გოგოლის „მკვდარი სულები“ თეატრ „სოფრემენიკოვი“.

ა. ეფროსის უკანასკნელი წლების ნამუშევრების ეს უბრალო ჩამოთვლაჲ კი ბევრს ამბობს, ცხადყოფს რეჟისორის პრინციპულ, მთლიანად გადართვას ახალ სფეროში — ესაა კლასიკის ახლებურად გააზრების სფერო. რამ განაპირობა ეს?

— თითქმის, დიდი დრო გავიდა, მაგრამ, არსებითად, სულ ახლახან დაიწყო ჩვენი თეატრის ინტენსიური, ძირფესვიანი გათანადროლება, — ამბობს ეფროსი, — თუკი სულ ამ 15-10 წლის წინათ ფარდაზე უარის თქმა, რამბის შუქზე რეკვიზიტის გამოფენა, სპექტაკლის ელემენტად „ჰეპენინგის“ შემოტანა, ერთი სიტყვით, ახალი განსოგადებებისა და პირობითობების ძიება იყო ის მოთხოვნილება, რომელსაც წარმოშობდა სწრაფვა საჭირობოტო თემატიკისკენ, ჩამოყალიბების სტადიის ხასიათების წარმოჩენისკენ, ახლა კვლავ გამძაფრდა მარადიული, ზოგადკაცობრული პრობლემებისკენ მიბრუნების ლტოლვა, ამ პრობლემებით კი გასაოცრად მდიდარია მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა, ძიება მოტყუებისა, რაც ყველაზე უფრო ახლა თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიურ სტრუქტურასთან, სწორედ კლასიკაში აღმოაჩენს უმდიდრეს საშუალებებს თანამედროვე ადამიანის ხასიათის სიღრმისეული თვისებების გასახსენელად.

ანატოლ ეფროსის მთელი შემოქმედება აღბეჭდილია იმ მხატვრული და მსოფლმხედველობითი კრედიტით, რომელიც, ჩემი აზრით, უპირველესად ყოვლისა, განსაზღვრულია ადამიანის ფსიქოლოგიის ურთიერთწინააღმდეგობრივი ელემენტების პროპორციათა ესთეტიკის თვალსაჩინოდ წარმოსახვით და აზროვნების ხასიათის თანამედროვე საშუალებებით წნობი-რივი პარმონის უტყველი ძიებით. ეფროსის სპექტაკლებში

ერთმანეთს ერწყმის ღრმა აზრი და გარეგანი დასჯეული მატერიალიზმის რატი, ლაკონიური, ნატივი ფორმები.

თანამედროვე თეატრმცოდნეობაში მყარად დამკვიდრდა ტერმინები — რეჟისორის ან მსახიობის თეატრი ლიტერატურული იდეებისა და სახეების ხედვის თავისებური ხასიათით, ამა თუ იმ ასპექტით გააზრებული თემის კონკრეტული ხილვით წარმოჩენით, დადურმეტელი ფანტაზიის უნარით, ეფროსი, სცენაზე, უტყველად, ქმნის თავის პირიქულ სამყაროს. და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც განაპირობებს ეფროსის სპექტაკლების სისავსესა და მთლიანობას, არის ფაქტიზ უნარი იმისა, რომ ლოგიკურად მიუხადავს, შეუთავსოს ერთმანეთს როლისა და მსახიობის ხასიათები. სცენური ფორმების დაუცხრომელი გამომონებელი ვ. ვახტანგოვი ამბობდა: „თეატრში მთავარი მსახიობია და რეჟისორის ტექნარტი ნიჭი მსახიობებთან მისი მუშაობით განისაზღვრება“.

ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, რამდენიმე მაგალითს მოვიტან. დონ-ჟუანის ლევენდის ხორცმუსხმისას, ეფროსმა სცენაზე ამ მაცდური და იდუმალი როლის გასააზრებლად მოლოდინისეული თვალსაზრისი აირჩია. არ შეეგებები გმირის ფსიქოლოგიური ბუნების მრავალბანიანობას, ოღონდ, მოლოდინის დონ-ჟუანის ხასიათში ხაზს გაეკუსაემ ერთ, მაგრამ არსებით დეტალს, რომლის არსიც სულ სხვა გარემოებასთან დაკავშირებით ერთმა სხვა მწერალმა ძალზე კარვად გამოხატა სიტყვებით: „უპუროდ ცხოვრება შეიძლება, მაგრამ სილამაზის გარეშე სულდგმა სრულიად შეუძლებელია“. დონ-ჟუანის ხასიათის მოლოდინისეული თვალსაზრისის სახელდობრ ეს მომენტი აახლოებდა გმირს რეჟისორის წარმოსახვასთან — ეფროსი თავისი მხატვრული ძიებებით და ექსპერიმენტებით ყოველთვის ესწრაფვის ესთეტიკური იდეალის როგორც შინაგანი არსის გამოკვეთას, ასევე, თვალისთვის საჩინოდაც წარმოჩენას. მალაია ბრონიათ თეატრში დონ-ჟუანის როლს ორი

სცენა სპექტაკლიდან „ძმები კარმაზოვები“



ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მსახიობი ასრულებს — მ. კოხაკოვი და ნ. ვოლკოვი. ერთი შეხედვით, ამგვარ ვითარებაში შეუძლებელიცაა რეჟისორული ამოცანის კონკრეტულობის დაცვა, მაგრამ ეფროსი ოსტატურად იყენებს აქტიორთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ხაზგასმულად წარმოაჩენს მათ სცენურ მონაცემებს, და ორივე ვარიანტში ინარჩუნებს სახის „წაკითხვის“ თავის კონცეფციას, თუმცა, ორივე შემთხვევაში, სულ სხვადასხვანაირი ხერხებით ხსნის პერსონაჟის ხასიათს. იმპულსური, ნაღვლიან-ციინკური, ცინცხალი გონებით და წარმოსახვით დაჯილდოებულია მ. კოხაკოვის დონ-ჟუანი ზოგჯერ ისეთი უმწყეოა, რომ პარადოქსულ ასოციაციებს იწვევს — მასში, წამით, ვლინდება დონ-კიხოტისებური მაღალი სული. იგი, ქარაფშუტა და ბედოვოლით,

სპეციფიციტაც, ხოლო ა. ეფროსს კამერული თეატრისკენ მიუწევს გული. სცენური ფართობის შეზღუდულად, მსკრთობილიც მალაია ბრონინაის თეატრში ტრადიციულად, დახვეწილი მუქედლებიანი ყუთის ფორმას იღებს, მოთხოვს ცალკეული პერსონაჟებისა და საგნების გამოკვეთილად, ხაზგასმულად წამოწვევას წინა პლანზე. და მიზანსცენებს სრულქმნილი, თითქმის გრაფიკულად ამოხაზული სურათი თითქოს ცენტრალიზებისკენ ამ ტენდენციითაა შეკრული მაგალითისთვის, ავილით „ძმა ალიოშა“, რეჟისორს ცხადად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ აბსოლუტურად შეუძლებელი იყო ერთ სპექტაკლში მოექცია თუნდაც ერთი მხარე დისტოპიკის მრავალპლანიათა, აურაცხელი პერსონაჟით დასახლებული რომინისა. და მაშინაც კი, როცა ამდენ პერსონაჟში ერთი —



გოგოლის „ქორწინება“. ავადია ტიხონოვა — თ. იაკოვლევა

ქვენა ინსტინქტების მონა სულაც არ გახლავთ. პირიქით, მისი ცხოვრებისეული დრამის მთავარი მიზეზი ის ხდება, რომ მძაფრად, მგრძობიარედ განიცდის სილამაზეს. მოუქნელი, თითქმის მონოტონური ნ. ვოლკოვი ხასიათის ამ მხარეს სულ სხვაგვარი რეაქციებით, სხვაგვარი საშუალებებით გადმოსცემს. ამ შემთხვევაში ჯანჯალობა და სასიყვარულო პერიპეტეიები დონ-ჟუანს თითქოს ნაძალადევად მოახვიეს თავზე. დონ-ჟუანს — ნ. ვოლკოვს სულაც არ უნდა, რომ მორავ ინტრიგაში გახვების, იგი, თითქოს, თავადვე გრძნობს ალამაზისკენ თავისი გაუცნობიერებელი სწრაფვის ფორმის სიმახინჯეს. დამდგმელის ძირითადი ესთეტიკური ამოცანა საავიზით ცხადადაა გამოკვეთილი. სწორედ მსახიობის ინდივიდუალობის ღრმად განცდიდან გამომდინარე ამოტიანებს ეფროსი სპექტაკლებს. როდესაც ეფროსი ხედავს, რომ მსახიობი ფაქიზად გრძნობს არა მარტო მისი როლის, არამედ მთლიანი ნაწარმოების ზრობრივ არსსაც, რეჟისორს ხელეწიფება მთელი იდეურია და ემოციური დატვირთვა სწორედ ამ როლზე გადაიტანოს. ეს, ცხადია, გაპირებულა კამერული თეატრის

უმცროსი კარამაზოვი აარჩია, საჭირო იყო ამ ხასიათის იდეურ დიალექტიკაში მოენახა, გამოკვეთა რომელიმე კონკრეტული თემა. ასეთი თემა გახდა დისტოპიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა — პრობლემა მოხარდის პიროვნების ფსიქოლოგიური ანალიზისა. უკიდურესად რთული ამოცანაა, რადგან დისტოპიკისთვის არ არსებობს „ყრმის“, „ბავშვის“ ცნებები; — მისი გმირი ყოველთვის პიროვნებაა, რომელიც დამძიმებულია თავისი თავის შეცნობის აუცილებლობით. ასაკობრივი კატეგორია კი მას, ამ პიროვნებას ასევე მხოლოდ მისი ასაკით განპირობებულ დამატებითი სინქრონიზაციას. სპექტაკლ „ძმა ალიოშაში“ ეს დამატებლობა, ახალგაზრდა გმირების ხასიათთა მთელი ეს დინამიკა, როგორც მითრთოვარე სანთლისკენ, ილტვის ლიზა ზოხილიკოვასკენ, რომელიც თ. იაკოვლევას შესრულებით წარმოუდგენლად ბრწყინვალე, მრავალპლანიათა გმირია. საგარეულ მიაჯაკველი გოგონა ნიაგვით დაქრის სცენაზე. მის ურთიერთსაწინააღმდეგო სურვილებსა, განწყობილებებსა და მძაფრუბაბედ რეაქციებში, რომელთა გრძობიარედ გადმოცემა

შესძლო მსახიობმა თ. იაკოვლევამ, ისე სრულად და ნათლად წარმოისახა გმირის ხასიათი, რომ დისტოვესკის მაცურებელი და მკითხველი იტყვის, რომ ოლგა იაკოვლევას ღიზა ხიზ-ლიაკოვა — გამოკვეთილი თემის ერთ-ერთი ვარიანტი კი არ არის, არამედ თავად სულჩადგმული თემა — მთელი მისი ერთადერთობით, განსაკუთრებულობითა და პირიქითი განუმეორებლობით. ამ სახის გააზრებისას რეჟისორის ამოცანა არაჩვეულებრივად რთული და ბევრისმომცველი იყო — სპექტაკლის ავტორმა სწორედ აქ ჩააქოვა დისტოვესკის გმირების წინააღმდეგობრივი ლოგიკის მთელი ძალა. თითქოს ამ მთრთოლავრე, ნერვული გოგონას არსებაში ისმოდა გამოძახილი მისი აქამომდეელი, ადრინდელი ცხოვრებისა, ცხოვრებისა, რომელიც დიდ რუს შწერალს წინამორბედ მხატვრულ

რეჟისორის პოზიციის ძლიერ მხარეებსაც ავლენენ და სადავრო მომენტებსაც. ძნელი წარმოსადგენია უფრო განსხვავებულ თეატრები, ვიდრე მალაია ბრონნიასა და ტაგანკის თეატრები. ა. ფეროსის შემოქმედებითი მეთოდი ძირველად განსხვავდება იური ლიუბიმოვის მხატვრული სტილისგან. მაგრამ სწორედ ამ განსხვავებულობამ აღუძრა ფეროსის სურვილი, რომ თავისი ძალა ტაგანკის თეატრის სცენაზეც ეცადა. როგორ ყალიბდებოდა ჩეხოვის „ალუბლის ბაღზე“ მუშაობის პრიციპში რეჟისორის ფიქრები, პიესისეული ხასიათები და სახეები? დამდგმელმა რეჟისორმა ა. ფეროსმა და მხატვარმა ვ. ლევენტალმა ტაგანკის თეატრის სცენაზე თეატრ-ყვითელი საშენი მასალისგან შექმნეს მაკეტი სასაფლაოსი — „ალუბლის ბაღის“ დღის განზოგადებული სიმბოლო, მიჩვენებითი

გოგოლს „ქორწინება“. პოლოც-ლსინი — ნ. ვოლოვი



სახეებში აქვს ფიქსირებული. ლიზას სახის შნიშვნელობის გაზრდით რეჟისორს ამ სახის აზრობრივი დატყარვა კი არ დაურღვევია, პირიქით, იგი სრული სისასით გამოავლინა. ჩემი აზრით, ოლგა იაკოვლევასეული ღიზა ხიზლიაკოვა ერთ-ერთი უბრწყინვალესი, სანიმუშოზე სანიმუშო მაგალითია გამომსახველობის თანამედროვე ხერხების მომარჯვებით, ფსიქოლოგიური ანალიზის მეოიოდით კლასიკური სახის გასცენიურებისა.

სიმსუბუქის, პოეტური სიმბოლიკის შვერინება ღრმადვება ჩაცმულობითაც — პიესაში მონაწილე მსახიობებს თავით ფეხამდე მთლად თეთრი, ქათათა ტანსაცმელი აცვათ. ცხარე კამათში, რომელიც ამ სპექტაკლმა გამოიწვია, თავი იჩინა ტენდენციამ — აქაოდა, ა. ფეროსს ჩეხოვის პიესის სხვა თარგზე გამოჭრა უნდაო. ამის დასამტკიცებლად ერთ არგუმენტად ის მოჰქონდა, რომ სპექტაკლის მხატვრული გაფორმება არ ემთხვევა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც თვითონ ჩეხოვი აყენებდა სამხატვრო თეატრში „ალუბლის ბაღის“ დადგმის დროს. „სპექტაკლში საფლავები არ უნდა იყოსო!..“ — ამბობდა ჩეხოვი და ტაგანკის თეატრის სპექტაკლის სიმბოლიკა თითქოს უპირისპირდება ჩეხოვის პრინციპულ პოზიციას.

მალაია ბრონიას თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ძალზე თვითმყოფადი ანსამბლია, რომელიც შეკრულია მკვეთრად გამონატული მხატვრული ძიებებით.

— „მაგრამ სამხატვრო თეატრის „ალუბლის ბაღი“, რომელიც ჩეხოვის წაკითხვის კლასიკური ნიმუშია. ხომ არ აკმაყოფილებდა ავტორს, — ამბობს ა. ფეროსი, — ხომ შეიძლება, რომ დღეს ავტორს ჩემებური გააზრება გაუზიარებინა, არა, ხომ შეიძლება!..“ ეს თვითრწმენა, უუცვლელია, რეჟისორს

— მე ძალიან მიყვარს ჩემი მსახიობები, მათთან ადვილია მუშაობა, ესმით ჩემი, — ამბობს ა. ფეროსი.
და მაინც, მხატვრული ექსპერიმენტების მრავალბანიანობა რეჟისორს სხვა თეატრებში მუშაობისკენაც იზიდავს. „სხვა“ მსახიობებთან შემოქმედებითი ურთიერთობის დამატებით სირთულეები მხატვარს უსახავენ ახალ შესაძლებლობებს, თითქოს იმ თავისებურ პრიზმად იქცევიან, რომელიც

ჩხბოვის სახეთა და განწყობილებათა სამყაროში ჩადრმავე-
ბის რეალური ფაქტის შედეგად ეხადება. „ალბულის ბაღი“ —
პიესა სასიყვობლოდ განწირულ მშვენიერებაზე“ — ზუსტად
განმარტა ვ. როზოვა, — ეფროსის სპექტაკლიც მშვენიერება-
ზეა, ოღონდ უკვე მკვდარ მშვენიერებაზე“.

თეატლისწინებდა რა ტაგანკის თეატრის სხვაგვარპლანია-
ნობას, ეფროსმა სპექტაკლ „ალბულის ბაღში“ შეინარჩუნა
ცენტრალიზებული ტიპიზაციის თავისი პრინციპი. ჭკვიანი და
დახვეწილი მსახიობის ალა დემიდოვას რანესკაა იქცა იმ
აზრობრივ და სიმბოლურ ეპიცენტრად, რომელიც ყოველთვის
მეგვითრად იკვეთება ეფროსის სპექტაკლებში.

„ტაგანკის თეატრში მძიმე შუშაობა შემხვდა, — ამბობს
ა. ეფროსი, — ძნელია თეატრში სულ სხვა ხელწერის კაცი
მიხვიდე. მხოლოდ მრავალი სპექტაკლის დადგმით წიღებულ-
მა გამოცდილებამ მომიცა საშუალება, რომ იქ რაღაც ჩემი
შემექმნა. ზოგჯერ ისე გვრძობდი თავს, თითქოს, როგორც
ოდესღაც, ჩემს პირველ რეპეტიციებს გავედიარ-შეთქი“.

ტაგანკის თეატრში სხვა რეჟისორ სუფებს, სარეპეტიციო
ოთახიც სხვაა და სცენაც სულ სხვანაირია. რაც მოვარია,
თამაშის მანერა იქ სხვაგვარი. გარკა ხანია, — ოღონდ პრინ-
ციპულად უმართებულად, — დამკვიდრდა აზრი, თითქოს
იური ლიუბიმოვი შიშველი ფორმისკენ ილტვოდეს. არსებო-
ბად, ლიუბიმოვის თეატრი ძალზე რეალისტური თეატრია,
რომლის პირობითობა გახსნილი, ბევრისმთქმელი რამაა. ლიუ-
ბიმოვის სპექტაკლის ნათელი ნახაზი ყოველთვის ძლიერდება
აშკარად გამოკვეთილი კონკრეტული მომენტებით.

ტაგანკის და მალაია ბროზინას თეატრების მხატვრულ
პრინციპთა ურთიერთმიმართების ხასიათი ძალზე ავლენებს
ა. ეფროსს. იგი დიდადა დაინტერესებული იყოლია იურის თეა-
ტრის მხატვრული მსოფლგანცდის თავისებურებებით, მაგრამ
მკვეთრად განსაზღვრავს თავის, განსხვავებულ ამოცანებს,
მისწრაფებებსა და გემოვნებს. ეს ნიუანსი განსაკუთრებით
თვალსაჩინოდ გამოვლინდა ორი შექმნილი სპექტაკლის
თავისებური „დილოგიით“ — მხედველობაში გვაქვს ლიუბი-
მოვის „ჰამლეტი“ და ეფროსის „ოტელიო“. ლიუბიმოვის სპექ-
ტაკლის მხანაწილზედ სტატეიგება და გამოსვლებში ა. ეფ-
როსი გვახერხავს იცავდა აზრს, რომ მხატვარს უვლდება ჰქონ-
და შექპირების ერთ-ერთი ურთულესი გმირის ხასიათი სწორედ
ისე გაეაზრებინა, როგორც წარმოისახა ვლადიმერ ვისოცკის
ჰამლეტი ტაგანკის თეატრში ლიუბიმოვის მიერ დადგმულ
სპექტაკლში. „ჰამლეტი შეიძლება ასეთიც იყოს, — ხაზს უს-
ვამს ეფროსი, — იგი შეიძლება ძლიერიც იყოს და უსტიკიც,
იგი ყოველგვარი შეიძლება იყოს“. მაგრამ შექმნილს ხასიათ-
თა საკუთარი ხედვა, შექპირების შემოქმედების ჯილდოსოფიერ
და ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე თავისი შეხედულებები ა. ეფ-
როსმა ყველაზე თვალსაჩინოდ გამოავლინა სრულიად საწი-
ნააღდგეო პრინციპებზე დამყარებულ სპექტაკლ „ოტელიოში“,
რომლითაც იგი სავსებით აშკარა პოლემიკას უმართავს ლიუ-
ბიმოვის „ჰამლეტს“. ასეთი შეგრძნება გვირჩნდება ამ სპექ-
ტაკლების პირველი ნახვისთანავე და ეს გარეგნობა ეფროსის-
თვის შემოხვევითი, მოულოდნელი ამბავი კი არაა, წინასწარ-
დასახული, აწინილ-დაწინილი პრინციპული ამოცანაა.

რითი ედავება ერთმანეთს ეს ორი, თავისებურად შესა-
ნიშნავი, განუყოფილებელი სპექტაკლი და „კლასიკის გათანა-
დრობების“ რამოდენი თავსამტვერე პრობლემები აისახა მათ
გადაწყვეტაში?



ველსი ნიშნები. ოღონდ, სად და როგორ ვწინდებან ის შინა-
განი ზღვარი, რომელიც დღეს აქამდე შეუწინვყულ, თანამე-
დროვე მხატვრის თვალთი ხელულ ახალ სიღრმესაა და სიახ-
ლეებისკენ თავგამებულ, თვითმიზნურ სწრაფვას შორის?
ჰამლეტის მიერ დასმული უწვაველი კითხვები თავისი ბუნე-
პილი მარადიულია. განუსაზღვრელად მრავალგვარია შექპი-
რისებულ ფილოსოფიურ პრობლემათა შესწავლისა და ინტერ-
პრეტაციის შესაძლებლობები. არსებობს ლთერუნა ოლივის
ჰამლეტი — ბრწყინვალე პრინცი დანიისა, დიდებული და მო-
ნუმენტური, არსებობს პოლ სოფიელის ჰამლეტი. დიდი მხა-
ტვარი, თვითგამოხატვის რა გზაც არ უნდა დაასახოს მან,
მანინც ღრმა და თანამედროვე შემოქმედად დარჩება. ოლივის
ჰამლეტი და პოლენილ მსახიობის დანიელ ოლბრისის
ჰამლეტი — თითქოს ორი პოლუსია საშემსრულებლო მანერის
თვალსაზრისით. პირველი — პრინციპა, რომელსაც ეპოქის
სტილის შესაფერისად აცვია და მოქმედებაც თითქმის ნატუ-
რალური რეალიზმით აგებულ დანიის სამეფო პალატებში ვითარ-
დება. და ეს — ჭრატუნა ტყავიანი, მოჩხარჩხურე რკინის ხი-
დებისა და თავების ფონზე მიმავალი, გარგნულად ულტრა-
მოდერნიზებული ოლბრისის — ჰამლეტი, რომლის გვერ-
დითაც ენერგიულად მიაბიჯებს სცენაზე ბოტფორდებიანი
ოფელია. მაგრამ არც ელვანტური ტყავ-ხამშის კოსტუმე,
არც რკინის ჩხარჩხური, არც ოფელიას ბოტფორდები ოდნა-
ვდაც არ ამახინჯებენ შექპირის ღრამის არს. ადვილად წარ-
მოუდგა მაყურებელს რეჟისორ ადამ ხამუშკევიჩის გმირის
„ძლიერი ჰამლეტის“ სამოქმედო გარემო. „ასეთი ჰამლეტის“
არსებობის უფლებები ა. ეფროსის რეალიზმით მოყვანილი არც
ზღვარს აღწევს მის მომდევნო ფრაზაში — „ჰამლეტი შეი-
ძლება გიციე იყოს, ან იგი შეიძლება თავს იგუჯიანდეს“,
პროფესორმა ნ. ბოლოკმა დისკუსიის დროს ამაზე სამართლო-
ანად შენიშნა: „თვითონ შექსპირმა თქვა, მავალითად, საკმა-



სცენა სპექტაკლიდან „რომიო და ჯულიეტა“ — თ. იაკოველია

სცენა სპექტაკლიდან „ოტელო“ — ოტელო — ნ. ვოლოკოვი, იაგო — ლ. დუროვი

ოდ ნათლად, რომ ჰამლეტი გივი არაა, იგი თავს იგიეთინებს, რათა გამოთქაწაროს და გვაჩვენოს გარეწრები“. ნამდვილად გაგიჟებულ ჰამლეტი რომ გამოვსახოთ, მამინ ტრაგედიის ძირითად კოლოზიას ყოველგვარი საფუძველი განრყივდება. ტრაგედია საერთოდაც არ გვექნებოდა, ხელთ მკვდრებოდა მძიმე კლინიკური შემთხვევა, რომელიც კლავდიუსის მიმართ თანაგრძობით განვსაწყობდა“.

ა. ფეროსისა და ი. ლუბიმიოვის დადგმებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ „კლასიკის გათანადროსების“ პრინციპებზე დისკუსიების დროს, უპირატესად, სწორედ ამ თვალსაჩინო რეჟისორთა დადგმებზეა კამათი. შექაპირის პიესების შესანიშნავ რეჟისორზე — ა. ფეროსზე საუბრისას ლუბიმიოვის სპექტაკლების რამდენიმე პრობლემასზე იმიტომ ვჩერდები, რომ, როცა სცენაზე კლასიკურ ნაწარმოებთა ხორცშესხმის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებზე დისკუსია იმართება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უშუალოდ თუ შუალოებით, მაინც, პრინციპულად, ამ რეჟისორებსა და ჩათს სპექტაკლებზე იმართება დავა. პირდაპირი თუ ქარაგმული მსჯელობა შექაპირის თეატრზე მაინც იური ლუბიმიოვის „ჰამლეტზე“ მსჯელობას გულისხმობს. და ის პროგრამული, პრინციპული მითითება, რომელიც ა. ფეროსმა „ოტელოს“ გაახარებისას არა მარტო შექაპირის, წყაიბთვისას“ დაფორმულა, არამედ, საერთოდ, კლასიკის თანადროული ინტერპრეტაციის მიმართ დამოკიდებულებით გამოხატა, ნებისთ თუ უნებლით, აღვიძრავს ამ ორი სპექტაკლის ურთიერთმედარების დაუძლეველ სურვილს, რაგვარ ფიქრებს, აზრებს აღუძრავს ჰამლეტის ხასიათის ლუბიმიოვისეული ინტერპრეტაცია იმ მაყურებელს, ვისაც უყვარს ლუბიმიოვის რეჟისორული ტალანტი, ვინც ლუბიმიოვისეული რეჟისორული პოზიციის განსაზღვრებლია?

ლუბიმიოვის რეჟისორული ფანტაზიის აფეთქება, როცა

იგი ჰამლეტის ხასიათს ქმნის, არწმუნებს მაყურებელს, რომ მოსკოველ გამოსულ შავსეიტრიან ყმაწვილში, რომელიც გემრიელად ითათუნებს მუცელზე ხელს, სუნთქავს დანიელი უფლისწულის გონისა და ემოციების წინააღმდეგობრივი, ფილოსოფიური სული. მაგრამ დაცულია კი, შემდგომ გაგვეყვება ჩვენ ხასიათი ჰამლეტ-ვისოკისა, ვინც „ყოფნა-არყოფნის“ ქრესტომათიულ მონოლოგში დებს სასებით გაცხადებულ და გარკვეულ აზრს: „ყოფნა უწერიათ ჩემი ხელიდან თუ არყოფნა ხეგვს?“ შექაპირის ჰამლეტი, რომელიც ეკითხება ყველას და მთელ სამყაროს, მარადიულობას, „ყოფნა მიწურია თუ არა მე, ჩემს არსებას“, ეს ჰამლეტი — სიკვდილ-სიცოცხლის არსზე დაფიქრებული უფლისწული ვისოკისა გარდაისახება ადამიანად, ვინც გულშეჭირვებულა ფიქრთ მგელელობაზე, თითქოს იგი „ყოფნა — არყოფნას“, „მოგვლა — არ მოვკლასთან რითხავდეს“.

არა, არც პირველ რიგებში მსხდომი უხეირო მაყურებლებისთვის თვალში მიყრდითი ნაცარი და არც პრინციის ძველი ბიჭური ხმა არ აღვიძრავს აზრს, თითქოს სპექტაკლში შექაპირის აზრი გამჭრალი იყოს. სრულიადაც არა, მოყვარი ის კი არაა, რა აცვია ჰამლეტს, ან როგორ გამოიყურება იგი, მთავარია რაზე ფიქრობს, რას ფიქრობს იგი? დაე, ანაკუენოს ჰამლეტმა ის თავისი გიტარა. სიტყვამ მოიტანა და ვიტარაზე, აი, რას მოგახსენებთ. ტაგანკის თეატრში შექაპირის ტექსტი ბორის პასტერნაკის დიდებული თარგმანით ისმის. და თითქოს პიესის პასტერნაკისეულ ფერადობას უსვავენ ხაზსო, სპექტაკლის თავისებურ პროლოგად ფერის პასტერნაკის ლექსი, — „ჰამლეტი“, რომელსაც ვლადიმერ ვისოკი — ჰამლეტი მღერის. ამ წერილის ავტორი არამედარაჰაც არ ეკუთვნის იმ ხალხს, ვინც სპექტაკურადაა განწყობილი ვისოკის სასიმღერო პოეზიისადმი, დიასაც რომ პირიქით — მის ყველაზე გულმშურტავალ თაყვანისცემელთა რიცგვა მიათვლის



თავს. პასტერნაკის „ჰამლეტი“, რომელსაც ჩინებულად და გრძნობითად მღერის ვისოკი, თავისთავად, ძალიანაც მომწონს. მაგრამ უვერტიურა ხომ თითქოს იმისთვის არსებობს, რომ მაყურებლისა თუ მსმენელისთვის თავიდანვე ხასი გაუსვას მთელი ნაწარმოების ტინალობას, მის ძირითად აზრობრივ მიმართულებას.

როგორ ავხსნათ ტაგანკის თეატრის „ჰამლეტის“ პროლოგი? უბრალოდ ფეხტური რეჟისორული სვლა ხომ არაა იგი? აბა, სხვა რაღაა, თუკი პასტერნაკის ლექსი, მისი ყოველი სტრიქონი სულ სხვაგვარ ჰამლეტზე ფიქრითაა გამსჭვალული და არამედარაბე არ ემთხვევა ასეთ — ვისოკის ჰამლეტს. პასტერნაკის ჰამლეტი არის ფილოსოფოსი — მჭურტელი, „ჩუმი ჰამლეტის“ ვარიანტი, რომლის ტანჯვა უფრო შინაგანი, ფარულია, ვიდრე გარეგნულად აშკარად გამოვლენილი. პასტერნაკის ჰამლეტი ასე ევედრება ზეწანას:

«Если только можно, Аве отче, чашу эту мимо пропнеси».

და შემდეგ მთელ ლექსს რეფერენად გასდევს აზრი:

«Я люблю твой замысел упрямый и играть согласен эту роль, но сейчас идет другая драма и на этот раз меня уволь».

რა საერთო აქვს პასტერნაკის ჰამლეტს ვისოკის ჰამლეტთან — ფიქსელ, მშფოთვარე, ბობოქარ პრინციან, რომელიც აქტიურად ერევა ყველა მოვლენაში. დიას, ვეოანხმებით ა. ეფროსის, ათასგზით ვეთანხმებით, რომ ასეთი ჰამლეტიც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ რა საერთო აქვს ვისოკის საოცრად ენერგიულ, აქტიურ, ბობოქარ ჰამლეტს, რომელიც სულ-მოუთქმელად ეწაფება ცხოვრების ფიალს, პასტერნაკის ჩუმ, წყნარ, თვინიერ ჰამლეტთან, რომელიც დემრის ევედრება ამ ცხოვრების ავბედითი ამბები ამარიდებ, მათგან გამათავისუფლო?

შეუპიროს ტრაგედიაში ბევრი სიკვდილია, ბევრი გადასვლაა ყოფიდან არყოფნაში, ბევრი ფიქრია სიკვდილის იღუმ-ლებაზე. ნაკლები ვგაბი, კუმბო და საფლავი არც ლიუბიმოვის სპექტაკლშია. მაგრამ აქ სიოცხლისა და სიკვდილის ფილო-

სოფიური პრობლემა ძალიანტანებით იქცა მკვლელობის და მსხვერპლად შეწირვის პრობლემად.

ი. ლიუბიმოვის ძალზე საინტერესო სპექტაკლი ბევრ ფიქრს აღძრავს კლასიკის გათანადროლების პრინციპებზე. მით უფრო, რომ ახლა თეატრალური მოსოფი ელაღდება კიდევ ერთ „ჰამლეტს“, რომელსაც ლენინური კომპაგნიის სახელობის თეატრში დგამს ერთ-ერთი ჩვენი უნიჭიერესა კონორეჟისორი ანდრეი ტარკოვსკი. როგორი დიალოგი გაიმართება იური ლიუბიმოვის ნამუშევარსა და ანდრეი ტარკოვსკის პირველ სპექტაკლს შორის? ამას დრო გვიჩვენებს.


ახლა კი „ოტელოს“ დამდგმელის პრინციპულ პოზიციას მივუბრუნდეთ.

თავის გეგმებზე საუბრისას ეფროსმა ყურადღება გაამახვილა თანამედროვე სპექტაკლის აგების წმინდა ტექნიკურ მოთხოვნილებებზე. ხუთაქტიანი პიესა, რომელსაც მოქმედება გეგმაზომიერად, დინჯი, თანაბარი რიტმით ვითარდება, ორაქტიანი სპექტაკლში უნდა ჩატეულიყ.

„თქვენ წარმოვიდგინათ, — გაცხარებით წამოიძახა ეფროსმა, — მთელი მოქმედება გადის, მთავარი მოქმედი გმირი კი სცენაზე არცეი გამოჩენილა, როგორ უნდა დაგვეძაბა შეუპიროის დრამის რიტმი, რომ მაყურებელი უმაღლეს ჩაგვერთო ნაწარმოების მწვავე საკონფლიქტო სიტუაციაში.

შალაია ბრონზაის თეატრშიც სწორედ ბოროს პასტერნაკის მიერ თარგმნილი „ოტელო“ იდგმება და, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში რეჟისორული წაკითხვა ძალზე პარმიონრებს დიდი რუსი პოეტის დახვეწილ მანერასთან, მის ესთეტიკურ იდეალებთან, შესაძლოა, სულიერი მოძრაობის ნიუანსების წვედობის პასტერნაკისეულმა უნარმაც უკარნახა ა. ეფროსს ტრადიციებისგან განსხვავებულად, სხვაგვარი, ახალი კონცეფციით ავეო სპექტაკლი. მაურის სულის ამალმებულობა, მისი კეთილშობილება და სიმამაცე, არასოდეს იწვევდა ეჭვს, ამ შემთხვევაში კი რეჟისორის ყურადღება გამახვილდა უპირატესად იავის ბუნების ანალიზზე. ამით საცხებეთ შეიცვალა დესდემონას როლთან დამოკიდებულებაც. სპექტაკლში დესდემონა არაფერს აკეთებს და არც არაფერს ამბობს ისთვის რაც ტექსტში არ იყოს, მაგრამ თვით როლის ეფროსისეულმა გა-

სცენა სპექტაკლიდან „დონ-ჟუანი“



აზრებამ სულ სხვაგვარ ფსიქოლოგიურ საფუძველზე დაამყარა გმირის ხასიათი. ოლგა იაკოვლევა-დეზდემონა პიროვნებაა, პიროვნება, რომელსაც ახასიათებს მაღალი მორალური მიზანდასახულება, ძლიერი სიყვარულის გრძნობა. ტრადიციულად, დეზდემონა, პრაქტიკულად, იაგოსა და ოტელის განხეთქილების გამო იყო, იგი იყო ის თვინიერი, უწყვი იარაღი, რომელიც იაგომ მისთვის საქმეღველი მავრის გასანადგურებლად აირჩია.

ა. ფეროსმა გადაწყვიტა წინა პლანზე წამოეწია არა ის ამბიოთი კონფლიქტი, რომელიც პიესის სიუჟეტს ქნას, არამედ ჩაღრმავებულა იაგოს ინტრიგის ჩასახვის ფესვებსა და ფსიქოლოგიურ მიზეზებს. შექსპირის დრამაში ხომ სარდლისა და ჯარისკაცის კონფლიქტი თანაბრად ჭკვიანი და რთული პიროვნებების კონფლიქტია. იაგომ იმიტომ გადაწყვიტა ოტელის თვალში ჩირქი მოეხეტ დეზდემონასთვის, რომ ოტელის სულის მოძრაობის ლოგიკის გაანალიზება ძალუდა, მეტიც, მან შესძლო მოგონილი სიტუაციის სინამდვილეში დაერწმუნების ოტელი. ოტელის სულში დატრიალებული ტრაგედია უბრალოდ შეურაცყოფილი ოჯახის უფროსის გამჟინვარება კი არაა, ეს უმაღლესი კატეგორიის ტრაგედიაა. იაგომ შესძლო დაერწმუნებინა მავრი, რომ ვენეციელი ყმაწვილი ქალი, აგრეთვე გონიერი, განათლებული და პირმშვენიერი, ადრე თუ გვიან, აიყრებდა გულს თავის რჩეულზე. მეტისმეტად დრამა უფსკრული იდო დეზდემონასა და ოტელის შორის. შესაძლოა, იგი არც მოქცეულიყო იაგოს მიერ დასახული სქემის მიხედვით, მაგრამ მისი შინაგანი კრახი გარდუვლი იყო სწორედ მისი სულიერი სიმდიდრისა და სიფაქიზის გამო. ეს აზრი განსაკუთრებით ცხადად სპექტაკლის ფინალში იკვეთება. კულისებს იქიდან მოისმის ავბედითი ხმა მავრისა — იგი ქრესტომათიულ ფრაზას წარმოთქვამს:

«Молилась ты на ночь, Дездемона!»

ამ შეხების საპასუხოდ თათრებში ჩაცმული, აზრდილივით მსუბუქი დეზდემონა — ო. იაკოვლევა, ნელა იწვევს ტრიალს სცენაზე. ამ თავებუდამშვენი ნარნარის დროს

იგი რამდენჯერმე ერთნაირი ინტონაციით იმეორებს ერთადერთ სიტყვას: „უბედურება, უბედურება, უბედურება“ — და ამასვე ერთადერთ სიტყვაში, რომელიც დამდგმულმა ტექსტში ჩართეს, დაგვირგვინდა დეზდემონას სახის ის ძალზე თავისებური განვითარება, რომელიც მათ მონახეს. ბრწყინვალე მსახიობი — ო. იაკოვლევა რაღაცნაირი შინაგანი დაბეჯითებით, ძალზე ფაქიზი ნიუანსირებით ახერხებს მოძრაობის პლასტიკით, ხმის ინტონაციით გადმოსცემს მთელი ტრაგედია ქალისა, რომელმაც წამით იგრძნო, გააზრა, თუ რა ხეცდრი ელოდა მას, მიხვდა, რომ პოტენციურად იგი შვიძლებოდა არა უდასმავლად, მსხვერპლად, არამედ მავრის სამართლიანი მრისხანების მიზეზიც გამხდარიყო.

ა. ფეროსის სპექტაკლში არ არის მკველლობის ტრადიციული სცენა. მიინალება ო. იაკოვლევას ხმა, რომელიც ისევ იმავე სიტყვებს — „უბედურება, უბედურება, უბედურება“, ჩურჩულებს და ამ ხმის მინალებსათან ერთად სცენაზე ბნელდება. არავითარი შარიშური, დაცყრთი ბგერა, მხოლოდ რაღაცნაირი ყრუ, უჩამჩრუო დაძაბულობა ეუფლება მაყურებელთა დარბაზს და რამდენიმე წამის შემდეგ სცენა ნათდება და ვხედავთ ოტელისა და უსულ დეზდემონას.

მე საუბარი ფეროსის სპექტაკლის ფინალით იმიტომ დავიწყე, რომ იგი ნათეს ჭფენს მთელ რეჟისორულ ჩანაფიქრს.

სპექტაკლის ავტორი არა მარტო წყველის და კრულავს ბორტების ბუდეს — იაგოს, არამედ ცდილობს ახსნას მისი საქციელი. საქციელის ახსნის პოვნა იმას ნიშნავს, რომ გაუგო პერსონაჟს და, რაც უნდა პარადოქსული ამბავი იყოს ეს, თანადგრძნო კიდევ მას.

— მაგრამ ეს თანხმობას, მხარდაჭერას არ ნიშნავს, — ამბობს ა. ფეროსი.

მალია ბრონნიას თეატრში იაგოს როლს რსფსრ დამსახურებული არტისტი ლ. დუროვი ასრულებს. იგი ტიპიური იაგო სულაც არ გახლავთ. მეზღაურული მაისური, გაყრეცილი ჯინსები აცვია და მთელი მისი უხეში სოლადფონური გარეგნობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ, ისევ ა. ფეროსის

სცენა სპექტაკლიდან „დონ-ჟუანი“. დონ-ჟუანი — მ. კოხაიკოვი



სიტყვები გავიმეორებ, შექპირის თავსხარეული, რთული გმირი ასეთი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

იაგოს მიერ პირველ აქტში დაწყებული ინტროგა მხოლოდ კანონია მოვლენების, რომელიც შემდეგში უნდა გაისინას.

პირველ აქტში იაგო, შესაძლოა, არც იცის მთლად დარწმუნებული თავის გამარჯვებაში. შესაძლოა, ორგანომ ჯერ კიდევ გაუძღოს ტკივილს, მაგრამ იაგო წინ იხედება და მას პატივით სტრადება ოტელოს გულში შხამის პირველი წვეთების ჩაღრა.

იაგოს წამითაც არ შორდება ეს ფიქრი, მას ოტელოსთან საუბრის დროს სახის შეცვლა ხდება, მაგრამ იმ უფრო მძულვარე, შლეგი, სასოწარავყოითი, ისტერიული ხდება იგი, როცა მარტო რჩება, ან როდრიგოსთანაა. იგი წერილშიან კაცუნა ან ცივისსილიანი ინტრიგანი როდია. ის არის ადამიანი, რომელიც მონუსხული, დათრგუნული ჰყავს მაქინიარებას და სიძულვილს. აბა, როგორ! მისი აზრით, ყველაფერი თავდაყირა დავს. მინსაირები ხომ ქვემოთ არიან, ოტელოსთან რები კი მაღლა! გენი კასისთანა ხალხს იახლოებენ! უნდა და რიგი სუფევს, იაგოს რომ არ მოსწონს. იგი არ ურიგდება ამისთანა სინამდვილეს და ყველაფერს იკადრებს, აარაფრს წინაშე არ დაიხებს უკან. იგი შხავია! იგი იმს უტყვი, რომელიც იტყვიან ემოციური ადამიანები თავიანთი ახლობლების წრეში მას შემდეგ, რაც სხვები შეურაცხყოფას მიაყენებენ. იქ ძალა საყვის მსარეუე იყო და ქედი უნდა მოგვედრია, აქ კი, შინ, თავისიანებში ქვეითებ, ღრიალებ, იმუტრები და ვერა-ვეთარი ძალა ვერ გამოშინებ.

შემდეგ კი, შემდეგ, როცა იაგო ოტელოსთანაა, იგი კვლავ იძულვულია სხვა სახე მიიღოს და თვინიერ, მარჩილ კაცს დაემსგავსოს, მაგრამ სცენაზე, ჩვეულებრივ, ძალზე სწრაფად ხედებიან, რომ ეს თვალმომკნობაა, სინამდვილეში კი ერთი კაცი წლები მანძილზე ვერ ხვდება მეორის ავკაცობას.

იაგო ოტელოზე ძმასავით ზრუნავს, წებს, ხომ მავრს საფრთხე ემუტრება, უნდა, რომ მას ეს საფრთხე ააცდინოს, ოტელოს იაგოს დამწვიდება კი უხდება. ოტელო ნაშვილად დამნაშავე გრძნობს თავს იაგოს წინაშე — ჩემი ჯორწინების გამო ასე წებსო. კარგი ხალხი ხომ რაიმე საფრთხის დროს თავისთავზე მეტად სხვაზე ზრუნავს, კარგი კაცი, ასევე, იქით ამწვიდებს მის თანამდგომელ ხალხს, არწმუნებს მათ, ყველაფერი კარგადაა, ნუ წებსართ, იმდენი საფრთხე არაფერი შემუტრებაო.

პირველი აქტის ბოლოში იაგოს ხელის მოცარვის საშინელი გრძნობა უჩნდება, თითქმის ხომ ასე იოლად მოუწყობ ინტროგა ბრანბანცი. მაგრამ ომმა მთელს მდინარებას უკუღმა შეატრიალა. ახლა იაგომ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო. ეს მხოლოდ სცენურ „სასცენი ნიშნებია“, მაგრამ რა დიდი მნიშვნელობა იქნება!

მეორე აქტი. კვლავ გრძელი ექსპოზიცია, მოქმედების ახალი ადგილი, ახალი ვითარება.

იაგომ სხვანაირად უნდა წარმართოს საქმე. აქ რევისორი მამივე პოულობს მეორე აქტის ცენტრს.

„შექპირი ისეთია, რომ, — ამბობს ა. ვერსოვა, — ვიდრე მთავრის უმთავრესს მიაღწევს, შემც იღებენ და ხალხსაც დღია. აი, ამიტომაც საჭირო, რომ მთავრის უმთავრესის წინ სულის მოთქმა შესძლო.“

პირველი მარცხის შემდეგ იაგოს ახალი განზრახვა ენადება — ოტელო და კასიო უნდა წაჰკიდოს ერთმანეთს. მაგ-

რამ ის, რაც იაგოს ვარაუდით უნდა მოხდეს, მხოლოდ პირველი ბოლოს ხდება, ამ მომენტამდე კი, წინასწარ, იმდენაა მანი რამაც გასაკეთებელი, რომ მათი გაკეთება ძალზე მახვილ-გონიერულადაა საჭირო.

და დეუსდემონასა და იაგოს შემოსვლის სცენაში იწყება ახალი ინტრიგის კულმინაცია. იაგო უხუშ ხუმრობებს აფრქვევს დეუსდემონას გასართობად.

ბოლოს, თვით ოტელოც მოდის.

და მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნდება შექპირი იაგოს ინტრიგას. იაგო როდრიგოს არაწმუნებს, დეუსდემონას კასიო უყვარს, ეს იმისთვის უნდა, რომ შემდეგში როდრიგოს კასიოზე აღამართინოს ხელი. მაგრამ ეს იქნება შემდეგ, ჯერ კი ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც იმ მთავრის უმთავრესს თითქმის არც ესება!

ა. ვერსოვი ყოველთვის იმას ცდილობს, რომ თავი აარიდოს ზედმეტ დეტალიზაციას, ექნება ლაკონიურ ფორმას სიუჟეტური კოლიზიის გადმოსცემა.

— გულსხეთქვით ვიგონებ ოტელოს ნანას სპექტაკლს, — ამბობს ა. ვერსოვი, — სცენაზე კვიპროსელები ირკიდენ. არა-და, ეს მასა არაფერში საჭირო არ იყო. იდეა ერთი ყაყანი და გნიასი. ცუცო გგონია, რომ ყველაფერი ეს — ომი და ა. შ. — ძალზე სკისრულად და გულმოდგინედ უნდა კეთდებოდა. მერედა, რა გამოდის? რაც უფრო სერიოზულად და გულდა-მგობით აკეთებ, მით უფრო ზრუნე და უღიმღამო რამ გამოდის, რადგან მოქმედება ალთას რომ უნდა მიდილობს, ბალ-თას მიდის, ხელიდან გაიხლტება ის, რაც სინამდვილეში არსებობდა, მაგრამ აქ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს უნდა გავსავსო ხაზი, პირველი — ესაა დეუსდემონას წესილი, მღელვარება — ოტელოს ჭირბოლოვანი ხომ არაფერი მოუვაო. ამ შინეულ მოლოდინს ტექსტის რამდენიმე გვერდი ეთოზობა, თუმცა თვით ტექსტი, გარგებულად, შეიცავს ქალების თათბარს იაგოსთან სანახევროდ ხუმრობით დავსა. ამ მოლოდინის შემდეგ მოდის ოტელო, შედარდება სეფაჭურული, რომელიც ასე გამოიშვებულადა, აშკარად შემდეგ არ გამქლავდება, რადგან შემდეგ სხვა რამ იწყება.

მეორე მომენტი, რომელიც შემდეგ ასევე არ შორდება, ისაა, რომ სცენაზე დეუსდემონა და იაგო დიდხანს არიან ერთად. ამ სცენაში ბ. იაკოვლევასა (დეუსდემონა) და ლ. დუროვის (იაგო) ბრწყინვალე წყვილმა რევისორის ჩანაფიქრის მთელი არსი გადმოსცა. სწორედ აქ დავიწყებ ძირველყოფილ გარდატეხა დეუსდემონას ხასიათში, რომელმაც შეძრა მისი არსება და პიროვნება ბრძნულ წინასწარჭურტამდე მიიყვანა.

იაგოს ინტრიგა ოტელოს წინააღმდეგ დეუსდემონას უკავშირდება. ოტელოს დაქორწინებამ დეუსდემონაზე იაგო როდრიგოზე ნაგებობდა და იმ შეატრუნა. ოტელომ შეცვალა გენეციის ერთი უმშვენიერესი ასული. იაგოს ეს ცუდად ხედება გულზე არ უნდა ამისი დაჯერება. ამაში უნდა რაღაც უმთავრესი იდინახოს, იმიტომ, რომ ამით მეტ შევება იგრძნობს, საქმე ისაა, რომ პრინციპულად რომელიც უნდა შეურაცხყოფს იაგოს — ჩვეულებრივია.

და, აი, იაგო დავს ამ ქალის გვერდით და ხედავს, როგორ წებს იგი თავის ქმარზე, და გრძნობს, რომ ეს ქალი თვითონ მასაც მოსწონს. და საკუთარი ღრისების გრძნობის შენარჩუნების განზრახვით, იაგოს უნდა უნდა უნდა უნდა და ხუმრობის ფორმით მიანიც უხსრას რამე უხუში, ბიძებო! დიას, მე ჯარისკაცი ვარ და ქალები ასე მესმის! ხოლო შემდეგ მე

დავინახავ როგორ მოვა ოტკელო და როგორ შეხვდებიან ისინი ერთმანეთს და მაგრამ ამის გამოც ვასდევ ღღინამდელი!

მეორე აქტის პირველი ნახევრის დამთავრებისას იაკო კვლავ მარტო რჩება. ახლა იგი უკვე უწინდელზე უფრო მშვი- დადაა, საქმემ ცოტა წაიწია წინ

იგი იხსენებს, რომ დღუდემონსა და კასიოს სიყვარული მოუარა და იცინის, — კინაღამ მე თვითონაც დავიჯერე უკ ამბავით. მაგრამ, რაც მთავარია, ისეთი პირი უჩანს, რომ თავად შეყვარება დღუდემონა. მერე რა მოხდა, იმშვიდდეს თავს იაკო, ეს მე ოტკელოსთან ბრძოლაში დამემარტებო.

ყოველივე იმამი, რასაც იაკო ლაპარაკობს, არს რაღაც ლოგია, მაგრამ თვითონ იგი ამას დიდ მნიშვნელობას არ აძლევს. რაიმე ცუდის გაკეთების აუცილებლობა მისი „გუ- ლოთადი საქმეა“, ლოგია კი მხოლოდ გინებასთან თანახმიანობისათვისაა სჭირდება.

იაკო ცუდად გრძნობს თავს იმის გამო, რომ ამქვეყნად ასეთი უმნიშვნელო როლი აკისრია. იგი ცუდად ვრძნობს თავს, რამეთუ დღუდემონა ოტკელის ცოლია. იგი უბედურია, რადგან ლიტენანტობა კასიოს ერგო.

სამუშაოდ, იაკოს ხასიათი ყოველთვის გააზურებულა, როგორც მხოლოდ მოძრაობის შაზამა, თეატრალური სატანა, მაგრამ როცა დუროვის იაკო სცენაზე მიმოიღის და რაღაცას ფიქრობს, დიდი ინტერესით უყურებ მას და გუჟინს მისი. სწორედ აქ იპოვება ის გრძნობა, რომ ხალხებ — ის სხვა- ხანად ვერ მოიქცევა და ხსნი მის ხასიათს. თუ ამგვარი „გამართლების“ მომენტი გამოირიცხა, გვირთან უთანხმოე- ბაც მტუიშტატად ცალმხრივი რამ გამოვა.

საბექტალის მხატვრული და მუსიკალური გაფორმება უმ- თავისუი კომპონენტებია დამდგენი რეჟისორის პოზიციის გასახსნელად, „ოტკელოში“ მუსიკალური რეჟერე იქცა სცე- ნაზე განვითარებული მოვლენების სრულყოფილად მონაწი- ლედ, დეკორაციულ ფაქტურა კი რეჟისორის მიერ დასახული ამოცანა — ტრაგედიის მთელი ღრმა ფსიქოლოგიური კანვა წარმოადგინა შეკუმშულად, დაწეხილად — თვალსაჩინოდ ხორცშესხმის საშუალებად.

ა. ფეროსი, რომელიც ამ ბოლო ხანებში ბევრ თეორიულ ნაწარმოებზე დასვას ცნება „კლასიკის თანადროული წაკითხვის“ თაობაზე, ამ ცნების აზრზე, აუცილებლობამ მოსთხოვა თავისი თეორიული იდეების, თავისი მხატვრულ-მომოქმედებითი პო- ჟიციის შესატყვისი პრაქტიკული, ცოცხალი ნიმუში შეექმნა. ამიტომ, რეჟისორისთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო თავადვე განუსაზღვრა საბექტალის ყველა კომპონენტი. საბექტალის მუსიკალური გაფორმება თვითონ ა. ფეროსი ეკუთვნის. მანვე აქტებური მონაწილეობა მიიღო მხატვარ დიმიტრია კრილოვის მუშაობაშიც.

— როცა ლევენტალთან ვემუშაობდი, თვით მუშაობის პროცესს ვერ ვხედავდი. კვირაში ერთხელ ვაკითხავდი სახე- ლისონში, ვესაუბრებოდი ერთხანს და, მორჩა, როგორ მუშა- ობდა, არც ვიცოდი — მუშაობის პროცესს ვეულისებობ, ამ პროცესს არ ვიხსენებდი, — ამბობს ა. ფეროსი, — ახლა კი, ამ საბექტალზე მუშაობას თავიდან ბოლომდე ვხედავდი, რად- გან მხატვარი ჩემთან, ხალხში მუშაობდა — იგი ხომ ჩემი შვილია, თავიდანვე ვადაწყავა, რომ სცენაზე დავიგებებოდა და, რომელიც დასახდებოდნენ მოქმედი პირები, თუ რო- გორი სკამი იქნებოდა, ამის მიგნება ადვილი არ გახლდათ. ვგრძნობდით, რომ იგი მასსარი —სლაშპარე უნდა ყოფილიყო, რათა აგვეცდინა ბევრი არაფრისმთქმელი რეკვიზიტი, რომ-

ლებიც ცოტა როდი გვინახავს „ოტკელოს“ დადგებში. საბე- ცელიც კი „ნახებდებარისკაცი“ უნდა ყოფილიყო.

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ცნობითი შექაზიროლოგი მორთობი ამტკიცებდა, რომ შექაზირი თავისი ფაქტურით შალაშულისა. და, აი, ლიუბიმოვმა და მხატვარმა ბორისკინ- თქმნეს თავიანთი ბრწყინვალე ნაქსოვი ფარად „ჰამლეტის- რეჟისი“, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო „ოტკელოს“ ფაქტურა? რაიმე ჯარისკაციული, სალაშქრო ყოფა უნდა წარმოგვესახა? თუ სხვა რამ? ვენცია, კვიპროსი... მაგრამ საქმე კვიპროსში როდია, თანაც, კვიპროსი, როგორც გენებოთ, ისეთია... და რეჟისორი თავისთვის სასურვარს, რომ მთავარი და არსებითი აქ ლაშქარში ატოსსფეროა. ირგვლივ თავისი ჯარის ხალხი ირევა, რაღა არ ხდება, ომი... ფაფურაკები, საფურახე... მაგ- რამ, ეს რა ამბავია, ასეთ დროს, ასეთ ვითარებაში ამ შვე სარდალს სენატორის ასული უყვყვარდა და შეირთო კიდევ! ამ ხლართში უკვე თავისთავადაა ჩაქსოვილი დრამა, წინაღ- მიხობაა. ყველაფერი ეს უღრობ დროს მოხდა, რაღა დროს ამისთანა ამბები იყო: მაგის დაზე სენატში თავის სიყვარულ- ზე უხდებდა ლაპარაკი. ამ დროს შემოდინა მეზღაურები და თურქების ამხავს მოახსენებენ სარდალს. სენატორები უგულ- ლისყურედ უსმენენ ოტკელის, რადგან ახლა მათთვის სულ სხვა რამაა მთავარი. კვიპროსზე ერთიერთმანეთზე მიყოლე- ბით ტრიალდება უბედურება — ჯერ წალაპარაკება კასიოსთან, შემდეგ ცოლის თაობაზე საშინელი რამის გაგება. ოტკელის ვერ გაუგია, რა ხდება, ირგვლივ ყველაფერი თავდაყირა დგას — ახელა საქმე ამარია, ამდენი ხალხი აშკვია, თანაც, სადღაც, ქვეშევსეულად, გრძნობს, რომ თავად არ უჭერია ბედ- ნიერი დღე. შვია! თანაც, ბურღებს! განურყრლად თანა სდევს მისი ბედნიერების დამცველების განცედა, განცედა იმისა, რომ იაკოსთან ხალხი მიიწე ნორმალურია, თვითონ კი არა- ნორმალური.

ყოველივე ამის ერთობლივად გაცნობიერება იმ ოტკელის სახის არსს ქმნის, რომელსაც ა. ფეროსის საბექტალში რსფსრ დამასახურებელი არტისტი ნ. ვილკოვი თამაშობს. და საბე- ტალის ფაქტურის გადაწყვეტა როგორღაც უხილავად, მაგრამ სავსებით გააზრებულად პარმონირებს მაგის სახის გააზრე- ბასთან. ამ რეჟისორულ ჩანაფიქრსა და გადაწყვეტაში არის მკვეთრად გამოკვეთილი, საკმაოდ გართულბული ლოგია, თუმცა საბექტალის ავტორის ინტერესი, ძირითადად, მიმარ- თულია დღუდემონსა და იაკოს ხასიათების ნიუანსთა ფსიქო- ლოგიური ანალიზისკენ, — თვითონ ესენი კი, — დღუდემონ- და იაკო, სიტუაციები, რომლებშიც ისინი მოქმედებენ, გა- ნურყრლად დაკავშირებული ოტკელოსთან. ამ ორი პირვე- ნების — დღუდემონსა და იაკოს — რეალური და ემოციური არსებობა განპირობებულია, პირველ ყოვლისა, მათი მავრთან ურთიერთდამოკიდებულებით.

ასეთ ატმოსფეროში აღმოაჩენს, ასეთ წყალქვეშა დინებას აგნებს რეჟისორი შექაზირის დრამაში.

ტუმარტივ ხელოვნებას ადამიანის სული თვითაზიროვნების ინდივიდუალური სტრუქტურის ხასიათის შესაბამისად ეხმარ- ნება. და როცა ეს სუბიექტური აღქმა, სუბიექტური წარმოსა- ხვა ქმნის მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი აზრებისა და ემოცი- ეების საშაყრს და სტიმულს იძლევა ახლის, თვითმყოფადის შექმნისათვის, შეძლება თქვას, რომ ტუმარტივ ხელოვნებასთან, ნამდვილ ნიჭთან გააქვს საქმე.

ჩვენ ზემოთ სწორედ ამგვარ ნამდვილ ხელოვნებაზე, ნამ- დვილ ნიჭზე ვსაუბრობდით.



საქრებულო მასკლა

სათანალო მოვლა-პატრონობას

მოითხოვს

დოლო ანთაძე

1923-24 წ.წ. სეზონის დაგეგმვის დროს კოტე მარჯანიშვილმა განიზრახა განეხორციელებინა „ფეფხის-ტყაოსნის“ ინსცენირება. ამ მიზნით მან შექმნა სარეჟისორო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თვით კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახ-მეტელი, მიხეილ ქორელი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე გველესიანი და ამ წერილის ავტორი. ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მარჯანიშვილი ჩანაფიქრის განხორციელებას. სამუშაოში მთელი დასი ჩაება. საკონსულტაციოდ მოიწვია ჩვენი ცნობილი მეცნიერები, პირველ რიგში დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც კარგად იცნობდა ჯერ კიდევ ვაჟთა პირველი ვიზნაზიდან, სადაც ისინი ერთად სწავლობდნენ. მოიწვია აგრეთვე ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი და სხვანი. მუშაობა მიმდინარეობდა ძალზე საინტერესოდ. გადაწყდა პრინციპი მომავალი სპექტაკლის მხატვრული გაფორმებისა: დეკორაციები უნდა ყოფილიყო წიგნის მსგავსად ტრაპეტიკი, მხოლოდ წამყვანს — მკითხველს ეს

დეკორაციული „წიგნი“ მოქმედების დროს უნდა გადაფურცლა ცალკეულ „ფურცელზე“, რაც შექმნიდა სულ სამ დეკორატიულ ნაკვეთს: ორს გვერდების და ერთს — შუა, ცენტრალურ დეკორატიულ ნაკვეთს. სწორედ ამ ნაკვეთებში გათამაშდებოდა ცალკეული სცენები. მხატვრობა დაეკისრა ირაკლი გამრეკელს, მუსიკალური გაფორმება — თამარ ვახვახიშვილს. მას უნდა ემუშავა დიმიტრი არაკიშვილის ხელმძღვანელობით და უშუალო კონსულტაციით. როლებიც სათანადოდ იყო განაწილებული, ვინაიდან წამყვანს, მიხრობელს ავტორისაგან ენიჭებოდა დიდი ფუნქცია. ამ როლზე დაინიშნა რამდენიმე კანდიდატი: აკაკი ფაღავა, აკაკი ხორავა, ილია სურაბიშვილი და შალვა დადიანი. როლები კი შემდგენიარად განაწილდა: ტარიელი — გ. დავითაშვილი. ავთანდილი — გ. დავითაშვილი და აკ. ვასაძე. ნესტან-დარეჯანი — ნუცა ჩხეიძე და თამარ ჭავჭავაძე. თინათინი — ალისა ქიქოძე და ვ.

ანჯაფარიძე. როსტევეანი — აკ. ხორავა და შალვა ღამბაშიძე. ასმათი — ელენე დონაური. სოგრატი — შ. ღამბაშიძე. 1-ლი ვეზირი — უშ. ჩხეიძე. 2-რე ვეზირი — ვერე ჯიქია. ამილახვარი — პავ. კანდელაკი. უფროსი მონადირე — ზუსუტი მადლაკელიძე. მონა — კოტე მიქაბერიძე. სამწუსაროდ, დიდმა ხანმა განეყო მას შემდეგ, მესხიერებამ ვერ შემოინახა ყველა დეტალი ამ მეტად საინტერესო მუშაობისა, მაგრამ არსებობდა დღიურები, რომლებსაც მე პირადად ვაწარმოებდი მარჯანიშვილისა და კოლეგიის დაჯალბებით, სადაც დეტალურად იყო აღწერილი მთელი პროცესი ამ საინტერესო მუშაობის მიმდინარეობისა. ასევე კარგად მახსოვს თვით ტექსტის მონტირებული ცეზემლარი. ეს იყო დიდი ცალსახაინი საკანტორო წიგნი, სადაც ვაწუბებდით „ვეფხისტყაოსნის“ მონტირებულ ტექსტს. პირველ ფურცელზე აღნიშნული იყო მარჯანიშვი-

ლის დავალებით ანდრონიკაშვილის ხელით დაწერილი შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ და შემდეგ სარეჟისორო კოლეგიის შემადგენლობა.

ამას წინათ პირადი არქივის გარეგნის დროს წავაყვდი ალექსანდრე ახმეტელის ერთ მეტად საინტერესო ინტერვიუს, რომელიც, კარგად მასსოვს, ახმეტელსა დაწერა წერილის სახით და გადასცა რედაქციას. ტექსტი პირადად მე ჩავაბარე რედაქტორს. ინტერვიუ მოთავსებულია პატარა სარეკლამო ჟურნალ „ჩრდილონაში“ (№ 11 4—1! დეკემბერი, 1923 წელი). ამ პატარა ჟურნალში ქვეყნდებოდა თეატრებისა და სხვა სანასაობათა პროგრამები და რეპერტუარი, მდიდარი ქრონიკა და აგრეთვე წერილები თეატრისა და ხელოვნების საჭირობოზე საკითხებზე. სწორედ ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნული ინტერვიუ ახმეტელისა რუბრიკით — „Решиссеры о своей работе“. Интервью с режиссером Груздрамы Александром Ахметели.

ტექსტი მომყავს შემოკლებით:

Грузинская драма на пороге большого исторического события. По инициативе и под руководством дорогого нам Константина Александровича Маджанишвили коллегия режиссеров Груздрамы в составе самого Константина Александровича, Андроникашвили, Корели, Пагава, меня и помощников реж. Антадзе, Гвельсани приступила к работам по инсценировке величайшего произведения Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре». Кроме коллегии режиссеров к участию привлечен ряд лучших знатоков Руставели, профессор Госуниверситета, задачей коих является установление точного текста произведения, а также привлечена вся труппа в смысле изыскания путей художественного выявления героев и лиц инсценируемого произведения.

С сознанием колоссальной ответственности пред творением гения XII века, мы все с трепетным благоговением принимаем призыв нашего Коте приступить к этой трудной работе, чувствуя, что тем самым мы отдаем на суд истории всю культуру нашего, еще сравни-

тельно по летам молодого театра. Но осознанная нами и испытанная вера в мощный талант нашего руководителя Константина Александровича бодрит и вселяет нам уверенность в том, что театр выйдет победителем.

ესაა დასაწყისი ინტერვიუსი, რომლის ბოლოიც მიწერილია, რომ გაგრძელება იქნება.

მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგი ნომრები მე არ გამანია, ვერც სხვაგან მივაკლდე, არ აღმოჩნდა არც თეატრული მუზეუმში, არც ცენტრალურ არქივში და არც ბიბლიოთეკებში. იქნება ვინმეს ჰქონდეს შემთხვევითი შემორჩენილი, — დიდად დავავალებს, თუ მოგვაყვდის. სხვათა შორის, ამ პატარა პროსაქტეს ხშირად უკვირდნენ სახელმწიფოს, ხან ერეკა „რამაში ა ვიხს“, „ტეატრალნი ტბილისი“, „პროგრამა“ და სხვ.

ვეფხობით, წერილის შემოთავაზებით პატარა ნაწილიც მრავალმხრივ საინტერესოა. ჯერ ერთი, იძლევა სურათს, თუ როგორ მუშაობდნენ ამ დიდ და სასუსხმებელთა მასალაზე, ამავე დროს, ერთგვარად ნათელიყოფს ახმეტელის დამოკიდებულებას მარჯანიშვილისადმი. „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირების ცდა არ არის პირველი შემთხვევა: ამავე დასახუბრულად მოგვიხსრობს პროფესორი და ჯანელიძე თავის საინტერესო სტატიაში „რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ — თეატრსა და დრამატურგიაში“. თეატრმოციფე 5. ურუშაძე ფართოდ და მეცნიერულად ასაბუთებს ამ საკითხს თავის სადისკრტაციო შრომაში „ვეფხისტყაოსანი“ — ქართულ სასცენო ხელოვნებაში“.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ რეჟისორმა აკაკი ფაღავამ ჩვეული კეთილსინდისიერებით მეტად საინტერესო ინსცენირება გააკეთა, სადაც ოდნავადაც არ გადაუხვევია ავტორის ტექსტიდან. ეს შრომა ჩვენი თეატრების ყურადღებას მოითხოვს.

ახმეტელის წერილთან დაკავშირებით მე ურთვლი აღმეძრა გადამეხინჯა ჩემს მიერ წარმოებულ ჩანაწერები დღიურებში, რომელიც დაცული იყო რუსთაველის თეატრის მუზეუმში, რაც კარგად მასსოვს და ბევრჯერ მინახავს, როდესაც ამ თეატრში ვმუშაობდი დირექტორად. ამ დღიურებს იხსენებს პროფესორი და

ჯანელიძე ჯერ კიდევ 1937 წელს. მე დღე — თეატრმოციფეები ნინო შანაველი გირაძე და 5. ურუშაძე. 5. ურუშაძე თავის სადისკრტაციო ნაშრომში, სხვა მასალების მითითებასთან ერთად, აღნიშნავს ამ მასალასც, მიუთითებს, რომ ისარგებლა დღიურიდან № 776. 5. ურუშაძის ნაშრომი გამოქვეყნებულია 1967 წელს, როგორც ჩანს, ამ დროისათვის ეს საარქივო მასალა არსებობდა. ხოლო როდესაც მისაბრუნე რუსთაველის თეატრის მუზეუმის გავცხ, მან განმიცხადა: ასეთი რამ ჩვენთან არ არისო, არც დღიურები და არც თვით ინსცენირების ტექსტი არ აღმოჩნდა, მასალები უზუსტულად გაქრა. ვის დასკრტავს ამ თუ გამოიყენა, რატომ არ დააბრუნა უკან? მუზეუმში არ არსებობს არც ჩანაწერი და არც რაიმე ცნობა, თუ ვინ წაიღო ეს საინტერესო მასალები. იქნება ვინმეს შემთხვევით აქვს და ამ გახსენებაზე დაბნეუნოს დაინშნულებისამებრ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს თეატრალურ მუზეუმში ბევრი საინტერესო და თეატრის ისტორიის მკვლევართათვის საჭირო და აუცილებელი მასალაა. სასურველია, რომ არსებობდეს უფრო მკაცრი წესი სამუზეუმო მასალების დაცვისა, ორგანიზებული იყოს დოკუმენტების მეცნიერული შესწავლა. ამავე დროს, ეს მასალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებულ მკვლევართათვის.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ უპატრონოდაა ის მასალები, რომლებიც ინახება კერძო ბინებში, ამ იოჯახებში, სადაც ესა თუ ის მოღვაწე უკვე გარდაიცვალა. მათი არქივი ჯერ შეუსწავლევი და მოუვლეულია.

ყველას კარგად უნდა მოესვენებოდეს, რომ ჩვენი კულტურის, ხელოვნების ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვანი და ძვირფასია ამ არქივებში დაცული ყველა დოკუმენტი.

კომპოზიციის საყარო

ბაულ ჰინდემიტი

მსმენელზე მუსიკის ზემოქმედების ეფექტს უმეტესწილად ასე ხსნიან: იგი გრძობებს გამოხატავს, მაგრამ საკითხავია ვისას? კომპოზიტორის, შემსრულებლის, ცალკეული მსმენელის თუ აუდიტორიისას მოდიანად?

მე კი მგონია, რომ მუსიკას არ შეუძლია კომპოზიტორის გრძობების გამოხატვა. დაეუფვას, კომპოზიტორი წერს სამელოდიაო მუსიკას, რომელიც ძალზე ინტენსიურ სამივიან მუშაობას მოითხოვს. ნუთუ ოთხმოცდაათი დღის მანძილზე იგი მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობს? მას რომ სამი თვის მანძილზე განცდილი ყველა გრძობა გამოხატა, მაშინ მსმენელის წინაშე წარსდგებოდა საშინელი სიჭრელე, რომელშიც პირქუშ სამელოდიაო ეპიზოდს უმნიშვნელო ადგილი დაეთმოებოდა.

ან იქნებ კომპოზიტორი მხოლოდ ერთხელ, პირველი ფრაზების შეთხზვის დროს, უნდა ჩაღრმავდეს თავისი მომავალი ნაწარმოების განწყობილებაში და ეს საკმარისი აღმოჩნდეს შემდგომი მუშაობისათვის სამყარო მწუხარების მარაგის დასაზოგებლად? მე წინამორბედზე უფრო სასაცილო იდეაა, რადგან უსაფუძვლოა ფიქრი, რომ სხვადასხვაგვარი გრძობების მწკრივში მ-

ინდამაინც პირველსა აქვს მნიშვნელობა. თუ გრძობებს ერთნაირი ინტენსიურობა ახასიათებთ, მაშინ, ალბათ, ყველაზე ძლიერი უკანასკნელად განცდილი გრძობა იქნებოდა. მაგრამ თუ გრძობათა ინტენსიურობა ერთნაირი არაა, მაშინ, ცხადია, მათ შორის ყველაზე ძლიერი მოიპოვებს უპირატესობას.

ღიახ, ცდება კომპოზიტორი, თუკი მაინც ფიქრობს, რომ მუსიკაში თავის გრძობებს გამოხატავს. აი, რა ხდება სინამდვილეში: კომპოზიტორმა თავისი გამოცდილების წყალობით იცის, რომ გარკვეული ხერხები გარკვეულ ემოციურ რეაქციებს იწვევენ მსმენელში. მიმართავს რა ხშირად ამ ხერხებს, იგი თავისი დაკვირვების დასტურს მსმენელთა აღქმაში პოულობს. აქედან გამომდინარე, იგიც იმსჯელება შესაძლებელი მსმენელისეული რეაქციებით და იჯერებს, რომ თვითონაც მსგავს მდგომარეობაში იმყოფება.

აქედან უკვე ერთი ნაბიჯია რწმენამდე, რომ კომპოზიტორი არა მარტო სხვა ინდივიდუალთა გრძობებს გამოხატავს, არამედ თვითონაც შეპყრობილია იმავე გრძობებით და მზადაა ყოველივე გამოხატოს კალმის ერთი მოსმით...

შეუძლია კი მუსიკას შემსრულებელთა გრძობების გამოხატვა? არტისტები (ვოკალისტები, ინსტრუმენტალისტები, დირიჟორები) ნახევარღმერთებიც რომ იყვნენ — უმეტესობას ხომ ძალიან უნდა მსმენელის თვალში სწორედ ასე გამოიყურებოდეს, ზოგიერთს კი თავი ასეთად მიანიჭა კიდევ — ისინი მაინც მხოლოდ გადამცემი სადგურის როლს ასრულებენ იმ მუსიკალური ნაკადის მიმართ, კომპოზიტორიდან მსმენელამდე რომ მოძრაობს. ამ თვალსაზრისით შემსრულებლებიც ისევე იტყუებენ თავს, როგორც ზემოთ აღნიშნული კომპოზიტორი...

მაგრამ თუ მუსიკა გრძობებს არ გამოხატავს მაშინ რანაირად ზემოქმედებს იგი ჰაინელზე?

სასებით დასაშვებია, რომ მუსიკალური ნაწარმოების მოსმენამ მსმენელში ერთნაირად აღლუგოს. ე. ი. მუსიკა მათში რაღაც რეაქციებს აღძრავს. მაგრამ ეს რეაქციები გრძობები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ ისინი ასე სწრაფად ვერ ყოველიდნენ სახეს. ავიღოთ მაგალითი ჩვენს პირადი ცხოვრებიდან: განა ღრმა მწუხარებაა ადვილად სცვლის მზიარულება? მომენტალურად ვერც მზიარულება გადაიზრდება გარინდებასა და სიმშვიდეში. ნამდვილი გრძობებია მოითხოვენ დროის გარკვეულ პერიოდს განვითარებისათვის, კულმინაციას და ჩაყვრისათვის. მუსიკით აღძრული რეაქციები კი იბადებიან ყოველ ნებისმიერ მომენტში და უკვალოდ ქრებიან მუსიკის სასიათის შეცვლისთანავე. ე. ი. რამდენიმე წუთის

განმავლობაში ხდება გადართვა სრულიად საპირისპირო განწყობილებებში — დამორგწვევლი სევედიან ხმარობს მხიარულებაში, მხიარულებიდან სიმშვიდემი, თანაც ისე, რომ ეს ნახტომები მსმენელთა აღქმას არ ანიჭებენ ზემოთრივი ტანჯვის შერქმენებას. ასეთი რამ რომ დაემართოს თქვენს რომელიმე ნაცნობს, გვეგონებათ, რომ იგი ავადაა...

დიას, მუსიკით აღძრული რეაქციები გრძნობები არაა. ეს უფრო „მოგონებები გრძნობებზე“. ასეთი გრძნობილობითი მოგონებები შეიძლება შევადაროთ მოგონებებს იმ ქვეყანაზე, რომელშიც ადრე გვიმოგზაურია. ამ მოგზაურობას თავის დროზე მოვანდომეთ, ალბათ, რამდენიმე კვირა ან თვე. მაგრამ, როდესაც მესხიერებს მოიხმობ ან ადაღვენ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას, მაშინ რამდენიმე წამში შეიძლება თავიდან, თანაც თანმიმდევრულად, განიცადო ყველა ის შთაბეჭდილება, რომელიც შეგვიგრძნობია სინამდვილეში.

მუსიკით აღძრული რეაქცია აყალიბებს ჩვენში ემოციური აღქმის ფანტასმაგიურიულ სტრუქტურას, რომელიც ჩვენზე ზემოქმედებს რეალური გრძნობისათვის დაბახასიათებელი სიმძაფრით. მაგრამ ჩვენში რეაქცია არ წარმოიქმნება, თუკი გამოუმუშავებული არ გვექნება შერქმენა ნამდვილი გრძნობებისა, მუსიკალური შთაბეჭდილებები გვიღვიძებენ რა მესხიერებას, სწორედ ამ გრძნობებს ვახსენებენ, მოვავსებენ.

მუსიკა ბიძგს რომ არ აძლევდეს მოგონებათა აღმოცენებას მესხიერების მარაგიდან, მაშინ იგი უაზრობამდე დაეშვებოდა და მხოლოდ ოდნავ წავლიტინებდა ჩვენს ყურთასმენას. ჩვენ ვერ დავუპირისპირდებით წარსული გრძნობების აღდგენა-აღორძინების ამ პროცესს. ეს ჩვენს შესაძლებლობას აღმუხატება და საჭირო არცაა, რადგან მუსიკის „ათვისების“, „შემენების“ ერთადერთი საშუალებაა — განცდილი სახეებში მისი დაკავშირება. და თუ მუსიკა ვერ ამყარებს ასეთ კავშირებს, ჩვენ მაინც ყოველწინარე ვცდილობთ ჩვენსავე მესხიერებაში მოვიძიოთ მუსიკალური შთაბეჭდილების შესაბამისი გრძნობა.

დავეუვათ, რომ ვერ ვაღწევთ მიზანს — ვერ ვპოულობთ შესატყვის გრძნობას, მაშინ ვეძლევიტ ხმარება და მხიარულებას, ცულულტობის იმ გრძნობას, ისევე და ისევე წარსულში, არამუსიკალურ სიტუაციაში რომ განვვიცდია. მესხიერების საცავიდან ამ გრძნობასაც იმისთვის კონცხობთ, რათა მისით შევცვალოთ მომერტისათვის შესატყვისი გრძნობა.

ეს თეორია სასეებით გასაგებად გვისხნის და გვიმარტავს იმ შემთხვევებსაც, როცა ერთი და

იგივე პიესა მსმენელთა შორის სრულიად განსხვავებულ რეაქციებს იწვევს. სამავალითოდ მომყავს ბუტოკონის VII სიმფონიის მეორე ნაწილი, რომელიც, როგორც აღმოვაჩინე, ზოგიერთში იწვევს დრმა მელანქოლიის ფსევდოშერქმენებას, ზოგიერთები მას სთვლიან უხეში სეკერის ნიარსახეობად, მესამეში კი სტილიზებულ პასტორალად მიიჩნევენ. თითოეულ ჯგუფს ასეთი შეფასებისათვის გააჩნია თავისი გასამართლებელი საბუთი. ესოდენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს განაპირობებს სხვაობა მოგონებებით აღძრული სახეებისა. ეს ქვეცნობიერი გადარჩევა დამოკიდებულია განცდილ სახეთა ხარისხზე და მათ ემოციურ შეფასებაზე: მსმენელი ირჩევს მისთვის იმ განსაკუთრებით ძვირფას სახეს, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება მისი გონების ხასიათს ანდა აღვილად ხელმისაწვდომ გრძნობას გამოხატავს სიმბოლურად.

მუსიკა ემოციებს რომ არ იწვევდეს, მაშინ იგი ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორც გრამაფონი, უკაცრიელ კუნძულზე რომ უტრავს.

მსმენელთა უმრავლესობას არ სურს საკუთარი ემოციური რეაქციების გაანალიზება. მუსიკით ემოციურად გატაცებული მსმენელი თითქმის ცდილობენ თავისი შერქმენების ფორმულირებას, მაგრამ ამის იქით აღარ მიდან. ალბათ იმიტომ, რომ მსმენელს სურს მიიღოს მუსიკით მოგვრილი სიამოვნების მაქსიმუმი. ანალიზმა და დაფიქრებამ კი შესაძლოა გააჭაროს სიამოვნება. ამ სფეროში ჩაკვირვება მუსიკოსებისაგან უფროა მოსალოდნელი, მაგრამ ესეც ამაოა, რადგან მზირად მუსიკოსებიც, მსმენელთაგვარად, იქნებ შეტადაც, ეწინააღმდეგებიან განსწავლულობას...

მაინც რას წარმოაგვიჩვენებს მუსიკით გამოწვეული ემოციური რეაქციები? ერთი მსმენელის ემოციური შეფასება განსხვავდება მეორის შეფასებისაგან, რაც ინდივიდუალური აღქმის შედეგი გახლავთ. ეს, რა თქმა უნდა, კომპოზიტორისათვის შეტისმეტად მძიმე დარტყმაა, მიო უფრო, რომ ვერც მსმენელი და ვერც კომპოზიტორი ამას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს...

...როცა ჩვენ კომპოზიტორის შემოქმედებით წარმოსახვებზე ვლაპარაკობთ, მაშინ ყველაზე უკეთ ჩვენს საიქმელს გამოხატავს გერმანული სიტყვა „Einfall“ წარმოებული ზმნისაგან „Einfallen“ (ჩარჩენა, ჩავარდნა, აღებულება), იგი მშვენივრად ხსნის იმ თავისებურ სტიქიურობას, რომელიც იწვევს ასოციაციას პირველად მხატვრული იდეის მცნებასთან საზოგადოდ და მუსიკალურთან კერძოდ. რადგაც (თქვენ თვითონაც არ იცით რა) ჩარჩა და აღიბეჭდა ჩვენს გონებაში (არც იცით საიდან) და იქ რაღაცნაირი

ფორმით ვითარდება (არ იცით როგორ). ეს საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისია. აქედან გამომდინარე, არაპროფესიონალი არაა გასამტყუნარი თუკი იგი ვერ ახერხებს ესოდენ უცნაურ მოვლენების გონივრულ ახსნას...

როგორ ჩვენ ვამბობთ „Einfall“, ვგულისხმობთ რამდენიმე ტონისაგან შემდგარ მოკლე მოტივს. ხშირად თვით ამ ტონებს შევივრძობთ როგორც გაურკვეველი მნიშვნელობის რაიმე ბგერით მრღვლს. იგი ყველა ადამიანს ესმის. არაპროფესიონალითა შეგნებაში ეს ტონები უმაღლე კჭრებიან. მუსიკოსმა — კომპოზიტორმა კი იცის მათი გამოყენება და შემდგომი დამუშავებაც. ერთი ჩემი ნაწინაო მენცნიერი ხშირად ამბობდა ხოლმე: „ყველას შეიძლება გაჩანდეს და, ალბათ, გააჩნია კიდევ მეცნიერული იდეები, მაგრამ მხოლოდ მეცნიერმა იცის როგორ უნდა მოეპყარას მათ.“ მე მინდა გავაგრძელო ეს განცხადება მუსიკალურ იდეებზე. ახ, ვის შეუძლია დამტკიცოს, რომ მინავანად გაუთვითცნობიერებელი და გაუფორმებელი ელერადობა კამოჩენილი კომპოზიტორებისა. გაკვირვებას იწვევს ხოლმე პირველადი „Einfall“-ის პრიმიტიულობა, ბანალურობა და უმწესობა თვით დიდი ოსტატებისა, სამაგიეროდ, რაოდენ ამაღლეველებია შეგრძნება კომპოზიტორის ტალანტისა, ამ იდეების შემოქმედებით დამუშავებაში რომ ვლინდება. მრავალნაირი გარდაქმნების მიუხედავად, ეს იდეები მაინც ახარჩუნებენ პირველქმნილ შეუბღალავ უმანკოებას.

იბადება კითხვა: მაინც რით ხელმძღვანელობენ ნიჭიერი კომპოზიტორები შემოქმედებითი მუშაობის დროს? ტრადიციითა და აგრეთვე მომავალი ნაწარმოების შესაძლებელი საშემსრულებლო პირობებით, მისი დანიშნულებით, სტილით და ყველაზე ნაკლებად პირადი კაპრიზებით. ზოგჯერ „Einfall“-ის დამუშავების ხანგრძლივ გზაზე კომპოზიტორი აწყდება წარუმატებლობის მრავალ ბარიერს. მასალის დამუშავების პირველ ეტაპზე ცდები უნებლიეთ წარმოქმნიან ხოლმე თვითგამოხატვის ისეთ ფორმას, რომელიც სრულიად უცხოა თვით კომპოზიტორისათვის.

რა თქმა უნდა, ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიცა თვალის მიდევნება არა თუ სხვათა, არამედ საკუთარ შეგნებაში წარმოებულ მუსიკალური იდეების ფორმებაზე... ამისათვის მათ ხომ რაიმე კონკრეტული ფორმა უნდა შეიძინონ. ამ შემთხვევაში სანოტო ჩანაწერის ფორმა... თუმცა, ზოგჯერ სახელდახელოდ გაკეთებული სანოტო ჩანაწერი საგრძნობლად დაცილებული „Einfall“-ს. მით უფრო, თუკი მრავალწლიანმა გამოცდილებამ არ ასწავლა კომპოზიტორს იმ გრძელი და ვრცელი გზის შემოიღება, რომელიც გადაჭიმულია კომპოზიტორის წარმოსახვაში აღმოცენებული აზრდანი მის სანოტო გაფორმებამდე.

იშვიათია შემთხვევები, როდესაც ჩანაწერი შენარჩუნებულია ის პირველქმნილი სარეჟისურები, რომელთა მიხედვითაც ხერხდება წარმოსახვითი მღერადობისა და ქლერადობის შინაგანი ფორმების ამოცნობა და აღდგენა. საბედნიეროდ, ერთმა უდიდესმა კომპოზიტორმა ასეთი ჩანაწერები საკმაო რაოდენობით დაგვიტოვა. მხედველობაში მყავს ბუთოქვენი.

მის ესკიზებში ვოკალური ჩვენთვის კარგად ცნობილი, სრულყოფილი, მშვენიერსა და თავისი დანიშნულებისათვის ყველაზე შესატყვის მრავალთმას. ეს თემები იმდენად მთლიანია და სრულქმნილი, რომ ასე გვიჩანს ისინი ისევე გაჩნდნენ, როგორც იუპიტერის თავიდან გაჩნდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მინევრა. მაგრამ, ამავე დროს, ვგვახვამ თ ამ თემების გარდაქმნის რთულ პროცესსაც. სრულყოფილებამდე მათ ვაგვლეს განვითარების ხუთი, ზოგჯერ უფრო მეტი სტადიაც. ამიტომაც, რომ საბოლოო შედეგთან შედარებით ზოგიერთი თემის პირველადი ვარიანტის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ ისინი შეიძლება რომელიმე მისტერ x-ის საკუთრებად ჩავთვალოთ.

ხშირად, როდესაც წინვლის ამ საფეხებოვან გზას ვაკვირდები, საშინელი განცდა მეუფლება ხოლმე: თუ გენოსის მუშაობის სტილია ასეთი, მაშინ როგორა ბედი საშუალო ნიჭის კომპოზიტორისა? თუმცა მიზნის მისაღწევად მხოლოდ მუშაობა რილია საკმარისი. ასე რომ იყოს, მაშინ შეცნობეტიად მომრავლებდებდნენ გენოსებიც...

...საშუალო ნიჭის კომპოზიტორი შეიძლება დაეუფლოს უნატიფეს ტექნიკას, რომლითაც იგი ელემენტარულ იდეებას და ბგერით ფორმებს განავითარებს. მაგრამ მისთვის სრულიად მიუწვდომელია ის, რასაც გენოსი ფლობს. ვგულისხმობ ხილვას.

რა არის მუსიკალური ხილვა? ყველასათვის ნაცნობია ელვის აფეთქებით განათებული სურათი ღამის წყვედიდას. ასეთ დროს წამებრად გვესახება მთელი ლანდშაფტის არა მარტო საერთო მიხაზულობა, არამედ მისი ყოველი ცალკეული დეტალიც. ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ ამ სურათის დაწერილებით აღწერას, თმცა ვგრძნობთ და ვიცით, რომ ჩვენს ყურადღებას პაწაწინა ბალახის ღეროც კი არ გამოჰპარვია.

ასეთ დროს ჩვენნი ხილვა უაღრესად მთლიანია და მეტისმეტად დეტალისებულიც. ჩვეულებრივად მისი სინათლევი იგი არ იქნებოდა ასეთი სრული. შესაძლოა, ყოველივე ეს არც ელვით განათებულ ღამეში დაგვეჩანას, მოვლენის მოვლდნის მიხედვითაც უკიდურესად რომ არ დაეძაბა ჩვენი ნერვები.

მუსიკაც ასე უნდა იბადებოდეს. თუ ჩვენ გაეუფლებს წაშს კომპოზიციას ვერ დავინახავთ თავის აბსოლუტურ მთლიანობაში თვ-თავიანთ ადგილებზე განლაგებულ ყოველი დეტალით.

მამინ ჩვენ ჭეშმარიტი შემოქმედნი არა ვყოფილვართ...

ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ფა-ღიუზი რომელიც 612-ე ტექტიმ გაგვღვების წამსაა დანახული. თუ კომპოზიტორი ასეთ დროს რომელიმე დეტალზე შეაჩერებს ყურადღებას, მამინ იგი ვერ შეიმჩნევს მთლიანობადაც. მაგრამ თუ მთლიანობის კონცეფცია მის გონებას ელვისებურად განაათებს, მამინ ეს ფა-ღიუზი და ათასი სხვა ბეგრაეც, ისევე როგორც გამომსახველობის ყველა სხვა საწარმოებში, მწყობროში ჩადგებიან მისდაუნებურად. მასალის დამუშავების პროცესში ეს მთლიანი სურათი ყოველთვის წარმოსდგება კომპოზიტორის გონებრივი თვალთახედვის წინაშე. მელოდიისა თუ ჰარმონიის თანმიმდევრობათა ჩაწერის დროს მას არ დასჭირდება მათი უნებური შერჩევა. მას მხოლოდ მოუხდება იმის განსუფილება, რასაც მთლიანობა ჰკარნახობს. სწორედ ამასია ჭეშმარიტი მიზეზი მასალასთან ბეჭდოვების სულიერი ჭიდილისა...

სასუალო ნიჭის აღმინახვაც გააჩნია ხილვები. მაგრამ მას ეს ხილვები ელვისებურად როდი უნათებენ გონებას. ის ხედავს მხოლოდ ამ ხილვების ჩანებულეულ კონტურებს, რომელთა განათებისათვის მას არ ჰყოფინს წარმოსახვის ნიჭი. მას შეიძლება გაუჩნდეს უამრავი იდეა, რომელთა შერწყმის დროს იგი ასე ფიქრობს: რაც უფრო მეტია ლამაზი დეტალი, სურათი თავის მთლიანობაში მით უფრო ლამაზი იქნებაო...

იმას კი, ვინც ელვისებური ხილვებით არის დაჯილდოებული, უნაყოფოდ ესახება ლამაზი დეტალების მიღწევება... მისი მთავარი მიზანია — თავისი ხილვები განახორციელოს ერთადერთ შესაძლებელ ფორმაში. და თუ ლამაზი დეტალებით გატაცებას მაინც მოუძებნიათ გამართლებას, მაჰირ ისინი ისეთივე მხატვრები ყოფილან, როგორც ფილატელისტია ან სხვა კოლექციონერი, წარმატებით რომ აგრეთვე კოლექციას, მაგრამ არ შეწყვეს ძალია რაიმე არსებობის შესაქმნელად.

...მხოლოდ გვიხოსთა ქმნილებებში შევივრძნობთ მარადიულობის, უნივერსალობის სუნთქვას. განსაკუთრებულია მათი სრულყოფილება, რომელიც გამოხატულებას შთანაფიქრობს და მისი რეალოზაციის აბსოლუტურ შესატყვისობაში ჰპოვებს.

ამგვარ შესაბამისობას მხოლოდ ცალკეულ შედევრებში ვხვდებით, რაც იმას მოწონებს, რომ დიეთ დიდი ნიჭითა და უმაღლესი ტექნიკური ოსტატობით აღჭურვილი ინდივიდუალობაც კი ყოველთვის ვერ აღწევს ამას. სამასოდ საჭიროა არა მარტო უზარმაზარი პროფესიული, არამედ მორალური ძალდატანებაც.

არსებობენ ისეთებიც, რომლებიც კატეორიულად უარყოფენ მუსიკის ეთიკურ ძალას და არავითარ მორალურ ვალდებულებას არ იღებენ თავიანთ თავზე. მათთვის მუსიკა ტონებით თამაშია მხოლოდ. და თუმცა ისინი გონებრივად და ტექნიკურადაც მეტისმეტად ისარჯებიან, მნიშვნელოვ-

ნება რომ შესძინონ თავიანთ ქმნილებებს, მაგრამ მათ ნაწარმოებებს, როგორც სოციოლოგებმა და კრიტიკოსმა, მაინც ბუშტებით თამაშისა და ციკურებზე სრიალისოდენა ღირებულება და მათ ამ სატყვეულებური და ფილოსოფიური თვალსაზრისით კი ისინი მიეკუთვნებიან გველთაყვანილმეგელთა ან სხვა ფეტიშისტ — იზოლიაციონისტების კატეგორიას...

ზოგიერთები კი კომპოზიციაში ხედავენ თავდამცველ სარქველს, გონებრივი დაძაბულობის განმუხტვას რომ ემსახურება და მათ ამ სატყვეულებასაგან ანთავისუფლებს. იმ ადამიანების მსგავსად, დამოდურების გადაუღალავი მოთხოვნებით რომ არიან შეპყრობილნი, მათაც აქეთ სურვილი ინტელექტუალური მოღვაწეობისა, როგორც შევას პოლოტენ. მუსიკის წერა — აი, რა ყოფილა თურმე სამაგათო. ისინი დამოდურებებზე მეტად მუსიკის წერას ეტანებიან, რადგან თვით ყველაზე უმნიშვნელო ყმედობასაც კი რაიმე აზრი უნდა განაჩნდეს. მუსიკის წერა კი ანთავისუფლებს მათ ესოდენ მკაცრი მოთხოვნისაგან. მუსიკის ასეთ შემსხვეველებს საიმპონებასთან ერთად, წინა ემატებათ და საკუთარი მეობაც უყარდებოთ.

არის კიდევ ერთი ჯგუფი კომპოზიტორების, რომელიც ცდილობს რა მორალური სინტიზის უქონლობის შეცვლას რაციონალიზმით, ინიცირებს ზესუბლიმიერებულ ტექნიკას. ამ გზით ქმნიან ისინი „ემოციათა“ ისეთ სახეებს, რომლებიც უცხოა ნორმალური ადამიანებისათვის. ამით იღვენ ისინი ეშოტერიულ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომლის მიმედევრები მხოლოდ ემოციური მონსტრები ან სნობები არიან.

ყველა ამ კომპოზიტორს ერთი ძირითადი რამ ავიწყდება — რომ მუსიკა წარმოადგენს ავტორსა და აუდიტორიას შორის დასამყარებელ კავშირს. როგორც კი ჩვენ ვიწყობთ ამის იჯნობრებას, მაშინვე იჩენს თავს გაცილებით უფრო უსიამოვნო რამ, ვიდრე თუქმელ მსმენელთა უვიცობა — ეს ჩვენზევე ეგოიზმი გახლავთ. ვილიამ ბ. ვანდერბილტის ქვეყნის წესი „ემპასაკს წაუღია მულიოკა!“ ამ კომპოზიტორთა მუშაობის წესიცაა. ეს კომპოზიტორები ამ დაჯინებით მოითხოვენ, რომ აუდიტორიამ შთანთქმას ყველაფერი, რასაც კი ისინი სთავაზობენ, ან არა და გაცხარებით აცხადებენ: „თანამედროვე სამყაროს ჩემი მუსიკა არ ესმის. ადამიანები სანძობად მზად მხოლოდ ორასი წლის შემდრე იყენებოან“. იქნებ, მართლაც, მოიძებნებიან ისეთი კომპოზიტორები, ორასი წლის წინ რომ ვერ გაუგეს. მაგრამ ეს პოზივია აბსოლუტურად არაა მხატვრული, რადგან იგი უარყოფს არტისტული თვითგამოხატვის ძირითად მოთხოვნას: მისეც ახლობელს შენი არსების ნაწილი, გაუზიარო მას საკუთარი სულიერი სიმდიდრე!

მხატვრის გადგომის პუბლიკისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიძებნება გამართლება, თუკი იგი ყოველნაირად ცდილობდა თანამედროვეთათვის გასაგები გამხდარიყო, მაგრამ მაინც ვერ შე-



ძლო ეს. მით უფრო მცირე და უმნიშვნელოა მანის იმისა, რომ გენიალობის მისას მთავრად აღიარებს. მე კი მგონია, რომ თვით ამ ავტორის გარდა, მის ნაწარმოებს არავისთვის არავითარი ფასი არა აქვს — არც მათთვის, ვინც ახლა ცხოვრობს და არც იმათთვის, ვინც ორასი წლის მერე იცხოვრებს...

ყოველ ნაწარმოებს აქვს თავისი ინდივიდუალური სახე, რომლითაც იგი გამოირჩევა ამავე ტიპის, მაგრამ სხვა სტილის პიესისაგან, სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებისაგან, თვით იმავე ავტორის დანარჩენი თხზულებებისაგან. მხედველობაში მაქვს საოპერო, ორატორიული, კამერული მუსიკის სტილი და ა. შ. პიესის მოსმენისას ჩვენ უნდა შევვძვინოთ დავადგინოთ მისი შექმნის დრო, ავტორი და მისი ცხოვრების ის პერიოდიც, რომელშიც ეს ნაწარმოებია შექმნილი.

კომპოზიტორთა უმეტესობა თავს არ იწუხებს თავისი მუსიკის სტილისტური თავისებურების ანალიზით. არადა, ძალზე საინტერესოა თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს იგი ამა თუ იმ სტილისტური საშუალებების ამორჩევის, გამოყენებისა და განაწილების დროს.

ამ საკითხზე არა პროფესიონალთა თვალსაზრისით, არსებობს რამდენიმე პასუხი. ერთი პასუხი ასეთია — კომპოზიტორი ემორჩილება შთაგონებას, იმ რაღაც ამოუხსნელ ძალას, რომელიც წარმართავს მის მოქმედებას. ადამიანთა უპრაკტულობისათვის, მათთვის ვინც არ დაბადებულა მხატვრად, სრულიად უცხოა ეს ძალა. მათ ამიტომაც მიანიჭიათ, რომ სტილი — ზებუნებრივი წარმოშობის ფენომენია.

მეორე პასუხის მიხედვით კი მუსიკის ისტორიის ყოველი პერიოდი, ინდივიდუალურ ავტორთა მეცადინეობის მიუხედავად, აღბეჭდილია საკუთარი სტილით. ასეთ შემთხვევაში კომპოზიტორის შემოქმედების ყოველი ელემენტი განპირობებულია ეპოქისათვის დამახასიათებელი მძლავრი მუსიკალური მოძრაობის ქმედებითა და უკუქმედებით. მუსიკალური ეპოქის შინაგანი დაძაბულობის ხასიათი და მოძრაობის დინამიკური ძალა ამ ელემენტებს გარკვეულ ტექნიკურსა და სტილისტურ ფორმას აძლევს. ესაა დედამიწის ზედაპირის ფორმირების მსგავსი პროცესი, პლატების გეოლოგიური შენაცვლების პერიოდებში რომ სწარმოებდა.

ფიქრობენ იმასაც, თითქოს ოდიოზანვე არსებობს ის საერთო ტენდენცია, მუსიკის მთელ ისტორიას რომ მსჭვალავს და მიმართულია საკომპოზიციური ტექნიკის თანდათანობითი გართულებისაკენ. ჰგონიათ, რომ საკომპოზიციო ხელოვნება დაიწყო მარტივი პარმონით, მარტივი მელოდიით, მარტივ რიტმებით. ჩვენმა თანამედროვე მუსიკამ, წარსული დროების მუსიკასთან შედარებით, სირთულის მართლაც ძალზე მაღალ დონეს მიაღწია. ზოგიერთი კომპოზიტორები, რომლებმაც ეს იცინან, ცდილობენ მუსიკის ვითომც ამ პროგრესში თავი-

სი წვლილის შეტანას და ამიტომაც ავტორთაგან ართულებენ საკუთარ ტექნიკას... საკუთარ სტილს, რომელიც თავისი აბსოლუტური ექსტერიული განსაკუთრებულობის გამო შორდება ხოლმე გონივრულობის სახელებს. ჩვენ ხომ მრავალი შემთხვევა ვიცით, როცა მხატვარი შეგნებულად ატანს თავს ძალას, რათა რამენაირად დაამკაროს ეს მოჩვენებითი პროგრესი — უფრო ზუსტად, კი გართულების პროცესი. ასეთი მაგალიციანი მოიძებნება არა მარტო ჩვენს ახალ ეროვნულ მუსიკალურ ლიტერატურაში...

შესაძლოა, ჩვენმა ეპოქამ ინსტრუმენტული კომპოზიციის ტექნიკა სტილისტური დახვეწილობის თვალსაზრისით მანამდე მიუღწევად კულმინაციამდე აიყვანა. მაგრამ სხვა დარგებში ჩვენ მაინც დამაინტ ბევრ ვერაფერს მივაღწევთ. გავვანინა კი მნიშვნელოვანი ვოკალური ნაწარმოებები? მივაგენით კი სასიმღეროდ მოსახერხებელ, ამავე დროს, ორიგინალურსა და ესთეტიკურად საყოველთაოდ დამაკმაყოფილებელ საკუნთო ტექნიკას? აბა, მითხარით ერთი — ჩვენი ეპოქის თვისებებით განსმკვალული მუსიკით როგორ უნდა დავაკმაყოფილოთ მოყვარულთა მოთხოვნები?

ამ და ამდგვარ კითხვებზე უარყოფითი პასუხი გარდაუვლია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თანამედროვე ტექნიკური ნორმები ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, შესანიშნავივცა, მაგრამ უმეტესწილად გაცილებით უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე ნორმები დადგენილი წარსული ეპოქების მიერ. სტილისტური თვალსაზრისით კი ჩვენმა ეპოქამ ვერ გამოიჩინა იმის ძალა (ესოდენ ეფექტური რომ იყო წარსულში), ერთგვარონებამდე რომ მიეყვანა სტილისტური ინდივიდუალური თუ უნებური სტილისტური ზედმეტობანი ტექნიკის მიმდევარი ცალკეული კომპოზიტორებისა. ან იქნებ ფართოდ გავრცელებული თანამედროვე სტილის შეუქმნელობა ანუ ჩვენივე უუნარობაა სტილი არსებული თავისთავად!

საკმარისია ოდნავ დავევადოთ აქ გამოთქმულ შესხედლებებში, რომ უმაღლ მოგვიხატება ბეთ-პოვენის „დიდი ფუნისა“ და სხვა რეკონსტრუირებული შედევრების ტექნიკური და სტილისტური სრულყოფილების უარყოფა. იდეალურ თანამედროვე კომპოზიტორებთან ისინი კი არ უნდა ვივარათ, ვინც ტექნიკური ჰიპერბოლიზაციისაკენ, სტილის უაღრესი დაძაბულობისაკენ მიისწრაფვის, არამედ ის, ვინც იცავს წონასწორობას, პარმონიულობას, შეგნებულ პროპორციულობას. ეს ის იდეალები გახლავთ, რომლებსაც ამ უკანასკნელი 150 წლის ან უფრო მეტი ხნის მანძილზე ყველგან და ყოველთვის უწყვედნენ ანგარიშს!



პროექტების შესახებ პრობლემის ფორმირების სახეობები

თემატიკის მახარაშვილი

ჩვენს ქვეყანაში მშენებლობისა და პროექტირების ხარისხის გაუმჯობესებას უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. განვიხილო პერიოდში გადაიჭრა ბევრი სხვა პრობლემა: ინდუსტრიულ რეესტრში გადვიდდა მასობრივი საბინაო მშენებლობა, შენდება მხოლოდ იზოლირებული საცხოვრებელი ბინები, სულ უფრო იზრდება ბინების კომფორტი, მუშავდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღონისძიებები ადგილობრივი კლიმატისა და რელიეფის სრულად გათვალისწინებისათვის.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქალაქთმშენებლობაში: ყოველწლიურად იზადება ახალი ქალაქები, საცხოვრებელი რაიონები და მიკრორაიონები, ტარდება ძველი რაიონების რეკონსტრუქცია, იქმნება ახალი სატრანსპორტო არტერიები, უმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო მომსახურების სტრუქტურა და ორგანიზაცია.

საგულისხმო ნაბიჯები გადაიდგა არქიტექტურული კადრების მომზადების საქმეში. საქართველოში პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია ყოველწლიურად უშვებენ ასზე მეტ არქიტექტორს.

ამაღლა მათი კვალიფიკაციის ხარისხიც. ამის დამადასტურებელი სტუდენტთა და დიპლომანტთა მიერ უკანასკნელ წლებში, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში მოპოვებული პრემიები. მაგრამ არქიტექტურული პრობლემები არ გულისხმობს მხოლოდ ტექნიკურ პროგრესს, მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს. დღეს პირველ პლანზე გამოდის პრობლემა — ხარისხი, რადგან დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება იცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით ფუნქციური და კულტურულ-ესთეტიკური. თუ ამ რამდენიმე წლის წინათ ადამიანს ადვილად აკმაყოფილებდა ბინის მხოლოდ უტილიტარული მხარე, დღეს იგი დიდ ყურადღებას აქცევს ესთეტიკურ მხარესაც: მას სურს იცხოვროს მოხერხებულ და ნათელ ბინაში, ჰქონდეს ლამაზი ავეჯი, კეთილმოწყობილი სამზარეულო და ა. შ. გაიზარდა მოთხოვნილებები არა მარტო ბინისა და საცხოვრებელი სახლის, არამედ მთელი ხელოვნური გარემოს მიმართ. მაგრამ ამ ამოცანების განხორციელებას ხელს უშლის პრაქტიკის საგრძნობი ჩამორჩენა მოთხოვნილების ზრდის ტემპებთან შედარებით, რის შედეგადაც შენობები სწრაფად კარგავენ ღირსებებს, რაც შემთხვევაში კი თვით პროექტი უკვე აშენებამდე ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. ასე, მაგალითად, არსებული ტიპური პროექტები, რომლებიც გამოყენებულია საბურთალოს, დიღმის, ვარკეთილის და სხვა ახალი რაიონების განაშენიანებისათვის და გათვალისწინებულია რამდენიმე თეიული წლით ექსპლუატაციისათვის, დღეს მორალურად გაცვეთილია; დაბალია მათი არქიტექტურული ღირსებანი: როგორც პროექტირების, ასევე შესრულების ხარისხი ვერ პასუხობს ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს.

თუ თბილისში თავისუფალი ტერიტორიების გაუმჯობესება არსებული ტიპური პროექტებით, გარკვეულ პერიოდში, სხვადასხვა მიზეზით, გამართლებულად შეიძლება ჩაითვა-



ლოს, სრულად დაუსაბუთებელია დღეს იმავე პროექტებით ქალაქში მშენებლობათა გაცრეკელება, განსაკუთრებით ცენტრალურ ნაწილში. საჭიროა შეიქმნას ტიპური პროექტები, რომლებიც სრულად გაითავალისწინებენ ადგილობრივ თავისებურებებს, და არა მარტო დღევანდელი დღის, არამედ მოთხოვნილებების ზრდის პერსპექტივებსაც. მასობრივი საცხოვრებელი მშენებლობა ყველაზე პასუხსავები უბანია, რადგან ეს გულისხმობს მილიონობით ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ამის მიუხედავად დღეს, არსებული „გემინდელი“ ტიპური პროექტები მოსაგებდნენ ქალაქის ცენტრისკენ მასობრივად, რითაც საკრძომო ლად ეყვება ცენტრისა და მიდინარე ტერიტორიების მხატვრულ-სივრცობრივი სახე.

გარდა აღნიშნულისა, სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია და თანამედროვე ურბანიზაციის სწრაფი განვითარება ბევრ ურთიერთ საწინააღმდეგო პრობლემას წარმოქმნის, და ეს ნიშანდობლივია ჩვენი რესპუბლიკისათვისაც. კერძოდ, ტრანსპორტის განვითარებამ წარმოიშვა არსებული სატრანსპორტო მაგისტრალის რეკონსტრუქციის და ახლის მშენებლობის, სატრანსპორტო ხმაურისა და გამონაბოლქვი აირებისაგან თავდაცვის აუცილებლობა, ავტოტრანსპორტის შენახვის პრობლემა და სხვა. წარმოიშვა აგრეთვე მომსახურების სისტემის რეორგანიზაციის, დემოგრაფიის, მიგრაციის და სოციოლოგიის სხვა ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობა. ჩვეს პირობებში ქალაქების სწრაფი ზრდა მოითხოვს აგრეთვე რთულ რელიეფიანი ტერიტორიების ათვისებას და მასთან დაკავშირებულ ქალაქგეგმარებითი პრობლემების გადაჭრას.

ამრიგად, გადასაწყვეტი პრობლემები შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დაიყოს:

I — გლობალური, დაკავშირებული ქალაქგეგმარების საკითხებთან;

II — ლოკალური, ცალკეულ შენობათა შიგა, გარე და მიმდებარე სივრცის ორგანიზაციის პრობლემები. ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელთა განხორციელება დღეს უკვე შეუძლებელია

მხოლოდ არქიტექტორთა ძალებით. საჭიროა გამოვიყენოთ მონათესავე დარგების მიღწევებიც.

ახალი ამოცანები მოითხოვენ მათ გადასაწყვეტად საჭირო საშუალებებისა და მეთოდების სრულყოფას. ამაში ერთ-ერთი წამყვანი როლი არქიტექტურულ კრიტიკას უნდა მივაკუთვნოთ. არქიტექტურასა და მშენებლობაში კრიტიკამ შეიძლება შესარულოს ისეთივე მნიშვნელოვანი როლი, როგორცას ასრულებს კინო, თეატრალური, ლიტერატურული და სხვა კრიტიკა ხელოვნების ამ დარგების განვითარებისათვის. მაგრამ არქიტექტურულ კრიტიკას აქვს თავისი სპეციფიკა. ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით არქიტექტურული ნაწარმოები იქმნება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რაც განსაზღვრავს მის ფუნქციონალურ საფუძველს. ამასთან არქიტექტურა საკმაოდ „ძვირი“ ხელოვნებაა, იგი მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან წაწილს. პროექტირებისა და მშენებლობის ხარისხზე მოთხოვნილება უმდიდრესი მალადი უნდა იყოს, რისთვისაც სხვა გადადუმებელი საკითხების მოვარებასთან ერთად გვეჭირდება პროფესიონალური, მკაცრი, პრინციპული ყოველგვარი ნაყოფანებისადმი შეურიგებელი—არქიტექტურული კრიტიკა.

როგორია დღეს არქიტექტურული კრიტიკა, როგორ გვეხმოს მისი არსი, მიზნები და ამოცანები?

გულახილად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი, ისევე როგორც მთელს კავშირში, არქიტექტურული კრიტიკა ძალზე პასიურია. საზოგადოება უკეთ იცნობს სხვადასხვა დარგის კრიტიკებს მათი გამოსვლების ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე. არქიტექტურული კრიტიკის დარგში კი აქტიურად მხოლოდ რამდენიმე უფროსი და უმცროსი თაობის არქიტექტორი მოღვაწეობს (პროფესორი ი. ციციშვილი, დოცენტები — ნ. მგალობლიშვილი, თ. კვიციანი, გ. ჩიგოვიძე; არქიტექტორები — გ. დავითაია, კ. გეგელია, დ. დლოშვილი, გ. დავითაიანი), რის გამოც ითმისის უყურადღებოდ რჩება მრავალი მწვავე პრობლემა, მრავალი პროექტი.

საქართველოს არქიტექტურთა კავ-

შირთან არსებობს არქიტექტურის თეორიის, კრიტიკისა და პროპაგანდის კომისია (ხელმძღვანელი დოც. გ. ჩიგოვიძე), რომელიც ბევრ სასარგებლო საქმეს ეწევა, მაგრამ კარგი იქნებოდა კომისიის პქონოდა უფრო ფართო პრაქტიკული უფლება-მოვალეობანი.

კრიტიკა ყველაზე ეფექტურია პროექტირების სტადიაში, მაშინ როცა ჯერ კიდევ შესაძლებელია შეცდომების გამოსწორება, ან ამა თუ იმ შემოქმედებითი მიღწევის პროპაგანდა. საშუალოდ, დღეს ჩვენი წყდება მრავალი მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარებითი, მოცულობითი თუ სხვა საკითხი ამ სტადიის (არქიტექტურული კრიტიკის) გაუვლელია. რასაკვირვებელია, ყოველი პროექტი გადის ექსპერტისაგან, განხილვის რამდენიმე სტადიას სხვადასხვა დონეზე, მაგრამ იგი მანც სპეციალისტების ვაწრო წრით შემოიფარგლება.

ის გარემოება, რომ რიც შემთხვევაში უნდება არასრულყოფილი (მხატვრულ-ფუნქციონალური თვალსაზრისით) შენობები, ვაგფერტირების, რომ საჭიროა პროექტების განხილვის ორგანიზაციულ სტრუქტურის გადაანხვევა და შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების დახვეწა. ხშირად არქიტექტორისათვის ამა თუ იმ პროექტის არსებობა ცნობილი სდება (ისიც არასრული მონაცემების სახით) მისი დამტკიცებიდან დიდი ხნის შემდეგ. იმისათვის კი, რომ პრობაგანდა გაუვლით, ან გაგარჩიოთ ესა თუ ის პროექტი, საჭიროა კომპეტენტური აზრი. მაგრამ, სამწუხაროდ, არქიტექტურული კრიტიკის მიზნებსა და ამოცანებზე ჩუადრი წარმოდგენაც არსებობს. ხშირად იგი ესმით როგორც არქიტექტორის შედეგ-მოქმედების შემამოყვებელი, ხელისშემშლელი. ზოგჯერ ამა თუ იმ პროექტის კრიტიკული ანალიზი ავტორის განაწყინების იწვევს. ხანდახან ეს სდება თვით კრიტიკოსის სუბიექტური, დაუსაბუთებელი მოსაზრებების გამოც. ამიტომაც, რიც შემთხვევაში, ვარგობი ხოლმე თვალის დახვეწით: ამა თუ იმ შემოქმედებით წარუმატებლობაზე და ამით შეგებულად ხელს უწყობს მორიგე მდარე ხარისხის პროექტის დაბადებას. ამის მაგალითები საკმაოდ გავგაჩნია. საჭიროა ღრმა ანალიზი. კრიტიკა არ უნდა შე-



მიოფარგლოს მხოლოდ უარყოფითი მხარეების გარეკეთი და გამოვლენა. მან მხარი უნდა დაუჭიროვს და დაქმნის ნიჭიერ შემოქმედს, ყოველ პროექტში იძებნის საღ შემოქმედლებით მარცვლებს. ფართო პრობანანდას უწევდა პროგრესულ იდეებს, მინაწილობრივ შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნაში. კრიტიკა უნდა იყოს მის წამყვანი როლი თანამედროვე არქიტექტურული გემოვნების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში მან ხელი უნდა შეუწყოს არქიტექტურის და არქიტექტორთა ავტორიტეტის ამაღლებას, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენადმე დაკვივდა. დღეს ხშირია საზოგადოებრიობის საყვედურები არქიტექტორთა მიმართ. ხალხი სამართლიანად მიუთითებს მშენებლობის და თვით არქიტექტურულ-გემარეობითი გადაწყვეტის დაბალ ხარისხზე. საჭირო არგუმენტირებული განმარტება იმ მიზეზებისა, რომლებიც იწვევენ ჩაგარდნებს, საჭიროა იმ ღონისძიებების პრობანანდა, რომლებიც დასახულია მათ აღმოსაფხვრელად.

კრიტიკა ეფექტურია, როცა იგი მაღალხარისხისადაა და შემოქმედებითია. იგი უნდა შეიცავდეს ახალ პრინციპებს და უნდა მიდიოდეს დათმობასზე, გვერდს არ უნდა უკვიდეს პრობლემატურ საკითხებს. არაკვალიფიციურ, უხარისხო კრიტიკას დეფორმირებადი შეაქვს არქიტექტორებს შორის. საჭიროა მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნებული კრიტიკა, რომელსაც, ისევე როგორც ხელოვნებისა და ტექნიკის მრავალ სხვა დარგს, ექნება თავისი მეთოდოლოგია და თეორიული საფუძველი.

ზოგჯერ საერთო თეორიული პრობლემების არასათანადო დამუშავება შეცდომებს იწვევს პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას. ასე მაგალითად, შაბლონურმა მიდგომამ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის საფუძვლებზე თეორიული საფუძვლის შექმნისას, გამოიწვია პრაქტიკული შეცდომები. საფუძვლებზე მომსახურება, რომლის შესახებაც არა ერთი შრომა და სტატია დაიწერა, პრაქტიკულად ხისტი აღმოჩნდა. თვით საფუძვლების

სტრუქტურაში წარმოიშვა მომსახურების სხვადასხვა ობიექტის დულირება, მოუქმელია მომსახურების საფუძვლებზე შექანიკურად აგებული საცხოვრებელი ერთეულების სტრუქტურაც. ეს ხარვეზები, რომელიც განმარტავდა უკანასკნელ წლებში, დეტალურად იქნა შესწავლილი და განზოგადებული ცენტრალურ სამეცნიერო საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებში. მიუხედავად ამისა, მიმდინარეობს მწვავე ბრძოლა მიკრორაიონების მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის.

ასეთი წინააღმდეგობები თეორიისა და პრაქტიკის შორის ხშირად წარმოიშობა პრაქტიკოს არქიტექტორთა უნდობლობას ქალაქგეგმარებითი თუ სხვა საკითხების თეორიისადმი. ამის გამო მგერ არქიტექტორი საერთოდ უარყოფს თეორიული საკითხების დამუშავების აუცილებლობას. მართლაც, თეორიული ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიცავდეს ნათლად გადმოცემულ კონკრეტულ რეკომენდაციებს, ეხმარებოდეს არქიტექტორებს ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში. მეორე მხრივ, თვით პრაქტიკოსი არქიტექტორები ზოგჯერ ტენდენციურად და გულგრილად გვიდგებიან არქიტექტურულ თეორიას. მაგალითად, ამჟობინებენ შენაღლებში ილუსტრაციების გაცნობას და სრულიად არ ეცნობიან ტექსტს, რითაც ზღუდავენ თავისივე საერთო მომხმარებლის დონეს. ამასთან, ყველასათვის ცნობილია, რომ მსოფლიოს გამოჩენილი არქიტექტორები ერთნაირად ძლიერნი იყვნენ და არიან როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. ყოველი მათგანის თვითმყოფელ არქიტექტურას საფუძვლად უდევს თეორიულად და მეცნიერულად დამუშავებული კონცეფციები. ცნობილია აგრეთვე მათი პრინციპული და კრიტიკული დამოკიდებულება არქიტექტურის სხვადასხვა პრობლემებისადმი.

არქიტექტურული კრიტიკის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ის, რომ ჩვენში ისევე, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, არ მზადდება სათანადო კვალიფიციური კადრები. ეს ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ არქიტექტურულ


ფაკულტეტებთან არ არის სპეციალურად გათვალისწინებული კარგი ინჟინერული თუ კრიტიკოსთა მომზადების საქმეები ინიციატივას გამოიჩენენ ჩვენი რესპუბლიკის არქიტექტურული ფაკულტეტები. იმ საერთო არქიტექტურულ საგანგებთან ერთად, რომლებიც დღეს ისწავლება, საჭირო გახდება მომავალ სპეციალისტს შევასწავლოთ ურნამისტური ხელოვნება და სხვა სპეციფიკური საგნები. მნიშვნელოვანია აგრეთვე პუნაინტარული დისციპლინების (სოციოლოგია, ფსიქოლოგია და სხვა) სწავლებაც. საჭიროა კომპლექსური ანალიზის მეთოდების შესწავლა, მრავალი ფორმა — წარმომქმნელი ფაქტორის გათვალისწინება, და, რაც მთავარია, არქიტექტურის სოციალურ არსში ჩაწვივომა.

ამრიგად, საჭიროა ამ განხრის სპეციალისტების სათანადო პროგრამით მომზადება და სათანადო ასპარეზიც მათი საქმიანობისათვის. სამწუხაროდ, სპეციალიზებული ბეჭდვითი ურნალი ჩვენს რესპუბლიკას არ გააჩნია, თუმცა მთელ რიგ რესპუბლიკებში ასეთი ურნალები დღეი ხანია არსებობენ. სპეციალური ორგანოს უქონლობის გამო, ხშირად, ქართველი არქიტექტორები იძულებული არიან მიმართონ სხვა რესპუბლიკების პრესას. მაგრამ, რაც შემთხვევაში, მათი მასალების პუბლიკაცია ფერხდება თემატიკის არამესატყვისობის გამო. გარდა ამისა, ჩვენს მკითხველს საშუალება არა აქვს ზღვა ინფორმაციიდან გაეცნოს მისთვის ყველაზე საჭირო, მნიშვნელოვან მასალებს.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, რასაკვირველია, ნაწილია იმ დიდი პრობლემისა, რომელიც დაეკავშირებულია არქიტექტურული გემარეობის და მშენებლობის ხარისხის ამაღლებასთან, მაგრამ ამ საკითხების დადებითად გადაჭრაც დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი არქიტექტურის საერთო დონის ამაღლებას.

ქველავ ზოგბიერთი სინტეზისო ჩანაწერის შესახებ

ლამარა კიკილაშვილი



რისპაპლიკის სახალხო არტისტის შუანგი ჩხეიძის ჩანაწერები

მყუდრო ქუჩაზე, მდინარე მტკვრის სანაპიროსთან, არის სახლი, რომელსაც დღეს უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი ჰქვია. ამ სახლ-მუზეუმის ექსპონატებს შორის თქვენ ნახავთ ერთ დაფურცლულ წიგნს, რომელიც თურმე უკანასკნელ დღესაც ხელში ფერია უშანგი ჩხეიძეს. ეს გახლავთ შექსპირის „ჰამლეტის“ მარაბლისეული თარგმანი, გამომცემელი 1887 წელს.

გაყვილებულ ფურცლებს მისი აღნიშვნები და მინაწერებები შემორჩენია.

„ჰამლეტი...“

პირველად ვითამაშე 1925 წლის 12 ნოემბერს, სეზონის გახსნის დღეს. დადგმა კოტე მარჯანიშვილის...“

წიგნში დევს უშანგის ხელით გადაწერილი ორი მონოლოგი — „რად არ მემუღბა ეს სხეული...“ „ყოფნა — არყოფნა“.

აი, კიდევ ერთი ფურცელი, მისი ხელნაწერით, იმავე წიგნში ჩარჩენილი:

„... მამის სიკვდილის გამო ელსინორამი ჩამოსული ჰამლეტი შემფოთებულაია ამ მოულოდნელი და უცნაური სიკვდილით, რომელიც იდუმალებით არის მოცული და ათასნაირ იჭვს იწვევს. ამ მდგომარეობას უფრო აძლიერებს დედის ასე უცებ გათხოვება ბიძამისზე და მზადება ამ უკანასკნელის ტახტზე ასასვლელად. იგი ხდება მოუსვენარი. ფიქრი ნისლი-

ვით შემობურვია მთელს მის არსებას, უკარგავს მოსვენებას და სულიერ სიმშვიდეს; და აი, ერთ უძილო ღამეს იგი ვეღარ იხვენება სასახლეში და გარბის, სად — თავადც არ იცის. ის გამორჩეულად კიბეებზედ, ხელთ მოათრევს წამოსასხამს, თავისთვის თითქოს რაღაცას ჩურჩულებს და მოაბიჯებს მთვარეული ვით. ღამის სიჩუმეში მაფიოდ ისმის მისი ფეხის ხმა. მან ჩაათავა დაუსრულებელი საფეხურები და იქვე კიბის კედელს მიეყრდნო სულიერად მოქანცული, განაწამები...“

ასე იწყებოდა მონოლოგი — „ყოფნა — არყოფნა“.

უშანგის ხელით გადაწერილ ამ მონოლოგს მიწერილი აქვს — „3 წუთი“. ამ მონოლოგის მაგნიტო-ჩანაწერი მართლაც 3 წუთს გრძელდება და, შესაძლოა, ხელნაწერებიც მაშინდელია, როცა იგი ამ მონოლოგებს მაგნიტოფირზე ჩასაწერად ამზადებდა.

ეს კი მომხდარა, როგორც უშანგი ჩხეიძის და — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნინო ჩხეიძე ამბობს, 1946 წელს. ამ წლის 14 მაისს ჩაწერილა მონოლოგი — „ყოფნა — არყოფნა“, რამდენიმე დღის შემდეგ კი მონოლოგი — „რად არ მემუღბა ეს სხეული“.

კვლავ ქალაღის მცირე ნაფლეთი. მინაწერი ამ ქალაღზე დაგვანახავებს იმ სულიერ მდგომარეობას, რაც უშანგის ეუფლებოდა, როცა მსოფლიო დრამატურგების ამ ურთულეს მი-

ნოლოგს იწყებდა, თვალწინ დაგიყენებს სურათს, რომელზეც ამდენი გესმენია:

... „ამპლეტს განუსაზღვრელი სევდა შეიპყრობს, სასოწარ-კვეთა უკუფხვდა და თავის მოკვლას განზრახავს რათა თავი დააღწიოს სამხედრო ფიქრებს, სასახლის სამლოცველოში მივათრებს, რომ ლოცვაში ჰპოვოს სიმშვიდე. ის დაიჩოქებს ღვთისმშობლის წინ, დიდხანს უცქერის, მაგრამ ლოცვას ვერ ახერხებს, რადგან გონებას სულ სხვა ფიქრები დაუფლებია და იგი იქვე დაუმეგბა იატაკზედ, სადაღაც სიფრცვეში ერთ წერტილზე მიჩრებული, თითქოს ცხოვრების მიღმა მხარეს იყურებოდეს“.

1946 წელი. საქართველოს რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდი ძირითადად ამ წლიდან იწყებს არსებობას და გასაყვიერი სულაც არ არის, რომ ამ ფონდის სულ პირველი ჩანაწერები უშანგი ჩხეიძის კუვთენის.

1946 ... სამამულო ომის დამთავრებიდან ერთი წელი იყო გასული. წარმოდგენილი განსხვავება რადიოს დღევანდელსა და მაშინდელ ტექნიკურ აღჭურვილობას შორის. რადიოს მხატვრული გადაცემების მაშინდელი ხელმძღვანელი უშანგი ჩხეიძის მაგნიტოფირზე ჩაწერის ინიციატივით და შესუვური აკაკი ძიძიგური იკონებს, რომ ერთადერთი მოძიარე მაგნიტოფონი „დებური“ მიიღეს და ეს „დებური“ უფრო ხშირად უშანგი ჩხეიძის ბინაზე იდგა, რადგან ავადმყოფობის გამო ის ჩასაწერად სტუდიაში ვერ მოვიდოდა. მის ბინაზე ჩასაწერად დღიოდნენ ამჟამად საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი თთარა ქუთათიანი და ტელეფილმების სტუდიის მთავარი ოპერატორი ლევან ქიშიშვილი, რომლებიც მაშინ რადიომაუწყებლობის ოპერატორებად მუშაობდნენ; შემდეგ კი მაგნიტოფონზე მუშაობა შესასწავლეს უშანგის დას — ნინო ჩხეიძის. ასე გაკეთდა ჩანაწერები, რომლებიც დღეს რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდის უძვირფასესი ნიმუშებია.

— შენ აქ მოვედი იმისათვის, რომ შენ ეს გასურდა...
— შენ აქ მოხვედი იმისათვის, რომ შენ ეს მსურდა?...

ეს უნაზუსტი ლირიკული დიალოგი ჩაწერილია თითქმის 30 წლის წინ. როცა ამ სცენის ჩასაწერად ვერიკო ანჯაფარიძე უშანგის ბინაზე მისულა, ივლითის ტანსაცმელი მიუტანია. მას ჩაუცვამს ივლითის კაბა და მიკროფონთან ასე დიდგარსა აღტაცებით შესცქეროდა თურმე უშანგი. მერც დიდი აღტაცებით ლაპარაკობდა ვერიკო ანჯაფარიძის მაღალ პროფესიულ კულტურაზე, რადგანაც მას მაგნიტოფირზე ჩაწერის დროსაც ვერ წარმოუდგინა ივლითი ისე, თუ თავისი ტანსაცმელი არ ეცმებოდა.

ის თოხი თუ ხუთი სცენა ამ სპექტაკლიდან უშანგი ჩხეიძის მონაწილეობით, რომელსაც დღეს მართლაც ფსიკი არ დაედება, ჩვენს წარმოდგენაში თითქოს ხორცის ასხაჟს უშანგი ჩხეიძის ურიელ აკოსტას. უშანგი ჩხეიძის ხმას თითქოს რაღაც სნათო-ლე მისდევს, თითქოს რაღაც მუსიკა მოჰყვება და ჩვენ ვხედავთ იმ შუქ-ჩრდილებს, რომელსაც ასე დიდებულად იყენებდა ამ სპექტაკლში მარჯანიშვილი, თვალწინ გვიდგას მაღალი აზრის და მკვიდრებისთვის მებრძოლი უშანგი ჩხეიძის გმირი,

გვხიბლავს მისი გასაოცარი ლირიზმი და გეიტაცებს მისი ღრმავარებულება, მისი რაინდული თავგამებუბა ამ ნათელი აზრის დასამკვიდრებლად.

სცენები „ურიელ აკოსტადან“ 1947 წლის ზაფხულშია ჩაწერილი. 1948 წლის მაისშია ჩაწერილი სცენები პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერიდან“; ჩაწერილია არა თეატრში, არამედ უშანგი ჩხეიძის ბინაზე.

სცენაში თითქმის მთელი დასი მონაწილეობდა, თითქმის მთელი მოქმედება გათამაშდა მიკროფონის წინ, მისი მეგობრები ფიქრობდნენ, რომ ეს იქნებოდა გზა უშანგი ჩხეიძის სცენაზე დასაბრუნებლად. ამ სცენებში მონაწილე მსახიობთა შორის არის რესპუბლიკის სახალხო არტისტი ტარიელ საყვარელიძე. რადიოს ფონდში ინახება მისი პატარა მოგონება უშანგი ჩხეიძის „ყვარყვარე თუთაბერის“ მაგნიტოფირზე ჩაწერის შესახებ. აი, ეს მოგონება:

... „1947-48 წლების სეზონში შალვა ღამბაშიძემ კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ აღადგინა. სპექტაკლში მონაწილეობდა ჩხეიძე თეატრის თითქმის მთელი თანადარსკვალადი: თვით ბატონი შალვა შეუდარებელი კაკუტა იყო, ქუშარას აკაკი კვანტალიანი ასრულებდა, ბრწყინვალე იყო დარაჯის ეპიზოდურ როლში გიორგი შავკულიძე, ღირსა — ცველილა წუწუნავა და ბოლოს, თვითონ ყვარყვარე — სანდრო ჟორჭოლიანი; დანარჩენ როლებს უფროსი თათბის შალვა წარმომადგენლები: შალვა ჯავარიძე, მიხეილ სარაული, შალვა გიციერელი, ალექსანდრე სიხარულიძე და სხვები ასრულებდნენ. ახალგაზრდები სპექტაკლს ხელს ვუწყობდით... მე გამოძიებლობს როლი მაშინცაა, რომელმაც პატიმარ ყვარყვარეს საქმე უნდა გამოძიოს, მაგრამ სცენაზე დატრიალებული ამბები და მაშინდელი პოლიტიკური ვითარება თვითონ აქცევენ ყვარყვარეს ტყვედ.“

სპექტაკლმა კარგად ჩაიარა და წარმატებითაც მიიღოდა სეზონში. ერთ დღეს ბატონმა შალვამ მონაწილეები გამოგვიძახა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბავი შეგვატყობინა: უშანგი ჩხეიძის თანხმობა მიუცია, რადიოსათვის უნდა სცენები ჩაწეროს „ყვარყვარე თუთაბერიდან“... ცნობილია, რომ პირველი დადგმისას ჟორჭოლიანის ავადმყოფობის გამო მარჯანიშვილს უშანგისთვის დაუვლავია მოუმზადებლად, სასწრაფოდ შესულიყო სპექტაკლში და უშანგისაც გენიალური სახე შეუქმნია. მაგრამ კოტა გადაჭარბებულად მყენებოდა აღტაცებულთა მოგონებით. ვერაფრით ვერ დამკვირვებინა, ამპლეტის, ურიელის, იაკოსა და ჩენჩის შემსრულებელი, ზღვა ტემპერამენტის მქონე, ლევანდად ქვეული უშანგი ისე კარგი ყოფილიყო ყვარყვარეზე, როგორც ვამდობავებდნენ. და აი, ახლა დგებოდა დრო, რომ ახლოს მენახა ეს საოცარი ადამიანი. მასთან ერთად შეთამაშა, მაგრამ არ ვიციღვ, რა შექმნა... როგორ გამებდა მისთვის უდაური და მკაცრი დატყუება... კარგი, მე დადებდი ჩემი თავი! თვითონ? თვითონ! როგორი იქნებოდა შინ ჩაკეტული მასობრივი, როგორ აუღებს ალღოს ამდენი ხნის დაშორებულ მასტინობებს? ამ დღეებში დადგა აღთქმული დღეც; ყველა აფორიაქდა. ბოლოს და ბოლოს, უშანგი დათანხმდა ასეთ კოლექტიურ ჩანაწერზე... შემდეგ რა იქნება, როგორ იქნება...

მივედით უშანგისთან. კარები შევაღეთ და შემოგვეგება ახოვანი ტანის, მხარბეჭიანი, ცეცხლოვანი, ხან კი შვხიდი, ზღვასავით დაბობრილი თვალების მქონე კაცი. უშანგი! ვე-რაფრთ ვერ წარმოგვიგნა, ეს დიდებული ადამიანი როგორ შეიძლება ყვარყვარეს ნაჭურში მოთავსებულყო.

ცოტად და, შევადექით ჩაწერას... დავძლიე ლევა და დავუვრიაღე:

— თავს ძალიან ისაწყლებ, მაგრამ შენს სახეზე ვკითხუ-ლობ, რომ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა შეგძლია!

უშანგი — ეს კლდის ვეფხე — გადაიქცა უმნიშვნელო ჭიად, საბრალო ვუმვლად, რომელიც გასასრესადაც არ ღირს... და მიბასხუხა...

უშანგი — ყვარყვარე ამ დროს იყო დაშლილი, სადღაც სიღრმეში ათიროლებულ-აცხახახებული, მაგრამ საქმარის იყო, გავგო, რომ მას აბრალებდნენ რევოლუციისათვის თავდა-ღებოს, რომ დაეხმარებინათ წელში გამართლები, ყელი მოეღერებინა და სხვისთვის განკუთვნილი დიდება თვითონ მი-ვლო. ამ ზღვდობა უნაური მეტამორფოზა, რომელიც ამ გენია-ლურ სახეს უფრო მსუყე ფეხებით ამდიდრებდა.

ის არ „თამაშობდა“, ის ცხოვრობდა და ამიტომ ეს გრო-ტესკულობადღე მიყვანილი სახე დოკუმენტო დიდი უშუალო-ბით და დადამჯერებლობით. ეს დიდი მხატვრული შედეგით ნი-ჭიერი ხელოვანის მადლით იყო გასვივისგებული“.

უშანგი ჩხვიძემ მცირე ხანს დააკო სცენაზე, მაგრამ მისი სახელი საშუალოდ დაამახსოვლდა მაყურებელს, დამახსოვლ-და მისი უბნადო ტალანტის გამო. დღეს კი, ვით ნაშთი უშან-გი ჩხვიძის ტალანტისა, ნაშთი მისი შემოქმედებითი ცეცხლი-სა, დავერსა მაგნიტოჩანაწერები, რომლებსაც ასეთი სიამოვნე-ბით ვიხიენთ ხოლმე.

ამ ჩანაწერებზე უშანგი ჩხვიძე სიციფლის ბოლო წლებში მუშაობდა. ნინო ჩხვიძე დავმოგვეცხმს, რომ უშანგი თითოეულ ჩანაწერზე დიდხანს და ძალზე სერიოზულად შრომობდა. ნინო ჩხვიძისასვე დახმარებით ჩვენ შევისწავლეთ და დავათარიღეთ უშანგი ჩხვიძის ყველა ჩანაწერი. ჩაწერა დაიწყო 1946 წლის 14 მაისს — როგორც უკვე ვთქვით, ამ დღეს ჩაიწერა პამლე-ტის პირველი მიწოდება „ყოფნა — არყოფნა“ — ამ გრძე-ლდებოდა 1953 წლის დასასრულამდე. ჩაიწერა, როგორც მო-კახსენით, პამლეტის ორი მიწოდება და სცენა სასაფლაოზე, სცენები გუცუვის „ურთულ ავისტადან“, პოლიკარგე კაკაბა-ნის „ყვარყვარე თუთაბერიდან“, დავით კლდიაშვილის „სამა-ნიშვილის დედინაცვლიდან“, „დარისპანის გასაჭირიდან“. რა-დილის ფონდის უტყირფასესი ჩანაწერებია უშანგი ჩხვიძის მი-ერ წვაითხულ ქართული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნი-მუშების ჩანაწერები.

1949 წლის შემოდგომა იყო, ცივი, წვიმიანი და ნისლია-ნი. ავადმყოფობის გამო შინ გამოიკეტებოდა უშანგი ჩხვიძის ასე-თი დღეები განსაკუთრებულ სევდას გვირდა. ამას იგრძნობთ, თუ მის დღიურს გადაფურცლავთ. ბოლო წლებში კი მოწყენი-ლობას შესაძენავდა უმსუბუქებდა რადიოსთვის მუშაობა. მაგ-ნიტოფონი „დენპირ“ უკვე მასთან იდგა. ის ჩანაწერად აზნა-ღებდა მიწოდებებს, თავის საყვარელ ლიტერატურულ ნაწარ-მოებებს და მერე წერდა. ჩანაწერებზე, როგორც უკვე ვთქვით,

ბევრს მუშაობდა, წერდა, მერე მოისმენდა, თავიდან წერდა. ცდილობდა, რომ ყოველი ფრაზა უზუსტესი ყოფილიყო, რაც შეიძლება, ღრმად გადებოდა აზრი თუ განცდა, და, უნებურად მის წაითხულში საკუთარი აზრი და განცდაც იხატებოდა; ჩა-ნაწერები, რომლებიც ახლა ჩვენთანაა, ამ უღივანი ხელოვანის სულის სარკედაც შეიძლება წარმოვივადგინოთ.

1949 წელი ... უკვე მეოთხე წელი იყო, უშანგი ჩხვიძე რა-დიოსთვის მუშაობდა. ჩაწერილი ჰქონდა „პამლეტი“, „ურთე-ლი“, „ყვარყვარე“, ზოგიერთი სხვა სცენებიც სპექტაკლები-დან. ამეზამდა კი მხატვრულ ვიხვავაზე მუშაობდა.

უშანგი ჩხვიძე დიდი გემოვნებით არჩევდა წასაკითხ ნა-წარმოებს. ქართულ პროზისა თუ პოეზიაში ის ეძებდა ისეთ მა-სალას, რომელიც, ცხადია, ესადაგებოდა მის ბუნებას, ამავე დროს კი ქართული სიყვარულში მწერლობის შედეგით იყო და ერის ყველაზე უკეთეს მხარეს გამოხატავდა.

1949 წელი... „ვეფხისტა და მოყმის ბალადა“. ვინ იცის, რა-ტომ ან საიდან გამოცხვდა შემოდგომის იმ ნისლიან დღეს საუკუნეთა მანძილზე ერის სულში ჩარჩენილი მამაცი ვაკა-ცის სახე უშანგი ჩხვიძეს. უკუნეთიდან გამოვიდა და უშანგის მიხვებით თავისი ლამაზი არსებობა შესახსენა ადამიანებს.

უშანგის უნდა დაეზატა ამ გმირის დედაც, არანაკლებ ამა-ყი და მვერითი, მისი გლეჯა და მწუხარება, ტკივილი და სი-ხარული თავისი პირმშოს შეუბნალავი ღირსების გამო.

უშანგის უნდა დაეზატა ვეფხის ღვთაური სილამაზე და შემართება, სიამაყე — სილამაზე დალაქვეული. და ბოლოს დედა — მგლოვანად დედაც ვეფხისა... ხოლო, შემდეგ ეს ყვე-ლაფერი გბრუნე პოეზად უნდა შეგრა.

ასევე მოხდა. უშანგი ჩხვიძემ გააცოცხლა საუკუნეებს მი-ფარებული ურველო და წარბეჭი სახეები, მართლაც წარბე-ჭავი სურათები, რაც ჩვენი ერის მაღალი ზნეობის დიდებული სურათიც არის; მან გვაჩვენა მიუღი სიღრმე და სილამაზე ამ სტრიქონებში შეფარული აზრებისა და ამასთან საკუთარი ნი-მუშებზეც ვკავრნიობინა.

სანამ ჩაიწერა დაიწყებდა, მოუტებინა ჭუნირზე დაკვირ-შესანიშნავი ოსტატო ვინმე ფალიანი და რამდენიმე დღეს მუ-სისხე მგაზე კითხულობდა თურმე ბალადას „...მოლე პოემას ვეფხის ზმარე კითხულობდა. მიკრწონთან, — გვიამბობს ნინო ჩხვიძე, — მე ზედადელი ჭაბუკს, სანადიროდ წასულს, ვხედავდი, გზად ვეფხი როგორ შევივრებოდა, როგორ შეუტევდა ჭაბუკი და შეემბოდა. ვხედავდი ვეფხის მრისხნე სახეს, მო-ულკარე თვალს, მის ძლიერ ტორებს მონადირის დასაფლე-თად გამზადებულს და ამ ორთაბრძოლაში დახცილ ვაკაცეს და ნადირს. როცა უშანგი დაიწყებდა — „იარებდა დედა...“ ღმერთო, რანაირი სახე უხდებოდა... ძნელია აღწერა. დაჯდე-ბოდა საკმაზე დაღონებული, დამწუხრებული, თვალეში ცრემ-ლიჩამდებოდა, თავ-რანამომტრიალი, თითქოს მწუხარე დღის შავი მანდილით თავმებურავი და ავრძლებდა... „ჩემი შვილის გზად ვეფხი შაკაბია, გაჯარებული, ტიალი...“ და სულ ბოლოს ისევე ვეფხე წამოდებოდა, რაღაც გაუნათებდა მწუხა-რე სახეს, თვალში ნათელი ჩაუდგებოდა, წელში ამაყად გი-მართებოდა, სიმწირით გაიღიმებდა და ამთავრებდა: „ერთი შეილ მაინც ვაკვარადე ვეფხებთან მეომარია...“

სამწუხაროა, რომ ეს სურათი, გარდა ნინო ჩხეიძისა, არავის უნახავს.

„მხრნაული ბალადა“ — ქართული პოეტური ფოლკლორის ერთი ბრწყინვალე შედევრთაგანი. საფერებელია, რომ ამ ბალადას უშანიგი მაგნიტოფონზე იმავე ხანებში წერდა. უშანიგი ჩხეიძის ამ ბალადის ყველაზე მომგებიანი ვარიანტი შეურყეველია. მისი კითხვის დროს ამ დიდებულ პოეტურ ქმნილებას არ აკლდება ფერის არტეფიქტი ნიუანსი — ყველაფერი თვალნათლივია, მაგრამ არა ზედაპირზე, სადაც სიღრმეში გამოსცემს ნათებას. ინტონაცია, პაუსები, სიტყვის წარმოთქმა ზუსტადაა გამიზნული. იგი სიტყვას ისე წარმოთქვამს, რომ ამ სიტყვებს თითქოს თან ახლავს პირველქმნილი სილამაზე და უშუალოდ, სიტყვას ისე გრძნობს, თითქოს ეს სიტყვა პირველად ახლა იბადებოდეს... და ამ ფერებით, ამ ხანებით, ამ პაუსებით, სიტყვების ამ პირველქმნილი სილამაზით იგი გადმოცემს ამბავს, რომელიც მუხრანის ველზე მოხდა ოდესღაც, მაგრამ ისეთი განზოგადებით, რომ ჩვენს სისფხვაში არასოდეს წაიშვალის არც შემართება ყოვრადისა, არც რაინდობა მუხრანელისა. ყველაფერი ნათქვამია თითქოს ერთი ამოსუნთქვით... შემდეგ პაუსა და უცაბედი, მოულოდნელი დასასრული, გასართობი უზარლოებით მოტანილი სიღრმე ბოლო სტრეკიონებისა; რაინდული შერეონება ორი მამაკაცი მჭობრისა და მისივედ იმით, რომ მათ ერთმანეთს თავი შეაკლეს, ხოლო ქალი სხვისას წავიდა.

ერთი წლით ადრე უშანიგი ჩხეიძეს ილია ჭავჭავაძის პატარა მოთხრობა — „ნიკოლოზ გოსტაშაინიშვილი“ ჩაუწერია. ეს გახალავთ უშანიგი ჩხეიძის მიერ ჩაწერილი ერთადერთი პროზაული ნაწარმოებია და როცა ვისმინებ, ვრწმუნდებით, რომ დარბაზული თხრობა უშანიგის ისევე კარგად ეგებებოდა, როგორც პოეტური ნაწარმოების მძაფრი ემოციების გადმოცემა.

კვლავ ნინო ჩხეიძის მოგონებას მივიშვებოთ: „... ორი თვე იმუშავა უშანიგი ამ მოთხრობაზე, ან უკეთ რომ ვთქვათ, ორი თვე მოუნდა ჩაწერას ისიც და მეც, თორემ მოთხრობაზე კარგა ხანია, მუშაობდა. ვიჯექი აპარატთან და მიწერებოდა მისი სახეს. ეს უშანიგი არ იყო ხოლმე, ვიღაც სხვა იყო — ხან ვატორი, ხან რომელიმე მოქმედი პირი მოთხრობისა და ხანაც თვით გოსტაშაინიშვილი.“

როგორი სინაუნლარევი სიყვარული აესახებოდა ხოლმე სახეზე, როცა პატარა და-ძმებზე ვკვებოდა, — ახალი წლის წინა საღამოს ღვდისთან როგორ დაფუსფუსებდნენ ათასნარი ტყბილეულისა და გოზინაყის მოლოდინში. ან როგორი ყიფინით გასძახებდა გოსტაშაინიშვილს ბრძოლის ველზე:

— ნიკოლოზ, ნიკოლოზ... — ახლაც ვეხად, მარცხენა ხელის მტკვანს როგორ მიიღებდა ლოყაზე ტუჩებთან, უოუოდ ფეხზე წაიშლივებოდა და ისე გასძახებდა...

თავის ჩანაწერზე არასოდეს უთქვამს, მომწონსო, თავის მსახიობბასაც ასე უკურებდა, სრულყოფილი არცერთ რეჟისორს არ ვყოფილვარ, ამ ასაკამდე რომ ვყოფილიყავი თეატრში, უკეთ ვითამაშებდიო...

მე კი ჩაწერის დროსაც აღტაცებული ვიყავი მისი ოსტატობით. მარბალია, სცენაზე ვერ ვნახე, მაგრამ მიკროფონთან ისეთი სასწაულებს ეხედავდი, აღტაცებაში მივდიოდი“.

1950 წლის ივლისში უშანიგი ჩხეიძე აკაკი ძიძიგურს სწერდა:

„წამოსვლისას ვეღარ დავგლავპარაკე. თუ ივარგებს, „ბახტრიონის“ ნაწყვეტები გაუშვით. მე მჭონია, როცა ჩამოვალ, უკეთ ჩაეწერ. იმედს არ ვკარგავ, რომ ახლოს ავუღებ. პატარა ლექსები თუ არ ვარგავ, ნუ გაუშვებთ“.

უშანიგი ჩხეიძეს „ბახტრიონზე“ დიდხანს უმუშავნია. მისი ნაქონი „ბახტრიონი“ რომ გადაფურცლოთ, ბევრ საინტერესო მინაწერს ნახავთ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მას განსაკუთრებით ჰყვარებია: ერთ ინტერვიუში, როცა სთხოვენი, თავისი საყვარელი პოეტი დაასახელოს, იგი ვაჟა-ფშაველას ასახელებს. როცა უშანიგის „ბახტრიონს“ ისმინებ, უსათუოდ იმხატვრე ფიქრობთ, თუ რა დიდი შრომა და ფიქრი დასჭირდებოდა იმ სიმბალტულ მისალწვევად, საიდანაც მან ასე ღრმად ჩაისხნდა ვაჟა-ფშაველას სამყაროში.

... მე ცუდი მეთიხვეული ვიყავი, ვიდრე მსახიობი, ხოლო რადიოში კიდევ უფრო ცუდი ვარ, ვიდრე მკითხველი ვიყავი. თუ ჩემზე ცუდი წარმოდგენა დარჩებათ, როგორც მსახიობზე, ეს იქნება არა მარტო ჩემი, შენი ბრალიც, რადგან რადიოსთან დამაკავშირე სწორედ მაშინ, როცა სასურველ ფორმაში არ ვიყავი“ — ასეთი წარწერით ინახება უშანიგი ჩხეიძის ერთი წიგნი აკაკი ძიძიგურისა. ასე შეაფასა უშანიგი ჩხეიძემ ჩანაწერები, რომლებიც დღეს საქართველოს რადიოს ოქროს ფონდის ნიმუშებია და სულ სხვაგვარ შეფასებას აძლევს მსმენელი.

1951 წლის მთელი ზამთარი უშანიგი ჩხეიძემ სიმონ ჩიქვანიანის პოემაზე მუშაობაში გაატარა. „სიმონრა დავით გურამიძის“ უშანიგი ჩხეიძის ძალიან მოსწონდა და იანერდინ იფინსადღე თურმე წიგნი ხელიდან არ გაუშვია. წერდა და შლიდა, ამატებდა, ისევ აკლებდა. წერდა, როცა განწყობა ჰქონდა, როცა მუხურებოდა. ამ ციკლზე მას ყველაზე მეტი უმუშავნია და, ეტყობა, სხვა ჩანაწერებთან შედარებით იგი ყველაზე მეტად მოსწონდა.

რადიოს ჩანაწერთა ფონდში ინახება სიმონ ჩიქვანიანის მონგრეულ უშანიგი ჩხეიძეზე. იგი დიდ შეფასებას აძლევს საერთოდ უშანიგის შემოქმედებას. კერძოდ კი, მის მხატვრულ კითხვას.

აი, ეს მოგონებაც:

„უშანიგი ჩხეიძე იყო ჩემი ახალგაზრდობის უახლოესი მეგობარი. მე მასთან 27 წლის მეგობრობა და ძმური სიყვარული მაერთებდა. გორდესაც პირველად სცენაზე ვნახე, იგი ირაკლია გარამგელის მიერ ავებულ კიბეებზე ემჯობებოდა. მე თითქოს სადაღაც შორს ვიჯექი და მეჩვენებოდა, რომ ის კიბის საფეხურზე კი არ ჩამოდიოდა, არამედ სადაღაც, მაღლა და სულ მაღლა მიემართებოდა. მისი მელოდიური ხმა ისე ახლოს იყო ჩემს უკულთან, თითქოს იგი მე მკვებოდებოდა, მისი ხელით შეხება შეიძლებოდა. იგი რამდენადაც მაღლებოდა, იმდენად უფრო უახლოვდებოდა ჩემს სულიერ ცხოვრებას და თითქმის ორი წლის შემდეგ ჩვენ განუწყურელი მეგობრები გახვდით. მე მისი მაღალი ტალანტის არსებობა მაძლევდა დიდ შემოქმედებით გზაზე გაქანების იმედს და მახსლობდა შემოქმედების ახალ სამყაროსთან. მა-

გონდება ჩვენს მიერ გათენებული ღამეები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბორჯომში, საურები პოეზიისა და თეატრზე, პოეტური შთაბეჭდილებები და სულში დაგუბებული განთიადები. მე მაამებდა მისი ადამიანური და სცენური კეთილშობილება, მეგობრული ერთგულება და შეუდარებელი, მაღალი ტალანტი. უშანგი ჩხეიძე იყო ქართული პოეტური სიტყვის ნამდვილი მეგობარი, ქართული პეოზიის თანაგრძელი და თავიებური მოამბე. მისი სულიერი ცხოვრების საფარველები იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, ქართული ხალხური პოეზიის შედევრები. იგი ფაქიზი გემოვნებით არჩევდა საბჭოთა პოეტების ლირიკულ ლექსებს, დიდი ოსტატობით და არტისტული მწოდლოდობით კითხულობდა თანამედროვე პოეტების ლექსებს და მათ ახალ სიციხვას უშვებდებდა. უშანგი ჩხეიძე კი არ უამბობდა ლექსის შინაარსს, კითხვისას ლექსის ზედმეტ დრამატიზაციას არ ახდენდა, იგი როგორც სიტყვის ფაქიზი ოსტატი პოეტურ მუსიკალურს უნარჩუნებდა ლექსს და პოეტურ აზრს მწოდლოდობიდან არ თიშავდა. იგი იყო პოეტური სიტყვის ფაქიზი მეგობარი და შთაგონებული მკითხველი. ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა მან თავისი ფაქიზი და გამჭვირვალე ოსტატობით რადიოში წაიკითხა ნაწყვეტები ჩემი პოემიდან — „სიმღერა დაიეთ გურამიშვილზე“. მან ეს პოემა ხალხს და ავტორს ახალი განათებით გააგონა. იგი კითხულობდა მშვიდი შთაგონებით, პოეტურ სიტყვაში შეუდარებელი ჩაწვდომით და ამღერებოთ.

თითქოს შორიდან მეძახდა მისი კეთილშობილი ხმა და ეს ხმ ჩემს ოთახს ავსებდა. ეს იყო მისი უკანასკნელი შემოქმედებით ნამუშევარი და მისი მომხიბლავი ხმის უკანასკნელი ამღერება“.

მაგრამ არა, უშანგი ჩხეიძის უკანასკნელი ნამუშევარი ეს არ ყოფილა. ბოლო წელიწადს — 1953 წელს ბარათაშვილი პოეზიაზე მუშაობდა. იმ ორი ლექსის ჩანაწერი — „შემოღამება მთა მთაშინდაზე“ და „ფიქრნი მტკვრის პირად“, რომლებიც ახლა რადიოს უნიკალურ ჩანაწერთა შორისაა, თურმე სასიხვი ჩანაწერები ყოფილა. ამ ჩანაწერებს უშანგი კიდევ დახვეწასა და დამუშავებას უპირებდა.

რვა წლის მანძილზე მუშაობდა უშანგი ჩხეიძე რადიოსთვის — 1946 წლიდან 1953 წლის დასასრულამდე და საკმაო ჩანაწერები დავიტოვა. ზემოთ ჩამოთვლილ ჩანაწერთა გარდა მათ შორის არის: ვაჟა-ფშაველას კიდევ ორი ლექსი — „ბაკური“ და „ჩივილი ხმლისა“; გიორგი ლეონიძის „ქვეფან დედოფლის წიგნი“; საინტერესო მასალა დაცული რადიოს ფონდში უშანგი ჩხეიძეზე მოგონებების სახით. ამ მოგონებების ავტორები არიან: ვერიკო ანჯაფარიძე და ვასო გომიჯიშვილი, აკაკი ხორავა და ზაქარია გომელაური, ოსებ გრიშაშვილი და დენმა შენგელია, კარლო კალაძე, აკაკი ძიძიგური და ბოლოს უშანგი ჩხეიძისა — ნინო ჩხეიძე.

ეს ყველაფერი საინტერესო მასალა მათთვის, ვისაც უშანგი ჩხეიძის შემოქმედება, მისი პიროვნება აინტერესებს.

რისკაშვალის სახალხო არტისტის ზეორგი
შავკვლიძის ჩანაწერები

გიორგი შავკვლიძე ძალზე ემოციური მსახიობი იყო. ემოციურობა, იშვიათი მომხიბვლელობა — მისი ნიჭის, მისი ტალანტის პირველი ნიშანი სწორედ ეს იყო. მან მრავალი საინტერესო სახე შექმნა როგორც კლასიკურ დრამატურგიაში — ეს იყო ქართული თუ უცხოური და რუსული დრამატურგია, — ისე თანამედროვე პიესებში და მის მიერ შექმნილი ყველა სახე სწორედ იშვიათი ემოციურობით იყო აღბეჭდილი.

ემოციური, მომხიბლავი ძალა მისი ტალანტის ჩვენ შეგვიძლია თვალნათლივ ვიგრძნობთ ამჟამადაც, როცა ვისმინებ იმ სპექტაკლის ჩანაწერებს, რომლებშიც გიორგი შავკვლიძე მონაწილეობს.

... დარბაზი გუგუნებს, დარბაზი აღფრთოვანებული ტაშით ხვდება მის გამორჩენას. მონუსხული მაყურებელი თვალს ადევნებს მის ყოველ ნაბიჯს, მოულოდნელობით სავსეა მისი ყოველი მოძრაობა, მოულოდნელი მომხიბვლელობით... და დარბაზი თავს ვერ იკავებს — იცინის, გულიანად ხარხარებს კიდევ, ხანდახან კიდევ გაიანებება, ვრუანტიცივ ბევრჯერ დაუვლის, შერე ტაშის ზღადა გადაიტყვევა, ამოიკმინებს უეცარი სისარულით თუ მოულოდნელი სილამაზის ხილვით დაიმტკბარინა... და ჩვენ ვხედავთ იშვიათი ოსტატობით ნაძერწ სახეს, უჩვეულო პლასტიკას, ვეკისის გ. შავკვლიძის ხმა, მისი ხუმრობა,

ბა, მისი სიცილი, მისი სიმღერა... და ცხადად ვგრძნობთ მისი ლამაზი ტემპერამენტის უჩვეულო ზეგავლენას მაყურებელზე: დამბაზი თითქოს ცოცხალ ტალღად გადაიტყვევა, როცა შავკვლიძე სცენაზე გამოდის, დარბაზი სულ სხვანაირია, როცა გიორგი შავკვლიძე სცენაზეა.

უთუდ ბევრს ემასოვრება სცენები ლევან გოთუას „მეფე ერეკლედან“ გიორგი შავკვლიძის მონაწილეობით. რადიოს იშვიათ ჩანაწერთა ფონდში ამ სპექტაკლის სრული ჩანაწერი ინახება. 20 წელზე მეტი ხანი გავიდა მისი ჩაწერიდან. იგი 1956 წლის 26 სექტემბერსაა ჩაწერილი.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ვერიკო ანჯაფარიძე ერთვან გიორგი შავკვლიძის მიერ შექმნილ სახეებს ახასიათებს და ასეთ შედარებებს მიმართავს: „კედლიდან გადმოსული ფრესკა — მისი გიორგი ჭკონდიდელი (ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელი“). თეთრი ქანდაკება — იულიუს კეისარი (შექსპირის „ანტიონუს და კლოპატრა“), საიათნოვა — ძველი ქართული მინიატურა (ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“)“. მართლაც ასეთ — ძველი ქართული მინიატურის პლასტიკას ვგრძნობთ გიორგი შავკვლიძის თამაშში მაშინაც, როცა მხოლოდ ამ სპექტაკლის ჩანაწერს ვისმინებ და რაც მეტი მანძილია აღმოსავლური მინიატურიდან ანტიკურ თეთრ ქანდაკე-

ბამდე, მით უფრო მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია გიორგი შავგულიძის ნიჭი.

1956 წლის 3 აპრილსა ჩაწერილი ფრიდრიხ შილერის „მარია სტიუარტი“ — მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი (გიორგი შავგულიძე — ლორდი ლესტიერი); 1957 წლის 10 მარტს ა. კასონას „ხეები ზეზურდად კვდებიან“ (გ. შავგულიძე — მკურთხველი); 1957 წლის 15 მაისს — ულიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“ (გ. შავგულიძე — ლორდი პასტინგისი); 1958 წლის 12 მარტს — მარკო ბარათაშვილის „მარინე“ (გ. შავგულიძე — კოსტა); 1959 წლის 1 აპრილს — პოლიგარბე კაკაბაძის „კოლმურნის ქორწინება“ (გ. შავგულიძე — ხარიტონი).

„... ხარიტონი გვერდში ამოუღდა უშანგის ყვარყვარს, ვასოს ლურსაბს...“ — წერს ვერიკო ანჯაფარიძე ამ სპექტაკლის დიდი წარმატება და პოპულარობა გიორგი შავგულიძის მაღალნაჭიერება თამაშმა განაპირობა. მისი ხარიტონი მართლაც დაუეწიარო იყო. იმპროვიზაციას აქ საზღვარი არ ჰქონდა, მსახიობი ერთხელ მიგნებულ ხერხს არ სჯერდებოდა და ყოველ წარმოდგენაში სახეს რაღაც ახალსა და მოულოდნელს უმატებდა. რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩანაწერის შემუშავებით შევიძლია რადიომსმენელს გაეახსენებოთ გიორგი შავგულიძის მიერ დაუმრეტელი და ლამაზი იუმორით დახატული ეს მშვენიერი სახე.

როგორც უკვე ვთქვე, სპექტაკლი 1959 წლის 1 აპრილსა ჩაწერილი. შეგახსენებთ, რომ გიორგი შავგულიძე იმავე წლის 13 აპრილს გარდაიცვალა.

გარდა მთლიანი სპექტაკლებისა, საქართველოს რადიოს ფონდში ინახება რამდენიმე ცალკეული სცენაზო ზოგიერთი სპექტაკლიდან გიორგი შავგულიძის მიწაწილობით. ესენი გახლავთ: სცენა ლაერენტო არდაზიანის „სოლომონ ისაკიან მეჯ-

ღანუაშვილიდან“ (გ. შავგულიძე — ლურსაბი), ავსტრიელი ცეარლის პიხიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (გიორგი შავგულიძე — საქო), შალვა ღაღანიძის დრამატული კომპოზიციიდან „ნაიშვილის გურია“ (გიორგი შავგულიძე — ისანი), გრიბოედოვის პიხიდან „ვაი ჭკუისაგან“ (გიორგი შავგულიძე — მოლანინი).

გიორგი შავგულიძე მონაწილეობს სამ რადიოდამგამოცემ. 1955 წელს რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციას ჩაუწერია მაქსიმ გოგის — „დედა“ (გ. შავგულიძე — პავლე ვლასოვი), 1954 წელს — ლეე ტოლსტოის „ადღამის“ (გ. შავგულიძე — პროკურორის ამხანაგი), 1954 წელსვე — ანტონ ჩეხოვის „ბოდინის მოხდა“ (გ. შავგულიძე — დერენგოვაციანი).

რესპუბლიკის სახალხო არტისტის შ. გომელაურის მოგონებთა წიგნში ასეთ სტრიქონებს წაიკითხავთ:

„გ. შავგულიძის დიდი პოპულარობას მოწმობს ისიც, რომ როდესაც ის გარდაიცვალა, ჩვენთან ერთად მაყურებელიც გლოვობდა და თეატრს დიდხანს არ ეკარებოდა. კარგა ხანს გეხდებოდა ცარიელ დარბაზში თამაში...“

მაყურებელმა მართლაც გულთი დაიტირა საყვარელი მსახიობი, იგი დიდხანს ვერ შეეგუა მის დაკარგვას და თუ რადიოს ჩანაწერებმა გიორგი შავგულიძის ხელოვნებით აღტაცებული მაყურებლის მრავალი ტაში და ოვაცია შემოინახა, აქვე ინახება ერთი მაგნიტოჩანაწერი — სამელოფიკრო მიტინგი გამართული მარჯანიშვილის თეატრში გიორგი შავგულიძის გარდაცვალების გამო. მიტინგზე წარმოთქმული სიტყვების გარდა, აქ ისიცაა აღბეჭდილი, თუ რა დიდი გულსტკივლი, რამდენი ცრემლი გააყოლა ძვირფას მსახიობს ათასობით მაყურებელმა.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მასწავლებლის ჩანაწერები

ვასო გომიაშვილის უამრავ ჩანაწერს შორის არ გვევსლება უფრო პოპულარული, რადიომსმენლისათვის უფრო ნაწილობით და სახიამოვნოდ მოსაშენი ჩანაწერი, ვიდრე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „აკაცია-ადამიანი“?!

ვასო გომიაშვილის ლურსაბ თათქარიძე... უშენი და კვლავ შენს თვალწინა ეს უდიდესი ოსტატობით შექმნილი სახე, კვლავ გატყვევებს ამ საკვირველი ხელოვანის ოსტატობა, დაუმრეტელი უნარი სახის შესაქმნელად განსაკვირვებელი ხერხების გამოგონებისა, სახის ღრმა ცოდნა და, რაც მთავარია, სიყვარული, რის წყალობითაც მისი სტატორა უფრო მაღლდება, სრულფასოვანი და სრულქმნილი ხდება. სწორედ ამით უზნეობდება იგი ამ მოთხრობის ავტორს და სინამდვილეს, იმ სინამდვილეს, რამაც ილიას ეს მოთხრობა დააწერინა. სპექტაკლის ჩანაწერის თარიღია 1955 წელი.

„... ვასო გომიაშვილი ბედნიერი ნიჭია, ხალხის წიაღიდან გამოსული... ვასო ქართული ნიღაბია. ეს არის მასში მთავარი...“ — წერდა საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე ვასო გომიაშვილის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში 1965 წელს.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებს ვასო გომიაშვილის მთელი შემოქმედება, მის მიერ შექმნილი ნიღაბების მთელი გალერეა, სადაც ყველაზე მეტი ბრწყინვალებით მართლაც ქართული ნიღაბი გამოირჩევა, რადგან მას ახლავს ერთგვარი ლირიზმი და გულის სითბო ამ ჭეშმარიტ ხელოვანის, ჭეშმარიტად ხალხური და მართლაც სახალხო მსახიობისა.

იშვიათია ხელოვანი, რომელსაც ასეთი სიყვარული ხელომდა წილად, რომლის ტალანტს ასეთი დიდი ზეგავლენა მოეხდინა ადამიანზე, ამდენი სიხარული მოეტანა მათთვის. იშვიათია ამდაგვარი პოპულარობა, ასეთი საყოველთაო აღიარე-

ბა, ასეთი ნამდვილი თყავანისცემა. ამის მიზნები კი სწორედ ის არის, რომ ვასო გომიაშვილის დიდი ტალანტი ხალხის წინადას არასოდეს მოსწყვეტია.

რადიოს იშვიათი ჩანაწერთა ფონდში ინახება ერთი სპექტაკლი, სადაც ვასო გომიაშვილმა შესანიშნავი სახე შექმნა უბრალო ქართველი გლეხისა, იმ უბრალო ადამიანისა, რომელიც, მსგავსად მრავალი მისივე მსგავსი კაცისა, ძნელბედობის ეპსა, ქვეყნის წაზღვრის, უიმედობის, უხელოების გამს გულში ინახავდა სიწმინდეს თავისი ხალხისა, იმდეს თავისი ქვეყნის გადარჩენისა.

ეს გახლავთ ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუვიენის „ღალატში“ — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. ვასო გომიაშვილი — ბესო. სპექტაკლი დაიდგა 1966 წელს. ჩანაწერის თარიღია 1966 წლის 23 ივნისი.

ჩვენი ჩანაწერების ფონდში ინახება ორი სპექტაკლი, სადაც ვასო გომიაშვილი ერეკლე მეფის როლს თამაშობს. ესაა: ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ და ვალერიან კანდელაკის „მეა წყნეთელი“. პირველი ჩანაწერი 1956 წლის 26 სექტემბერს, მეორე — 1955 წლის 30 ივნისს.

საერთოდ, რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში 11 მთლიანი სპექტაკლია დაცული ვასო გომიაშვილის მონაწილეობით. გარდა ზემოთ ნახსენები სპექტაკლებისა, აქ არის: უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“ — ჩაწერილი 1957 წლის 15 მაისს, ცაო ივის „ტაფაფუნი“ — ჩაწერილი 1958 წელს, კარლ გუცოვის „ურული ავისტა“ ჩაწერილი 1962 წლის 17 აპრილს, პარიანის „ძია ბაღდასარი“ — ჩაწერილი 1968 წლის 15 თებერვალს, აკაკი გუჭაძის „ყარამან ყანოღაძე“ — ჩაწერილი 1968 წლის 13 იანვრს, „ძველი ვიდეოკამეა“ — ჩაწერილი 1968 წლის 14 ნოემბერს და ალ. კორნიევიკის „სსონა გულისა“ — ჩაწერილი 1974 წლის 7 იანვარს. გარდა ამისა, ამ ფონდში ინახება მთელი ერთი მოქმედება ავქსენტი ცაგარელის კომედიიდან, ჩაწერილი 1947 წლის 19 მარტს ელისაბედ ჩერქეზიშვილის საიუბილეო საღამოზე (ეს ჩვენეი ფონდის ერთ-ერთი უძველესი ჩანაწერია), სცენები ზურაბ ანტონოვის პიესიდან „მუსხი დაბნელება საქართველოში“, ორი სცენა ნიკოლოზ გოგოლის „რეგიზორიდან“ — ერთის თარიღია 1954, ხოლო მეორის — 1964 წელი, სცენა ბერნარდ შოუს პიესიდან — „ეკისარი და კლოპატრა“, 2 სცენა მიხეილ მრგელიშვილის „ზვავიდან“ და მიხეილ მრგელიშვილისავე „ხარბაჩანთ კერა“ — რადიოსპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის მიხედვით, ჩაწერილი 1960 წელს.

ვასო გომიაშვილი რადიოში. ეს გახლავთ მისი შემოქმედების კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი.

თუ საქართველოს რადიოს ფონოგრაფების კარტოთეკას გადავხედავთ, ვასო გომიაშვილის სახელზე უშუალოდ რადიოში გაკეთებულ ჩანაწერთა 50-ზე მეტი ბარათი დგეს. აქედან პირველი ჩანაწერის თარიღი 1953 წლის 28 აგვისტოა. ეს გახლავთ პანს ქრისტინან ანდრესენის ზღაპრისა — „ბუღულისა“ რადიოდადგმა ბავშვებისათვის; ბოლო ჩანაწერის თარიღი კი

1975 წლის 21 იანვარია. ამ დღეს ვ. გომიაშვილს ხალხური ლექსები და სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე არაკი ჩაწერია. ამ თარიღებს შორისაა მოქცეული მრავალი ძვირფასი ჩანაწერი — რადიოდადგმები და მსატრეული კომპოზის ნიმუშები, რადიოკომპოზიციები ვ. გომიაშვილის მონაწილეობით, საუბრები მიკროფონთან, მოვინებები, დღეს უკვე განუზომელი ღირებულების მქონე მისი ზეპირი მემუარები.

ვ. გომიაშვილი 15 რადიოდადგმის მონაწილეა. ამ რადიოდადგმებს შორის არის: ლ. ტოლსტოის „ადღეობა“ და მ. ვაზიშვილის „ქალის ტვირთი“, ა. ჩხვოვის პატარა მოთხრობები და ნ. გოგოლის „ტარას ბუღბა“, ჰემინგუის „მოხუცი და ზღვა“ და ლ. გოთუას „უგზო ქარავანი“, გ. ლეონიძის „ჩორეხი“ და რ. გამზათოვის „ჩემი და დღესტანი“, ა. ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალი“ და კვლავ ლ. გოთუას „ნისლი ნახატარის ტყეში“.

ამ რადიოდადგმებს შორის ზოგი, იქნებ სუსტიცაა, არის მსატრეულად ძლიერი და საშუალო დონის დადგმებიც, მაგრამ ვ. გომიაშვილის ტლანტეს ყოველი მათგანი მნიშვნელოვან ნაწარმოებად უქცეოდა, რამეთუ დღეს ყოველი მათგანი ამ განუმეორებელი ხელოვანის შემოქმედების ერთ-ერთ ფურცელს წარმოადგენს.

ცხადია, აქ მოვიხსენიებთ ვ. გომიაშვილის მიერ საუკეთესო რადიოდადგმებში შექმნილ საუკეთესო სახეებს, რომლებიც ჩვენი რადიოთეატრის მშენებელია.

ასეთია მეტყვევ ბარათის სახე რადიოდადგმაში ლ. გოთუას მოთხრობისა — „ნისლი ნახატარის ტყეში“ (რეჟისორი ვ. კანდელაკი). იგი მხოლოდ რადიოთეატრის მშენებარა როლია. ის შეიძლება თამაბად დაფაყნოთ საქრთველს ვ. გომიაშვილის მიერ შექმნილ საუკეთესო სახეთა ვეგროდ.

რადიომშენებებს არ შეიძლება არ ასხოვდეთ მეტყვევ ბარათა. არ შეიძლება არ ასხოვდეთ „კაკლის პაპა“, როგორც მას ლ. გოთუა უწოდებს, საქართველოს ადგილის დედა, საქართველოს მიწის დარაკი, საქართველოს მშენებინების დარაკი, საქართველოს ბუნების მცველი, სიკეთის მცველი, სიკეთის მზრდელი...

ძალზე ახლოს დგას ამ სახესთან გ. ლეონიძის ჩორები. ისიც საქართველოს ფუძის დარაკია, თავისი ქვეყნის მოჭირნხული, „გარდარეული მეცნებე“, რუსთაველის ლექსზე მლოცველი. აქაც ისევ ხალხურობის სურნელი ტრიალებს, აქაც მკვიდრობის ხახუნური სული და სწორედ ამით უახლოვდება ვ. გომიაშვილის ჩორები გ. ლეონიძის მოთხრობის გმირს. ეს ხალხური სისადავე და სიღარბისღვე, უშუალობა, სიკეთე და სიწმინდე გახლავთ წყაროსთავალი როგორც გ. ლეონიძის, ისე ვ. გომიაშვილის შემოქმედებისა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვ. გომიაშვილის გორგას-ნანს დაწყებული. გოთუას მოთხრობის — „უგზო ქარავანის“ რადიოდადგმაში (1966 წ.), მეფე ერეკლე ა. ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალი“ (1972 წ.), არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ტარას ბუღბა (1952 წ.), გორკის მოთხრობის თემურ ლენგი (1961 წ.) და ბოლოს აბუთალიბი, რ. გამზათოვის აბუთალიბი, დაღესტნის სახალხო პოეტი და ამ ხალხის შვილი, რ. გამზათოვის წიგნის — „ჩემი და-

ლესტანის“ ერთ-ერთი გამირი (რეჟისორი ნ. რუსიშვილი, 1970 წ.).

რადიოს ჩანაწერებს შორის ვ. გომიაშვილის მიერ წაკითხული ბევრი ლიტერატურული ნაწარმოების ჩანაწერი ინახება. აქ შეხედებით ქართულ ხალხურ პოეზიას, კლასიკური თუ თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს, რუსული ლიტერატურის ნიმუშებს, აღმოსავლურ პოეზიას. ერთ-მანეთს ეკლეს მასშიმ გორკი და ომარ ხაიამი, საიანთოვა და გ. ლონიძე, სულხან-საბა ორბელიანი და ნ. გოგოლი, მ. ჯავახიშვილი და ი. გრიშაშვილი, მ. ელიოზიშვილი, გ. შატერვაშვილი, ი. აბაშიძე და ა. შ.

თავისებურია ვ. გომიაშვილის კითხვის მანერა. იგი ნაწარმოებს ჩვეულებრივ როდი გვიკითხავს, ანდა ამბებს როდი აღგვიწერს. ის არ მოგვითხრობს, თხრობს მშინვე მოქმედებად გადაქცევის და ყველაფერს ამოძრავებს, ამოქმედებს, სიცოცხლეს შთაბერავს, გააცოცხლებს. იგი სახეს გარედან არ ხატავს, თვით ამ სახედ გადაიქცევა და ჩვენამდე ის მოქმედს მისი არსი, შინაგანი ბუნება თუ გარეგნული ხასიათი. მას შეუძლია, მთელი მოქმედება ერთადერთმა გაითამაშოს — მრავალპერსონაჟად გარდაიასახოს და იმ გარემოს ფერი და ელფერიც დაგვანახოს, სადაც მისი პერსონაჟები მოქმედებენ. ერთი სიტყვით, მას შეუძლია, ერთმა მოახდინოს ისეთი მძლავრი ემოციური ზეგავლენა, რასაც მთელი თეატრი სჭირდება. დიას, მას შესწევს ამის ძალა, შესწევს ეს სიტყვა, — რადიოში, სადაც მისი იარაღი მხოლოდ სიტყვაა, სიტყვა და ხმა. მაგრამ მისი ტყვეს მუდამ თან ახლავს მხატვრული ალღო. აზრი და გრძობა, ფანტაზია, მისი უსაზღვრო ტემპერამენტი და ჩუნს თვალწინ თამაშდება მართლაც მთელი სანახაობა, მთელი სპექტაკლი.

მაგრამ ამ სახის ჩანაწერებიც თავიდან ბოლომდე დახვეწილი, ზუსტად აწიონილ-დაწიონილი არ არის ხოლმე — ვ. გომიაშვილი ემოციის მხასიობი იყო, მისი ყველა ნამუშევარი ძირითადად ემოციას ემყარებოდა. თუმცე, საშუალო ხარისხის ჩანაწერშიც მისი ნიჭის ძლიერება ზოგან ისე გამოაშუქებს, მოუნსხული ძრება მსმენელი. ასეთი მძლავრი ემოციური გავლენების რაღაზე ხშირია, როგორც აღვნიშნეთ, ყველა ხარისხის ჩანაწერში. მაგრამ ვ. გომიაშვილს აქვს ერთი ამოსუნთქვითი შექმნილი შედეგებიც, სადაც იგი შეუდარებელია... და ეს ერთი ამოსუნთქვა ზოგჯერ 50 წუთსაც გრძელდება. ეს კი უკვე სპექტაკლია, მთელი სპექტაკლი. ამ სპექტაკლში ცრემლივცა, სისარულიც, სიმღერაც, კნესაც, ერთი სიტყვით, მრავალი ფერი — ადამიანის სულის უღრმესი ნაპრალებიდან ამოგრეფილი თუ თვითონ ნანახი და დასანახი.

ასეთი სპექტაკლები ჩვენს პატარა სტუდიებში იქმნებოდა. რა სჯობდა ამ დროს ვ. გომიაშვილის ყურებას. ჩვენ უდიდესი შემოქმედების მოქმენი ვხდებოდით. სამუშაოდ, ის ძვირფასი სურათები მართლოდენ ხსოვნაში ჩარჩა, მაგრამ მაგნიტოფირმა შეინახა და შეუძლია ყოველივე ეს აღადგინოს, ისევე თვალწინ დაგვიყენოს.

ასეთი ჩანაწერების რიცხვს ვკუთვნის მ. ჯავახიშვილის „მართალი აბდულაჰ“, რომლის ხანგრძლიობა 50 წუთია და რომელიც 1966 წლის ნოემბერში ჩაიწერა. ძალზე საინტერესო

გახლავთ მწერალ მ. ელიოზიშვილის მოთხრობის „ბებერი მეზურნეების“ ჩანაწერი — თარიღი 1963 წლის 10 აგვისტო. ამ მოთხრობის მიხედვით შეიქმნა სპექტაკლები, სატელევიზიო ფილმიც გადაიღეს და ეს 22 წელიწადი ჩანაწერი ემოციური შემოქმედების მხრივ თავისუფლად შეიძლება ამ ფილმისა თუ სპექტაკლების გვერდით მოვიხსნით.

მეზურნე ბუთხუცა... მეგარმონე სოსა... მედოლე თედო... და მათი მუსიკა. ვასო გომიაშვილი ხან ერთია, ხან მეორე, ხან მესამე და ეთაყვანება მათაც და მათს მუსიკასაც. ეს უბრალო კეთილი ხალხია, მაგრამ ტემპირიტი მუსიკოსები, ტემპირიტი პოეტები. ასეთი ხალხი აღამაზებს კაცთა მოდგმის ამქვეყნიერ არსებობას. უსმენ ჩანაწერს, ტკბებით და გრძნობ მისი მოთხვევის თავყვანიცეებს ამ მშვენიერი მოხუცებისძობი, რომლებიც მისთვის თითქმის მისი სათაყვანებელი ხელოვნების მეტაფორულ სახეებად გადაქცეულან.

ვ. გომიაშვილის მხატვრული კითხვის ნიმუშებს შორის არ შეიძლება საგანგებოდ არ გავიხსენოთ გ. ლონიძის მოთხრობები: „მაცხერის ხე“, „ჩორები“, „ქამ-პურა“ და განსაკუთრებით „ღვინჯაუა“. არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ, რა მადლიანად, რა ოსტატურად აღწერს იგი ამ მოთხრობის წაკითხვის დროს გ. ლონიძის მიერ დახატულ ნათლობის სუფრას და იქ შეყრდნ აღამიანთა საოცარი ვირტუოზობით ნაძერწ სამუშაოებს: თაყა, მეგლხარი, თამადა ღვინჯაუა, პირბამბა პაპა აზრანი, მეჩინვერ თლოშაური, ვიჭრუა და თვით ბებია მარადა — არც შეშრალს და არც წამოთხველს არც თვითისათვის არ დაუკლია ფერი და ხორცი, არ დაუკლია არც თავისი ოსტატობა, არც სიყვარული.

მაგრამ კვარა. ამ ჩანაწერებს თავ-თავის დროს ისმენს ხოლმე და გვლავაც მოსიმენს რადიომსმენელი. ამჯერად კი სხვა ჩანაწერებს მივუბრუნდეთ.

რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში უხვადაა დოკუმენტური მასალა ვ. გომიაშვილის შესახებ, აგრეთვე თვით ვ. გომიაშვილის მოგონებები ქართულ თეატრზე, ქართული თეატრის მესვერებზე — კ. მარჯანიშვილსა და უ. ჩხეიძეზე, ა. ხორავასა და შ. ღამბაშიძეზე, თ. ჭავჭავაძესა და ვ. ანჯაფარიძეზე და ა. შ.

ამ ხასიათის ჩანაწერებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ვ. გომიაშვილის ზეპირი ავტობიოგრაფია, ჩაწერილი 1965 წლის 18 დეკემბერს მისი დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავ წინასაბუბლო დღეებში (რედაქტორი კ. გავიშვილი).

ეს ზეპირი ავტობიოგრაფია შეიცავს ვ. გომიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ეპიზოდებს. მისთვის ჩვეული უშუალობით გვიყვება იგი ძალზე საინტერესო ამბებს.

აი, ერთი ეპიზოდი:

... მე მაგონდება ერთი რეპეტიცია, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ვეძებდი ახალგაზრდა ლურასების სახეს სიმთვრალის დროს. ძნელი იყო... როგორი იქნებოდა ეს გულუბრყვილო, ცოტა მოსულოლო, ყველასა და ყველაფერის მიმდნობი ახალგაზრდა სიმთვრალეში. რეპეტიციანე ძალიან ვწვავლობ

დით. საპასუხისმგებლო ამბავიც იყო — სხვა რომ არა ვთქვავთ რა, ილია ჭავჭავაძე იყო!
რა ეჭმა, არ ვიცო.

ერთი პატარა ფისუნია გვყავდა შინ. ერთხელ სადილად, — არ ვიცო, ამ ფისუნიაზე იყო ლაპარაკი თუ ვაჭმევდით თუ რა იყო, — უცებ ხელში ვალერიანის წვეგები მოხვდა. ვამიგია, რომ ფისუნები გიძვდებინა ვალერიანის წვეგებისთვის. თემშე-ზე დავუხსნი რამდენიმე წვეთი. იენისა, ალკა, ალკა და... მე ამისი მსგავსი არაფერი მინახავს. გორავდა, კუნტურშობდა. და მე თვალწინ დამიდგა ახალგაზრდა ლუარსაბი. და აი, ის — „ალალო... ალალო...“ — სწორედ მაშინ დაიბადა. სწორედ ასეთი იყო ის ფისუნია, რომ გუყურებდი.

მეორე დღეს გახარებული მოვედი თეატრში. ჩემთვის კი მიხარია, მაგრამ ვეღვა, რეპეტიციას რა შთაბეჭდილებებს მოახდენს ჩემი აღმოჩენა.

მთელი დასია რეპეტიციასზე, რეჟისორი ყუმიტაშვილიც აქაა... და უნდა მოგახსენეთ, რომ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა-ნათ, სიამაყით შემიძლია განგაცხადო, მსახიობებმაკ კი — რაც ასე ძვირად ხდება თეატრში — მსახიობებმაკ კი ტაშით დამაჯილდოვეს“:

ამავე ზეპირ ავტობიოგრაფიაში ვ. გომიაშვილი განსაკუთრებით მოხსენიებს თავის მოღვაწეობას ქართულ ესტრადაზე.

„ქართული ესტრადა ყოველთვის მიტაცებდა, ვინაიდან იშვიათად მოიძებნება ერთი, რომელსაც კონიღეს ისეთი ტკუამახვილობა და მისწრებელი სიტყვა, როგორც ჩვენ, — ამჟამის ვ. გომიაშვილი, — კინოში, თეატრში, გმველის სხვადასხვა აქტუსური: განათებული პროექტორები, ორკესტრი, ჩაცმულობა, გრიმი... ესტრადა სხვაა. განზავდა საზოგადოების წინაშე და თუ ვაგაკი ხარ, ივარჯიშე... მე რითაც შემიძლო, ათეული წლებს მანძილზე ვემსახურე ქართულ ესტრადას. მაყურებელს კი არა, მე თვითონ მომწონდა ი. გრიშაშვილის „ლიტერატურული ბოჰემა“, შესანიშნავი იყო 11 მუნამაზი, საესტრადო მიზანტურები — ქართული ენის სიწმინდისათვის, ქართული სიმღერის სიწმინდისათვის, ქართული მუსიკის სიწმინდისათვის, სულხან-საბა ორბელიანის ივავ-არაკები, ქართველ მებძოლებს სამამულო ომში, პოლიტიკური სატირები — მსოფლიო მიმოხილვა და ამისთანები. მე გვინებ, ეს ჩემი პატარა წვლილი იყო ქართული ესტრადის განვითარების საქმეში...“

ვ. გომიაშვილის მოღვაწეობა ესტრადაზე საყოველთაოდ ცნობილია. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ 1939 წელს მან მონაწილეობა მიიღო ესტრადის ოსტატთა პირველ საკავშირო კონკურსში და ბრწყინვალე შეფასებაც დაიმსახურა — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ა. რაიკინთან ერთად მან კონკურსის მეორე პრემია მიიღო, პირველი არ გაცემულა. ცენტრალური პრესა საგანგებოდ აღნიშნავდა ვ. გომიაშვილის საესტრადო რეპერტუარის მაღალ დონეებს.

რა დარჩა რადიოს ფონდს ამ რეპერტუარიდან:

„მიკროფონის აღსარება“, „უკულებები ძველი ჩანგის ფურცლებიდან“, „მუსიკალური ფელეტონი“; და ი. გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

აი, ყველაფერი, რაც შეიძლება მოკლე გვეთქვას ვ. გომიაშვილის იმ საინტერესო ჩანაწერების შესახებ, რომლებიც დღეს საქართველოს რადიოს ოქრის ფონდის კუთვნილებაა.

ძარმველი ხალხი დიდი გულს-ტკივილით გამოთხოვა თავის საყვარელ მომღერალს, ქართული საოპერო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო და ზ. ფალიაშვილის პრემიების ლურჯატს პეტრე ამირანაშვილს.

იგი ბურჯად ედგა ეროვნულ საოპერო ხელოვნებას. მის სიკვდილთან ერთად მიავრდება დიდი ეპოქა იმ სახელგანთქმული მომღერლებისა, სახელი რომ მოუხვეჭეს ქართულ გოკალურ სკოლას, თბილისის საოპერო თეატრს.

დიას, ჩაქრა ამ შესანიშნავი თაობის უკანასკნელი ჩირაღდანი იგი ამერიკიდან შეუერთდება იმ მაღალ პანთეონს, რომელსაც ამშვენებენ ვანო სარაჯიშვილის, სანდრო იშაშვილის, ნიკო ქუშიაშვილის, დავით ანდელუკაძისა და სხვათა სახელები.

კოტაა თანამედროვეთა მსიხერება იმისათვის, რომ შთამომავლობას შემოუნახოს ყველა ის პიროვნული და არსებითი თვისება, რომელიც ერთიანობა ქმნიდა პეტრე ამირანაშვილის განუმეორებელ შემოქმედებით ინდივიდუალობას. მიძმა არტისტის სვედრი — სვედრი ჩამოსვლისთანავე ქრება მისი ხელოვნება. ყოველ დიად არტისტს თან მიაქვს მის მიერ შექმნილი სამყარო, რომლის საიდუმლოება მხოლოდ მან იცის. ამ აზრით შეწყდა ძველვარე ცხოვრება პეტრე ამირანაშვილის გულმხურვალე გმირებისა, ოთხ ათეულ წელზე მეტხანს (უბრეციდენტო შემთხვევა!) რომ ბოჰოქრობდნენ თბილისისა და სხვა საოპერო თეატრების სცენებზე.

აღარაოდებს გაიცილებენ პეტრე ამირანაშვილის მურმანი, კიაზო, ჩალხია, მისი რიგოულტა, ამონასრო და სკარპია, ონგინი, ყერმონი და ესკამილიო... მაშ რაღა დარჩება შთამომავლობას, რომელსაც არ უნახავს პეტრე ამირანაშვილის მიერ შექმნილი სახეები, უშუალოდ არ განუცდია მისი სიმღერის ზემოქმედების ძალა?

პეტრე ამირანაშვილის ტრადიცია, სამშობლოსა და თეატრის მიმართ

უსაზღვრო სიყვარულში, ფანტიკურ გზებაში, შემოქმედებით დისციპლინასა და უაღრეს პროფესიონალიზმში რომ კპოვა გამოხატულეა. აი, სწორედ ეს დიდი ტრადიცია უნდა ვაცოცხლოთ ჩვენ, თუ გვსურს ეროვნუ-

დი ოსტატობით ახმარდა თავის მგზნებარე ტალანტს, განუწიორებელ ხმას, ტემპერამენტსა და არტიზიმს ჭეშმარიტად ეროვნული სახეების შექმნას, მშობლიური საოპერო ხელოვნების განვითარებას. არის რა-

წამიერად შეაჩერეს თბილისის საოპერო თეატრის განახლებული შენობის წინ, რომლის სცენაზე გამოსვლას 70 წელს მიღწეული ხელოვანი გულისფანცვლით ელოდა. რარივ შენატროდა იმ წუთს, როდესაც

გამოთხოვება საყვარელ მომღერალთან

ნოდარ გურაბანიძე



პეტრე ამირანაშვილი

ლი ვოკალური სკოლის წინაგლა, ქართული საოპერო ხელოვნების აყვავება.

იგი, როგორც ჭეშმარიტად დიდი არტიტი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იღვწოდა გულუხვად და მისაბა-

დაცა სიმბოლური იმაში, რომ უკანასკნელად, რაც მან იმღერა და რაც მის სმენას ჩარჩა, აწ უკვე სამარად-ჯამოდ, ეს იყო კანგები ზაქარია ფალიაშვილის „დაისისა“.

გამოთხოვების ჟამს მისი ცხედარი

მშობლიური თეატრის ფარდა ისევე შეირხეოდა...

შორს არ არის ეს დღეც... და მაშინ პეტრე ამირანაშვილის სახელი კიდევ ერთხელ გაიბრწყინებს მადლიერი ხალხის თვალწინ.

„რას იტყვის“



თამარი — მ. ჭაფარიძე, ნესტორი — ტ. საყვარელიძე

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა და რუსთავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა თითქმის ერთდროულად დადგეს ცნობილი დრამატურგის რევაზ თაბუკაშვილის ტრაგიკომედია „რას იტყვის ხალხი“. ეს



სცენა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან „რას იტყვის ხალხი“

ლილი — მ. ბიბილეიშვილი, ვარლამი — მ. თაბუკაშვილი



პიესა ილაშქრებს დრომოკმული ტრადიციების, უგუნურობის, უზნეობის და მუშჩანური მორალის წინააღმდეგ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ. მხატვრულად გააფორმა მ. მაღაზონიამ, მუსიკა შეარჩიეს გ. გელოვანმა და ვ. ნიკოლაძემ, ქორეოგრაფია ი. ზარეცკი. რეჟისორის თანაშემწე ს. ზახაროვი. როლებს ასრულებენ: ტ. საყვარელიძე (ნესტორი), მ. ჭაფარიძე (თამარი), ზ. იოსელიანი (ელენე), ნ. მიქელაძე (ნინო), გ. გელოვანი (თორნიკე), გ. გაბუნია (ასმათი), მ. ბიბილეიშვილი (ლილი), ს. გოგიჩაიშვილი (თამაზი), მ. თაბუკაშვილი (ვარლამი), ლ. ანთაძე (ბიკიო) და სხვები.

ხალხი“



სცენა რუსთავის თეატრის სპექტაკლიდან
„რას იტყვის ხალხი“

რუსთავის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათელაძემ, მხატვრულად გააფორმა ა. კელიძემ, კოსტუმების მხატვარია გ. მღებრიშვილი, მუსიკა ეკუთვნის დ. ტურიაშვილს, ქორეოგრაფია ბ. მონავარდისაშვილი, რეჟისორის თანაშემწე მ. არაბული.

როლებს ასრულებენ: ო. სეთურიძე (ნესტორი), ზ. გზირიშვილი (ლილი), ლ. შოთაძე (თამარი), ვ. ნეფარიძე (ელენე), ნ. დათუნაშვილი (ანმათი), ლ. მიშველიძე (თორნიკე), ნ. ხიდურელი (ბიკიკო), გ. ტყემელაშვილი (თამაზი), ბ. კაკაბაძე (ზურია), კ. ბეჭია (ვარლამი) და სხვები.

თორნიკე — ლ. მიშველიძე
(რუსთავის თეატრი)



სცენა რუსთავის თეატრის სპექტაკლიდან
„რას იტყვის ხალხი“



კობე გარჯანიშვილის დაღმეული

ქინოსცენარები

გივი ბოჯუგა

სამპრემიუმოს სახელმწიფოებმა 1927-28 წლებში გამოუშვა კობე გარჯანიშვილის სცენარებით შექმნილი სამი ფილმი: „ამოკი“, „კრაზანა“ და „კომუნარის ჩიბუხი“. სამივე ფილმის ამაღლებული რეჟისორი თვით სცენარის ავტორი იყო. როგორც სათაურებიდან ჩანს, აწველა სცენარი წარმოადგენს პოპულარული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზებას. „ამოკი“, ავსტრიელი მწერლის სტეფან ცვაიგის ნოველის გამოყენებით, 1927 წელს დადგა კ. გარჯანიშვილმა. „კრაზანა“ — ინგლისელი მწერლის ეტელ ლილიან ვინჩის გახმაურებული რომანის მიხედვით (1924), ხოლო „კომუნარის ჩიბუხი“ — გამრჩენილი რუსი მწერლის ილია ერენბურგის ნოველის საფუძველზე (1924). სამივე ფილმი დადგმის წელსვე გავიდა საკავშირო ეკრანზე და საქმაო გამოსაშვრება მკოვა როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში.

აღსანიშნავია, რომ „კომუნარის ჩიბუხი“ კ. გარჯანიშვილის ბოლო ფილმი და უკვე საქმაოლ გამოცდილი კინორეჟისორის ნამუშევარი. სიცოცხლის უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე კ. გარჯანიშვილის ფილმი არ დაუდგამს და თავის შემოქმედებით ენერჯიას პირითადად თეატრს ახმარდა. მაგრამ იგი მთლიანად რდოი ჩამოშორებია კინოსტუდიებს. ვინ იცის, თვისი უკანასკნელი კინოსცენარი „თორმეტი სკამი“ რომ დაესრულდებინა, იქნებ ისევ დაზარებულდა კინემატოგრაფიას და ხმოვან ფილმშიც ცცადა თავი.

მისი მიდგომა, კატეგორიულად რომ უპირისპირდება სინამდვილის „გარეკერქის“, „მიზაქის“ პასიურ ნეთოდს, ვერ კიდევ სრულად არ გამოხატავს მისი შემოქმედების არსებით თავისებურებას და ღირსებას. მის შემოქმედებაში უფრო მნიშვნელოვანია ტიპიური მოქმედებათა მასშტაბური გარდასახვა, რის შედეგადაც ზოგიერთი სახე, მხატვრული „გადაჭარბების“ თვალსაზრისით კარიკატურის სახედრამდევ კი აღწევს. XIX საუკუნის დიდი ფრანგი მხატვარი, ჰონორე დომე, ნამდვილ კარიკატურაზე კი ზედაპირის აღწერისაგან თავს მოლიანდა ვერ ითავისუფლებდა. ფიროსმანი თვით პორტრეტის ჟანრზე კი მოლიანდა თავისუფალი იყო ზედაპირის აღწერის უმცირესი ცდუნებისგანაც კი. მისთვის მოვარე იყო არა ასასახე პიროვნების სახის „აღწერა“, არამედ საკუთარი აზრი იმ პიროვნების შესახებ. მაგრამ ამას ისეთი ძალიანნი ტრანსფორმაციის უნარი აღწევს, რაც ხელოვნების ისტორიის მრავალსაუკუნოვან მანძილზე მხოლოდ გვიანტებთან თუ შეგვხდება. ამ თვალსაზრისით საკამარისა გავისწნეთ „მეუზოვე“, „მდიდარი კინტოს შვილი“, „გოგონა საფრენი ბუმტით“, „მუშა კასრით“, „მუშა ტიკით“, „ორთაბკლელი ქალი“, „მუშა სოსო“ და სხვ.

ფიროსმანაშვილის „მეუზოვე“ კომიკურ-დრამატული კაცუნაა, რომელიც, თვითონ გასაცოდავეული, სხვათა დასაფრთხობად განუწყუებათ სახელმწიფოს ინტერესებს დამცველთა იურატორიაში: ორიოდ სხატრ მონასმით გაპოხტკურისა ცოცხივით გაჩეჩილი, გაფშკილი წვერ-ულვაში, მუდამ დაუბანლობის გამო დამუშორჩილებული თმის ბუწვები და ცხოფრებისაგან დამფრთხალი, მკერდში ჩამჭრალი თავი გაჩანჩურებული მოხეტისადმი გულწრფელ თანაგრძნობას გამოხატავენ.

მაგრამ სახელმწიფოებრივ ატრიბუტებთან დაკავშირებული ტვარი ამ არსებას ირონისაც არ აკლებს: სასოებითა და ფრიხობად დაზურული, საგანგებო წარწერით აღტურვილი, მკანადად გეომეტრიული ფორმის ქუდი გამტებთან, რომ თვეწწწაპა სახელმწიფო მოხელეა, რომელსაც კომპოზი მუდამ მომარჯვებული აქვს და თვალებიც ძლიერ დაჭყეტალი, დიდ-მპყრობელური სიფხიზლისა და ნებასურების განზორციელებისათვის. ყოველივე ეს, ცხადია, უფრო მეტად კარიკატურის თემებში. მხატვრული „გადაჭარბების“ მასშტაბითაც კარიკატურად ქვევის თითქმის ყველა პირობა იყო, მაგრამ იგი ასეთად არ აღიქმება, რადგან ალალი თანავგრძნობის სულისკვეთებითაა განსაზღვრებული.

ვის შეეძლო, თუ არა გენიალური ინტუიციის ხელოვანს „ერთი მანუსკრიტი“ ძველი მეფეოვის აბურად „გდებული. მაგრამ აინც „თანამდებობის პირის“ სატრული სახე აქე მარტივი საშუალებებით მოეცა?

ფიროსმანის შემოქმედების ლაკონიზმისა და რეალიათა მასშტაბით ტრანსფორმაციის საიდუსტრაციოდ მისი მრავალი ნაწარმოების განალიზება შეიძლებოდა. გავისწნეთ, მთავალითად, მდიდარი კინტოების თუ ყარაჩხივლების შევლებების თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, როგორცაა „მდიდარი კინტოს შვილი“ და „გოგონა საფრენი ბუმტით“, რომლებიც მხატვრული უზომოდ ნაკვეება და სრულიად უაზრო ნორჩ არსებების მხოლოდ ყველაზე საკირო ატრიბუტებითა და ძუნწი. ძალოვანი ხერხებით საიცარ სიმახილეს ანიჭებს. ასევე მეტად საყურადღებოა „ორთაბკლელი ქალი“ ხელში მართო. მხატვარს აქ ვნებადაუყოფიერ, ტურფაა აღურის მაართის მუდამ მზადყოფნის სიმკვირცხლითა და სხეულის კონფიგურაციის მხატვრული „გადაჭარბებით“ დიდა ქმნილებად უძეგვია.

აბა ერთი მთიერ ზედმეტი შტრიხი მაინც იპოვეთ მის ამ ხარისხის ნაწარმოებში. აბა რამე მოუშალოთ ან დაუმტკითათ, თუ ესთღინე სახეობრივი სიმახილე ძლიერ არ დაზარალდეს. გაოცების იწვევს მხატვრულად აცილებლიასაგან ზედმეტის გამოირცხვის გოლიათური უნარი, რომლითაც ფერწერვილი ყოფილა ეს განუათლებელი ადამიანი. ნუ დაკვირვებთ იმასაც, რომ ასე მახვილი, ძლიერ ზემოქმედ, ლაბიარობად მუდ მუნწი ნახატები მრავალი წლის შრომისა და ეკსპერიმენტების შედეგი კი არ არის, არამედ „ერთი მონასმისა“, უმარტივეს საშუალებათა გამოყენების ნაყოფია.

თითოეული სახე რეალიატური განზოგადების ისეთ სასურამდა მიყვანილი, რომლის კიდევ გაუზადება შეუძლებელიც კი იყო. მაგრამ განზოგადების ფიროსმანისეულ მასშტაბს არაფერი სურათ არა აქვს არც კარიკატურისა და გროტესკის, და არც პლაკატურ ხშიერებასა თუ „სოსმუქუქსაპა“. მის თითოეულ ნაწარმოებს დაზგური ფერწერის ღირსეული სიმეყვება, ძარღვმართობა და ტრანალური სილდერობა ასასიაურებს. ამასთან, პალტრის სილდერის მოხედვად, იგი ტრანალურ მრავალრეგისტრანობასაც მიმართავს. მაგრამ გინანდანი იგი მოვლენათა არა ზედაპირის აღმწერი, არამედ არსში ჩამწვდომი ხელოვანია, ფართო სიბრტყეებითა და ფორმებით აზროვნებს. ამიტომაცაა, რომ მისი ქმნილებები ფორმათა მოჩვენებით სიმარტივეში სტიქიური ძალის სიდალიან არიან აღტურვილინი და ერთხელ ნახვითაც კი თავს არასდეს დაავაწყებენ.



იოსებ გრიშაშვილის დრამატურგიული მოღვაწეობა

გივი ჯაოშვილი

1905-1907 წლებში თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში, ხარფუხში, 16 წლის იოსებ გრიშაშვილი აყალიბებს სცენისმოყვარეთა ჯგუფს, რომლის მთავარი ხელმძღვანელი, მსახიობი და დრამატურგი თვითონვე არის. მისი წარმოდგენების მაყურებლები იყვნენ უბნის ხელოსნები, მუშები, მედუქნეები, ამქრის წევრები, მოხელეები, ფეიქრები, მეწაღეები, მექუდეები, მღებავები, მეეტლეები და მრავალი სხვა პროფესიის ადამიანები, რომელთა წრეშიც ჭაბუკი, მაშინ ჯერ კიდევ ფირუსად წოდებული იოსები აღიარებული იყო წიგნის კაცად, რადგან იგი მათ უკითხავდა „ყარამანიანს“, „შეიდვეზირიანს“, „ქალ-ვაჭიანს“ და იმ დროისათვის პოპულარულ წიგნებს. შემთხვევითი არ არის, რომ ი. გრიშაშვილის ამ პერიოდის შემოქმედება მძლავრად განიცდის ქალაქური ფოლკლორის გავლენას, რაზედაც თვალნათლივ მეტყველებს 1906-1907 წლებში გა-

მოცემული მისი პირველი ლექსების კრებულები „ვარდის კონა“ და „ფანტაზია“, რომლებიც ძირითადად ქალაქური ყოფის ფოლკლორულ-ამულური ხასიათის ლექსებს შეიცავენ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებულებში გვხვდება რევოლუციური პათოსით შთაგონებული ლექსებიც, ისეთები როგორცაა: „ტუსაღის სიმღერა“, „ბრძოლა“, „აკაკისებური“, „მუმის სიმღერა“ და სხვ.

სწორედ ამ ხანებში უახლოვდება ასალგაზრდა ი. გრიშაშვილი ვალ. გუნიასა და ლ. მესხიშვილის წრეს, რომლებიც ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მრწამსს აღნიშნული პერიოდის ქართულ თეატრში.

ე. გუნიაშვილი ი. გრიშაშვილი 1907 წელს დანიშნა სუფლიორის თანაშემწედ ქართველ მსახიობთა ამხანაგობაში, ამასთანავე დაიახლოვა თა-

ვისი ჟურნალის „ნიშაღურის“ რედაქციის საქმიანობაში. პარალელურად ჭაბუკი პოეტი თბილისის სხვადასხვა უბნებში მართავს წარმოდგენებს მის მიერვე ჩამოყალიბებულ დასით, რომელშიაც შედიოდნენ ა. გოგაშვილი, პ. ფრანგიშვილი, ი. ქურსული, კუდუხაშვილი, ცალქალაშანიძე, წითლანაძე და სხვ. წარმოდგენები იმართებოდა ხარფუხის, ვეტცელის, რენესანსის, რუსული დრამატული სკუდის, ვერდის აუდიტორიის და სხვა თეატრებისა და სახალხო თეატრების სცენაზე. რეპერტუარში ძირითადად თავისი პიესები ჰქონდა შეტანილი.

ი. გრიშაშვილის დრამატურგიულ მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი 1905 წლის რევოლუციის პერიოდს ემთხვევა. როგორც მწერლის არქივში დაცული პიესების ხელნაწერების ტექსტობრივი დახუსტებით ირკვევა, პირველი დრამატურგიული ნაწარმოებები „სანადყო“ და „ლოთები ორთა-

ჭალაში“ დაუწერია 1905 წელს. ეს არის ერთმოქმედებიანი კომედიები.

1906-1907 წლებში იგი წერს 20-მდე მცირე ფორმის პიესას. ესენია: „ქიფი ვოლოჟინის პრისპეტხე“ (ვოდ. ერთ მოქმედებად), „ბებრების დარიგება“ (ვოდ. ერთ მოქმედებად), „ბოიკოტი“ (სურათი ვაჭართა ცხოვრებისად ერთ მოქმედებად), „აცხა“ (ვოდ. ერთ მოქმედებად), „უბედური სიყვარული“ (დრამა სამ მოქმედებად), — დაიწერა 1906 წელს. „ტიმოტეს ლეღვი“ (ვოდ. ერთ მოქმედებად), „კარაბეჭის მაჭავალია ანუ ვასათხვარაი ქალი“ (კომედია ორ მოქმედებად), „აკაბანდალი“ (ვოდ. ერთ მოქმედებად), „ცანცარა მყვრალი“ (ვოდ. ერთ მოქმედებად) — დაიწერა 1907 წელს და სხვა მრავალი.

მომდევნო წლებშიც პოეტმა არაერთხელ მოსინჯა კალამი ამ ჟანრში. ასე მაგალიდურია: 1922 წელს დაწერა „ქემთან“ (პიესა ერთ მოქმედებად, 1928 წელს — „სახლების ჩამორთმევა“ (სცენა ერთ მოქმედებად), 1933 წელს — „ესეც შენი ქართული“, 1940 წელს — „საიათოფა“ (პიესა 4 მოქმედებად). ი. გრიშაშვილის პიესებისა და სცენების რეცეპტი ასს აღწევს.

როგორც პირველი რევოლუციის პერიოდში, ისე შემდგომ წლებში დაწერილი პიესები ძირითადად აგიტაციურ-პროპაგანდისტული მიზანდასახულობისა. მათში არა მარტო გამოჩატულია ქალქისათვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრება, ისინი თავისი შინაარსით აქტიურად ეხმარებიან კიდევაც ეპოქის მიმდინარე პოლიტიკურ და საქიბოროტო საკითხებს.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. „ლოთები ორთაჭალაში“ — ეს არის კომედია ერთ მოქმედებად. დაიწერა 1905 წლის 24 მაისს, ხოლო იმავე წლის 13 ივნისს პირველად წარმოადგინა აგტორმა სოფ. დიღომში. პიესა ძალზე უბრალო სიუჟეტურ ქარაზზეა აგებული. მოქმედება მიმდინარეობს ქ. თბილისში, ორ-

თაჭალის ბაღში. თბილისის რამდენიმე მდაბიო მოქალაქეს თავისუფალი დრო უპოვია და ქეფობს. მოქეფენი არიან ხარაზი ლექუა, სარაჯი გაბო, ოქრომგდელი ანუ თოქმანი სტეფანე ჩიჩირაშვილი, ბაზაზი პოხურა ნემსაძე, ბაყალი კაპლიფა ნია-სურნიძე, ყაზაზი გეგუა, მიციტანი გრიშა, ამისი შვილი ფირუშა, მე-ზურნეები, „არღანჩიკი“ და სხვ.

მიციტან გრიშასა და მისი შვილის დახლიდარ ფირუშას როლში პოეტს გამოყვანილი ყავს საკუთარი მამა და თავისი თავი. ახალგაზრდა მწერალმა ეს კომედია შექმნა მამის დუქანში მიღებული შთაბეჭდილებებიდან. ცნობილია, რომ მამამისს, გრიშა მამულაშვილს, ერთხანს საკუთარი დუქანი ჰქონდა გახსნილი და მომავალი პოეტი, ფირუშა, სულ-სულად ბავშვი, რომლის ნამდვილი სახელიც არ ჯერ არავინ იცოდა, ეხმარებოდა ვაჭრობის საქმეებში. კომედის პერსონაჟების მიერ წარმოთქმული ქალაქური ყოფა-ცხოვრების ამსახველ ლექსებსა და სადღეგრძელოებში აშკარად იგრძნობა პოეტი ქალის ნირო ობოლუნიანის, აქვ. ცაგარლის და სხვათა პოეზიის გავლენა. სადღეგრძელოებში მკაფიოდ გამოჩატული მოქმედ პირთა სულიერი ცხოვრება, მათი მოქალაქობრივი ღირსება. ისინი ცხოვრობენ და ქეფობენ ნაშუსიანი, ალალი შრიშით მონაგარი ფულით. თამად 32 წლის კაცი, ხარაზი ლექუა პირველ სადღეგრძელო წარმოსთქვამს მუშა ხალხის სადღეგრძელოს: „ეს პირველად ადღეგრძელოს ღმერთმა ჩვენ-ნაირი ეგებოდა და თავის ცოლშვილში ნამუხიანად გამოიღან“.

კომედია დაიწერა და იდგებოდა რევოლუციური მოძრაობის პერიოდში. მისი პერსონაჟები, მართალია, რევოლუციონერები არ არიან, მაგრამ მიცელი რწმენით რევოლუციის მხარეზე დგანან. თვით მათი თავმყერის

მიზეზიც დაკავშირებულია მუშა ხალხის მიერ მოწყობილი „ზაბასტოკვასთან“, რომელმაც დროებით უშეშვერობა ჩამოაგდო. ეს ყველაფერი კარგად ჩანს თამაღის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებიდან: „ესეც ღმერთმა შეიწყალოს (პურსედ აწვეეთეს) არსენა ჯორჯიანიშის სული, რომელმაც თავი გასწირა ქვეყნისათვის და თითონაც უშინრად ავიდა სახრჩობელაზედ“. სადღეგრძელოს შემდეგ დააგუგუნებენ სიმღერას არსენაზე.

„დღეა წუ სტირი, მამა წუ სტივი ხომ მოვაშორე ქვეყანა ჰირი“.

ი. გრიშაშვილი ამ პერიოდის პიესებში ძირითადად ეხება ბატონყმური ჩაგვრისაგან თავდაღწეული დარბი გლეხების მატერიალურ და სულიერ ყოფას ახალი, კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირობებში, რდელმაც მცირე მიწა-წყლის პატრონი, მრავალი გადასახდითა და მიწათმფლობელთა ექსპლოატაციით შეწყუბული გლეხობა იძულებული იყო თავისი შვილები შინამოსმასხურებდად არ დუქნის შევირდება გაეშვა ქალაქში. ახალ ვითარებებში მოხვედრილი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი პროლეტარულ კლასის უსაღოვდებოდა და უერთდებოდა, ნაწილი კი ეპქარ-მრეწველთა გავლენის ქვეშ ექცეოდა, და ცხოვრების საზომად ფულს, სიღირსეს მიიჩნევდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ი. გრიშაშვილის ვოდეილი „ტიმოტეს ლეღვი“, რომელიც დაწერა 1907 წლის 10 მაისს. აგტორმა იგი წარმოადგინა იმავე წლის 13 მაისს მცხეთაში, მეორედ აგტალიში 20 მაისს, ხოლო მესამედ — 9 ივნისს „მურაშეოს“ თეატრში.

აღსანიშნავია, რომ „ტიმოტეს ლეღვში“ მსახურის როლს მრწყინავლედ ასრულებდა თვით ი. გრიშაშვილი. ამის შესახებ სანტიგრესო ცნობას გვაწვდის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აწ განსჯელებული მიხეილ ჭიაურელი: „1908 წლის ზაფხული. ჩემი დედისეული სოფელი დიღომი. მამინ 14-15 წლის ვი-

ყავი... ამ პერიოდში შეეცვლა და დაუმეგობრდა სოსო გრიშაშვილი. ხალხი უკვე იცნობდა ახალგაზრდა პოეტს. სოსო თვითონ კი თხოვლობდა თავის ლექსებს და თავისისავე პიესა „ტიმოთუს ლღვი“ ახალგაზრდა მსახურის როლს თამაშობდა. თამაშობდა ისე ნიჭიერად, რომ ყველა აღტაცებაში მოყავდა. ყოველთვის, როდესაც რაიმე ღონისძიება იმართებოდა და აფიშები გვაუწყებდა, რომ საღამოს სოსო გრიშაშვილი თავის პიესაში ითამაშებს, დარბაზში ტევა არ იყო, ხალხმრავლობას სასწვდარი არა ჰქონდა.¹

საქართველოში ძნელად მოიძებნება ქალაქი, დამა ან სოფელი, რომ არ დადგმულიყო ეს მხიარული ვოდევილი, რომელიც თავისი უხადო შინაარსით ყოველთვის ატკობდა მაყურებელს.

„ტიმოთუს ლღვი“ პოეტმა ცალკე წიგნად გამოსცა 1911 წელს. პიესის წიგნსაწერსა და პროგრამებს შორის ვარ მოქმედ პირად წერია მევენონ ქალფაჩიანი, ხოლო წიგნი იგი შეეცვლილა სემიონ რატინით, რათა ვოდევილის სიუჟეტი ქართულ სინამდვილეს დაახლოებოდა.

ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან თავისი იდეური მიზანდასახულობით ყველაზე მნიშვნელოვანია ერთმოქმედებიანი „ბოიკოტი“, რომელიც დაწერილია ვაჭართა ცხოვრებაზე. მისი მოქმედი პირობი არიან მდიდარი ვაჭარი მიხეილ ჩაიფხანოვი, მისი ცოლი კეკელი, მათი ერთ-მადღერი ქალიშვილი ელი, მისი მოსამსახურე იმერელი ბიჭი ბასილა და ლქუის შვიტრი ვანო.

ჩაიფხანოვის ოჯახი ძალზე შუბრალეობდა ვაჭრობა მოსამსახურე ბიჭებს. განსაკუთრებით სასტიკია კეკელი, რომელიც ფეხვეშე თელავს მათ ადამიანურ ღირსებას. მის მიერ გაგულებულად ქმარიც, მიხეილ ჩაიფხანოვი არ ზოგავს საბრალო ბიჭებს.

მოსამსახურე ბიჭებისადმი მათს

ულერი დამოკიდებულებაზე მეტყველებს კომედიის ასეთი ეპიზოდები. მიხეილმა სანოვაგით სავსე კალთა ბაზრიდან სახლში გამოატანა ღვეწის შვიტრი ვანოს. როცა ვანომ კალთაში შენიშობს, კეკელიმ დივიზონა, გინდა თუ არა, ამ მიწელ პურს ნაჭერიც ექნებოდა დაწინილი და შენ შესტყამდი. ვანომ ბერი უმტკილე ნაჭერი არ ჰქონიაო, მაგრამ ვინ დაუკურა. ამასობაში მიხეილიც მოვიდა. განარისებული კეკელი ქმარს შეეცინება, ჰქონდა თუ არა პურს დაწინილი ნაჭერი. მიხეილიც დაუფიქრებლად დაუდასტურებს, ჰქონდაო. ამის შემდეგ კეკელი აიძულეს ქმარს ბიჭი გაეახოს. როცა მიხეილმა გული იჯერა ცემით, გაახსენდა, რომ პურის ნაჭერი თვითონ მან აიღო, რათა ბიჭს გზაში არ შეეჭამა. მართლაც, მიხეილი თავისი პალტოს ჯიბიდან ამოიღებს პურის ნაჭერს. ცოლ-ქმარი მანც არ განიბნობს უნებრულობას ბიჭის წინაშე, პირიქით, ეუბნებიან, „ცემა კარგია, ჰჭუას ისხალდო“.

მიხეილი და კეკელი გრძნობენ, რომ „ქვეყანა აირია“, ახალი თამაშ აქტიურად ჩაება ცხოვრების ფერხულში. ეწყობა „ზამბატოკვიში“, ვაჭრობის საქმეც თავდავირბა დაყენებული, ეს სულ ახალი დროების საქმეა: „ე, ვის შეეძლო ძველ დროში ხმა ამოელო, ბიჭს ან ღვეწის შევიტრის, როგორც ეტლა არიან, — წუწუნებს კეკელი, — თუ თვალი მოჰკრეს, ცოტა ბერი ფული გაქვს, ხელათვე იტყვიან: ეს „ბურზია“ (ბელუჯა), თუ რაღაც ჯანბა არისო“.

ბასილა და ვანო, მართალია, უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანები არიან, მაგრამ ახალ დროებს იმეორებულად შეჰყურებენ. ამ რწმენით ისინი მიხეილს წინააღმდეგობასაც კი უწევენ: „ელა ბაჭობობის დრო აღარ არისო“, — შეუტევენ ბასილა გაანჩვეულ მიხეილს და კეკელს. „ჩვევს ადამიანები ვართ თუ არა, ის დრო წავიდა, რომ თავზე გვეყვირათ“ — დაუმტავ ვანომ და დაემუქრა: „არ გემინია სოციალიზმო,

აბა ვნახოთ თუ არ გემინია, მე წავიდა, ეხლავე დაგუძახებ, მამ, გაუმარჯოს სოციალიზმ“.

ვანო მართლაც მოიყვანს პროფესიული ვაჭმირების წარმომადგენლებს, რომლებიც ბოიკოტს გამოუცხადებენ ხარბსა და გაუმადარ ვაჭარს. პროფვაჭმირების წარმომადგენლები მოთხოვენ ბიჭებისთვის ადამიანური პირობების შექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი ნებას იძლევა, რომ ისინი, სადაც უნდათ, იქ წავიდნენ, თანაც, სამი თვის ხელფასი უნდა მიიღონ. პროფვაჭმირების წარმომადგენლები განუცხადებენ მიხეილს, რომ მისი სახელი და გვარი, როგორც უპატიოსნო და უღიერი ადამიანისა, გაიკისხული იქნება გახუთ „ლაშარში“. ამ ამბავმა მიხეილი ცოტა არ იყოს ჩააფიქრა. რღვესაც ხალხი გაუთიდან შეიტყობდა მის აუგს, თავისთავად ცხადია, მუშტკი დააკლდებოდა და ვაჭრობის საქმეც ჩაუვრდებოდა. ამ გარწმუნებისაგან შეფიქრიანებული მიხეილი ემუდრება ვანოს, როგარმე მოახსენინოს ბოიკოტი. ვანო სასტუკ უარს. მას მიემხრობა მეორე მოსამსახურე ბიჭი ბასილაც. ისიც ბოიკოტს უცხადებს მიხეილს, უარს ამბობს მასთან დარჩენაზე და სასახურზე.

დღევანდელი დრამატურგიული ტექნიკის საზომით თუ მივედგებით, ეს პიესა ძალზე უბრალო მოგვეჩვენება, მაგრამ თუ გადავხედებთ წარსულს, დაინახავთ, რომ თავის დროისათვის, იმ კონკრეტულ ადგიტორიაში, იგი სარგებლობდა დიდი წარმატებით, რაც გაპირობებული იყო ნაწარმოების მართალი ხასიათებით, რეალისტური მანერითა და ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სურათებით. „ბოიკოტი“ პირველად 1907 წლის 4 თებერვალს დაიდგა ატორის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით თეატრ „რენესანსში“, შემდეგ თეატრ „ნადკუროში“, აგჭაბაში, მცხეთაში და სხვ.

ი. გრიშაშვილის მიერ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაწერილი პიესებიდან გამოირჩევა ერთმოქმედებიანი პიესები „ეკიმთან“ —

1 „თეატრალური მოამბე“, 1969 წ. № 2, გვ. 8.

(1922 წ.) „ნავაგი“ — (1927 წ.) და „ესეც შენი ქართული“ (1931 წ.) ეს მცირე ფორმის პიესებიც ძირითადად ავტობიოგრაფიულ-პროპაგანდისტულ მიზანს ემსახურება.

„ექიმთან“ მეტად უბრალო სიუჟეტზე შექმნილი მხარბული პიესაა. ექიმი ავადმყოფების მიღებაში ეხმარება შინამოსამსახურე, სოფლიდან ჩამოსული ბიჭი ტიმოთე ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ექიმი შინ არ იყო, ტიმოთემ გადიცა მისი ხალათი და მკურნალად მოველინა გამოუცდელ და გულუბრყვილო ავადმყოფებს. ტიმოთეს მიერ გათამაშებული სცენები უნებლოე სიცილს ბადებს მაყურებელში. პიესაში მოქმედული ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მიერ პროლეტისა და ავადმყოფებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და უსახეისმგებლობის კრიტიკა. თავის დროზე მას დიდი წარმატების დრამდენი თეატრში შეიძლება თეატრალური კოლექტივები და სცენისმოყვარეები. აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები არაერთხელ დაუდგამს ი. გრიშაშვილის ქართული სცენის ისეთი ოსტატების მონაწილეობით, როგორც იყვნენ ელ. ჩერქეზიშვილი და ტახო აბაშიძე. ი. გრიშაშვილმა იგი რამდენჯერმე წარმოადგინა წალღერში მოაგარაკეთათვის (1922 წლის 20 ივლისს, 1924 წლის 31 ივლისს და 1933 წელს). წარმოადგინა აგრეთვე ხაშურში (1924 წლის 24 აგვისტოს), ფოთში (1926 წლის 10 თებერვალს), თბილისში — ქალაქის პირველ საავადმყოფოში (1935 წლის 29 ნოემბერს) და სხვ.

„ნავაგი“, ხურობდა 1 მოქმედებად. ეს პიესა პოეტმა დაწერა 1926 წელს. 1927 წელს კი გამოსცა წიგნად მის. გამქრიალემ (მარიკანის პატარა პიესა „დაკარგულ კბილთან“ ერთად — ორი პიესის სახელწოდებით). პიესაში სულ ოთხი მოქმედი პირია: ქმარი, ცოლი, ცოლის საყვარელი და მოსამსახურე. ქმარი თავის „ერთგულ“ ცოლთან შეუსწრებს საყვარელს. დამფრთხალი ქალი გაკარდება მეორე ოთახში. მარტოდ დარჩენილ ქმარსა და ცოლის საყ-

ვარულ შორის გაიმართება ცხარე კამათი იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი მეტად უყვარს ქალს. როცა ერთმანეთს ვერ დაარწმუნებენ, გადაწყვეტენ გამოცდა მოუწონ ქალს. სცენის აქტუ-იქით დაწვება ორივე მამაკაცი და პაერში გაისვრიან რეჟოლუციებს, იმ შთაბეჭდილების შექმნისათვის, ვითომ ურთიერთი დახოცეს. სროლის ხმაზე გამოცვივებიან მოსამსახურე და ცოლი. ეს უკანასკნელი მართლაც დაიჯერებს, თითქოს იმისა ქმარმა და საყვარელმა ურთიერთი დახოცეს. იგი ზისლით აიკრებს კაბის კალთებს, შეუბრუნებლად გადააპირებს ორივეს და შივა ტელეფონთან: „მომეცი 12-48, გმადლობთ. სანდრო, შენა ხარ? მადლობა ღმერთს! ესლა სრულიად თავისუფალი ვარ! ჩემო ბიჭუკი, მგლოფე, ამ ცოტა ხანში შენთან გაგწნდები. გე-ნაცვალე (ჰკოცინის ტელეფონში). ნახვამდის! ნახვამდის!“. შემდეგ მოუხმობს მოსამსახურეს და მედიდურად მიუთითებს ქმრისა და საყვარელი „გვამეზოზე“: მიმამორეთ ეს ნავაგიო და გადის მეორე ოთახში. ქმარი და საყვარელი წამოსდებიან და ამ მოულოდნელი სანახაობით გაოგნებული შესქქიან ერთმანეთს.

ამ პატარა, უბრალო, ყოფით სიუჟეტზე შექმნილ ნაწარმოებში პოეტმა აშხილა ბურჟუაზიულ-მემპრური გადმონაშთების ამორალობა. ფუქსაგატობა და გარყვნილება. ასეთი ელემენტები მართლაც ანაკვიანებდნენ ახალ საზოგადოებას სოციალისტური მშენებლობისა და ეროვნული კულტურის აყვავების პერიოდში.

იმდროინდელი პრესის ცნობით, პიესა „ნავაგი“ პირველად წარმოადგინეს ბათუმში, სახელმწიფო თეატრში, 1926 წლის 15 აპრილს, ი. გრიშაშვილისავე მონაწილეობით.²

„ესეც შენი ქართული“, სექტორ ერთ მოქმედებად (1931 წ.). ამ პიესის პირვანდელი სათაური იყო „ქარ-

ული ენის ევოლუცია“. პიესა განკუთვნილი იყო ქართული ესტრადის რეპერტუარისათვის.

ნაწარმოების მოქმედი პირები არიან: მეზოვე, ორი ქარაფშუტა ქალი, ორი მეცნიერი, ორი სამჭოთა მოსამსახურე, ორი სტუდენტი, ორი ახალგაზრდა პოეტი, როგორც გხვდება, ყველა წყვილადაა, გარდა მეუზოვისა. ეს წყვილები სხვადასხვა ფენისა და დარგის წარმომადგენლები არიან. სცენა წარმოადგენს ქუჩას, სადაც რეკრიგობით გამოდიან ეს წყვილები და მართვენ დიალოგებს, რომელთაც ისმენს იქვე მდებრი მეუზოვე. მეუზოვე აღმფითებულია იმ დამახინჯებული ქართულით, რომელითაც ისინი ლაპარაკობენ. იგი იმ ზომამდე მიდის, რომ იძულებული ხდება მილიციას მოუხმოს.

პიესა „ესეც შენი ქართული“ დაიბეჭდა 1933 წელს ჟურნალ „წიანგემო“ (№ 8-9). ამავე წელს გამოვიდა ცალკე წიგნადაც ეს პიესა მამინე შვეიდე ქართული ესტრადის რეპერტუარში. გარდა ამისა, იგი მოამზადა და დადგა რეჟისორმა ვახტანგ აბაშიძემ ე. წ. მცირე ფორმის თეატრში (თე მ ა ს), თავის რეპერტუარში შეიტანა აგრეთვე კოპოთეატრმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული მიხეილ ჭიკაურელი. პიესა გააფორმა ახალგაზრდა მხატვრმა დარეჯან ძნელაქემ.

თავისი მხატვრული ღირსებებით, მაინცდამაინც არც ეს საწი ნაწარმოები გამოირჩევა, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ მათ თავის დროზე, ისე როგორც ი. გრიშაშვილის სხვა დრამატულმა ნაწარმოებებმა, აქტიური როლი ითამაშეს მცირე ფორმის დრამატულ ნაწარმოებათა სცენასა და ესტრადაზე გამოტანისა და დამკვიდრების საქმეში.

² იხ. ვახ. „შუხარა“, 1926 წ., 15 აპრილი.



ი. ბიჭმაიერი
ცეცხვა

მ. პოლონსკი დეკორატიული მოტივი



ეპოპრუნი უხვეურები

კარლო გოგსაძე



ი. ბიჭმაიერი
მკსოველი

ბრატისლავაში მრავალი თეატრია. მათ შორის უმთავრესია ეროვნული თეატრი, საოპერო, საბალეტო და დრამატული დასები. საოპერო და საბალეტო დასები ერთ შენობაში მართავენ წარმოდგენებს, დრამატულ დასს ორი სცენა აქვს: ჰეზდოსლავის თეატრის ძირითადი და მცირე სცენები. სწორედ ამ სცენებზე გამოდის იულიუს პანტიკი, რომელიც. ამავე დროს, კინოს აღიარებული მსახიობია ჩეხოსლოვაკიაში. 1975 წელს

ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი პრიზი — „ოქროს ნიანგი“ მიიღო მთავარი როლის შესრულებისათვის ტელეფილმში „მოუსვენარი სიყვარული“. ქართველი მასურებელი იულიუს პანტიკს იცნობს ამ ჩემდმტე წლის წინ სლოვაკი და ქართველი კინემატოგრაფისტების მიერ ერთობლივად გადაღებული ფილმიდან „შეწყვეტილი სამღერა“, სადაც მსახიობმა მთავარი როლი (სლოვაკი მებრძოლი — მიშო ზვარა) შეასრულა.

იულიუს პირველად სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შეხვდა. (ანგენებდნენ მ. გორკის პიესას „უკანასკნელნი“), ჩემდა მოულოდნელად, ძველი ნაცნობივით მივესალმეთ ერთმანეთს. იგი უფრო დაბალი მეჩვენა, ვიდრე წარმომედგინა „შეწყვეტილი სიმღერით“ (ეს ფილმიც მეორედ ახალი ნაწიხი მქონდა). მთხოვა, ცოტა ხანს დამიცადეთო. მალე გამოვიდა გარდერაბიდან. უკვე ივან კოლომიცევის მუნდირისა და კრიმის გარეშე და მისი „ქიგულით“ ეროვნულა თეატრის აქტიორთა კლუბში მივედი. ბარში დავსხვდით. დამე ახლოვდებოდა, მაგრამ ბარს სტუმრები არ აკლდა. აქ შემოვივიერთდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ოსვალდ ზაპარდანიკი.

ის მიშო ზვარა აღარ გეგონოთ, — მოხრა იულიუსმა, — ორი ქალიშვილის მამა და სამი შვილიშვილის ბაბუა ვარ, შვილიშვილება სამთავენი ვაჟები არიან. სასიძოების როლში უკვე აღარ ვვარგავარ, მამებისა და მეტადრე ბაბუების როლებს მთავაზობენო. სოფელი ყვარებია მეტად ყოფილთვის სიამოვნებით ვთანხმდები, როცა გლეხი კაცის როლს მთავაზობენო.

ჩანს, ძალიან დატვირთულია: თეატრი, კინო, ტელევიზია, გასტროლები...

იულიუსი სინანულით ლაბარაკობს, რომ იმ ფილმზე მუშაობის შემდეგ საქართველოში აღარ ყოფილა. სამაგიეროდ, ბრატისლავაში ხშირად ხვდება ქართველებს. დიდი სიყვარულით იგონებს ვერტო ანჟაფარიძეს და მის სტუმრობას ბრატისლავაში.

მთხოვს მოკითხვა გადავეცე. ე. ელიაგას, დ. ჭიჭინაძეს, ო. კობერიძეს... აგრეთვე ყველა მის ნაცნობ ქართველს.

ძალიან მინდა შევხვედი ჩემს ქართველ მეგობრებსა და ნაცნობებს, მოვისმინო მშვენიერი ქართული სიმღერები.

1971 წელს „ნაკადულმა“ ქართულ ენაზე გამოსცა „სლოვაკური ზღაპრები“, რომელსაც წამდღვარებული აქვს სლოვაკი ფოლკლორისტის იან მისხალკის წინასიტყვა. იანიც მოვიკითხე. იგი ამჟამად კომენსკის უნივერსიტეტის ეთნოგრაფი-



იულიუს პანტიკი

მ. პოლენსკი

მამალი



ისა და ფოლკლორისტიკის კათედრაზე მუშაობს. მასთან საუბარში დაგრწმუნდი, რომ ქართულ მწერალთაგან ალბო ცოტა რამ არის სლოვაკურად თარგმნილი, ვინაი ამ ხარვეზს მომავალში შეავსებს თბილისისა და ბრატისლავის უნივერსიტეტების რექტორების შთანხმებმა — მომავალში პერიოდულად გასცვალონ თითო სტუდენტი, ერთ-მანეთის ენების შესწავლის მიზნით.

იან მიხალკემა გამაცნო სლოვაკიას ეროვნული ხალხურების დირექტორი, საინტერესო და გულისხმიერი ადამიანი მტეფან მრუშვიანი, რომელიც დაინტერესებული ყოფილა ქართული ორნამენტით და სურს ჩამოვიდეს საქართველოში.

მისი წყალობით შევხვედი ჩეხოსლოვაკიის დამსახურებულ მხატვარს ივანე ბიზმაიერსა და მარიან პილინსკას.

ივანე ბიზმაიერი ორიგინალური, კოლორიტული ფიგურაა. იგი ბრატისლავიდან ოცდაათი დეკომეტრზე ქ. მოდრის მახლობლად მოდრაპარმინიაში ცხოვრობს. მისი ბინის ინტერიერში სლოვაკური ეროვნული კოლორიტი დამკვიდრებულია. მხატვრის კერამიკული ქმნილებების ძირითადი თემაც ძველი სლოვაკური სახეები, ხალხის ყოფა და შრომაა. მის კერამიკულ ფიგურულ კომპოზიციებში უხვადაა გამოყენებული ტრადიციული სლოვაკური ხალხური მოტივები და სოფლის მშრომელთა ტიპაჟი. იგი ჩეხოსლოვაკიაში აღიარებულია, როგორც კოლორიტული. საკუთარი სტილისა და ხელწერის მხატვარი-კერამიკოსი. აღიარებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. ბოლო დროს მისი ნაწარმოებები ევროპტეში ყოფილა გამოფენილი.

ივანე ბიზმაიერმა დავათვალაიერებინა მისი ბინის სარდაფი, სადაც თავისებური მუზეუმი მოწყვიდა. მხატვრის საუბარში იგრძნობა, რომ თავყვანს სცემს ხალხურ შემოქმედებას. მუზეუმის კოლექციამო ხალხური შემოქმედების ბუერი უნიკალური ნიმუში აქვს. ეს ასეა მუდამ, როცა ნამდვილი შემოქმედთან და ნამდვილი შემოქმედებასთან ვეკვძს საქმე. ივანე ბიზმაიერიც, სადაც კი ხელი მიუწვდება, ეძებს და იძენს თავისი ლახის სულოერ საუნჯეს, გამობატულ თიხისა აუ ხის ნაკეთობას.

გამომშვიდობებისას შთაბეჭდილებათა წიგნი გამოვიწვოდა, რომელიც 1951 წელს პირველი ჩანაწერით გაუსხნია მწერალ პ. პავლეჩკოს. წიგნში ენახე ვერიკო ანაფარდისი, ელენე ახვლედიანის, დოდო ჭიჭინაძის, ლია ელიავას და სხვა ქართველი სტუმრების სხვადასხვა დროის ჩანაწერები.

მოდრა სლოვაკური მელვინეობისა და კერამიკული ხელოვნების ისტორიული ცენტრია. ეს ვიგარძენი, როცა ამ პატარა ქალაქში ახალგაზრდა კერამიკოსს მარიან პილინსკის ვესტუმრე. მოდრაში აქა-იქ კიდევაც შემორჩენილი შუასაუკუნეების დროინდელი ქალაქის კედლის ფრაგმენტები. აი, ამ კედლის დღემდე შემორჩენილი ერთ ნანგ-

რვეზე მიუდგამს მარიანს თავისი საქმიანობისთვის ბრატისლავაში ყავს, მაგრამ მოდრაში შუაშობს და სახელოწინაა დღედაღამ. ვიციხე — მოდრა რატომ აირჩიეთ სამუშაოდ-მეთქი? მიპასუხა: იმიტომ, რომ მოდრაში კერამიკოსისათვის საჭირო ყველაზე უკეთესი მიწა და პაერიაო. თბილად დავცილით ერთმანეთს. გამომშვიდობებისას პლაკეტი მიწაქა, რომელზეც იგი უამრავ თავის ნამუშევარში ჩაფლული ზის. ესენი ჩემი შვილები გახლავით — მითხრა.

ჩეხოსლოვაკიის მაცხოვრებელთა არა მარტო მინისა და ბროლის დიდებულ ნაკეთობებს, რითაც საერთოდ განთქმულია ეს ქვეყანა, არამედ, არანაკლებ საინტერესო კერამიკულ ნაკეთობებსაც. აქ, ვფიქრობ, აშკარად იგრძნობა ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილ კერამიკოსთა შემოქმედებისა და გემოვნების გავლენა მასობრივ წარმოებაზე.

ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახლი ბრატისლავაში სლოვაკიის მასშტაბით ყოველწლიურად აწყობს ბავშვთა ნახატების კონკურსს რამდენიმე ტურად თემაზე „სსრ კავშირი ბავშვთა და ახალგაზრდების თვალთ“. დასკვნით ტურზე მეგობრობის სახლის ფოიეში ეწყობა გამარჯვებული ნამუშევრების გამოფენა. ერთი ასეთი გამოფენა მეც დავათვალაიერე.

ყველა ქართველს გაახარებდა და, აბა, მეც როგორ არ გაგიზიაროთ სიხარული, რომელც ვიგრძენი გამოფენაზე ორი ნახატის ხილვისას. ესენი იყო 11 წლის კომიცილი იანა პატკოკოვასა და ლიპტოვსკი მიკულაშული ირენა ბეხოვას ნახატები თემაზე „ქართველი ქალი“.

სსრ კავშირის საკონსულტო ბრატისლავაში შეხვედრა მოუწყვეს სლოვაკიის კინოს მუშაკებს. შეხვედრას დაესწრნენ თბილისის კინოსტუდიის მუშაკები: ზურაბ ჩხაიძე და დედარ მარგივეი. შემთხვევით შეხვდი მათ და შევიტყე, რომ სლოვაკი და ქართველი კინომუშაკები ერთობლივად იღებენ ახალ მხატვრულ ფილმს, კინოკომედიას „რაჭა — ჩემი სიყვარული“. კინოოპერატორმა დედარ მარგივემა მუხუდრაზე თქვა, რომ თუ ჩვენს პირველ ერთობლივ ნაწარმოებში („მუყუყუცილი სიმღერა“), სლოვაკმა მოგვტაცა ქართველი ასული, ამ ფილმში ქართველი ვაჟაკი წამოიყვანს სლოვაკ ასულს და სამაგიეროდ გადამიღიო იქნებაო.



კულტურის გობიერთი სტრუქტურულ-კიბერნეტიკული მოდელი

უშანგი რიჩინაშვილი

კულტურის ფენომენის სირთულე და მრავალმხრივი ბუნება საშუალებას იძლევა, რომ სულ განსხვავებული მეთოდებით ვიკვლით იგი, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ასპექტზე ვამახვილებთ ყურადღებას.

კულტურის, როგორც მთლიანი მოვლენებისა და მისი ცალკეული ფორმებისა და სახეების კვლევისთვის ამ ბოლო ხანს ფართოდ იყენებენ სემიოტიკურ, თეორიულ-ინფორმაციულ, საერთოსისტემურ, სტრუქტურულ და მთელ რიგ სხვა მეთოდებს.

რამდენად კანონზომიერი და გამართლებულია ასალი მეთოდების ასეთი ექსპანსია სფეროში, რომელიც, თითქოს, თავისი არსით, ეწინააღმდეგება ზუსტი, ფორმალური კრიტერიუმების მიმართულებას? უბრალოდ, კიბერნეტიკულ პერიფერიას წარმოშობილ მოდას ხომ არ აყვევით?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ისე ადვილიც არაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს. მთელი ამბავი ისაა, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის გამოკვლევაში, რომლებმაც კულტურათა ჩასახვის, განვითარებისა და მონაცვლეობის გლობალური კანონზომიერებები აღმოაჩინეს, გვერდი აქვს ავლილი ამ კულტურათა ფუნქციონირების ზოგიერთ მექანიზმს, მათ გარკვეულ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ დახასიათებებს. რაკი ბევრი ცნება გაურკვეველი იყო და სხვადასხვაგვარად ესმოდათ, კანონზომიერად დაიბადა სურვილი, რომ ისინი ფორმალისთვის გზით დაზუსტებულიყო. ამას გარდა, გაირკვა, რომ ბევრი პრობლემა, რომელიც შეეხება კულტურის ისეთ ნიშნულთან მომენტებს, როგორცაა ნიშანთან და ნიშნობლობასთან დამოკიდებულება,

მისი კომუნიკაციური და კონტექსტუალური ასპექტები, შეიძლება გამოირკვეულ იქნეს მხოლოდ ისეთი სწრაფად აღმავალი დისციპლინების მეშვეობით, როგორცაა სემიოტიკა, კომუნიკაციის თეორია, სისტემათა ზოგადი თეორია და სხვ.

ხომ არ ნიშნავს ეს, თითქოს, კულტურის კვლევის ტრადიციულ, ნაცად მეთოდებს (სოციოლოგიური, ისტორიულ-გენეტიკური, კომპარატიული, ფუნქციონალური და სხვ.) დაეკარგოთ თავიანთი მნიშვნელობა და მათ ასალი მეთოდების წინაშე ფარხმალი უნდა დაყარონ? ცხადია, არა. ექსტრემიზმი და მაქსიმალიზმი ტრადიციული მეთოდების შეფასებაში, რასაც ხშირად ამჟღავნებენ ნოვაციის მომხრეები, ისევე ეწინააღმდეგება კულტურის კვლევის მიზნებსა და სულისკვეთებას, როგორც ტრადიციონალისტთა კონფორიზმი. არსებობს უფლება ყოველ მიდგომას, მეთოდს აქვს, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ ისინი ერთმანეთს აესებენ და ამაგრებენ. — მათ ერთობლივ ძალუძთ გააშუქონ ფართო სპექტრი კულტურის პრობლემებისა, რომლებიც ამოხსნას ელის ამიტომ, ჭეშმარიტების ინტერესები მოითხოვს, ყოველი ღონე ვიხმაროთ და ამაოდ ნუ დაგვყვებით იმისათვის, რომ ვამტკიცოთ მხოლოდ საკუთარი მეთოდოლოგიური კრიტერიუმების უცოდველობა, — საჭიროა ღონისძიებების ეფექტური კოოპირების მიღწევა.

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ კაცობრიობას დაუსახა მთელი კომპლექსი პრობლემებისა, რომელთა გადაწყვეტაც ცივილიზაციის მომავალზე ზრუნვითაა ნაკარანხევი. მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ამ სამომავლო პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს წარსულთან უფრო

გულსყურთან მიმართულებას, ვიდრე აქამდე შეინიშნებოდა. პირობისტიკა (ეს კი კულტურის ისტორიაში აქამდეც მკვლევარ ყოფილა ასე) ბიძგს იძლევა რეტროსპექტიული ანალიზისთვის. პირველყოფილი აზროვნება, მითი და მითთამთხვევლობა, ხელოვნების ადრინდელი ფორმები, რელიგიური ცნობიერების სტრუქტურა, სიმბოლიზისკენ ლტოლვა და სხვა საკითხები დღეს საშაყაროს თანამედროვე ეითარების პრობლემებსა და ფუტუროლოგიურ კონცეფციებზე არანაკლები ინტენსიურობით მუშავდება.

ისიც ნიშანდობლივია, რომ ერთნაირი საკაცობრიო კულტურის ვაჭვიდან ამოვარდნილი რგოლების აღდგენა ჩვენს დროში მხოლოდ უახლესი ელექტროგამთვლელი დანადგარების მოდელირებით გახდა შესაძლებელი, ხოლო XX საუკუნის კულტურის ზოგიერთი ფენომენის ასნა მიხერხდა ანალოდ კუმინტარული ცივილიზაციის გარეგნულად მათი მსოფლიოების ნაგვიდენით. თანამედროვე მითთამთხვევლობას ფრანც კაფკას, თომას მანის და გაბრიელ მარკესის ნაწარმოებებში სათანადოდ ვერ გავიანზრებთ, თუკი ძველი მსოფლიოს მკვიდრა მთოლოგიური ცნობიერების კანონზომიერებებსა და სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ თავისებურებებს დეტალურად არ გამოვიკვლევთ, მაგრამ სტრუქტურულ-სემიოტიკური მეთოდების გარეშე ამის გამოკვლევა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. კულტუროლოგია, მსგავსად ორნამენტული იანუსისა, ერთდროულად წარსულისკენაცა მიქცეული და მომავლისკენაც. აი, იდეებისა და მეთოდების ასეთი ორმხრივი ექსტრაპოლაცია ახასიათებს კაცობრიობის სულიერი კულტურის თანამედროვე კვლევის დონესა და არსს.

მკვლევარს დიდი სიფრთხილე მოეთხოვება, როცა იგი ამა თუ იმ მეცნიერების სისტემაში ხშირობს მის გარეშ, სხვა მეცნიერებათა სფეროებში შემუშავებულ ცნებებსა და ტერმინებს. მით უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს ამ ცნებებისა და ტერმინების ექსტრაპოლაციისას. კიბერნეტიკიდან, ინფორმაციის თეორიიდან, სემიოტიკიდან მოხშიობილი სპეციალური ტერმინების კონტამინაცია (ერთმანეთში აღრევა) ცნობიერების თეორიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის ტერმინებით, მიგვიხვევს — ამ ტერმინთა უმართებულო გააზრებასთან. ასეთ შემთხვევებში ტერმინი უკვე ვეღარ იქნება ზუსტად, მაკარად ერთმანეშეწვლილვანი და გადაიქცევა, — ანდრე ბელის სიტყვით რომ ვთქვათ, სანახევროდ სახედ — სანახევროდ ტერმინად. ამასთან დაკავშირებით, უნდმეტი არ იქნება ვაგისსეთონ ა. ფრებერგის გონებაშეხილური დაკვირვება:

„სტრუქტურის“ ცნება, ალბათ, მოდის ხარკია და სხვა არაფერი. ზოგჯერ სასებით გარკვეული ტერმინი, მოულოდნელად, იძებს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას, რასაც ერთი ათიოდე წელიწადი მაინც ინარჩუნებს — ასეთი ხვედრი ერთ ტერმინს „ფორმალნიამიკას“. ამისთანა ტერმინებით იწყებენ წარამართობას, საჭიროა თუ არა, წამადწეწმ ხმარობენ, რადგან ისინი სასამოთხოდ თვდნ. უჭვი არაა, რომ ტიპიური პიროვნება შეიძლება განვიხილოთ მისი სტრუქტურის თვალთახედვით, იგივე თქმის ფიზიოლოგიურ სხეულზეც, სასოფადობაზეც, კულტურაზეც და მანქანაზეც. ყველაფერი

ის, რაც სახეებით ამორფული არაა, სტრუქტურას ფლობს ამიტომ მონია, რომ ტერმინი „სტრუქტურა“ ჩვენს ცნობიერებას არაფერს მატებს, ოღონდ ესაა — „სტრუქტურა“ სასამოთხოდ პიკანტური ტერმინია“.

ინფორმაციის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი კლდე შენონი შევიქრინებულა აღნიშნული ტენდენციით, იგი ჭერეტს ამ ტენდენციის შორსმიმავალ შედეგად, და გაფრთხილებას იძლევა, რომ უაზროდ-უეონტროლოდ არ იხმარან ხოლმე ტერმინი „ინფორმაცია“, რომელსაც ინფორმაციის თეორიის ფარგლებში მხოლოდ რაოდენობრივი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ამაზე კლოდ შენონი ლაპარაკობს თავის განთქმულ შრომაში — „ბანდვაიონი“. სიმბოლოური ლოგიკის, კიბერნეტიკის, ინფორმაციის თეორიის თვალსაჩინო წარმატებები, ხშირად, კზნიან მათი აპარატის, მეთოდებისა და იდეების ყოვლისშემძლეობის, ყოვლისმომცველობისა და ნიადაგამოსადგობის ილუსიას. აქედანვე წარმოიქმნება მათი შესაძლებლობების აბსოლუტიზაციისა და მათი მეოხებით მიღებულის შედეგების უსაზღვროდ ოპტიმისტური შეფასების გარკვეული საშიშროებაც. გაისმის მოწოდებები: პოზიტიურ ტრადიციებთან უშუალოდ დაკავშირებული ცოდნის ყველა სფეროს ტოტალური მათემატიზაცია მიზანშეწონილით, სხეებული პოზიტიური ტრადიციები ტრადიციული ვიტეგშტინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატის“ სისტემატად თვითნებური ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, მოწოდებები მოწოდებებად რჩება, მაგრამ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ მათემატიკისადავისთანა ამა თუ იმ მეცნიერების მუადყოფნის ხარისხი. ხომ კარგადაა ცნობილი, რომ დიდი სიზუსტე, რაც ფორმალისტებული ენებისა ან ფორმალური სისტემების აგებულებით მიიღწევა, აუცილებელ წინაპირობად სისტემატდელ დონეზე მეცნიერული ცნებების დიდი სიზუსტის მიღწევას გულისხმობს. თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა მეცნიერება თანაბრად არაა შემუადებული თავისი ცნებების სისტემის ფორმალისტული ენების აგებას მეთოლით ექსპლიკაციისათვის. ზოგიერთი მეცნიერება (ლოგია, მექანიკა, მათემატიკა, გარკვეული თვალსაზრისით — ლინგვისტიკაც) თავიანთი ცნებების მოსოხმეშობითა (ერთმნიშვნელოვანებით) და კონსტრუქტიულობის მოხიბვით უფრო იგუბნება ზუსტ ფორმულირებებს, სხეები კი, მათ შორის კულტუროლოგიაც, მაინც, ჯერჯერობით, თავიანთი განხილვების სისტემატდელ ეტაპზე დანან, თუცა, ამ გარემოებამ პესიმიზმი არ უნდა გააღალოს, რადგან „ამა თუ იმ კონკრეტული სფეროს მილიანად ფორმალისტების შეუსლებლობასთან დაკავშირებული სინდნელები პრაქტიკულად

იოლდება მისი ზოგიერთი ქვესფეროს ფორმალისაციის ხერხების ძიების გზაზე — სწორედ იმ ქვესფეროებში შეიძლება თავიანთ თავზე მოიკვან ამ სფეროს ყველა ძირითადი ან ჩვენითვის საინტერესო წინადადებები, ასეთი გზა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ფორმალისაციის მეთოდი, არსებითადაც, მოწოდებულია, რომ შინაარსობრივი სემანტიკური ანალიზი შეავსოს მეცნიერებაში (ა. სუბიკინი, ფორმალისაცია. ფილოსოფიური ენციკლოპედია, 1970 წ. ტ. V, გვ. 389). აქედან სავსებით ცხადად გამომდინარეობს, რომ ფორმალისაციის ფორსირებაში აჩქარება სრულიად უადგილოა. გამოყენებული მეთოდების კორექტულობის საუკეთესო გარანტია კი არის ნათელი წარმოდგენა იმ საზღვრებსა და მიჯნებზე, საიდანაც შეიძლება გაჯერდეს მომარჯვებული მეთოდი.

როგორც ჩანს, კულტურის ფუნქციონის გამოკვლევის ყველაზე პერსპექტიულ და, ამიტომ, ფორმალისაციის მეთოდზეც უფრო გაჯერდეს მეთოდად მიჩნეულია მეთოდი მოდელირებისა, რომელიც თვალისწინებს მივლ რიგს იდეალისაციებისა და აბსტრაქციებისა, რომლებსაც მივყავარ საკლდე ობიექტისა თუ სტრუქტურის გასაშუალოებამდე, გაუმბარლოებამდე, გაღარიბებამდე, ერთგვარ სქემატიზებამდე, გაუმეზამამდე, რასაც მით უფრო ვერ აუვლის გვერდს მკვლევარი, რომელიც ისწრაფვის, რომ ეფექტურად გამოიყენოს უკვე მთელი რიგი დისციპლინების რეკომენდებული და „მომუხვევ“ მათემატიკული მეთოდები.

აი, როგორ განმარტავენ მოდელის არს ფონ ნეიმანი და თ. მოგენშტერნი:

„მოდელი“ (მსგავსად თამაშისა) თეორიული კონსტრუქციებია, რომლებიც გულისხმობენ ზუსტ, ამომწურავ და არცთუ რთულ დეფინიციებს: ისინი სინამდვილეს უნდა ჰკავდნენ მოცემული გამოკვლევისთვის არსებითი ყველა მონაცემებით. ვიმორიბთ: დეფინიცია უნდა იყოს ზუსტი და ამომწურავი და უნდა უშვებდეს მათემატიკური დამუშავების შესაძლებლობას. კონსტრუქცია გადამტრებულია გათვლებული არ უნდა იყოს და სრულ ციფრბრებ შედეგებს უნდა იძლეოდეს. რეალობათან მსგავსება აუცილებელია იმისთვის, რომ მოდელის ფუნქციონირება ნიშნავდეს იყოს. მაგრამ ეს მსგავსება, როგორც წესი, უნდა შემოიფარგლოს ამ მოცემული გამოკვლევისთვის არსებით რამდენიმე ასპექტით. — წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთაჩნათვილი მოთხოვნებს განხორციელება არ უწერია“.

კულტურის მოვლენათა შესწავლისთვის ფართოდ გამოიყენება როგორც მატერიალური (ელექტროგამომთვლელი მანქანები), ისე იდეალური მოდელეებიც — ამ უკანასკნელთა ერთი სახეობა ნიშნური მოდელეები (მატრიცები, გრაფიკები, გრაფთა თეორიის, ფაქტორული ანალიზის, ხასოვანი პროგრამირების და ა. შ. გამოყენებული მოდელეები). ნიშნური მოდელეების მეოხებით, მაგალითად, ემპირიული მონაცემები მუშავდება, რაც კულტუროლოგისთვის დიდად მნიშვნელოვანი რამაა, მოდელეები ასრულებენ აგრეთვე ერთ რიგ სხვა — გამოზომი, ახსნით, აღწერით, კრიტიკრიუმულ და, რაც ძალზე არსებითია, ვერისტიკულ ფუნქციებსაც.

ვერისტიკული ფუნქცია წინასწარმეტყველებსთანა დაკავშირებული.

„მოდელის“ ცნება სტრუქტურული მეთოდოლოგიის ერთერთი ქვაკუთხედი ცნებაა.

„სტრუქტურული გამოკვლევები, — ხაზს უსვამს ლევი-სტროსი, — არავითარ ინტერესს არ გამოიწვევდა, სტრუქტურები რომ არ იხასიებოდნენ მოდელეში, რომელთა ფორმალური ნიშნების შედარებაც შესაძლებელია, — მიუხედავად მათი შემადგენელი ელემენტებისა. სტრუქტურალისტის ამოცანაა — მოახდინოს იდენტიფიცირება და იზოირება რეალობის დონეებისა, რომლებსაც, მკვლევარის თვალსაზრისიდან გამომდინარე, სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ. სხვა სიტყვებით, საჭიროა იდენტიფიცირება და იზოირება იმ დონეებისა, რომლებიც შეიძლება აისახონ ამა თუ იმ ტიპის მოდელში“.

ჩვენ ძალზე მნიშვნელოვან საქმედ ვუვსახება, რომ დღეს აღრინდლებზე მეტად გაგამახვილონი ყურადღება „მოდელის“ იმ ინტერპრეტაციაზე, რომელსაც იძლევა სტრუქტურალისტის აღიარებული ავტორიტეტი კ. ლევი-სტროსი. ეს საჭიროდ მიგვაჩნია ძირითადად ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, გვმარტობს, რომ მეცნიერები, ისევე როგორც პოეტებიც (პუსკინის ცნობილი აზრის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ) განუხაჯათ იმ კანონების შესაბამისად, რომლებსაც ისინი თავიანთ თავს უყენებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ არ გავივით, რომ ესები იგი თვით სტრუქტურალისტებს, თუ არ გამოვავლინეთ მათი დამოკიდებულება მოდელთან, რომელსაც სტრუქტურალისტის მეთოდოლოგიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ვერ შევძლებთ სთანადოდ, დამაკმაყოფილებლად ავსანთ თვით სტრუქტურალისტების მიერ მიღებული შედეგები და დაკვებები, მეორეც, თვით ცნება „სიუსტისა“, რომელსაც სტრუქტურულ მეთოდს უსადაგებენ, ვაირასტალია, ერთმნიშვნელოვანი არა და აზრს იტენს მხოლოდ კონკრეტულ გამოკვლევებში, გამოყენებული მოდელეების ხასიათებისა და ტიპების გახსნის დროს.

ყველაზე დიდი გაუგებრობა, კ. ლევი-სტროსის აზრით, მაშინ იქნება, როცა დაკვირვებისა და ექსპერიმენტების აირტყვებს ერთმანეთში ურვევენ. დაკვირვება გულისხმობს ფაქტების შესწავლას და მეთოდების დამუშავებას, მეორედაც, რომლებიც გამოიყენება მოდელეების კონსტრუქციებისათვის. „მოდელით ექსპერიმენტირებაში“ კი კ. ლევი-სტროსი გულისხმობს ერთიანობას ხერხებისა, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ როგორ რეაგირებს მოცემული მოდელი მოდიფიკაციებზე და შედარდეს ერთიანი ან განსხვავებული ტიპის მოდელეები. მაგრამ სტრუქტურული ანალიზის დაკვირვება, რაც გარკვეული თვალსაზრისით აბსტრაქტული და ფორმალისებულია, ყოველთვის ხომ არ გამოირიცხავს კონკრეტულსა და ინდივიდუალურს? ჰუმანიტარულ სფეროებში „უსუსტი“ მეთოდების გამოყენების მიწინააღმდეგეთა თითქმის მთავარი არგუმენტი ხომ ეს მომენტია? კ. ლევი-სტროსი დარწმუნებულია, რომ ეს წინააღმდეგობა მყისვე გაქრება, როგორც კი ჩვენს ცნობიერებამდე მოვა, რომ ეს ურთიერთგამომრიცხველი ნიშნები შეეხება სხვადასხვა

სობრტყვებს, უფრო სწორად, კვლევის ორ სხვადასხვა სტადიას. მეტიც, ამ სტადიებს შორის არის, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს, უმჯობროსი კავშირი. მოდელბს რომ ფაქტების საფუძველზე, მათივე აღწერისა და ახსნისათვის აკონსტრუირებენ.

შემდეგი მომენტი, რომელიც უფრო იშვიათად როდი იწვევს გაუგებრობას, არის მიმართება სტრუქტურისა და განზომილებისა. კ. ლევი-სტროსის სპეციალურად ჩერდება ამ საკითხზე, — სტრუქტურული მეთოდოლოგიის გააზრებისათვის მას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს. კ. ლევი-სტროსის აზრით, „განზომილებასა“ და „სტრუქტურას“ შორის აუცილებელი კავშირი არსებობს. ხარისხობრივი, შინაარსობრივი მომენტის მიმართ მთავარი ყურადღების გამახვილება, რაც ახასიათებს სტრუქტურალიზმს იმ სახით, როგორც მან გავრცელება კხოვა სოციალურ მეცნიერებებში, იყო არა უმთავრესი, თანამდევ დანაშრევი ზოგიერთი ტენდენციისა, რომლებსაც ადგილი აქვთ თანამედროვე მათემატიკურ მეცნიერებებში, მათემატიკური მეცნიერება კი წმინდა რაოდენობრივი ასპექტიებიდან სულ მეტად და მეტად იხრება ხარისხობრივი ასპექტებისაკენ. ამიტომ, იმაზე დაყრდნობით, რომ მთელი პრობლემები არ ექვემდებარება წმინდა რაოდენობრივ გადაწყვეტას, ხოლო მათი კვლევის შედეგები ციფრობრივი ფორმულებით არ განიხილება, სრულიადაც არ უნდა მივიღოთ იმ დასკვნამდე, თითქმის ამ პრობლემების მეცნიერული სიზუსტით შესწავლა შეუძლებელი იყოს. როგორც ვხედავთ, „სიზუსტის“ ცნება არ ემთხვევა „ზოგადობის“ ცნებას, თუმცა, „სიზუსტე“ არ გამოირჩევა მოვლენათა რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებას.

ახლა ამ აზრის შექმე განვიხილოთ სტრუქტურისა და მოთხოვნის ის გაგება, რომელიც უნდა მიესადაგოს კ. ლევი-სტროსის მიერ, „სტრუქტურულად ანთროპოლოგიაში“ ფორმულირებულ შეხედულებებს.

1. სტრუქტურას ახასიათებს სისტემის თვისებები. იყვლემენტებისგან შედგება; თითოეული მათგანის მოდიფიკაცია იწვევს ყველა დანარჩენის მოდიფიკაციას.
2. ყოველი მოდელი ეკუთვნის ჯგუფს გარდასახებისა, რომელიცაა თითოეული, თავის მხრივ, შეესაბამება იმავე ოჯახის მოდელს; ამგვარად, გარდასახვათა ერთობლიობა განსაზღვრავს მოდელბის ჯგუფს.
3. ზემოთ აღნიშნული თავისებურებები შესაძლებელ ხდის იმის განჭკურტას, თუ როგორ ირეგულირებს მოდელი მისი ელემენტების მოდიფიკაციის შემთხვევებს.
4. მოდელის იმგვარად კონსტრუირებაა საჭირო, რომ მისმა ფუნქციონირებამ გააანალიზოს დაკვირვების საგნად ქცეული ყველა ფაქტი, და, როგორც საბოლოო დასკვნა: „საკუთესო აღმორჩლება ტე მ შ ა რ ი ტ ი მოდელი, ანუ ის, რომელიც ყველაზე მარტივი იქნება და ორმხრივ მოთხოვნას უკასურებს — გამოიყენებს მხოლოდ ნიშნიერ ფაქტებს და ასახავს კი ყველაფერს“ (ს. ლანგერი).

კ. ლევი-სტროსი ამკვიდრებს „გაცნობიერებულ“ და „გაუცნობიერებულ“ „მეკანიკური“ და „სტატისტიკური“

მოდელბის ცნებებსა და ცდილობს მათ შორის მკვეთრი ზღვარი გაავლოს.

უიღდესი ამერიკელი ანთროპოლოგისა და ეთნოლოგის ფ. ბოასის კვლდაკვალ, ვისაც კ. ლევი-სტროსი სტრუქტურალიზმის წინამორბედად მიიჩნევს, ფრანგი მკვლევარი ს. ლანგერიც ვარაუდობს, რომ სტრუქტურული ანალიზისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი სიტუაცია იმ შემთხვევაში იქნება, როცა საზოგადოებას ხელთ არა აქვს გაცნობიერებული მოდელი ფენომენთან საკვლევე ჯგუფის ინტერპრეტაციისა ან მოწონებისათვის. ეს იმის ნიშნავს, რომ ამ თუ იმ ხელოვნების მოვლენები რაც უფრო ნაკლება გაცნობიერებული და დამძიმებული ინტერპრეტატორთა ტენდენციურობითა და შეცდომებით, მით უფრო იოლად გამოიკვეთება, გამოვლინდება მისი სიღრმისეული სტრუქტურა. თუმცა, მკვლევარისთვის არსებითია თვით ბუნებაც ამ შეცდომებისა და ტენდენციურობების, რომლებიც შესასწავლი ფაქტების ანარეხითი ნაწილი ხდება. ასე თუ ისე, გაცნობიერებულმა და დაფორმირებულმა მოდელბმა მკვლევარის თვალთაგან არ უნდა დაფაროს ობიექტი, კ. ლევი-სტროსი სწორად გაცნობიერებულ და გაუცნობიერებულ მოდელბთან განსხვავებულ მიმართებებში ხედავს ისტორიისა და ეთნოლოგიის განსხვავებას. ეთნოლოგია თუ ცდილობს, რომ კულტურაზე ადამიანთა წარმოდგენებით (კულტურაზე, რომლის ჩარჩოებშიც იგია მოქცეული) გამოიყვიოს აზროვნების იდეაში, უჩინარი თვისებები, წარმოაჩინოს ამ აზროვნების სტრუქტურა, ისტორიისწავლის სოციალურ ფაქტებზე ადამიანთა გაცნობიერებულ წარმოდგენებს. ფაქტების მოწვევებით შედარაობში ჩაქოსწავლის არაღაც შინაგანი წესები, რომლის გამოვლენაცაა მეცნიერების ამოცანა. ეთნოლოგია, ამგვარად, ვეველინება გაუცნობიერების თავისებურ ფსიქოლოგიადა. შესწავლის ობიექტზე ხდება ის, რასაც იუნგი კოლექტიურ გაცნობიერებულს უწოდებს. მოლაპარაკე სუბიექტი ხომ ვერ ამჩნევს, რომ იგი იყენებს ენის ფონოლოგიურ და გრამატიკულ კანონებს, ზუსტად ასევე, ჯგუფის წევრები გაუცნობიერებულად იყენებენ მსოიალური კომუნიკაციის წესებს. ამ ანალიოგიაზე დაყრდნობით, კ. ლევი-სტროსი რ. იაკობსონისა და ტრებუტკოსის მიერ შემუშავებული სტრუქტურული ონიგენსტიკის მეოთხედის ენოლოგია გარდასახავს და ამ მეთოდებს, ნაწილობრივ, სისტემის ნათესაობის შესასწავლად იყენებს. ადგენს რა ნათესაობის ტრემინთა და ფონემების მსგავსებას, კ. ლევი-სტროსი ახდენს მათ ფორმალიზებას და მოდელს აკონსტრუირებს.

ასეუ შემთხვევაში ნათესაობის სისტემა განიხილება როგორც ცალკეული საშუალება სოციალური კომუნიკაციისა, რომელიც ქალთა ცირკულაციის გზით ხორციელდება. იგი ახლათა ენის მოხილვის კომუნიკაციასთან. კომუნიკაციას ორივე ეს სისტემა გაუცნობიერებულად ფუნქციონირებს, რაც განაპირობებს მათს შეუფერხებლად მოქმედებას — იმის მეოხებით, რომ ანტიენის სისტემა არ ცნობიერდება სუბიექტთან, მეცნიერული ფაქტი მხოლოდ გარედან, რეტროსპექტიულად იხილება. „მეცნიერება ხდება შემეცნება ობიექტისა, რომელიც თავის თავზე უსხლტება“.

მექანიკური და სტატისტიკური მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდება შესწავლილი მოვლენების ტიპებით. „მექანიკურ მოდელს“ კ. ლევი-სტროსი იმ მოდელს უწოდებს, რომლის შემადგენელი ელემენტებიც საკვლევი ფენომენების სინტეზზეა განლაგებული, „სტატისტიკური მოდელი“ კი ისეთი მოდელია, რომლის ელემენტებიც თავიანთი მდებარეობით ამ ფენომენისგან განსხვავდება.

ეთნოგრაფიასა და ისტორიას, კ. ლევი-სტროსის აზრით, საკმე აქვს სტატისტიკურ მოდელზეთან, ეთნოლოგიასა და სოციოლოგიას კი — მექანიკურთან. ეთნოგრაფიისა და ისტორიის ამოცანა მასალის შეკრება და ორგანიზებაა. ეთნოლოგიასა და სოციოლოგიას, პირველ ყოვლისა, საკმე აქვს ამ მასალაზე აგებულ მოდელზეთან. ეთნოგრაფია და ეთნოლოგია შესაბამისად კვლევის ორ განსხვავებულ ეტაპს, რომლებიც გვირგვინდება მექანიკური მოდელების შექმნით, ისტორიული კვლევა კი გვირგვინდება სტატისტიკური მოდელების აგებით.

აქედან გამომდინარეობს ლევი-სტროსის დამოკიდებულება დროსთან, დიქრონიასთან და სინქრონიასთან. ეთნოლოგიაში დრო „მექანიკურია“, ანუ შექცევადია (უკუმართია) და არაკუმიანტურია (არადაგრევადა). ისტორიის დრო — „სტატისტიკურია“, ე. ი. არაშექცევადია (არაკუმიანტურია) და გარკვეული თვალსაზრისით ორიენტრებადია. ამ მიმართებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს სტრუქტურული მეთოდის გასაგებად, რომლის ობიექტიც მხოლოდ სინქრონულ განზომილებაში, დიქრონიისგან, დროითი განზომილების საცად მოწყვეტით შეიმჩნეება. ასე, მაგალითად, დროის სოციალური სტრუქტურის გასაგებად დრო არაფიქარ რომს არა თამაშობს, მაშინ, როცა, სოციალური ორგანიზაციისთვის დრო აუცილებელი ელემენტია.

კ. ლევი-სტროსი გაფრთხილებას იძლევა, რომ მართებული არ იქნებოდა „მექანიკური მოდელის“ გადატანა იმ მეცნიერებაში, რომელთათვისაც „სტატისტიკური“ მოდელზეა ლოკაციური — ამგვარ ექსტრაპოლაციებში ლევი-სტროსი მრავალი შეუსაბამობისა და არაკორექტული დეფინიციის წარმოშობს წყაროს ხედავს.

კ. ლევი-სტროსი აყალიბებს ვერტიფიკებულ „სტრუქტურული მეთოდის გამოყენების წესებს“, რისთვისაც ყურდნობა კ. გოლდშტეინის შრომებში დამოქვეყნებულ დიდივას (ორ, ერთმანეთის გამოირიყვავ გამოვლენას, რომელთაგან ერთერთის არჩევა აუცილებელია). ან ზედაპირული, ზერელე გამოკვლევა აურაცხელი შემთხვევისა (სერიოზული შედეგების გარეშე), ან კიდევ შემოფარგვლა ცოტა შემთხვევის დრმად შესწავლით, რამაც ის უნდა დადასტუროს, რომ კარგად დაყენებული ექსპერიმენტი, საბოლოო ჯამში, ფაქტურული მონაცემების უზარალო დემონსტრაციაზე ნაკლები როლია. კ. სტროსის მოთხოვნა, საბოლოოდ, ასეთ სახეს იღებს:

„საჭიროა ღრმად იქნეს შესწავლილი ერთი შემთხვევა: განსხვავებას ქმნის მხოლოდ ტიპი „შემთხვევის“ ტრილისა, ხოლო ამ „შემთხვევის“ ელემენტები (მიხანდასახულობის მი-

ხედები) ან პროექტირებული მოდელის დონეზეა ან კიდევ სხვა დონეზე“.

კ. ლევი-სტროსი თავის სტრუქტურულ გამოკვლევებში არაერთხელ უსვამდა სახს და ასევე ხშირად ამტკიცებდა, რომ სტრუქტურალისტები, კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში, არ ურიდებიათ კატეგორიების დასესხებას ერთმანეთისაგან სულ განსხვავებულ დისციპლინებიდან, მათ შორის, ლინგვისტიკიდან, არქეოლოგიიდან, კ. ლევინის ფსიქოლოგიური ტიპოლოგიიდან, მორენოს სოციომეტრიიდან. ამიტომ, მოულოდნელი არაა, რომ სტრუქტურულმა მეთოდოლოგიამ მიმართოს „კომუნიკაციის“ ცნებას, — ამ ცნებას კ. ლევი-სტროსი განიხილავს როგორც „მუნიციციტირებულ კონცეპტს“, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ერთი დისციპლინის ფარგლებში გაერთიანდეს განსხვავებული კვლევები და მიღებულ იქნეს სტრუქტურალიზმის შედეგში განვითარებისათვის აუცილებელი მთელი რიგი თეორიული და მეთოდოლოგიური ხელსაწყოები.

„ჩვენ ვიმედოვნებთ, — წერს კ. ლევი-სტროსი, — რომ მომავალში სოციალური ანთროპოლოგია, ეკონომიური მეცნიერება და ლინგვისტიკა გააერთიანებენ თავთან ძალეის იხილეს დისციპლინის შესაშველად, რომლებიც იქნება მეცნიერება კომუნიკაციის; მაგრამ უკვე აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ეს მეცნიერება აგებული იქნება, ძირითადად, წესებზე. აღნიშნული წესები არაა დამოკიდებული იმ პარტნიორების (ინდივიდების ან ჯგუფების) ბუნებაზე, რომელთა თამაშაც ეს წესები არეგულირებენ. როგორც ფინ ნეიმანი მიუთითებს, „თამაშს მისი აღმწერელი წესების ერთობლიობა ქმნის“.

ამ თვალსაზრისით გასაგებად, კატეგორიის ფენომენის აღწერისა და ანალიზის დროს კ. ლევი-სტროსის სისტემატურად რატომ ოპერირებს ობიექტ-ნიშნების შესწავლად შემუშავებული სტრატეგიისა და კომუნიკაციის თეორიების კატეგორიებითა და ორიგინალური მეთოდებით.

საზოგადოება, კ. ლევი-სტროსის აზრით, შედგება ინდივიდებისა და ჯგუფებისაგან, რომელთა შორისაა კომუნიკაცია, მინიმუმ, სამ სიბრტყეზე მაინც ხორციელდება: ქალიშვილის მიმოცევა; მატერიალურ ღირებულებათა და მომსახურებათა გაცევა-გამოცევა; ცნობათა, ინფორმაციათა მიმოცევა, ნათესაობისა და ქორწინების წესები კომუნიკაციის მეოთხე ტაფს ქმნის, ესა ფინორტიკების შორის გენების მიმოქცევა, აქედან გამომდინარე, მთელი კულტურა განიხილება როგორც კომპლექსი სიმბოლური სისტემებისა, რომელთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ენას, ქორწინებრივ წესებს, ეკონომიურ ურთიერთობებს, ხელოვნებას, მეცნიერებას, რელიგიას. კულტურა მხოლოდ კომუნიკაციების ფორმებისგან კი არა, აგრეთვე იმ წესებისგანაც შედგება, რომლებიც აუცილებელია ბუნებისა და ხელოვნების სფეროებში „კომუნიკაციური თამაშების“ ყველა სახისათვის. კომუნიკაციის სამი აღნიშნული სახე სხვადასხვა დონეზე ხორციელდება: ისინი ხასიათდება სიდიდის კატეგორიებით, და, აგრეთვე, რიტმის შენელებითა და დაჩქარებით. ამგვარად, იქნება შემდეგი ბინარული ოპოზიციები; პირიქნება და სიმბოლო, მნიშვნელო-

ბა და ნიშანი, რომელიც მოწოდებულია წარმოაჩინონ კომუნიკაციის სამედიცინო სახე და სიბრტყე.

უნდა ითქვას, რომ ბინარული ოპოზიციების გამოვლენა (ვიტყავთ, ოპოზიცია-უმი-მონასრული, რომელიც ლევი-სტროსის ბუნებისა და კულტურის ოპოზიციისთვის ქვაკუთხედურ მაგალითად ესახება), რაც განსაკუთრებით ცხადად მითოლოგიური აზროვნების კვლევისას იჩენს თავს, უმნიშვნელოვანესი მხარეა ლევი-სტროსისეული მეთოდიკისა, რომელიც სტრუქტურული ლინგვისტიკის პრინციპებს ეყარება. თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ლევი-სტროსი ბინარული ოპოზიციების გამოვლენას, ჩანს მისი რწმენიდან, რომ მითოლოგიურ განსხვავებათა ბინარულ ოპოზიციათა ტერმინებით მოაზრება იყო ბუნებიდან კულტურაზე გადასვლის უარსებოების მონიჭი, ყოველი ადამიანის პირველადი გამოცდილება ოპოზიციათა (ჩვეულებრივ ბინარულთა), ე. ი., რომელიც გვეუფის მათ წინამდებელი განცხობიერებულ შეუსაბამობათა შეთვინება.

ამიტომაც, რომ ინტექტის აკრძალვა, რაც თვითშემეცნების წარმოშობას, სუბიექტის განსხვავებულობის გააზრებას, ზოგ შემთხვევაში კი თვით მასა და მის წარმომშობ წყაროს შორის შეუსაბამობას მოწოდებს, კულტურის პირველად ელემენტად გვევლინება.

ლევი-სტროსი კულტურაში გულისხმობს ეთნოგრაფიულ განუყოფლობას, რომელიც კვლევის პროცესში, სხვა სისტემებთან შედარებისას, საგრძობად განსხვავებულ ნიშნებს ამჟღავნებს. რაკი სტრუქტურული კვლევის საბოლოო ობიექტი არის უცვლელ სიდიდეები, რომლებიც დაეკუთრებულია ამგვარ განმასხვავებელ ნიშნებთან, კულტურის ცნება შეიძლება შევსაბამებოდეს ობიექტურ რეალობას და, იმავდროულად, რჩებოდეს კვლევის აღნიშნული ტიპის ფუნქციად. ინდივიდუბის ერთი და იგივე ერთობლიობა, რაც სტრუქტურად არსებობს სივრცესა და დროში, ერთსა და იმავე დროს, მიეკუთვნება განსხვავებულ კულტურულ სისტემებს: უნივერსალურს, კონკრეტულს, ეროვნულს, პროვინციულს, ლოკალურს, აგრეთვე ოჯახურს, პროფესიულს, კონფესიურს, პოლიტიკურს და ა. შ.

ტერმინი „კულტურით“ — საზუსტესთ აცხადებს ქ. ლევი-სტროსი — სარგებლობენ იმისთვის რომ გადააჯგუფონ ერთობლიობა განმასხვავებელი ნიშნებისა, რომელთა საზღვრებიც, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, დაახლოებით ემთხვევა ერთმანეთს. ის გარემოება, რომ ეს თანხვედრა არ შეიძლება აბსოლუტურად იყოს და იგი ყველა სიბრტყეზე ერთდროულად არ წარმოიქმნება, არ შეგვიშლის ხელს იმაში, რომ ჩვენ ვინაზრებოთ კულტურის ცნებით. ესაა ეთნოლოგიის ერთ-ერთი უარსებოების ცნება, რომელიც ისეთსავე ეყრისტიულ მნიშვნელობასს შეიცავს, როგორცაა შეიცავს იზოლიაციის ცნება დემოგრაფიაში.

მითოლოგიური ცნობიერების კვლევისას ლევი-სტროსი კულტურის შიდა კლასიფიკაციებში გამოაკვეთს პრიმიტიულ კულტურათა წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელ „ანალოგიური აზროვნების“ მექანიზმს, რომელიც განაპირობებს ინფორმაციის კოდების გარდასახვასა და ცირკულირებას სოციოკულტურული სისტემის შემადგენელ სხვადასხვა წესრიგ-

სა და სტრუქტურებს შორის. კულტურათაშორისი შედარება იძლევა საშუალებას გამოვლინდეს „კულტურის“ როგორც კონცეპტის, საერთო მამოძღვლიერებელ-ინფორმაციული ნიშნები.

როგორც აქამომდეგი მსჯელობიდან ჩანს, ჩვენ განვიხილავთ სტრუქტურულ მეთოდს, რომელიც ყველაზე ობიექტურ და თანმიმდევრული რეალიზაცია ქ. ლევი-სტროსის ფუნდამენტურ შრომებში პოვა (სტრუქტურალისტი ო. სოზი პირდაპირ ამბობს, „ლევი-სტროსის ნაშრომებით პირდაპირ შეიძლება სტრუქტურალისტიური აზრის განსაზღვრაო“, მეტიც, „სტრუქტურალიზმი ლევი-სტროსისაო“), როგორც კერძომცნიერულ მეთოდს, იე, რომ, შეფასებას არ ვაძლევთ სტრუქტურალიზმს, როგორც ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ დოქტრინას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ამოცანა წარმატებითაა გადაჭრილი საბჭოთა და უსბოელ მეცნიერთა შრავალ კრიტიკულ ნაშრომში და მეორე იმიტომ, რომ სტრუქტურული მეთოდი იმ სახით, როგორცაა იგი რეალიზებული ლევი-სტროსის ნაშრომებში, საკმაოდ პერსპექტიულად გვეჩვენება კულტურის მთელი რიგი სფეროების კვლევისათვის.

ლევი-სტროსის ნაშრომებმა უსარმაზარი გავლენა მოახდინეს ეთნოლოგიურ გამოკვლევებზე. მისმა მეთოდიკამ, რომელიც ეყარება სემიოტიკის, სტრუქტურული ლინგვისტიკის, კომუნიკაციის მეთოდის, თამაშის თეორიის მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას, ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ხელოვნების სრულიად განსხვავებული ასპექტების, მიზეზის, ძველი მსოფლიოს და შუა საუკუნეების რელიგიების შესწავლისათვის. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე დიდ შედეგები მიიღვეს ის სინტრონული და დიაქრონული მიდგომების შერწყმით, რაცა ფორმალური ტიპოლოგიური მოდელის შექმნა თავისდგმა ისტორიულ, ზოგადასოციოლოგიურ, ფილოსოფიურ საფუძველზე, მათ შინადასინტერპრეტაციას.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ფართოდაა გავრცელებული სემიოტიკური და თეორიულ-კომუნიკაციური მეთოდების მისხეობის წარსლის სოციალურ-ფსიქოლოგიური სურათის, სულიერი ატმოსფეროს ანალიტიკური რეკონსტრუქციის ცდები. ამ ცდებს საფუძველად უდგეს წარმოდგენ-ქმნებულზე, როგორც ისტორიულად გამპირობებულ ფორმების შენახვისა და სოციალური ინფორმაციის გადაცემის კომპლექსზე. ასეთ შემთხვევაში მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა ძველი უნდა გავიზაროთ, როგორც ნიშანი ადამიანის მოღაწეობის, შემოქმედებისა. ყოველი საზოგადოება გვევლინება ერთმანეთს გააღსარაბოთი შრავალი ნიშნური სისტემის ერთობლიობად — იმ ნიშნურ სისტემებს საზოგადოება ქმნის მისი არსებობისა და განვითარების პროცესში. ეს სისტემები აისახება ენაში, მორალში, ხელოვნებაში, სამართალში, რელიგიაში, მითოლოგიაში, ფოლკლორში, მეცნიერებაში. ბუნებრივი ენის გარდა, საზოგადოება ქმნის არაენობაში კომუნიკაციის „ენებსა“ — საშუალებების მიუღ წყებას (რიტუალურ, სახეებს), სიმბოლოურ ენებს, რომელთა გამოკვლევა და რეკონსტრუქციება გააძლიერებდა ჩვენს წარმოდგენას გარდასულ კონკრეტულ ეპოქებზე (იმ ეპოქებზე, რომელშიც მოქმედებდნენ აღნიშნული ენები).

სოციალურ-ისტორიული ფსიქოლოგიის სკოლა, როცა ამა თუ იმ ეპოქის სულიერ ატმოსფეროს აღდგენას, ყურადღებას ამახვილებს სხვა ეპოქებისგან მის განსხვავებულობაზე, გამოავლენს საკვლევე ეპოქის უნიკალიობას, განუმეორებლობას. ამგვარი კვლევის ძირითადი საგანი ხდება ადამიანი, როგორც კულტურულ-სოციალური არსებობის სუბიექტი, აქედან მოდის აღიარება ადამიანის ცნობიერების, მისი მსოფლალქმის ცვალებადობისა, ამ ცნობიერების კულტურულ-ესტორიული ფაქტორებით გაპირობებულობისა.

„დეტალურად შესწავლა, შემდეგ კი გამოკვლევა გარკვეული სულიერი სამყაროსი, რომელშიც ცხოვრობდნენ კონკრეტული ეპოქის ადამიანები, ერუდციისი დიდი ძალისა და წარმოსახვის მეფხებით აღდგენა ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნივერსუმისა, რომლის წიაღაც ცხოვრობდა ყველი თაობა“, — ლ. ფებრის აზრით, ასეთი უნდა ყოფილიყო სოციალურ-ისტორიული ფსიქოლოგიის კვლევის პროგრამა და მიზანი. ადამიანური კომუნიკაციების გამობატვის სხვადასხვა სისტემის (რომელთაგან უმთავრესი ენაა) სემანტიკურად, ფართო სემიოტიკური თვალსაზრისით გამოკვლევა დაგვეზნებება გარდასულ კულტურულ ეპოქათა ადამიანების ფიქრის, აღქმის, მსოფლსმედვის სტილისა და მანერის რეკონსტრუირებაში.

ამგვარად, მეთოდოლოგია გარკვეული ერთიანობა არ განაპირობებს მეთოდოლოგიური პრინციპების ერთგვარობას და იმდენად გამოვლენისათვის საუბროა აღრიცხვა მრავალი არა მდენად ფორმალური, რამდენადაც შინაარსობრივი მომენტებია, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ კვლევის ამა თუ იმ მიმართულების გააზრებისათვის. ყოველივე ზემოთქმულით აიხსნება ის სიმწელებიც, რომლებსაც ხვდებიან მეცნიერი, როცა ცდილობს კულტურის არსებული თეორიების კლასიფიცირებას.

კულტურის კვლევისადმი თანამედროვე სემიოტიკური მიდგომა იმაში ეკონიხატება. რომ ისწრაფვიან ექსპლიციტურად გამოავლინონ საზოგადოების კომუნიკაციური პროცესებში და შემოქმედონ მათი ანალიზის ეფექტური მეთოდები. სემიოტიკას ძირითადად ორი მომენტი აინტერესებს: კომუნიკაციური პროცესების მონაწილეთა ქცევა და რეაქცია; გამოვლენა ფუნქციონირების მექანიზმთა სხვადასხვა ელემენტების, რომლებიც ჩართულია კომუნიკაციურ პროცესში. აღნიშნული მომენტების დამუშავებასთან მიმართების შესაბამისად შეგვიძლია სემიოტიკაში ორი მკვეთრად გამოკვეთილი მიმართულება გამოვლინო: ამერიკული, რომელიც ეყრდნობა გ. პირსისსა და ჩ. მორისის იდეებს — მას შეიძლება პირობითად საკუთრივ სემიოტიკური მიმართულება ვუწოდოთ, და — ფრანგული, რომელიც ფერდინანდ დე სოსიურას იდეებით საზრდობს — იგი, ასევე პირობითად, შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც სემიოლოგიური მიმართულება. სემიოტიკის კვლევის პირს-მორისის პროგრამის მთავარი ამოცანაა განსაზღვრვის მოვლენისა. სემიოზის ევოლუციისაში ფიზიკურად წარმოსახული ობიექტის ინტერპრეტაციის პროცესს. ეს ობიექტი შემცველია ინფორმაციისა თავის თავზევე, ასევე, რგი შეიცავს ინფორმაციას საგნებსა და მოვლენებზე,

რომელთა ნიშნადაც იგი გვევლინება. ამერიკული სემიოტიკა ვითარდება, ძირითადად, ლინგვისტიკურ სტრუქტურისთან რაიმე კავშირის გარეშე. სემიოლოგიური კონცეფცია კი, სემიოტიკურისგან განსხვავებით, განიხილავს წინასწარგანსხვავებულ და წარმართულ კომუნიკაციურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს ნებისმიერი სირთულის ნიშნური სისტემების გამოყენების მეფხებით.

სემიოლოგია ზოგადი ენათმეცნიერებიდანაა ამოზრდილი, მისი ზედნაშენია, აანალიზებს შინაარსობრივი ინფორმაციის გადაცემის მაქსიმალურად ზოგად პრინციპებს და გამიზნულია წარმოებული კოდების შესწავლისკენ. აი, როგორ განმარტავს სემიოლოგიას დ. პრიფტი: „სემიოლოგია — ესაა ზოგადი პრინციპების შემსწავლელი მეცნიერება. იკვლისხმება პრინციპები, რომლებიც წარმართავს ნიშნების ან კოდთა სისტემების ფუნქციონირებას და ამყარებენ მსგავსი სისტემების ტაქოლოგიას“.

ამ თქმულიდან ცხადზე ცხადად გამოდინარეობს, რომ როცა კულტუროლოგიაში სემიოტიკური მიდგომის გამოყენებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია სულ მუდამ მხედველობაში გვექონდეს სემიოტიკისა და სემიოლოგიის აღნიშნული დიფერენციაცია.

უფრო დაწერილებით შეგერდეთ კულტურისადმი სემიოტიკური მიდგომის პრობლემაზე, რომელიც ჩარულ მორისმა განავიხატა. ობიექტი სემიოტიკისა, რომელიც ნიშნებს სწავლობს სინტაქტიკური (ნიშნების ურთიერთმიმართება), სემიოტიკური (ნიშნების მიმართება აღნიშნულთან, ანუ დენოტატთან), პრაგმატიკული (ნიშნების მიმართება მათ ინტერპრეტაციებთან) ასპექტებით, არის, მორისის აზრით, ფართო სპექტრი სოციალური ცხოვრების პრობლემებისა. სემიოტიკა, ცნობილია, რომ უნდა გახდეს, აგრეთვე, ორგანო ფილოსოფიისა, ფილოსოფია ღრმად უნდა ერკვეოდეს ნიშნებში, რომლებსაც იგი ყოველ წუთში ხმარობს.

სემიოტიკის განვითარება, — აღნიშნავს მორისი, — აღმოაჩინეს დიდ შესაძლებლობებს იმის გასაკვებად, თუ როგორ უნდა იმ, ან როგორი აზრითაა ადამიანური კულტურა, თავისთავად, ნიშნური მოვლენა“.

მორისის აზრით, იმის მტკიცება, თითქმის საზოგადოება წარმოდგენილია ნიშნების გარეშე, ანუ ნიშნები აუცილებლად განსაზღვრებენ ქცევის საერთო ზაზს, — უმართებულაა. ფართოდაა გავრცელებული წარმოდგენა, თითქმის ადამიანთა საზოგადოება, იქ, სადაც საუბარია მის კულტურაზე, თავისი არსებობითაც და „ღრმში დამკვიდრების“ თვალსაზრისითაც დამოკიდებულება ნიშნებზე, არსებითად, ენობრივ ნიშნებზე.

„კულტურა, — საზს უსვამს ჩ. მორისი, — ეს უბრალოდ, თავისთავად, სქესთა ურთიერთდამოკიდებულება კი არაა, არამედ ის ფორმაა, რომლითაც ვლინდება ეს ურთიერთდამოკიდებულება. თვით პროცესი ტაქსისა ჯერ კიდევ არაა კულტურა; კულტურაა იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა გამოიყენებულ საზოგადოებაში. საზოგადოების კულტურა — ის ნიშნადობლივი ფორმებია („ხერხები“), რომლებშიც ხორცი ესხმება მოცემული საზოგადოების წევრთა ძირი-

თადი მოთხოვნილებების დაგეგმვაში. საზოგადოებას, თავისი ხასიათის მიხედვით, შეუძლია გაანდეს ერთი „კულტურული ეტალონი“ (მოდელი), ან გაანდეს მთელი რიგი „ეტალონები“, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს უპირისპირდებოდეს კიდევ“.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს კულტურა თავისი წარმოშობით ნიშნებისგან იყოს დამოკიდებული ან კულტურის ყველა მოვლენა ნიშნურ ხასიათს ატარებდეს. მაგრამ, მორისის აზრით, ის უმეტესად, რომ ნიშნებს უხარისხობრივად მიუძღვის როგორც თვით ხელოვნებაში, ისე სხვა ხატებისა და შთამომავლებისთვის მის გადაცემაში. კულტურის ნიშნური ხასიათის მოვლენებია ხალხთა ენები, მათი რიტუალებები, ხელოვნება, აგრეთვე სხვა ფასეულობანი, რომლებსაც მათი ეროვნული პრეტენციის ნიშნებად გადაქცევა უწყობს. ადამიანთა შორის ურთიერთკავშირი, კომუნიკაცია ნიშნების მეოხებით მთავრდება, რამეთუ კულტურა ფორმად მოცემული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტყუევებისა, ნიშნების საზოგადოების არსებობის წინაპირობაა. თუ კულტურა ნიშნებით დეტერმინირებს, ცხადია, კულტურის გადაცემა საზოგადოებიდან საზოგადოებაზე, თაობიდან თაობაზე ასევე ნიშნების მეოხებით ხორციელდება.

თავისი პოზიციის გასამტკიცებლად, ჩ. მორისი იმოწმებს ჯ. მიდს, რომელმაც გვიჩვენა „ნიშნური სიმბოლოების“ გარეგნულად მოხვედრილი ინდივიდი როგორ აღიქვამს ამ თუ იმ კულტურას. ინდივიდი, ენობრივი და წინარევიზიონური ნიშნების მეოხებით შეიწოვს მოცემული ენობრივი ერთობლიობის მიზეზურ სოციალურ პრობლემებს. მისი აზროვნება იძებს მიზეზურ სამტყველო მოდელის ფორმას, მისი ნიშნური თვითკონტროლი კი ჯერ უხილავად, ხოლო შემდეგ სულ უფრო და უფრო აშკარად ემსახურება სოციალური კონტროლის ფორმებს. ინდივიდის საკვილო განხილავდება მისი საზოგადოების წიაღში გაბატონებული სიმბოლოებით.

ინდივიდის ნიშნურ საკვილოს სწორად მის თვითკონტროლის სფეროში სოციალური კონტროლის ფორმების შეღწევა განაპირობებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მათი მეოხებით გაწეული პროპაგანდა, აღმზრდელითი ხასიათის ინსტიტუტები და დაწესებულებები, საზოგადოების მიერ შექმნილი განათლების სისტემა ამ საზოგადოებების ეხმარებიან ინდივიდის ცნობიერებაში მიმდინარე ნიშნურ პროცესის და, ამდენად, მისი ქცევის კონტროლირებაში.

მაგრამ, მორისის აზრით, ვერავითარი კულტურა ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ადამიანი არამარტო სოციალური, არამედ ბიოლოგიური არსებაცაა, რაც, გარკვეული აზრით, ზღუდავს და ასუსტებს სოციალურ კონტროლს.

ნიშნების და ფასეულობათა ურთიერთკავშირის გამოვლენისას მორისი გამოიყენებს ინდივიდუალურ და სოციალურ ფასეულობებს. მორისის სემიოტიკაში კულტურისა და სოციალურ კატეგორიები უკავშირდება ზოგადმნიშვნელოვანს, რომელსაც იგივე ან მსგავსი ნიშნები აქვს მათთვისაც, ვინც მათ ქმნის და იმათთვისაც, ვინც მათს ინტერპრეტაციას იძლევა.

ზოგადმნიშვნელოვანი არის ინტერპრეტანტი მთელი სოციალური მოქმედების სისტემისა, რომელიც შეიცავს სოციალურ, კულტურულ, პიროვნულ და ბიოლოგიურ სისტემებს. სწორედ ზოგადმნიშვნელოვანია ჩანადრებით გარკვეული ტიპის სოციალური მოქმედებისადმი წინასწარგანწყობა. სემიოტიკა სწავლობს სწორედ ზოგადმნიშვნელოვანს, რო-

რელშიც მთავარია ლინგვისტური და წინარევიზიონისტური სიმბოლოები, რომლებიც საზოგადოებაში ფუნქციონირებენ.

ჩ. მორისი ანგარიშს უწყევს იმას, რომ ბიხევიორიზმზე ორიენტირებული სემიოტიკა იზღუდება ნიშნების მცენიერებისა და ლოგიკის ფარგლებში, განხილვით — ინდივიდუალური და სოციალური კონტექსტების კვლევათა სფეროში გაუკვევლად. ამიტომ, იგი მოითხოვს სემიოტიკისა და სოციალური ფსიქოლოგიის თანამდებობას. ჩ. მორისის ბოლო ნაშრომები გვიჩვენებს, რომ იგი თვითონაც ცდილობს დასძლიოს ბიხევიორისტული სემიოტიკის ეს შესუღვლდება და სოციალური ქცევის ფასეულობრივ-სემიოტიკური მოდელის შექმნით გავიდეს მოქმედების ზოგადი თვარის სფეროში. ჩ. მორისის ნაშრომებში ცოტა როდია მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მომენტები, რომლებიც ხელს უწყობენ მოქმედების სემიოტიკურ ტიპოლოგიათა შემუშავებასა და აგებას.

საკულობსა, რომ აბრამ მოლი წიგნში „კულტურის სოციოლინგვა“ ცდილობს შექმნას „კანკიბერნტიკული“ მოდელი.

ა. მოლის კონცეფციას საფუძვლად უდევს წარმოდგენა „სოციოკულტურულ ციკლზე“ — იდეების განვითარების ციკლურ პროცესზე, რომელიც ძლიერდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. ამგვარად, იდეები ხელმძისაწვდომი ხდება ყველასთვის და შემოქმედების შემდგომი განვითარებისთვის, „ნედლ მასალად“ იქცევა.

ა. მოლისთვის ინდივიდი — მემკვიდრეობით, პირადი ცხოვრების მოვლენებითა და წრით სასვებით დეტერმინირებული, გახსნილი სისტემაა. ა. მოლი ცდილობს კულტურის სოციოლოგიის სფეროს სისტემურად მიუყვანოს კიბერნტიკით შემუშავებული მეთოდი ანალოგიებისა და თავის კვლევას აგებს, როგორც „შეპანკური“ ხასიათის მოდელი — „სოციოკულტურული ციკლის“ მოდელის შემუშავებას, იგი ამოცანად იხსნას შეისწავლოს მოდელის მოქმედება კულტურის სხვადასხვა „არხით“ და გაარკვეოს აღნიშნული ანალოგიის გამოყენების ფარგლები.

იმისათვის, რომ კულტურის კვლევისთვის ფორმულირებული თავისი მეთოდოლოგიური პრინციპები ფექტურად გამოიყენოს, ა. მოლი იძულებულია დაეყრდნოს ვერსტიკულ ჰიპოთეზებს, რომლებიც დამყარებულია ძლიერ ანტარქიკებზე, იდეალიზაციებსა და დამუშავებზე.

ა. მოლი ხაზს უსვამს ტერმინ „კულტურის“ მრავალმნიშვნელოვანებას — აღნიშნავს, რომ არსებობს მისი 250 მტკიცება განმარტება. თვითონ ა. მოლი, კულტურის განვითარების სხვადასხვა ტაქტებს რომ მიიზიანოს, გვიავაზობს კულტურის ისეთ განმარტებას, რომლის თანახმადც იგი პიროვნების სულიერი ფასეულობებით აღჭურვაა, რისი რაოდენობრივად შეფასებაც დასაშვებია.

ა. მოლი ერთმანეთსგან განასხვავებს ვრუდიკას — კულტურის სივრცის უბრალო გაფართოებებს და აზროვნების პროცესში წარმოქმნილი და შემდგომი ციკლური სოციალური და ინდივიდუალური ორგანიზმის მიერ დამახსოვრებულ ასოციაციების „სქოლიოს“ სიღრმეს („ორგანიზმის“ ბუნებას, კიბერნტიკის მეთოდის სრული შესაბამისობით, ა. მოლი არ აზუსტებს, მისი წარმოდგენით „ორგანიზმი“ შეიძლება იყოს არა მარტო ცალკეული პიროვნება, არამედ მთელი სოციალური ჯგუფიც). აქედან გამომდინარეობს დასკვნა — არსებობს „ერუდირებული“ და „ინტენსიური“ კულტურები. თანამდროვე კულტურას, რომელსაც სივრცეში



გამლის ტენდენცია აქვს, ა. მოლი აპირისპირებს სიღრმის-
კენ მისწრაფებულ, ცოდნის ელემენტების ერთმანეთთან მჭი-
დრლ დაკავშირებით აღბეჭდილ კლასიკურ კულტურასთან.
თანამედროვე კულტურა, ა. მოლის აზრით, ჰგავს დაცა-
ვლადეობით და შემთხვევითი ელემენტების მოხაჯას, ეს
„მოზაიკური“ ბუნება დაკავშირებულია არა მარტო მეცნიერ-
ების მშლავ განვითარებასთან, არამედ ინფორმაციის გავ-
რცელების არხების სპეციფიკურადანაც გამომდინარეობს.
მასობრივი კომუნიკაციის ხერხებისთვის დამახასიათებელია
ცოდნათა იერარქიულ სისტემატიზებაზე უზრუნველობა. ის-
ინი ყოველ ინდივიდს უტოვებს ინფორმაციის საერთო ნა-
კადრად ცალკეული ელემენტების შეჩვენვის, აღქმის საშუა-
ლებებს. ამიტომ, კულტურულ სოციოლინამიკას არამარტო
მოზაიკური, არამედ სანახევროდ შემთხვევითი ხასიათიცა
აქვს. ინფორმაციის ელემენტები ტრანსფორმირდება შემოქ-
მედი პიროვნების მიეროსფეროდან მასობრივ კომუნიკაცი-
ათა არხების გავლით მომხმარებლის მიეროსფეროსკენ მოძ-
რაობის პროცესში.

ცალკეული ადამიანის კულტურა, ა. მოლის ვარაუდით,
შეიძლება შესწავლილ იქნეს ოპერაციულად — მის მიერ
წარმოქმნილი კულტურული აქტების ერთობლიობაში, ანუ
განვანდლი ინფორმაციათა „კამის“ გათვალისწინებით, ხო-
ლო ან ინფორმაციათა საფუძვლს ქმნის პიროვნების ცოდ-
ნიდან გამომდინარე ცოდნისა და ფორმათა ატომების პირა-
დი „ანაწევრებით“.

სოციოსისტემების კულტურა — ესაა საზოგადოების მე-
ხსიერება, რომელიც ხორცშესხმულია წერილობით ან მატე-
რიალიზებულია დროსა და სივრცეში ცნობათა, ინფორმაცი-
ათა უწყვეტი ერთობლიობით.

„მამ, ასე, — წერს ა. მოლი, — ჩვენ განვსაზღვრავთ
კულტურას, როგორც ყველა ჯურის ასოციაციათა აღმათო-
ბების კამს, — ეს ასოციაციები იქმნება ცოდნის ელემენტებს
შორის, — თანაც ჩვენ განვსაგავებთ ფართო, ბევრისმოიც-
ველ, ანუ ცოდნის ბევრ ელემენტის შემცველ კულტურას და
ღრმა კულტურას, რომლის დამახასიათებელიცაა ელემენტ-
ების შორის კავშირთა დიდი სიხშირე და დიდი სიძლიერე.
კულტურის კვლევა შეიძლება მისი პროდუქტების ამორჩე-
ვით შესწავლის გზით, ხოლო ეს პროდუქტები უნდა გავივით
როგორც ყველაწინაირი აურაცხელი კულტურული ცნობა, და-
წყებული კერძო საუბრიდან და დამთავრებული დოკუმენ-
ტების, მხატვრული ნაწარმოებებისა და მეცნიერული შრო-
მების ამოწურავი ნაკადით“.

„სოციოკულტურული ცხრილების“ კონტექსტანალიზის
მეშვენიერია ა. მოლი მიდის შემდეგ ძირითად დასკვნაზე:

1. კულტურა არის ინტელექტუალური ასპექტი ხელოვ-
ნური წრისა, რომელსაც ადამიანი ქმნის თავისი სოციალუ-
რი ცხოვრების პროცესში. იგი ადამიანის გარეგანი მოცულის იმ-
სტრატეგიული ელემენტია. ტერმინი „კულტურა“ მოიცავს ამ
ინტელექტუალური ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც
გააჩნია ამა თუ იმ ადამიანს ან ჯგუფს და ეროვნებად სტა-
ბილირია, შეკრულია იმით, რასაც „კაცობრიობის მეხსიერე-
ბა“ ან საზოგადოების მეხსიერება ჰქვია — ესაა მეხსიერე-
ბა, რომელიც მატერიალიზებულია ბიბლიოთეკებში, ძეგლე-
ბა და ენებში.

2. ინდივიდუალური კულტურა — ესაა აზროვნების „ცოდ-
ნათა კვანძი“, რომელზეც ინდივიდუმი ასახავს გარესმყარ-
ოდან მიღებულ ცნობათა, შეტყობინებათა სტრემულს, ამ

საფუძველზე იგი ქმნის წარმოსახვებს, ანუ იმ ფორმებს,
რომლებიც შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით ან ნიშნებით.
ერთობლიობა „კულტურის ატომების“, რომლებიც, გავრცე-
ვების არხების სისტემაში მოქცეული, ინდივიდთა ჯგუფების
მიერ ცნობიერების სხვადასხვა დონეზე აღიქმება და მათ
მეხსიერებაში რჩება დავიწყების გზით შეჩვენვის შედეგად.
სწორედ ეს „ნარჩენი“ ქმნის ინდივიდუალურ კულტურას.

3. წრის კულტურა, ფართო გაგებით, — ამ წრის შემო-
ქმედ ინდივიდთა ლწვის შედეგია. ამავე დროს, მათი შემო-
ქმედების თავისებურებები გააპრობებულია იმ ცნებებით,
სიტყვებითა და ფორმებით, რომლებსაც ისინი იღებენ თა-
ვიანთი გარემოდან. აქედან გამომდინარე, კულტურა და მისი
წრე, გარეშო ურთიერთზე მოქმედებენ უწყვეტად. ეს შესა-
ძლებელი ხდება იმ შემოქმედ პიროვნებათა მეოხებით, რო-
მლებიც ხელს უწყობენ თავიანთი წრის განვითარებას. კუ-
ლტურის სოციოლინამიკა სწორედ ამაში ეფუძნება.

კულტურის ანალიზისადმი ა. მოლის ინფორმაციულ-კი-
ბერნეტიკული მიდგომა არსებითად, არის შედეგი და, გა-
რკვეული თვალსაზრისით, ჯამიც მთელი რიგი ექსპერიმენ-
ტული და ზოგადი კვლევების, რომლებიც მოხდასხვა ქვეყ-
ნის ცოდნის მრავალი სფეროს სპეციალისტ მეცნიერებს ჩა-
უტარებიათ ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ა. მოლის წიგნი სისტემატიკაშია, განსოგადებაა ამ გა-
მოკვლევების, მასში მოხმობილია მდიდარი ემპირიული მას-
ალა, ამასთან ერთად, ეს წიგნი სახავს შესაძლებლობას,
რომ მეცნიერულ-ტექნიკური რვეოლეუის ეპოქაში მიმდინარ-
ე რთული კულტურული პროცესების დინამიკა, წინააღმდე-
გობები და მრავალასპექტურობა, მკაცრად იქნას გამოკვლე-
ული, წიგნში თანმიმდევრულად და გააზრებულად სქემატი-
ზირებულია კულტურის რთული სამყარო, რისთვისაც ზოგ-
ჯერ შემუშავებულია მისი გამარტივებული მოდელები, რომ-
ლებიც ზუსტ რაოდენობრივ შეფასებათა შემუშავებისა და
ფუნქტური განზომილებების დადგენისთვისაა გამოსადგვი.
ა. მოლი დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია შეიქმნას
კულტურის დინამიკური ფილოსოფია, რომელსაც უნარი ექ-
ნება „სისტემატურად გამოიყენის იდეების შემოქმედებითი
პოტენციალი და გამოიყენოს ამ იდეების შემთხვევითი მოვ-
ლენებისადმი პასიური დამოკიდებულება“. ეს არამარტო
კულტურის ფენომენის სისტემატურად აღწერისა და კატალო-
გისაა, არამედ კულტურის მომავლის პროგნოზირების
საშუალებაც იძლევა, მისი ფუნქტურად კონსტრუირებისა
და მართვის მიზნით. ამ თემატსაზრისით, ა. მოლის მიდგო-
ბა საკულისხმომცა და მხარდასაჭერიც, ოღონდ, მთელი იმ
სარწმუნოება და შეუსაბამობების გათვალისწინებით, რომელ-
თაც ამ ტიპის გამოკვლევა ვერ გაეძევა*.

* ა. მოლის კონცეფციების უფრო დაწვრილებით და მრავალ-
მხრივ კრიტიკა შეიცავს ა. მოლის წიგნის — „კულტურის სო-
ციოლინამიკა“ შესავალ წერილ — ავტორები ბ. ბირიუკოვი,
რ. ზაიფოვი, ს. პოლტნიკოვი.

მობონებების წიგნი*

სამხრმშ საქართველოს ძეგლების ნახვამ და შესწავლამ უფრო მეტად დამახასლოვა ჩემი ხალხის ისტორიასთან, მისი წარსულის ფეხებთან...

როცა კი შემოხვევა მეძლეოდა, დაუღალავად ვმოგზაურობდი, ვათვალიერებდი ჩვენი ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ვსწავლობდი ფრესკულ მხატვრობას... ბევრი ჩანახატი და ასლი გამიკეთებია... ამა თუ იმ ფრესკის რესტავრაციაზეც ბევრი მიმუშავია... და ასე თანდათან, ჩემი შემოქმედების მთავარ საფუძვლად ძველი ქართული ფრესკა და ხალხური მხატვრობა იქცა...

გასაოცარი და საინტერესოა, რომ ხუთითასამდე ქართული ძეგლიდან ყველა უნიკალურია, არცერთი არ მეორდება. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ეს დიდი რიცხვია და დიდი სიმდიდრე. როგორ არ უნდა სცე თაყვანი მას, ვინც ოსტატს, მხატვარს, ტაძრის აღმშენებლებს ეუბნებოდა: ისეთი ამიწუნე, ან ისეთი დამხატვე, სხვას არ ჰკავდეს, უკეთესი კი იყოსო. ერთადერთი გამონაკლისი ქაშუეთის ცკლესიაა, რომელიც სამთავისის ველისის გამეორებია. სამთავისი შესანიშნავია, იგი ხელითაა აწყობილი. ბოლოს რომ ვნახე, ცოტა უკვე გადახრილა, დაქანებულა, მაგრამ ძალიან ლამაზია... არანაკლები სილამაზისაა ქაშუეთიც... მე მასსოვს ქაშუეთის მშენებლობა. ეს იყო 1905-1906 წლებში... როგორ ფაქიზად და სიუსტითაა ნაგები! მასსოვს ჭეის მჭრელები და ბეჭეუქრთმეები... ჩუქრთმეები ცნობილმა ოსტატებმა მშებმა დალაძებმა გამოიკეთეს.

თბილისის არქიტექტურული ძეგლებიდან ზოგი ძალიან ძველია, ზოგი შედარებით გვიანდელი... მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის არცერთი მათგანი ქართველი ოსტატის მიერ არაა მოხატული. თავის დროზე ქართველი ოსტატები სხვა ქვეყნის ტაძრებს თუ ხატავდნენ, მით უმეტეს, მოხატავდნენ ქართულს და მით უმეტეს, თბილისის ტაძრებს, მაგრამ არ მოღწეულა.

აგილოთ მაგალითად, სიონი — თბილისის მთავარი კათედრალი... იგი გასულ საუკუნეში მოხატა გაგარინმა. კარგი მხატვარი იყო... ბევრი საინტერესო ქართული ჩანახატიც გააკეთა საერთოდ... მაგრამ ეროვნებით რუსი იყო და, ბუნებრივია, იმის მხატვრობაც რუსული ხასიათიდან მიდიოდა... რუსული სტილითაა მოხატული სიონი... ეს თავის დროზეც უგრძნობი და, როგორც ჩანს, უთხოვიათ, რომ ქართული თემატიკაც შეეტანა მოხატულობაში... ამიტომაც დაუხატავს თამარისა და დავითის გამოსახულებანი. მაგრამ მთლიან, საერთო ანახატიში ეს ძალიან უმნიშვნელო დეტალია... თანაც, ზეთისფერებითაა ნახატი... ამიტომაც გაშავდა. კედლის მხატვრობაში, საერთოდ, ზეთს ნაკლებად ხმარობენ, მაგრამ იმ ეპოქაში ჩვენ ფრესკის სპეციალისტი არ გვაკავდა, გაგარინმა რაც შეძლო ის გააკეთა, გააკეთა კეთილი გულით... ცხადია, ძალიან დიდი შრომაც გასწია...

1947 წელს კათალიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ ჩემთვის მეტად მოულოდნელი, მაგრამ დიდად სასიხარულო წინადადება შემომთავაზა — ქაშუეთი უნდა მომეხატა.

დიდ სიბოულებთან იყო დაკავშირებული ეს საქმე, მაგრამ რაკი ნებართვა მივიღე, აღარაფრის წინაშე აღარ მსურდა უკან დახევა... მთავარი დაბრკოლება კი მაინც ის იყო, რომ იმ დროს ჩვენში ფერები არ მზადდებოდა. მე უარი ვეუბნე ზე-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 5-12, 1976, № 1, 1977 წ.



ლადო გუდიაშვილი.
ალ. მრევლის პორტრეტი

თის საღებავებზე... ქაშუეთი ენკაუსტიკის წესით უნდა მოხატულიყო. ცხელი, ადუღებული ფერებით. იგი ბიზანტიელებმა გამოიგონეს... ძალიან კარგია იმ მხრივ, რომ საკუწვეებს უძლებს, მაგრამ როგორ უნდა გვემოვნა საამისო სათანადო მასალა... ფერადი ფხვნილები, რომლითაც სითხე ზავდება, ჩვენში მაშინ თითქმის სულ არ არსებობდა.

ტენა-ტენით მივაკვლიეთ ძველ მღებავებს. მათი დახმარებითა და რჩევით შევაზავეთ მცენარეთა ფერები... ზოგი ფხვნილი მწერებისგან მზადდება. ყველა ეს ფხვნილი აკურით თაფლის ფიტაში, გავალხვეთ და დავიწყეთ მუშაობა.

შევირდები არ მყოლია. მებმარებოდა მხოლოდ ორი ადამიანი — შალვა აბრამიშვილი, რომელიც, საერთოდ, ფრესკების აღდგენაზე მუშაობდა ხოლმე და მუსიკოსი არსენ ფონსუა — მას ჩუქურთმები გადაჰქონდა. საერთოდ კი, მე არ მიყვარს, როცა სხვა ამთავრებს ჩემს საქმეს.

უპირავე ესკიზი და ჩანახატი გავაკეთე. საკურთხეველის ძირითადი ფართობი, რომელიც მოხატულია, ცხრა თვის განმავლობაში დავამთავრე... ცხრა თვე ფანტასტიკურად მოკლე დროა დიდი სამუშაოსათვის, მაგრამ ისეთი გატაცებით ვმუშაობდი, რომ დამცლოდა, ალბათ, სამ-ოთხ წელიწადში სულ მოვხატავდი... ეს არის ეკლესიის მთლიანი მხატვრული კომპოზიციის ცენტრალური თემა. ადვილი არ იყო, რა თქმა უნდა, მთელი დღეების განმავლობაში ისეთ უჩვეულო მდგომარეობაში, თანაც ცხელი საღებავებით მუშაობა, მაგრამ ბევრად ახალგაზრდა ვიყავი და რასაც ვაკეთებდი, ჩემთვის დიდ პატივად და ნდობად მიმაჩნდა... ასეც იყო. კალისტრატეს ძალიან უხაროდა და მუდამ ჩემთან იყო. არ მოკვებდა არც ქაშუეთის კუის-

კოპისი დიმიტრი ლაზრინიშვილი... ყველაფერში მშველოდნენ, როგორც შვეძლოთ, მებმარებოლდნენ.

რაც შეეხება თვით მხატვრობას... რა შემიძლია ვთქვა იმის შესახებ... ცხადია, ყველა ავტორის სურს, თავისი სათქმელი, როგორმე, ისე თქვას, როგორც მას უფიქრია და სურს თქვას კარგად.

ვიდრე მუშაობას დაივიწყებდი, ყველა ხელმისაწვდომი მასალა, როგორც ქართული, ისე უცხოური, გადავათავალიერე და შევისწავლე.

ფრესკის ცენტრალური ფიგურა ღვთისმშობელი და იესოა, აქეთ-იქით კი ანგელოსები... ეს დაკანონებული თემაა. ძნელია მასში რაიმე ცვლილების შეტანა... ასეთი რამ მხოლოდ ერთიულებმა შეძლეს, მათ, ვინც თავიანთ დიდ ნიჭს ღვთისმორწმუნე ფანატიკოსთა აზრი და ფიქრი დაუმორჩილებ... ისინი დიდი მხატვრები იყვნენ...

როგორც ფრესკებში, ისე დაზღურ პორტრეტებში, თითქმის ყველა მხატვარი, დიდიც და პატარაც, ღვთისმშობელს მუდამ ახალგაზრდას, ცოდვევისაგან განწმენდილსა და სათნოს ხატავდა... გაუხსენით თუნდაც რაფაელი... როგორი მიწიერი, და ამავე დროს, რა მშვენიერია მისი მადონები... მაგრამ ეს იყო უწინ... დღეს კი სხვანაირია ადამიანების დამოკიდებულება რელიგიის მიმართ, თვით ღმერთის მიმართაც, და მე გადავწყვიტე, ღვთისმშობელი წამოიშვეყანა ჩვენკენ, მიწისკენ, ადამიანებისაკენ... უფრო დღევანდელი სახე მიმეცა მისთვის... არ მიმაჩნდა სწორად მკაცრი ტრადიციის დაცვა. ამ სახის ასეთმა გადაწყვეტამ მაშინ, როგორც მოველოდი, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია... ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას... საბოლოოდ კი ერთსადაიმევე დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ



ეს არის ქართველი ქალი... ყოვლად მიწიერი, სიცოცხლითა და სიჯანსაღით სასვე, რომლისთვისაც არაფერი ამქვეყნიური უცხო არ არის. ასეც იყო... მე დღესაც იმასვე ვფიქრობ, რასაც მაშინ... დღევანდელი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი, გინდ მხატვარი და გინდ მღვდელი, რელიგიურ თემის ისეთი თვალთ ვეღარ შეხედავს, როგორც მას უყურებდნენ წარსულში... მხატვრისთვის, ასეთ შემთხვევაში, მთავარია ხელოვნების ნაწარმოები და არა რელიგია. ასე რომ არ იყოს, მაშინ ვერ აგვადლებდნენ დაღეს ვერც მიქელანჯელო, ვერც ლეონარდო და ვერც რაფაელი... ერთი ძველი უცნობი ოსტატი წერს „ხელი მინისა ლტების, ხოლო ნაწერი მისი ჰკივის უკუნიით უკუნისამდე“... ქემარისტი სიტყვებია.

საერთოდ ბევრი უსიამოვნება შემხვდა ამ სამუშაოს დროს. მაშინ ჯერ კიდევ ერთვარად უჩვეულოდ გამოიყურებოდა ის ფაქტი, მხატვარს რომ რელიგიურ თემაზე რაიმე ეხატა... ბევრი გაღიზიანდა კიდევ.

ცხადია, ქაშუეთი რომ მოლიანად მოხატულიყო, გაიშლებოდა მისი თემტიკაც და სიუფეტები... ხატვის პროცესში გზადღაზა ამ სიუფეტებზე ვმუშაობდი, ახლაც შენახული მაქვს ეს ყველაფერი, მაგრამ გარეშე თვალისათვის იგი გაუგებარია... ეს უფრო მინიშნული ჩანაფიქრებია, რომლებსაც, როგორც ჩანს, განხორციელება არ ეწერა.

ერთხელ ქაშუეთში იტალიის დელეგაციაც გვეწვია... მკლავზე ხელს მიკიდებდნენ — ნუთუ თქვენ მართლა ხატავთ... ნუთუ საბჭოთა კავშირში რელიგიურ თემაზე ხატვის უფლება არსებობს?

მე ვუპასუხე, — რასაკვირველია, არსებობს, თანაც ამას ხომ მართო რელიგიური მნიშვნელობა არა აქვს, თქვენთანაც ხომ ასეა-მეთქი...

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მთელი ჩვენი მოგონებებიდან ამ ფაქტმა მოახდინაო, — ამბობდნენ...

რაც შეეხება კალისტრატეს, იგი დიდებული ადამიანი იყო... დიდი პატრიოტი, განათლებული, სტიქორის, საეკლესიო მხატვრობის შესანიშნავი მწოდნი... უაღრესად კაცობიერად. მე იგი ისე მომწონდა, რომ მისი სახე ფრესკაში ერთ-ერთ მოიქეულად ჩავხატე... მას ეს ძალიან ესიამოვნა.

რა თქმა უნდა, გული მტკიავს, რომ ქაშუეთის მხატვრობა ბოლომდე ვერ დავამთავრე... მერე და მერე, როცა ჩემდამი დამოკიდებულებაში უკვე ბევრი რამ თანდათან შეიცვალა, მე-კითხვობდნენ ხოლმე:

აღარ უნდა მოხატოთ?
მაგრამ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, წლებმა თავისი ქნა, და რა თქმა უნდა, აღარ შეგეძლო... ეს ყოველივე დიდ ფიზიკურ შრომასა და დაძაბულობასთანა დაკავშირებული. მაშინ ჭურჭ მუშაობის გამო ცხვირიდან სისხლის დენა და თავბრუსხვევები მქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, არც ენერჯია მაკლდა და არც ხალისი. ახლა კი...

რაც შეეხება ღვთისმშობელს, ხშირად მეკითხებიან ხოლმე — მის სახეში ვინმე კონკრეტული ადამიანი ხომ არ მყავდა მხედველობაში. არა... მე ძირითადად, მუდამ შთაბეჭდილებებით ვხატავ... პროტოტიპებს კი იშვიათად ვაკეთებ... იმიტომ კი არა, რომ არ მომწონს ეს გზა... ჩემი მუშაობის სისტემაა ასეთი.

ცხადია, უმტკივნეულოდ არაფერი ხდებდა. და ქაშუეთშიც დატოვა ჩემში ტკივილი... მაგრამ რას იზამ...

დრო გადის... რელიგია თავის ადგილს იკავებს, მხატვრობა კი რჩება... მეც, რა თქმა უნდა, მინდა დარჩეს ის, რაც ამდენი ტკივილის ფასად შემიქმნია...


* * *

დიდი გზა გამოიარა ქართველმა ხალხმა... ბევრი ტკივილი და რთვა გადაიტანა... ბევრი რამეც დაკარგა. მისი ბედუკუღმართი ცხოვრების ქარიშხალმა უამრავი განძი შთანთქმა... გადარჩა მხოლოდ ნაწილი... ისინი ჩვენი ქვეყნის დიდი წარსულის მოწმეებია. ამიტომაც ვამაყობთ ამ ძველებითა და მათ კედლებზე გამოხატული გასაოცარი მხატვრული შედეგებით. ქართული ხელოვნების ძირი ეს ტაძრები და ფრესკებია... მათში ყველაფერია ნათქვამი და მიითვებული... ერის ხასიათი, სტილი... მისი გარესამყაროსადმი დამოკიდებულება... საინტერესოა, რომ იმერეთში, სულ პატარა კვლესიებში წმინდანებზე ქართველი გლეხებია გამოხატული... ასეა სხვაგანაც... ეროვნულ ხასიათს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრობაში და არა მარტო მხატვრობაში, საერთოდ ხელოვნებაში... კარგა ხანს, სანამ ჩვენი ძველები შესწავლილი არ იყო, ფიქრობდნენ, სულ მთლიანად თუ არა, მათი უმეტესი ნაწილი მაინც ბიზანტიელების მოხატულიაო... მაგრამ ბოლო დროს აღმოჩენილმა წარწერებმა გვამცნეს, რომ ისინი ძირითადად ქართველი ოსტატებს მოუხატავთ.

ძველი, ბევრად უკეთესი და საინტერესო მხატვრობა ხშირად უფრო გვიანდელითაა დაფარული... ამჟამად ტექნიკური საშუალებებით უკვე შესაძლებელია ამ ნახატის, მისი თუნდაც რამდენიმე ფენის ამოცნობა და გააცოცხლება, თუ, რა თქმა უნდა, იგი მთლიანად გადაშლილი და გადაფხვრილი არ არის... სწორედ ამ გზით მოხერხდა მათი ავტორების ვინაობის დადგენაც...

ძალიან მიყვარს, აგრეთვე, ძველი ქართული ხელნაწერების

ივანე ბერტიშვილი, ლ. გულაშვილის ჩანახატი. 1952 წ.



მინიატურული მხატვრობა. თავის დროზე მისი გავლენაც განვიცადე... ჩემი შემოქმედების ერთი მასაზრდოებელი ფეხი იხიც იყო... ეს ხელნაწერები შესრულების ოსტატობით არ ჩამოუვარდება ხელოვნების სხვა დარგებს — არქიტექტურას, კედლის მხატვრობას, ხეზე ჭრისა თუ ოქრომჭედლობის საუკეთესო ძეგლებს... და ყოველთვის, როცა წიგნის გრაფიკაზე ვმუშაობდი, მთავარი ამოსავალი ჩემთვის, პირველ პერიოდში მაინც, მუდამ ეს ხელნაწერები იყო... ასე გავაფორმე, მაგალითად, სულხან-საბა-ორბელიანის იგავ-არაკები... ეს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ თითქმის სრულიად შეუწყვეტილი იყო ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობის ძვირფასი ტრადიცია... დიდი სიამოვნებით ვიმუშავე ამ იგავ-არაკებზე... მუდამ თვალწინ მქდა სულხან-საბას კეთილშობილი სახე... იმდენად გამიტაცა მისმა პიროვნებამ, რომ წიგნის ილუსტრაციებმა და პორტრეტმა, რომელიც ამ წიგნისათვის შევასრულე, ვერ ამოწურა ჩემში ამ თემით გატაცება და საბას დიდი პორტრეტიც დაეხატე...

ახლაც კი, როცა ვფიქრობ, ისევ უკმარობს გრძნობა მინდებდა... მზიბლავს, მიყვარს, მაწვალავს, მიზიდავს მისი ენა... არის დღეები, როცა განუშორებლად ვკითხვლობ მის წიგნებს...

სხვათა შორის, ჩემს ქალიშვილსაც საბას „სიტყვის კონიდან“ დავარქე „ჩუქურთმა“. როცა იგი გაჩნდა, წიგნი გადავშალე და თვალდახუჭულმა თითი ამ სიტყვას დავაღე... ძალიან მომეწონა და გამეხარდა.

შარავანდითა მოსილი ქართული მწერლობისა და კულტურის პანთეონში სულხან-საბა ორბელიანი... „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო, — წერს მასზე ერთი უცხოელი. თანამემამულენი კი მას „სიბრძნეფარდისა“ და „მწავლულს“, „მრავალგამომკვლევებს“, „ბრძენსა და ფილოსოფოსს“, „სიბრძნის წყაროს მდინარეს“ უწოდებენ.

იყო დრო, როცა მისი უპრეცედენტო არაკების სათავეებს, ზოგიერთი მკვლევარი უცხოელი მწერლების ნაწარმოებებში ეძებდა. მაგრამ ეს ცდები უნაყოფოდ დამთვარდა. წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ დაფუძნებულია ქართული ხალხური შემოქმედების ფესვებზე, მის რეალურ ყოფაზე. არაკებში მოცემულია ქართული ზღაპრის თავისებურებანი, ხასიათების ხალხური ვარიაციები. ქართული ხალხური თქმულებები, გამოცანები, ანდაზები, იმ დროის მახვილი სიტყვა-პასუხები ძალიან ჰგავს სულხან-საბა ორბელიანის არაკებს და პირაქით, სულხან-საბა ორბელიანის არაკები ჰგავს ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. ამ არაკებს არც მძაფრი სატრა აკლიათ... ყოველივე ეს კი მუდამ შეუნელებლად მიზიდავს მის სამყაროში... ჩემთვის იგი მუდამ ამოუწურავი შემოქმედებითი შთაგონების წყაროა...

საერთოდ, ძალიან მწვლია ნამდვილი, კარგი ილუსტრაციის შექმნა, მით უმეტეს, მამინ, თუ წიგნის ავტორი დიდი მწერალია...

სულ მასსოვს... ერთხელ გამომეცემლმა ფლობერს თურმე „სალამოს“ ილუსტრაციებით დაბეჭდვა შესთავაზა. მწერალმა მრისხანისაგან წონასწორობა დაკარგა: „რადა საჭირო იყო ჩემი ამდენი შრომა, თუ გამომდებებდა ვიღაც მუჯღანე, ჩემს ოცნებას ზუსტ ჩარჩოში მოაქცევდა და მთავარს დამიმხსენებდა.

ნახატში ქალი ჰგავს ქალს — ესაა და ეს. მამინ, როდესაც წიგნი შექმნილი სახე აღვივებს ოცნებას უამრავ ქალზე.



ივანე ნიკოლაძე. ლ. გუღუშვილის ჩახატა. 1938 წ.

ამრიგად, რაკი ეს საკითხი ეთვტვიკავს ეხება, მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ნაწარმოების ილუსტრირებას.

არის ამაში ალბათ, რაღაც სიმართლე... მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა ქვეყანაში ილუსტრაციებით იმედგება როგორც „სალამოს“, ისე მისი დიდი ავტორის სხვა უკვდავი ქმნილებები...

მხატვრებს თავიანთი დამოკიდებულება აქვთ ამა თუ იმ წიგნისა და ავტორის მიმართ და ამ დამოკიდებულებას როგორც შეუძლიათ, ისე გამოსატყვენ.

ამ ბოლო სამ ათეულ წელიწადში, ჩვენშიც ძალიან განვიითარდა წიგნის გრაფიკა. მეც საკმაო ხარკი გავიღე მის მიმართ. ბევრი წიგნის ილუსტრაცია განიკეთებია, რომელთაგან განსაკუთრებით მაინც „სიბრძნე სიცრუის“ წიგნთან ერთად „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ხალხური ზღაპრების თემაზე შექმნილი ილუსტრაციები მიყვარს.

ჩვენს საუკუნეში მე თითქმის პირველი მხატვარი ვიყავი, ვისაც წილად ხვდა დიდი პატივი — ემუშავა რუსთაველის პოემის ილუსტრაციებზე. ორჯერ გავაფორმე ეს წიგნი — ქართულად და რუსულად. რიცხვი არ მასსოვს, მაგრამ ძალიან ბევრი ილუსტრაცია დაეხატა... პოემის თითქმის ყველა ეპიზოდი გადავიტანე ნახატში. რა თქმა უნდა, ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული ეს სამუშაო... ივლისისხმებოდა ტრადიციაც... სიყვარულიც... დამოკიდებულებაც, რომელიც საკუნეებიდან მიდიოდა... ეს ხომ „ვეფხისტყაოსანი“ იყო... გულდასმით შევისწავლე პოემის ჩვენამდე მიღწეული, მეჩვიდმეტე საუკუნის მინიატურული მხატვრობა მამუკა თავა-



ლ. გუდაშვილი.

ორთავალი სტუმრები

ქარაშვილისა, რომელიც განსაკუთრებით მიმწონს დ მიყვარს... აგრეთვე, ცნობილი უნგრელი მხატვრის ზოჩის დიდად ცნობილი და დიდად პოპულარული ილუსტრაციები, რომლებიც მეტყველებს საუკუნეშია შექმნილი. ორივე შესანიშნავი მხატვარი იყო და თავ-თავის დროზე ორივემ კარგად გაართვა თავი ქართველი ხალხისათვის ამ ყველაზე საყვარელი წიგნის დასურათების საქმეს.

მაშასადამე უნდა ირანული სტილის გავლენა, რომელიც მას ძალიან კარგად მოუხმარია და გაუჭარბებულა... შესანიშნავია ეს ნახატები.

რაც შეეხება მიხაი ზოჩის, ის ვეროპელი იყო, კლასიკური ილუსტრაციის. ფრიად დახლოვებული ოსტატი, ევროპაში კარგად ცნობილი მხატვარი. ძალიან ბევრი იმეშავა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე... სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში... შვისწავლა ქართული წგნე-ჩვეულებები, ხასიათები, ეთნოგრაფია. იმოგზაურა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, გააკეთა მრავალი ჩანახატი და შემდეგ შექმნა რუსთაველის პოემის თავისი ცნობილი ილუსტრაციები. მას წინასწარ ჰქონდა შერჩეული პოემის ის ადგილები, რომელთა დასურათების აპირებდა და იმის მიხედვით ეძებდა შესაფერტოებსა და პერსაჟებს... ჩააცმევდა მათ სათანადო ტანსაცმელს, ისე როგორც ეს ხდება თეატრში, დააყენებდა სცენაზე, მოაწყობდა საჭირო განათებას... სცენის უკან რომელიმე მსახიობი კითხულობდა პოემის ტექსტს... მაყურებელი ამ სახასიათო ხარდობა, ზოჩი კი აკეთებდა ჩანახატებს. ცდილობდა არ დაშორებოდა ქართულ ხასიათს... იგი ცოცხალი სურათის მრავალ ვარიანტს ქმნიდა და შემდეგ ანუზოვადებდა მათ. მისმა ილუსტრაციებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე და ქართველ საზოგადოებაზე... საკულისხმობა, რომ ეს ილუსტრაციები დღესაც არ ჰკარგავენ ემოციური ზემოქმედების ძალას... ისინი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა. საკულის-

ხმობა ისიც, რომ თავის ილუსტრაციებში თვითონ აკარგავდა თურმე ეს ნამუშევრები უყვარდა.

შემდეგ კარგა ხანს იყო ინტერვალ... ნელა, თანდათან, მაგრამ ძნელად დივიდებდა ჩვენი წიგნის მხატვრობის ძველ ტრადიცია. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც რუსთაველის ილუსტრაციებზე მუშაობა განაახლეს, იყვნენ გრიგოლ და ლადო ჯავახიშვილები — ჩვენი ცნობილი მხატვრის უნა ჯავახიშვილის უფროსი ძმები. მათ დასატეს რამდენიმე ილუსტრაცია და რუსთაველის პორტრეტი. რაც შეეხება ქანდაკებას, განსაკუთრებით საინტერესო იყო იაკობ ნიკოლაძის პორტრეტული ნამუშევარი... მაგრამ თვითონ მიქანდაკეს ეს პორტრეტი არ აკმაყოფილებდა და სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტია მის სელახლა ხორცშესხმაზე ფიქრი... მინდა ტრადიციას გვერდი ავუარო და რუსთაველი უქულოდ გამოვაქანდაკო — ამბობდა...

ტრადიციულად კი ხალხს ყველაზე მეტად ზიანი მოსწონდა და არც უნდოდათ პოემის ილუსტრაციები ახალი თვალთა და ახალი მიდგომით რომ შექმნილიყო.

რაც შეეხება ჩემს ილუსტრაციებს... ან უფრო ზუსტად, ჩემს დამოკიდებულებას... მე უფრო მეტად თავაქარაშვილის ილუსტრაციები მიზიდავდა და მიზიდავს დღესაც.

როგორც უკვე ვთქვი, ძალიან ბევრი ვიმუშავე, ბევრი ილუსტრაცია გაგავეთ... ჩემი მიზანი იყო არ დაგვორბოდო ტექსტს და ის, რასაც ვაკეთებდი, არ ყოფილიყო მხოლოდ ილუსტრირება... ამიტომ ვაკეთებ გრაფიკულად და ერთგვარი სტილირებით. ამ ნამუშევარმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია... აქაც, ჩემი აზრით, ნიავარი მიზეზი ის ტრადიცია იყო, ზოჩის ნახატებიდან გადასხვევას რომ ვერ ჰკუბოდა.

საკულისხმობა ერთი რამ: „ვეფხისტყაოსანი“, ხედივით თვალსაზრისით, ბევრი ძალზე საინტერესო მომენტი, თუ ეპიზოდია, რომლებიც მხატვრები რატომღაც, ნაკლებად ეხებოდნენ... ჩემს ილუსტრაციებში შევეცადე ეს მომენტები და ეპიზოდები წინ წამომეწია...

დღეს ყველა ეს პირობა, ენება ტრადიციას. ეპიზოდების შერჩევას, კომპოზიციას, ჩაცმულობას თუ სხვას, ასე თუ ისე, უკვე გადაჭრილია... შთაგონების ამოუწურავი წყაროა რუსთაველი... ამიტომაც უმდამ ახალი და ახალი თვალთ კითხულობენ მას ჩვენი მხატვრები... ბევრი საინტერესო ნამუშევარი შეიქმნა... მაგალითად, თამარ აბაყელიამ და სერგო ქობულაძემ „ვეფხისტყაოსანი“ სულ სხვადასხვანაირად დაასურათეს. ვფიქრობ, ორივე მნიშვნელოვანი მოვლენა... თამარის ნამუშევრები უფრო ეროვნულია, სერგოს უფრო ევროპულ-რენესანსულ სტილში გადაწყვიტა. მიიწ კარგია, დიდი ოსტატია და იმიტომ.

აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია აგრეთვე ლევან ცუცქერიძის ილუსტრაციებმაც... მან მოლიანად აუხვია გვერდი ტრადიციას. შეიძლება დაეთანხმო, ან არ დაეთანხმო მას ამ ილუსტრაციების გადაწყვეტაში, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ძალიან საინტერესოა და გულგრილად არ გტოვებენ.

თუმცა, აქ ცნება „ილუსტრაცია“ პირობითია, ლევან ცუცქერიძე, ჩემის დავკრებიერი, ილუსტრაციებს ნაკლებად აქვთ თებს... იგი ამა თუ იმ ნაწარმოების შთაბეჭდილებით ქმნის სრულიად დამოუკიდებელ სურათს. ასეთია, მაგალითად, მისი ნამდვილად შესანიშნავი პორტრეტული ტილოები ვაჟაფშაველას თემაზე.



ილუსტრაციების მიზანი კი სხვაა. იგი უნდა დაეხმაროს მკითხველს ნაწარმოების გაგებაში.

ვაინის დიდიანე ადამიანი ცდილობს შეიყნოს საყარო, კარგეებს თავისი არსებობის მიზანში... რატომ ანათებს მზე, რატომ ბრწყინავენ ვარსკვლავები, რატომ ამოდის მწვანე ბალახი... რა არის სიცოცხლე, რა არის სიკვდილი... ყოველივე ამას იგი ახსენის თავისებურად... იქნებ, ზოგჯერ გულ-უბრუნველად, ზოგჯერ ფილოსოფიურად, მაგრამ ყოველთვის თავისებურად და საინტერესოდ.

დასტრატეული მაქვს „ათას ერთი ღამე“, „ხსროვ და შირინია“, „ლელო-მეფუნინია“... მწერლებიდან: გალაქტიონი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, პასტერნაკი, დიუმა და ბერი სხვა.

სხვათა შორის, ამას წინათ შემოითავაჯეს — შექაპირის რამდენიმე ილუსტრაცია გააკეთო... გული მიტეხია, უკვე სა-მაგისოდ მოღლით ვარ. უარი ვთქვი... ძალიან დიდი დავი-წყვე მუშაობა. მას მერე, 1914 წლიდან, ფუნჯი ხელიდან არ ვამოვიკა... არ მიყვარს გამეორება... მუდამ რაღაც ახალზე ვფიქრობ... მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ალბათ დაღალდა. სა-კმაოდ მიმუშავია საბავშვო წიგნის მსატერობაზეც, განსაკუ-თრებით, ქართულ ხალხურ ზღაპრებზე.

ბევრი ზღაპარი დავასურათ... ეს სწორედ ის თემაა, ის სფეროა, რომელიც ჩემთვის მუდამ შთააგონებელი და ენერ-გიის შემამატებელი, ფანტაზიის უშრეტეი წყარო იყო... მიად-ვილდება, ხალხით მავსებს, მიყვარს... ჩემს სტიქიაში ვგრძობნო თავს, როცა ხალხურ თემებზე ვმუშავებ...

სწირად მასხენდება ერთი ქართული ხალხური ზღაპარი, თუ თქმულება „მიწა თავისას მოითხოვს“... თქმულება ახალ-გაზრდა მზეტაძეზე, რომელიც უკვდავების საძებნელად გა-მეზღავრა... ძალიან ბევრი იტანჯა, განიცადა სიკვდილს დანატრებული არსებობაც, მაგრამ ნახა უკვდავებაც. თვითონ-ნაც ეზიარა მას.

ბოლოს მაინც მიწაზე დაბრუნდა. მიწისგან შობილი მიწა-დვე იქცა.

უხსოვარი დროიდანვე ადამიანს ანტერესებს ზეციური, შვისა და ვარსკვლავების საიდუმლოებით სავსე საყარო. სა-დაც იგი ხან მფრინავი ხალიჩით მიემართება, ხანაც ცისარ-ტყელას ფერადოვანი ზოლით... ხანაც, ნატერისთვალთა და... მარადიული სიცოცხლე ყოველთვის იქ ესახება.

მაგრამ სადაც არ უნდა წასულიყო, რაც არ უნდა ენახა, ყველაზე ძვირფასი და საყვარელი მისთვის მაინც მიწა იყო. ეს გრძნობა მასში იქნებ გაუცნობიერებლად, მაგრამ ყოველ-თვის უსათუოდ არსებობდა.

ეს ფიქრი, ეს რწმენა დღესაც ისევე მიმოიდგვლია, რო-გორც მაშინ... დღესაც, როცა საყარო ბევრად უფრო კარ-გად შეიცნო ადამიანმა, როცა კოსმოსში მფრინავი ხალიჩები კი არა, უზარმაზარი ხომალდები დაქრინა.

ახლაც... მასღაც არ უნდა ავიდნენ ეს ხომალდები, ისინი მაინც მიწაზე ბრუნდებიან, მიწაზე დაბრუნებას ჩქა-რობენ...

ამ ბლო დროს, რატომღაც ძალიან ხშირად ვფიქრობ ამ თქმულებაზე... „მიწა თავისას მოითხოვს“... ამბობენ, იგი ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე შექმნილი. მისი შექმნა კი მხო-ლოდ იმ ერს შეეძლო, რომელიც კაცობრიობის აკვანთან იდ-გაო. მსგავსი თქმულება თურმე (უფრო ცუდი ვარიანტი) მხოლოდ შუემრულ ფოლკლორში არსებობს. დიდი ხანია მი-

ნდა შეგქმნა სურათი, რომელიც ამ თქმულებასთან დაკავშირ-რებით ჩემს დიდი ხნის ფიქრს და ოცნებას გამოხატავდა... რომელშიც ისე კარგად გამოხატებოდა სათქმელი, როგორც მის სათაურია — „მიწა თავისას მოითხოვს“. უზარმაზარი ფილოსოფია ეს, მასში ყველაფერია გაცხადებული...

ძალიან მიყვარს გრაფიკა... დიდი ხელოვნებაა. მე პირად-ად, ბევრად უფრო მიადიდებდა სათქმელის გრაფიკის ერთი გადმოცემა. ალბათ, ასეა საერთოდაც. დიდი გრაფიკოსები ყავდა საფრანგეთს: ვაგანინი, დომიე, გრან ვილი, გუსტავ დორე, რომელმაც „ღვთაებრივი კომედია“ დაასურათა. გრა-ფიკას გაქანების უფართოესი არე აქვს. მეც ბევრი მიმუშავია ამ დარგში, განსაკუთრებით ომის წლებში, თითქმის მთლიან-ნად ამ პერიოდშია შექმნილი ჩემი გრაფიკული ნახატების სერია.

ომის საშინელმა შესებმა ძალიან ბევრ რამეზე ჩამაფიქრა... ბევრი რაზ სულ სხვანაირად დავიხანე და ყველაზე უკეთ ამის გამოსახატვად გრაფიკის ენა მივიჩნიე. საკუთარმა ცხოვრებამაც მიჩვენა, რომ კეთილს ძალიან ხშირად გვერდი-გვერდ მისდევს ბოროტება. როგორც კარგი მეგობრები, ისე დადიან ისინი ქვეყნად... რა დავამალა და, ხშირად ბორო-ტი სჯანის სიკეთეს. ყოველივე ეს შევეცადე სხვადასხვა ას-პექტში გადმოვიყა... მაღალვდება და ტატილით მასხვდად შედანაშაულო ადამიანის მსხვერპლი, უპატრონოდ დარჩენი-ლი ბავშვების ცრემლები... გული მეკუშმებოდა, როცა გაზე-თებსა და რადიოს მოჰქონდა შემზარავი ცნობები, უღამა-ზესი ქალაქების, სახლების, ხელოვნების ძეგლების ნგრევისა და განადგურების შესახებ... და ყოველივე ეს, არ ვიცი, რო-გორ, მაგრამ მაინც აისახა ჩემს გრაფიკულ სურათებში...

მაგრამ მე არ ვიქნებოდი მართალი, თუ მხოლოდ ამ შემ-ზარავ ამბებზე ვილაპარაკებდი... ასეთ, ეგვიტრიულდებულ, სა-ტირულ გრაფიკას, როგორც აუცილებელი ელემენტი, თით-ქმის თან ახლავს ეუმორიც. ბევრი რამ მეც ეუმორის სახით მაქვს გადაწვეტილი. ეს საერთო ჩანაფიქრის ობიექტისტური მხარეა და ჩემი მიზანი იყო ყველაზე უფრო მძლავრად ეს გამქდავენულიყო იმ სურათებში, რომელთაც მე მაშინ ვქმნიდი. ადამიანს სჭირდება ობიექტიზმი... უამისოდ მას გა-ღუბრდებოდა სიცოცხლე... ამავე სერიამი შედის ჩემი ანტიფა-ნოსტური თემები...

ამვე გრაფიკულ სერიაში მოექცა აგრეთვე, ისეთი თემები, როგორცაა ოჯახი, ბავშვი, სიცოცხლე საერთოდ... ყველაფე-რი ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მათში უნდა გამოხა-ტულიყო ატორის მრწამსი, რომ ყველაზე მაღლა ამ ქვეყ-ნად ადამიანი დგას. სულ ასი ფურცელია. ამ სერიაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრიც დაიწერა და ბევრიც ითქვა მის შესახებ, ხშირად აღხენდნენ გოიას... ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას...

მასობს, 1958 წელს მოსკოვში გამართულ საღამოზე, რო-მელიც ჩემი გამოყენის განხილვას მიეძღვნა, სხვათა შორის, გამოვიდა კრიტიკის სიღრმეოვი, რომელმაც თქვა, რომ ეს სურათები მართლაც შეიძლება გვაგონებდეს გოიას, მაგრამ გოიას ახალს, თანამედროვესო. ასეთი შეფასება ჩემთვის, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო. და საერთოდ, თუ მაყურებე-ლი მე რადაცთ გოიას გვერდით მაყუნებს, დიდად მოხარული ვარ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ქან

კოკტო

შან კოკტო (1889-1963) — პეტი და დრამატურგი, რომანისტი და კინოსცენარისტი, თეატრისა და კინოს რეჟისორი, კრიტიკოსი, მხატვარი და ესეისტი.

ორიგინალური და უჩვეულო შოკლენია განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში თითქმის არ არსებულა ავანგარდისტული მიმდინარეობა, კოკტო რომ არ ყოფილიყო ნაწიარები. შემოქმედების დასაწყისში სიმბოლიზმის გაკლენას განიცდის. შემდგომ — კუბიზმი, კუბო-ფუტურისმი, დადაიზმი და სიურრეალიზმი...

მისი თანამზარახველი იყო არაერთი თვალსაჩინო ხელოვანი თუ პეტი, მწერალი თუ მხატვარი, მუსიკოსი თუ რეჟისორი, მომღერალი თუ მსახიობი: აპოლინერი და სანდრარი, არაგონი და ბრეტონი, ტყარა და პიკასო, პიკაბო და სტრავენსკი, ერიკ სატი და დიაგილევი, ნიჟინსკი და ელიტ ჰაიფი.

ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში სრულიად ახალი ნაკადის შეტანა და მისი მალევე უარყოფა. დაჯგუფებათა უსასრულო ცვლა. ასეთია კოკტო და სწორედ ეს უშილდა თანამედროვეთ მისი შემოქმედების ადგილი მიეცე საუკუნის ფრანგულ კულტურაში სათანადოდ განესაზღვრათ.

კოკტო არა მარტო მხარს უბამდა ხელოვნების ყოველი სფეროს განახლებას, არამედ თვით იყო ამ განახლებათა მგზნებარე წამომწეები. უკველათერში ახალ ფორმას ეძიებდა, მაგრამ არასოდეს უღალატნია თავისი თავისთვის.

შან გაერთიანა თავისი ეპოქის საუკეთესო მუსიკოსები, მხატვრები და მწერლები. კოკტოს შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დრამატურგიას აქვს მიჩნეილი. იგი სესხულობს სიუჟეტებს ანტიკური თეატრიდან, კლასიკური და რომანტიკული დრამატურგიიდან, მის თანამედროვეთა მელოდრამებიდანაც კი. საერთოდ, საფრანგეთში ანტიკური თეატრისა და მიოების გამოყენებას და გადაშუშუპებას კარგი ტრადიცია აქვს. მრავალი ნაწარმოები შეუქმნიათ მითოლოგიურ სიუჟეტებზე ანდრე ჟიდს, ეან უიროლდს, ეან-პოლ სარტრს, ეან ანუის...

კოკტოს პირველი თეატრალური ცდები ზალიტის ლიბრეტოებით ინსულვრება. იგი ქმნის „ლურჯ რქას“ (1911 წ.), ზალტ-ფარსს „ხარი სახურავზე“ (1920 წ.) და მრავალ სხვას, რომლებიც დადგეს იმ დროის გამოჩენილმა მუსიკოსებმა, რეჟისორებმა და მხატვრებმა.

მეგალი

და

პრლეკინი

1910 წელი პარიზში „რუსული ბელეტის“ დასი, ლიაგილვის ხელნაწიანლობითი, კიკოს ლიბრეტოს მიხედვით დგამს ბალეტ „პარადს“. მუსიკა ერიკ სატი-სა, დეკორაციები — პიასოსი.

